

# ԿԱՆԿԱՆ

6

1958





# ტესტი

1012

133

გამოცემის მეთორმეტი წელი

# 6

ივნისი


1968

თბილისი



ლიტერატურულ-მეტრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო



## კოეზიბა

- 3.** რეზო ამაფუხელი. ძახილი. ლირიკული პოემა.
- 47.** ხუბა ზაგუა. აპრილი. ბაბუშარა. ეგვიპტის ფიგნა მინაწერი. ლექსები.
- 1818—1968**
- 50.** გიორგი ლოინია. ნიკოლოზ ბარათაშვილს. ლექსი.
- 66.** გივი ძველამე, გივი ჰიზინამე, მუსრან მამაძა-რიანი, კუკური გოგიაშვილი, ჯანსუღ ჩარა-ვიანი, გივი გეგეჭორი, ეფხარ კვიციანი. ტარიელ ზანტურია, გორის ფოცხიშვილი. საბავ-ვო ლექსები.

## პროზა

- 8.** ლადო მრალაშვილი. თავგადასავალი სამი ღამე-სა. მოთხრობა.
- 34.** ზაზუნაძე
- 51.** ნელი ბატიაშვილი. ლეგატო, ლეგატო. მოთხრობა.
- 60.** ნუგზარ შატაძე. თეთრი ყვავილები. მოთხრობა.
- 61.** თეიმურაზ ჯღანკაძე. უჯარა. ესეიზი.
- 71.** უცხოური ნოველა  
რიჩარდ რიტი. ბიზ გოი ტომებს სხლ-პარს. თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა.
- ნარკვევი**
- 92.** კარლო კოგარიძე. თითოთ საჩვენებელი ბიჭები.
- ჩვენი უნივერსიტეტი**
- 97.** კონსტანტინე კინწურაშვილი. ქართველთმცოდნეო-ბის შესანიშნავი კარა.

## წერილები

- 103.** გურამ თოფურია. ინვერსიული ლემინგონი.
- 108.** ლალი ავალიანი. პაოლო იაშვილის შემოქმე-დებითი გზის დასაწყისი.
- 116.** გასტონ ბუაჩიძე. აღრეული იონესკო.
- სადისკუსიო ტრიბუნა**
- 125.** რევაზ თვაჩაძე. „მთიანეთის მემკვიდრეობაზე სემინარ-კურსად უბრუნების დასტურები“.
- კუბლიკაცი**
- 139.** ნიკოლოზ კანდელაკი. ეფრემ გვირი — ქართუ-ლი დეკლამაციის თეორეტიკოსი.
- წიგნების სამშაროვი**
- 145.** კახი მუხრანელი. გიორგი ნატროშვილი. „გულთმისნების ძველანა“.
- 146.** ნუგზარ ფარაძე. ნიკოლოზ გილიანი. „საგვარეუ-ლო სახელი“.
- 147.** სიმონ შამგონი. გივი ჰიზინამე. „თავგადასავალი ღამეები“.
- ჩვენი კალენდარი**
- 149.** ანასტასია ერისთავი-სოფტარია.
- სკორტი**
- 150.** ანდრო შოტლანია. ფიქრები ქართულ ფიგურატივში. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 5.
- 158.** ქრისტე მხრიაშვილი

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,  
საკაძე ბატარაძე,  
გივი გეგეჭორი,  
გურამ გვირგვინი,  
მერაბ ელიაშვილი,  
კარლო კალაძე,  
კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე,  
ოტის პაპოვიანი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ წიგნაძე,  
ნოდარ ფილიპოვიანი,  
ტარიელ ზანტურია,  
სერგი ზინკაძე,  
თამაზ ზინკაძე,  
ლევან ჯანაშია.



# ძ ა ხ ი ლ ი

ლირიკული პოემა

ემღვნება კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავს

1. არასოდეს და არაფერში  
არ გამიცვლია  
სიტყვა, რომელიც მე ვატარე  
გაჩენის დღიდან,  
რომ შენ, — მეორეს  
დაგენახა ჩემი სამყარო,  
შეგყვარებოდა  
და გცოდნოდა ჩემი სახელი.

თავდება მთვარე ჩემს თვალებში  
გამთენიისას  
და ირწევიაან  
ნაწვიმარი იასამნები...  
— შენ კარგად იცი  
სიკვდილის და სიცოცხლის ფასი  
და მიწიერი საყვარულით  
ხარ გაჟღენთილი.

მე ახლა ვდგავარ  
მილიონ  
და მილიარდ კაცში,  
დაიმახსოვრე სამუდამოდ ჩემი სახელი!  
რადგან ჩემს სულში  
ირეკლება ფერადი სხავით  
დაფიჭრებული,  
მთაზროვნე შენი პროფილი...

2. მისრულდებოდა ხუთი წელი,  
იდგა ივნისი,  
ეზოში წითლად ღუოდნენ ბლები  
და მზე მღეროდა...  
— უცბად გაქვავდა ყველაფერი!  
რეპროდუქტორებს  
სულგანაბული ყურს უგდებდა  
მთელი ქვეყანა!..

მზე აღარ ჩანდა,  
თითქოს ჩაქრა...

ფერმკრთალ უფროსებს  
შეჰყავდათ სახლში  
აყვანალი ხელში ბავშვები.  
კეტავდნენ სარკმლებს,  
ზურგჩანთებში აწყობდნენ უხმოდ  
საგზაუს და წინდებს  
და მომდიმარ ფოტოსურათებს.

მერე კაცები  
გრძელი, მწვანე მატარებლებით  
ერთად წავიდნენ,  
და ისმოდა შორი სიმღერა,  
რომელიც წყნარად  
და თანდათან იკარგებოდა...  
... მერე კი დადგა დიდი ზამთარი...

დღე დღეს მისდევდა...  
მე ვსწავლობდი  
წერას და კითხვას  
და პურის რიგში  
ვხუტებდი ყვითელ წიგნაკებს...  
შორს კი, სანგრებში  
გაღიმებულ ფოტოსურათებს  
აჩნდა წითელი  
და გამხმარი სისხლის ლაქები...

დღე დღეს მისდევდა...  
სამკუთხედი წერილებისთვის  
ათევდნენ დამეს  
თვალგამშრალნი ცრემლით დედები.  
ქუჩებში უხმოდ  
თავშეშავარს თხრიდნენ და თხრიდნენ  
და არიგებდნენ  
ხორთუმიან აირწინალებს...

დღე დღეს მისდევდა...  
იცლებოდა სისხლისგან ხალხი!..  
ფანჯრის მინებზე

აწებებდნენ ზოლებად ქალღალს,  
და კაცს;  
რომელიც სურათიდან იღიმებოდა,  
მთელი ქვეყანა  
უსურებდა იმედის თვალით...

დღე დღეს მისდევდა,  
გააფთრებით იღვა მოსკოვი!..  
დღე დღეს მისდევდა,  
ღამესავით იღვა ზამთარი.

... გამთენიისას,  
ნოემბერის სუსხიან ქარში,  
ბიჭებმა მარშით  
ჩაუარეს წითელ მოედანს  
მწყობრი ნაბიჯით,  
ჩაბღუჯული ავტომატებით,...  
და შეუერთდნენ  
სამუდამოდ მარადისობას...

... ერთ მშვენიერ დღეს  
ჩამოასხა ბაბუამ ღვინო,  
და ცრემლიანმა  
გარდისაზა მკერდზე პირჯვარი: —  
— ეტირათ დედა მაგ რჯულადღებებს,  
გვეშველა, შვილო!  
თქვა და დაცალა  
ხუთ წელიწადს მძინარე ყანწი...

... ასე დაბრუნდა წითელი მზე  
ჩვენს სახურავზე,  
ასე დაირწა ჩვენს სარკმელში  
გაშლილი ტოტი...  
არ იფარებდა უმცროსი ძმა  
სახეზე საბანს,  
ადარ ტუქსავდა შეჩერებულს  
ხელებში კატას...

... და დნებოდა ცივი ზამთარი...  
მაშინ პირველად  
მე ვიგრძენი სამშობლოს განცდა  
და გაზაფხულზე  
უღიმღამოდ მფეთქავ ხეხილებს,  
და ჩვენს ქუჩაზე ჩამწყკრივებულ  
გაფოთლილ ხეებს  
გუმზერდი რაღაც ბავშვური და  
მწვევე ტკივილით...

... დაკერებულ და გამონაცვალ  
ზამთრის ტანსაცმელს,

ამხანაგისგან მოწოდებულ  
მცირე საუზმეს,  
უძილო ღამეს  
და ჭადარა ბავშვობას ჩვენსას,  
ყველა ჩვენგანმა  
უნდა ვალი გადაუხადოს!..

3. ბევრჯერ დაკორტნა ჩემი სული  
ღამით მოსულმა  
მარადი იჭვით გაფოფრილმა  
ლურჯმა ფრინველმა.  
მისი ჩიჩახვი სავესე აყო  
ათასი მარცვლით:  
იაგუნდებით,  
სმარაგდებით,  
ბრილიანტებით,..  
და მაინც სურდა  
აეკენკა ჩემი სულიდან  
სიტყვა, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა  
ფორმა და სხივი.

იჯდა,  
უცდიდა ჩემს ჩათვლემას  
და მოთმინებით  
აქოჩრალ ნაკრტენს იქექავდა  
მოხრილი ბრჭყალით,  
ალიონამდე  
წითელ თვალებს აფახულებდა  
მერე კი ბნელში ინთქმებოდა  
უხმო სრიალით...

ცისკრისას ჩემთან მოდიოდა  
შიშველი დილა  
და ღამენათვეს  
მზეს მკიდებდა ავგაროზივით,..  
გაფობოდი მაშინ  
საყვარელ და ნაცნობ ქუჩებში  
და ჩემს გარშემო  
ვასწავლიდი სიმღერას ყველას!...

იღვა მინდორი მუხლებამდე  
ფერად ტბასავით,  
მძინარეები მოანგრევდნენ  
გრუხუნით ხეებს,..  
და ჩემი სული,  
ტყუირივით სმენად ქვეული,  
იმეორებდა გულუბრყვილოდ  
შორეულ ექოს...

ბრწყინავდა მზეზე აბლაბუდა



და, როგორც სპექტრი,  
ეკიდა მოგრძო წვიმის წვეთი  
დაჭიმულ ძაფებს,  
და გუბუნებდნენ,  
გუბუნებდნენ მწვანე ტყეები  
და ივსებოდა ბუდეები  
ჩიტის კვერცხებით...

ბოლავდა ცისფრად ხეხილები  
მზეში ჩამდგარი,  
და დახუნძლული ფასკუნჯებით  
შორი ღრუბლები,  
და გაჟღენთილი მიწის სუნით  
ლურჯი წვიმები,  
უერთდებოდა მდინარეებს,  
როგორც სიმღერა...

და ჩემი ლანდი  
გარბოდა და მემალებოდა,  
მემალებოდა  
და უნდოდა მხოლოდ თამაში...  
— დახრილ წვიმაში  
იდგა სული ქუჩის ბიჭივით,  
გაზაფხულისგან  
დაჭორფლილი და დათხუნული...

მოულოდნელად  
შევაშინიე ქალის ნაკვთები?!  
— გაჩერდა წვიმა  
და ვაგრძენი უცნობი მტრობა...  
მერე დაიწყო სიყვარული,  
როგორც კორიდა  
და ხარხარებდა ჩემს თვალებში  
წითელი ფერი...

მე ვგრძნობდი ძალას,  
ბიჭურ ძალას და სიჯიუტეს,  
— ყალყზე დგებოდნენ  
დასხლექტილი თეთრი კვიცები,  
და მე ვხედნიდა  
მოზუზუნე მძიმე ღვედებით  
გაველურებულ,  
თავაწყვეტილ სურვილებს ჩემსას.

... მერე თანდათან  
შევეჩვიე ფიქრს უსასრულოს,  
მზე ჩადიოდა წითელ ზღვაში  
თანდათანობით,  
ჩამოიშლიდა მძიმე მორგვებს

და ჰორიზონტზე  
გადამდნარ ოქროს ირეკლავდა  
დასალიერი.

მე მთელი ტანით ვეკუთვნიდი  
იმ მზეს ჩამავალს,  
განათხმულს ქვიშაზე  
ის მზე მქონდა ტანზე აცრილი.  
და ივსებოდა  
მაგნოლის მძიმე ყვავილი  
აგვისტოს დამით  
და უფორმო რძისფერი მთვარით.

ეძინა ზღვას და  
ვარსკვლავების მომწვანო შუქში  
უმსხვილდებოდათ მარგალიტი  
ფსკერზე ნიჟარებს...  
... და მოყვებოდა  
სამხრეთიდან დაძრულ დინებას  
უშველებელი ქარავანი  
წვრილი თევზების...

და ჩემი ფიქრი  
ჩემს წინ იდო მძიმე ლოდავით  
ამოტვიფრული  
ქარისა და წვიმის შრეებით,  
უხსოვარ დროში გამომწვარი  
და გარუჯული,  
მარტივი ზურგი  
გუბუნებდა ზღვების საიმღერას.

... იწვა რუსეთი ტრამალებზე  
მშიერ-მწყურვალი  
და ქარიშხალი  
ყოველ წუთში ძლიერდებოდა...  
და ბრჭყვიალებდნენ მუნდირები  
მასკარადებზე,  
და ჟღარუნებდა ბორკილებით  
ციმბირის გზები...

და მე მესმოდა სამუშაოთ  
მარსელიოზა,  
ტყვიამფრქვევებით დაცხრილული  
დროშის ფართხალი,  
დაყირავება პეტროგოფის  
და მძლავრი ნგრევა  
ეკლესიების,  
მეჩეთების,  
სინაგოგების...



და ჩემი ფიქრი  
ჩემს წინ იდო მძიმე ლოდივით,  
ამოტვიფრული  
ქარისა და წვიმის შრეებით,  
გაჯერებული სისხლიანი ცრემლით და კი-  
რით,

უხსოვარ დროში გამომწვარი  
და გარუჯული.

შევიდგი მხრებზე  
მრგვალი ლოდის გლუვი სხეული  
და დაძაბული შევედუქი  
შვეულ აღმართებს,  
ემატებოდა ყოველ ნაბიჯს  
მომავლის რწმენა  
და გულს გაჰქონდა ბაგაბუგი  
ამოვარდნამდე.

გზადაგზა ვთლიდი,  
ვუკეთებდი მძიმე წახნაგებს,  
რომ შესძლებოდა უმოძრაოდ  
და მყარად დგომა,  
რომ ამეტანა სიმადლეზე  
და ზედ დამედგა  
სამარადისოდ,  
როგორც კერპი კაცურ კაცობის!..

და გადაჰქონდათ პლანეტებზე  
კოსმიურ ქარებს  
მონოტონური და გაბმული  
სიმღერა მთვარის,..  
და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ინთებოდა  
ზაფხულის ცაზე  
შორი სინათლე  
ხელოვნური თანამგზავრების.

და უდიდოდენ ვარსკვლავები  
მწვანე თვალებით  
ახალ ცთომილებს,..  
და მიწაზე იწერებოდა  
საგალობელი  
აღამის ძის დაუდგრომლობის,  
და კიბეებზე ადიოდა  
კაცი სკაფანდრით...

და ვატიკანში მოლასლასე  
წითელ მანტიებს,  
მაღალ შანდლებით გაბრწყინებულ  
წითელ მანტიებს,  
ელრიცხობდათ სახეები

ცისკენ ყურებით,  
ის კი მიწაზე აგზავნიდა  
სალამს და ღამილს.

და მოელოდა კოსმოდრომი  
გულისფანცქალით,  
აღამიანის ჯერ არნახულ  
ციდან დაშვებას  
და მოდიოდა მოედანზე  
მღიმარე კაცი  
და ტაშს უკრავდა  
თვითეული მერიდიანი!..

და მე ვიდექი  
ფეხგადგმული და ღონიერი  
და მხრებზე მედგა კრისტალივით  
ვეება ფიქრი...  
შორს კი ბოლავდა ხიროსიმა  
როგორც კრატერი  
და ჭრიალებდა ხერხემალი  
დამწვარი ჩონჩხის...

ექირათ ხელში  
ვარდისფერი ჭიქა პოეტებს  
და მოთენთილი  
ადიდებდნენ ფორთოხლის ბაღებს,  
იმეორებდა ნებიერად რადიოტალდა  
ამერიკული ორკესტრების  
ცისფერ ფორმულებს...  
შორს კი ჯუნგლებში  
ყვითლდებოდა ბალახი სისხლით  
და პროექტორის სინათლეზე  
ხვრეტდნენ პატარებს,  
და ბრუნდებოდა თვითმფრინავი  
ავიომზიდზე,  
როგორც ყორანი, სისხლით მაძღარი...

და ჩემი ფიქრი  
ჩემს წინ იდო მძიმე ლოდივით  
და გუგუნებდა,  
გუგუნებდა მარტივი ზურგით  
მილიონობით დაღუპულთა  
წყველ სიმღერას,  
რომელიც ზარათ ინთქმებოდა  
გალაქტიკაში...

...იდგა შიშველი ებრაელი  
და ვოლინო  
ხლართებოდა მავთულებში გაყინულ ბგე-  
რად,

და მოდიოდა  
თავდახრილი, შიშველი რიგი  
და ოსვენციმის ღუმელები  
შავად ბოლავდნენ.

უკრავდა შოპენს  
გაყინული გრძელი თითები  
და გადათოვლალ ტრამალეებზე  
ბრწყინავდა მთვარე...

და მოდიოდა,  
მოდიოდა შიშველი რიგი  
და ოსვენციმის ღუმელები  
შავად ბოლავდნენ...

...გაახსენდება  
მონანავე მინდვრის გვირილას  
ამბრაზურაზე გადაგებულ ბავშვის ღიმილს...

— დახარეთ დროშა  
კომკავშირის დაცხრილულ მკერდზე!  
სამშობლოსათვის თავგანწირულ  
დაცხრილულ მკერდზე!..  
მარადისობა,  
ის უთუოდ შენი ღირსია!...

სახრჩობელაზე ირწვოდა  
თეთრი ქალწული  
და შეუბღალავ, ურყვევ რწმენას  
ერქვა ზოია!  
მისი ნერვებით,  
სიამაყით  
და მისი სისხლით  
გაჟღენთილია არტერია  
ჩემი თაობის!

და დგას ამურზე,  
დგას ენგურზე,  
ახალ ყამირზე,..  
მიდის,  
მიანგრევს  
შერკინების მძაფრი გენია!..  
— ო, ეს არ არის  
საუკუნის მშრალი ქრონიკა,  
ეს არის ბამინი სიყვარულის,  
შექმნის, შენების!..

ვდგავარ მზის გულზე  
ფეხგადგმული და ღონიერი,  
და მხრებზე მადგას კრისტალივით  
ვეება ლოდი,

სიმეტრიული წახანაგების  
ჟღერადი სხივით  
ამოტივორული  
ქარისა და წვიმის შრეებით,


მე მას შემოვდგამ  
თვითეული თქვენგანის სულში,  
ისე, ვით ნიშში  
აყვავებულ ტოტებს ატმისას,..  
ამოვარდება  
წითელი მზე აღმოსავლეთით  
და გადაზნიქავს ნაწვიმარ ტოტს  
ცისფერი ჩიტი...

... გავა მინდორში  
მზით დამწვარი პატარა ბიჭი,  
გაედევნება  
თოვლისფერ და უბელო ცხენებს  
და სამყაროში ხელგაწვდილი  
იტყვის სამღერას  
და ჩვენს ცხოვრებას  
უშეცდომოდ გაიმეორებს...

4. არასოდეს და არაფერში  
არ გამიცვლია  
სიტყვა, რომელიც მე ვატარე  
გაჩენის დღიდან,  
რომ შენ — მეორეს  
დაგენახა ჩემი სამყარო,  
შეგყვარებოდა და გცოდნოდა  
ჩემი სახელი.

მე ახლა ვდგავარ  
მილიონ და  
მილიარდ კაცში,  
დაიმახსოვრე სამუდამოდ ჩემი სახელი!  
რადგან შეგძელი  
მომეტანა რწმენა შენამდე,  
როგორც ნახმლევი გარდიგარდმო  
გადახსნილ მკერდზე,  
რადგან შეგძელი  
შემენახა დროშად ქცეული  
ჭეშმარიტება,  
მონვეჭილი მამათა სისხლით!  
რადგან გრიალებს სამუმივით  
მძლავრი სიმღერა,  
როგორც მარადი და ურღვევი  
ფაცი თაობის!..

... დაიმახსოვრე სამუდამოდ ჩემი სახელი!...



# თავბრუნება სუი ღამის

## ღამე პირველი

სამნი ჩაესხედით შანქანაში: მე, ჩვენი კოლა და თვითონ გიორგი. სხვებისა რა მოგახსენოთ და, მე ძალიან მესახელე-ბა — ადვილი როდია „მოსკვიჩთა“ პირველი თაობის პირველ ეგზემპლარში მოხედრა. მართალია, დაქოქვისას ცოტა, ასე, ნახევარსაათიანი განაზება კი იცის, მაგრამ მერე სახალისოც არის მგზავრობა. როგორც კი დაიქოქება, სავარძლებს ისეთი ხტუნაობა აუტყდება, თავით ჰერს გაგარღვევინებს. მერე ოცი წუთი იხროტინებს გადაცემათა კოლოფი, ბოლოს თვითონ მანქანა ჯორივით შეხტება და წავა. წავა და მერე როგორ! — თუ გზაზე სადმე პატარა კოლბოხი შეხვდა, მაშინვე ამოტრიალ-

დება. მერე ამას ისე კოხტად ავეთებს, რომ ყველა კარი გულადმა დაცემულ კუს ფეხებივით ეპარკყება.

ამას წინათ შიგ მარტო გიორგი მჯდარა. როგორც კი ვადაბრუნებულა, პატრონი გარეთ გამოუსვრია, თვითონ კი რუისპირის საბჭომდე ჩასულა გორაობით. მოცვენილა შეშინებული ხალხი, მძლოლი ხან მანქანაში უძებნიათ, ხან მანქანის ქვეშ, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ? მერე ვილაც ჰკვიანს აზრი გამოუთქვამს: ალბათ რადიოთი მართავდნენო. ამასობაში გიორგიც მოსულა სრულიად სადსალამათი და თვითონაც მიუღია მონაწილეობა ძებნაში. ბოლოს მიხვედრილა, რომ თვითონ მას ეძებდნენ და განუცხადებია: შიგ მე ვი-



ჯექი და პატრონიც მე ვარო. ვინ დაუ-  
ჯერებდა! სანამდე ავტონისპექცია არ  
ჩაურევია საქმეში, მანამდე საბჭოს  
თავმჯდომარეს მანქანა არ დაუნებებია.

ჰოდა, ჩავსხედით სამნი. მე და გიორ-  
გის კიდეც არა ვეშავს, მაგრამ ეს ჩვე-  
ნი კოლა ჯიბის დანასავით არის მოკე-  
ცილი. მაინც, რამ გაზარდა ამისამდე  
ეს ღმერთგამწყრალი, — შუადღისას  
რომ ძაღლმა შეჰყეფოს, სამხრობისას  
ძლივს გააგონებს.

ხორხელზე რომ ჩავიარეთ, ბალები  
დაგვედევნენ.

კოლამ უთხრა: რაც შეგიძლია, მიეცი  
ვაზიო. გიორგიმაც მისცა, მაგრამ ბა-  
ლებმა აქეთ-იქით ჩაავლეს ხელი მანქა-  
ნას და ისე მოგვეყენენ. ბოლოს ისევ მე  
ავადე ჩვენი გეკო, ხან ერთ ფანჯარაში  
გავუყავ ტუჩი, ხან მეორეში. ძლივს ჩა-  
მოვიშორე.

კარგა რომ გავიმინდრეთ, ერთ აღ-  
გილას გზა გადახნული დაგვიხვდა.

კოლამ უთხრა, არ ჩააქროო.

გადმოვედით და აქეთ-იქით დავიფან-  
ტენით. ნახნავის ბოლოში ვიწრო ვასას-  
ვლელი ვიპოვე. რომ მოვბრუნდი, მან-  
ქანა ისევ ისე თუხთუხებდა. გავუსტი-  
ვინე ბიჭებს და ისინიც მობრუნდნენ. რო-  
გორც კი ჩავსხედით, მაშინ არ ჩაქრა?!  
გიორგიმ თქვა: ქოქვა რომ დაეშუწყო,  
დაგვაგვიანდება და გუგულა აღარ და-  
ვიციდისო.

კოლაც დაეთანხმა: მზე გადაიწვერა  
და თევზაობას ვეღარ მოვასწრებთო.  
ავდექით და, როგორც იყო, ხელით  
ვაგორეთ ნახნავის ბოლომდე, იქიდან კი  
ისევ დაღმართი იწყებოდა.

მივდივართ და ბიჭები ეჭვობენ:

- ვითომ ის გიყი იქ დაგვეხვდება?
- თვითონ არ დაგვიბარა, ჩამოდი-  
თო?

გიუს გუგულას ეძახიან. ეს ის გუგუ-  
ლაა, ოციოელებს ერთხელ მთელი ზვინი  
ნამჯა რომ დაუწვა მინდორში: დადგმი-  
სას ერთი მხარე ჩვენს მიჯნაზე რად  
გადმოუშვირეთო.

რაც თავი მახსოვს, სულ მეველე  
და მებაღედ მუშაობს. ჩემი უფროსი

ძმის თანაკლასელია, მაგრამ იმისი ხსენ-  
ებით კოლასთანაც ძმაკაცობს.

— თევეზი თუ არ იქნა, საზამთრო ხომ  
იქ არის, — კეფას იქექს კოლა.

— იგურ უნდა დავედო, რესორები  
დაჭედეს, — ილრიჭება გიორგი.

მზე ჩასვლაზე იყო, საზამთროს ბაღს  
რომ მივეუახლოვდით. აქ ორი ყარაუ-  
ლია: გუგულა და ბაგრატა. მთავარი  
ბაგრატაა, გუგულა შეთავსებით მუშა-  
ობს.

ბაღის თავთან ექვსნი დგანან და რაღა-  
ცას ლაპარაკობენ. ბაგრატა ვიცანი:  
თოფი მხარზე გადაუვლია, ერთი ხე-  
ლით თასმა ჩაუბღუჯავს და მეორეს დი-  
რიეთორივით იქნევს.

ჩვენი მანქანა ფუთფუთით მიგორდა  
იქამდე და დადგა.

უცებ ბაგრატას ნელ-ნელა შემოე-  
ცალუნენ დანარჩენნი და უკან დაიხიეს,  
ალაზნზე ჩასასვლელისაკენ.

— აქ რაღაც კაი სუნია არა ტრია-  
ლებს, — თქვა კოლამ და უკან-უკან  
გადმოვიდა მანქანიდან.

გიორგი დარდიმანდულად გადმოხტა,  
მეც კარს ხელი ვკარი და დაბღუჯული  
გეკო გადმოვიტანე.

ბაგრატამ ერთი შემოგვხედა და  
უმაღლე მოქიშპეებს მიუბრუნდა:

— ჰაი, მე თქვენი... როდის იყო,  
საზამთროს ვყიდდი?

ჩვენ ბაგრატას ვუახლოვდებოდით,  
მოქიშპეები ალაზნისკენ იხევდნენ. ბო-  
ლოს შიგაც გატოპეს და გაღმა გავიდ-  
ნენ.

კლდის თავზე გადავდექი, თოფი კონ-  
დახით დავიბჯინე და ცალი ხელით  
ლონჯწემოყრილმა ძირს მრისხანე სა-  
ხით ჩავიხედე.

ბაგრატა დედისა და მამის სულს არ  
არჩენდა. ისეთი აზარტით ივინებოდა,  
თვითონ გუგულაც უშრით გულზე გას-  
კდებოდა, აქ რომ ყოფილიყო.

— როდის იყო, კოლმეურნეობის  
საზამთროს ვყიდდი? — სახე აჭარხლე-  
ბოდა, პირზე ღორბლი მორეოდა და

**ლადო მგალავილი**

თავადასავალი საიი ლაიისა

თვალებს აბრიალებდა. დროდადრო ჩვენ შემოგვხედავდა: ვითომდა, ნახეთ, როგორ ვიცავ ჩვენს საერთო ქონებასო. მოქიშპეები, უკვე გულმოცემულნი, გაღმიდან იმუქებოდნენ.

აქედან მე სამი დასკვნა გამოვიტანე: პირველი (და ჩვენთვის მთავარი) — საზამთროს მიღების იმედი არ უნდა გვქონოდა.

მეორე — ბაგრატამ საზამთრო მიპყიდა იმ ბიჭებს, ფული წინასწარ აიღო და მერე დაპირებულის მხოლოდ ნაწილი მისცა.

მესამე (და ბაგრატასთვის მთავარი) — ეშინოდა, ჩემს უფროს ძმას არ გავგოვს ყველაფერი. ჩემს ძმასთან ხუმრობას კი არავის ვურჩევ. მართალია, მასწავლებელია, მაგრამ ამ ახლომახლო თვალმრუდე და ხელმრუდე ხალხს ისე ეშინია მისი, როგორც ცეცხლისა. ის რომ გახეთქი წერილს დაწერს ვინმეზე, მორჩა, იმისი საქმე წასულია. ამას წინათაც ჩვენი სოფლის ექიმი მოახსენებინა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მკედელმა იოსებამ პურმარილზე მოკლე გზით მიმავალი ექიმი თავის ეზოზე არ გაატარა. უთხრა: გახსოვს, ბაღი რომ ავად მყავდა და ცხარე ტრემლით გვხვეწებოდი, წამოდი, მიმიხედო? შენ მაშინ ფეხი არ შემოდგი და ახლა რად შემოგიშვებო? ჩემი ძმა იქ შეესწრო და მეტიც არ უნდოდა! დაწერა წერილი და იმ ექიმს კულზე ცოცხი მოაბეს.

ახლა ახალი ექიმი გვყავს. ერთი ფუნჩულა, კეთილი ბერიკაცია. საწყალი, გულით ავადმყოფია, მაგრამ შუალამისას რომ დაეცე თავზე, ალაზანს გაღმა გამოგყვება.

როგორც კი ვინმეს ავადმყოფობას შეატყობინებენ, გული ხელში უჭირავს და ისე გარბის. როცა ადგილზე მივა, ავადმყოფის პატრონი ჯერ მას მოასულიერებს, მერე თვითონ ექიმი — ავადმყოფს.

რაკი ბაგრატამ ნარჩევი გინების მარაგი დახარჯა, ჩვენკენ მობრუნდა. მაშინვე შევატყვე, უზომოდ მთვრალი იყო.

— წამოდით, ბიჭებო, საზამთროს მეთ.

— გუგულა სად არი, — ვკითხეთ. ბაგრატამ არც გუგულა დაინდო.

— გიყისას რას გაიგებ? დღედაღამ ყარყატივით ალაზანში დაგლაჯუნობს. ქობისკენ გავწიეთ.

ბაგრატა გზაში დროდადრო შედგებდა, მობრუნდება და იმ ნაგაზის სიამაყით წაიღრენს, რომელმაც ნადირი ბინიდან ხეეს იქით გადადენა.

გზაზე ვიორგის მანქანის ტყუპის ცალი გამოჩნდა. ალავერდის მხრიდან მოდიოდა. მოგვიახლოვდა თუ არა, ოცი-ოელი ძუგარას ბიჭი ვიცანით, — თავგადაკლული მეთევზე და კარგი მექანიზატორი.

გუგულა ვკითხეთ. არ დაგვიძალა: ალავერდში დაჩალიჩობდა, მგონი დინამიტებისათვის ფისტონებს ეძებდაო. ბოდიში მოიხადა, მიგვიანდებო, და წავიდა.

კოლამ წინ წასულ ბაგრატას გახედა და ვიორგის უთხრა:

— უკვე ღამდება, მოდი, ეს მანქანა ალავერდისკენ წავიყვანოთ და ბაღს იქით, გზაზე გავაჩეროთ.

— ჯერ საზამთრო ვჭამოთ, — ჩავურთო მე.

კოლამ მწყრალად გადმომხედა.

— ვჭამოთ და წავიდეთ. ბაგრატას ეგონება, შინ წავიდნენო. ამის ქვაწვიობის ამბავი ხომ იცი, ერთ ცალსაც არ მოგვცემს წასაღებად. გავცდებით თუ არა ბაღს, სიმინდის პირას გავაჩეროთ. გუგულა ამ გზას არ ასცდება, მოვა თუ არა, გადმოვიდეთ, ტომარა ხომ გვაქვს, დავაყრფინოთ და...

ვიორგის ეს გეგმა ჭკუაში დაუჯდა. ბაგრატას ავედევნეთ.

ბაღი ზოგან გათოხნილია და საზამთრო რიყესავით ყრია, მუთაქებივით ალაგია დუთმა ნესგები, ალაგ-ალაგ კი ისეთი შალაფაა ნატაყები, წვერი ცასა სწვდება. ქობთან ცხენის ურემი დაგვხვდა. ცალული, კეხი და სადავე-მოსართავეები ზედვე ელაგა. ჭალზე ჩამოკიდებულ კალანჩხაში ქეჩეჩნაცობილი პირმოტეხილი სურა იდგა. ქობში მკე-



დელი იოსება ნაბადზე მიწოლილიყო და ნაღვინევ თვალებს ბლეტდა. იქვე ეგდო გამოცლილი ხელადა. მომცრო ყანწი საზამთროს ქერქზე პირქვე დაბობილიყო.

— სადა ხარ აქამდის?  
ბაგრატამ თოფი მოიხსნა:  
— ახაშნელები ვაგრეკე. საზამთრო მოგვყიდეთ. როდის იყო, კოლექტივის საზამთროს ვყიდდი?

იოსებამ გადმოგვხედა და დაუდასტურა:  
— ამ ხნის კაცი ვარ და მე შენი ეგეთი რამ არ გამივია!

ბაგრატა გავიდა, საზამთრო მოიტანა და გაგვიტრა.

— ჭამეთ, ბიჭებო, ცარიელა თაფლი და შაქარია.

საზამთრო თაფლ-შაქარზე ტკბილი გამოდგა.

ხშირ ბინდამდე ველოდეთ. ბაგრატა ვერ მიგვიხვდა ლოდინს.

ბოლოს წასვლაზე დავდექით.

— აბა, ცოტა ადრე რომ მოსულიყავით, ღვინოც შეგხვდებოდით, — საზამთროზე უფრო ტკბილი სიტყვით გვაცილებს ბაგრატა.

მივდივართ მანქანისკენ, შუაზე ვჭრით ბაღს და თვალები გვეხანება აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილ საზამთროებზე.

ბაგრატა ვერაფერს ხვდება, გვემშვიდობება და ჩუნც ვსხდებით მანქანაში.

ჩვენზე მეტად, ეტყობა, გიორგის „მოსკვიჩი“ მოიხიბლა იქაურობით, სანამ კარგად არ დაღამდა, ადგილიდან ვერ დავძარი.

ვიღრე ბაღს არ გავცდით, არც ბაგრატამ მოიცვალა ფეხი.

ალავერდთან გუგული შემოგვხვდა: მოლაყუნობს უღარადელად გზაზე. ქვედა ტუჩი ღუმელის კალთასავით ჩამოვარდნია. ყურები და ცხვირის წვერი კი ტყე-მინდორში გდებით დღემულამ გალურჯებული და აქერცლილი აქვს.

ვიცანით თუ არა, გავაჩერეთ. თავადაც გვიცნო და გაიხარა:

— ფისტონები ვერ ვიშოვე და თევი

ვერ დაგახვედრეთ. არც ალავერდში ჰქონდათ ბიჭებს. კიდევ კარგი, არ გამასწარი. აბა, გაიწი, ჭეილო, და დამსვი. ავალ შინ და იქიდან წამოვიღებ. ჰა, გაიწი გვერდზე, რა საღორის ბოძითა ხარ ძირგადგმული.

მე გვერდზე ვიწევი და გუგულა ჯდება.

— მიდი, ახლა. კიდევ როგორ ჯანზეა ეს შენი შამილა. მეფე ერეკლე ალბათ ამითი დადიოდა ყარაიში ირემზე სანადიროდ. ჰა, უცხუნე დეზი, რაღას უყრებ?

გიორგი კისერს იღრეჯს და ეუბნება:  
— მშიერს ჰკითხეს: ყველაზე ძნელი სატარებელი რა არიო და — ცარიელი მუცელიო.

გუგულა ჭერ გაკვირვებულია, მერე ნათქვამის აზრს ხვდება და საბარგეში იყურება.

— არც ერთი არ მოგიწყვიტათ?

— არც ერთი.

— მართლა?

— მართლა.

— ვაი, მე მაგისი ზიარების მათლაფა და პასკის ჯვარი... აბა, მოაბრუნე!

გიორგიმ მოაბრუნა.

— ნიაფი აქეთ უბერავს, მაგრამ მინც ახლო ნუ მიიყვან. აბა, ვარეკე.

გიორგიმ ვარეკა.

— კარგი, ახლა გააჩერე და გადმოდი. შენ აქ იყავი, მანქანას თავი არ დაანებო. არაფერი გაქვთ?

— ტომარა გვაქვს.

მე მანქანაში დამტოვეს...

როცა ძარა გავსეს, თვითონაც ჩახდნენ.

გუგულა ბაგრატას გინებით იოხებს გულს:

— ცარიელი ზარალია, ამ სამი დღის წინ თთხმოც მანეთში ჩამსვა. როცა დალევს, ეგ ხომ გიყია.

— არც ფხიზელია ძალიან დალაგებული, — ამბობს გიორგი.

— რა თთხმოც მანეთში ჩავსვა? — კითხულობს კოლა.

**ლალო მგელაშვილი**  
თავგადასაზავალი სამი ღამისა

— ღამე ბაღში ცხენი შემოსულიყო. მაგან თუთქა თოფი და გააგორა. მოვიდა პატრონი და გვითხრა: ას სამოც მანეთს თუ არ მომცემთ, გიჩივლებთო. კაი ცხენი იყო. თუ გვიჩივლებდა, უფრო მეტს წაგვართმევდნენ. ბაგრატა დათანხმდა. მერე საღამოთი მითხრა: ამხანავი ხარ და ნახევარი შენ უნდა იკისროო. ცარიელი ზარალია!

— აბა, გიორგი, მიდი წავიდეთ, თორემ დაგვეიანდით კინოში.

გიორგიც „მოვიდა“; მაგრამ სანამ დაქოქვის ნახევარსაათიანი სეანსი არ ჩაატარა, შამილა ადგილიდან ვერ დაძრა. სიმინდის ყანა ძლივს გავაშუაღეთ, რომ უკანა საბურავმა დაიქუხა.

გიორგიმ მოსხლეტით დაამუხრუჭა და გადმოვიდა:

- რომელი ვასკდა?
- მარცხენაა.

გუგულამა და კოლამ მე შემომხედეს ავი თვალით.

— ვაჰ, ჩემი რა ბრალია? — ავიმირიზე.

— შენ იჯექი მანდეთ, — დასტამბოს ოდენა თვალებს მიბრიალებს კოლა.

— მე შენი ხახამ-ტარხუნ-ჯან-ბალამ-ოხრახუშ-მაიოროი რა ეტქვა, ცოტა მსუბუქად ვერ დაჯექი?

გამტყნარებული გადმოვღვივარ ძირს.

— ხომ არ შეიშალეთ, რა ჩემი ბრალია?

— შენ იჯექ მანდა.

— ჰო, ეგ იჯდა, — დინჯად ამბობს გიორგიც.

მე უკვე გაშეშმიშებული ვარ. ვფიქრობ, ახლა კი „უაჟს“ მომცემენ, როგორც კოლამ იცის თქმა.

მაგრამ პირველი გუგულა მოდის „აზრზე“.

— ახლა რა ვქნათ? უნდა ავჩქარდეთ, თორემ, თუ ვინმე გამოიარა და აქ გვნახა ამ საზამთროთი, მორჩა.

— უბედურება ეგ არი, რომ სათადარიგო არა მაქვს.

— რა ვქნათ?

— იქნება ძუგარას ბიჭს ჰქონდეს? — ვიკითხე.

ახლა კი მითაქეს.

— ბაშკაა ცარიელი, — იღრიჭება გუგულა, — თუ ალაზანზეა, ექნება.

— მანდ არი, წედან ჩაიარა წყალსაქაჩთან.

— აბა, — მომიბრუნდნენ სამივენი, — აბა, თოფი შენ და აქ იყავი. ძეხორციელი არ მიაკარო მანქანას, თორემ ალაზანში თავდაყირა გაბანავებთ.

გუგულა დარჩეს-მეთქი.

ვინ დაგიჭერა? — მომაჩჩეხეს ხელში გეკო და ალაზნისკენ გაუყვნენ ლაჭუნით.

ვზივარ მანქანაში და თოფი მაქვს ჩაბლუჭული. გარშემო სიბნელეა. ოც ნაბიჯზე აღარაფერი ჩანს. ახლომახლო ხეც არსად არი. ტრიალი მინდორია, ალაზნის პირი. ყველაზე ახლო სოფელი ალავერდა და იქამდე სამი კილომეტრი მაინც იქნება. მანქანა შუა გზაზე დგას. გზაზე სულიერი არ ჰაჭანებს. გზის აქეთ-იქით სიმინდებია აჯაგრული. ზოგჯერ ვატყობ, რომ საეჭვოდ ჩუჩუნებენ. თოფს უფრო ძლიერ ვბჭულავ და ყოველ ხმაურზე თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ. საიდანღაც ჭოტი იძანის ამპარზენი ხმით. მაწანწალა ნიავეი ხანდახან ფრთას გაჰკრავს ნახევრად ღია სარკმელსა და ტანზე ჭიანჭველები დარბიან. — მეჩვენება, რომ რომელიღაც ნადირს თბილი დრუნჩი მოუტანია ახლოს და მისი სუნთქვა მესმის. თან ვფიქრობ: ვთქვათ, ვინმე მოვიდა, აქ გამომწყვდელულმა ან თავი როგორ უნდა დავიცვა, ან მანქანა? მართალია, გიორგის მანქანაა, მაგრამ მანქანა მაინც მანქანაა, ათასი მტერი ჰყავს. ამ სადღაც გადაკარგულში, ტრიალ მინდორში, ვინ არი გამკითხავი? ვთქვათ, მოვიდნენ და...

და ველარ გავძელი. გამოვალე კარი და გადმოვვიდი.

გარეთ საუცხოო სიგრილეა. სიმინდები სასაიმოვნოდ შამაშურობენ. აგვისტოს მოწმენდილი ცა გადმოშობია ალაზნის პირს. ხვინჭასავით მიყრილი ვარსკვლავები მხიარულად მიპაჭუნებენ თვალებს. დროდადრო რომელიმე მათგანს იტაცებს ხუნტრუციის ქინი, მოსხლეტით მოწყდება ალავერდის მხრიდან,



ელვასავით გადასერავს ალაზნის და ალენისკენ დაინთქმება.

მაგრამ ამ ჭოტს მაინც ძალიან ცუდი ხმა აქვს. ისე კივის, თითქოს შეთქმული შეთქმულს ეძახისო. მე სიმინდებში გადავდივარ, სიღრმეში შევდივარ და ისეთ ადგილზე ვჩერდები, საიდანაც მანქანას თვალიდან არ დაგვარავ. ბედზე ნარუ-ალს ვაწყდები. თვითონ შიგ ვწვები, თოფს კი რუს თავზე ვდებ და ცხვირს მანქანისკენ ვუსწორებ. ვწვეარ და და-ჟინებით გაცეკერი გზასა და მანქანას. კროლადრო უკანაც ვიხედები. იმიტომ კი არა, რომ მეშინიან. არა, ეს ისე, — სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

სიბნელე თანდათან უფრო მეტი ძალით აწვება გარეშემოს. თანდათან უფრო საზარელი უხდება ხმა ავივლებულ ჭოტს. და ვფიქრობ: ახლა შუა აგვისტოა, სკოლაში მისვლამდე ორი კვირაც აღარ არი დარჩენილი. განა რამდენ ხანსღა მომიწევს მთაში ყოფნა? მამაჩემს დაუბარებია: თუ უნდა, ამოვიდესო. უნდაო? ისე როგორ უნდა მოვკვდე, რომ ორიოდღე ღამე მეცხვარეებთან არ გავათენო? ლაზარე ზეგ მიდის. ხვალ აღუანში ჩავალ, ღამეს იქ ვგაათევე, დილა-ბნელზე კი მთისკენ დავიძვრებით.

კარგი კი იყო თევზი დავეპირა. მოვხარშავდი, ჭინჭარში ვავახვედი და მამაჩემს ავუტანდი მთაში... მამაჩემმა არ იცის, თუ ქართულ ლიტერატურაში ორიანი გამომყვა, არაფერია, ჩამოვალ მთიდან და ერთი საგანი რა არის? — ხელათ მივაძალღებ. ნეტა თუ მთაშიც ეგრე ბნელა. სიბნელით ებნელება, მაგრამ... მაგრამ ამ ჭოტს რა დაემართა? ან სად არიან აქამდე ბიჭები?

ავალ სისინებს ნიავი სიმინდის ფოთლებში.

გზიდან უცნაური ბგერები აღწევს. ძირს ვეცემი, მიწას ყურს ვადებ და ვქვევლები. ვგრძნობ, რომ ყურები თანდათან მეზრდება. ისეთი სისწრაფითა და დაჟინებით მეზრდება, რომ მალე, ალბათ, სიმინდებს მისწვდება.

ხმაური უფრო ახლოვდება და მალე ნაბიჯების ხმაც ისმის.

ერთი რომ არ არი, ვხვდები, მაგრამ

რამდენნი არიან, ამას კი ვერ ვარჩევ. ვიცი, ჩვენები არ არიან. ჩვენები, ალაზნიდან უნდა მოვიდნენ, ესენი ალავერდის მხრიდან მოდიან. ოღონდ ისე მოდიან, ხმას არ იღებენ. მტკრიან გზაზე მოწყვეტით ბავუნობენ ფეხსაცმელები. არანაკლებ ბავუნობს ჩემი გული. ახლა ოცდაათ ნაბიჯზე იქნებიან.. ოცზე!.. ათზე!.. ხუთზე!.. გამოჩნდნენ!.. და მანქანასთან მივიდნენ.

სისხლი მეყენება ძარღვებში, ხელები მიცახცახებს და კბილებს კაწყაწი გაუდის. — მაინც როგორი სიგრილე სცოდნია ღამით ამ ალაზნის პირას. ახლავა მახსენდება, რომ უბიჯაკოდ ვარ, პერანგისა და შარვლის ამარა. თითის ფრთხილად ვაცურებ სასხლეტში და თვალბად ქვეული მანქანასთან მორი-ალე ლანდებს გაცეკერი.

ლანდები გარს უვლიან მანქანას, შიგ იცქირებიან და ბოლოს კარებსაც აღებენ.

მინდა შევუძახო: ვინა ხართ, რა გინდათ-მეთქი, მაგრამ ხმა არ შემორჩილება. გამიგია, — გაციებამ იცის ეგრეო. მაინც რა სიცივე სცოდნია ამ ალაზნის პირს?

ბოლოს მახსენდება, რომ ჩახმახი ფეხზეც კი არ მაქვს შეყენებული. შევაყენებ ფეხზე, ერთს შევუძახებ და... ჩახმახს უკან ვწევ და ვაქაცურად ვიძახი.

— რომლები ხართ, აბა მოუსვით მანდედან!

ჩახმახს წკატუნი გააქვს და ყელიდან ხავილი ამომდის. — ცოდვა გატეხილი სჯობს, — ჩემს სიცოცხლეში ეგრე არ გავციებულვარ.

მანქანასთან ერთი აყლაყულა წელში სწორდება და იძახის:

— კაკო, სადა ხარ?

ალბათ მეფე ერეკლეს კრწანისზე სამასი ხევსურის დანახვა ისე არ გავხარდებოდა, როგორც მე კოლას ხმის გავონებამ გამახარა.

წამოვხტი, თოფის ჩახმახი დავუშვი-

**ლალო მგალაშვილი**  
თავგადასავალი საში ლამისა



და მანქანასთან შარვლის სწორებით მივედი. ეს ოხერი, ზოგიერთ შარვალს დიღები ისე აკერია, თუ არ გახსენი და ხელმეორედ არ შეიკარი, არ გაჩერდება.

— ამ შუალამისას მაგისტრის სიმინდში რა გინდოდა? — მიწყრება კოლა. ხმაზე ვატყობ, გაჯავრებულია.

— ჰა, აბა, ჩასხედით, რას უყურებთ? — ქოქავს მანქანას გიორგი.

გუგულა თავის ადგილას მოკალათდა. კოლა მე მომიბრუნდა:

— ძუგარას ბიჭს სათადარიგო თვალი არა ჰქონდა. ძლივს ვიპოვეთ. ალავერდის ბოლომდე ვეძებთ და მერე სიმინდი ეგრე გადმოვჭერით. ეხლა ჩვენ კოლოთოში ავალთ, იქნება იქ მაინც გვათხოვოს ვინმემ თაღლაურამდე. შენ აქ დარჩი, გაპყევი ამ გზას და ქოხთან მიხვალ. გუგულა უეჭველად უნდა ავიდეს შინ. მე და გიორგი კი კინოს ვერ გაცადენთ. ახლა ალბათ ხალხი გვიცდის და ჩვენს გზას გაპყურებს.

— როგორ, მე აქა მტოვებთ?

— მაშ რა ვქნათ? დაშვებული თვლით ეს მანქანა ოთხ კაცს აგვიყვანს თაღლაურში?

— როგორ თუ დაშვებული, გუგულა ჩემზე მძიმე არ არი?

— მთელ დამეს აქ კი არა გტოვებთ, კაცო, როგორც კი კინო დამთავრდება, ჩამოვალთ და წავიყვანთ.

— გუგულა დარჩეს. ჩამოდით და ეგ წავიყვანეთ.

— შენ რას გადაეკიდე გუგულას?

გუგულა მოუჩრებულა მანქანაში და კამათში არ ერევა.

— მაშინ საზამთროები გადმოვყართ და მე ჩავჯდები.

— შენ გიყი ხომ არა ხარ, საიდან სად გვივლია მაგისტრის და ახლა გადავყართ?

— რაღას ემასლაათები, ჩაჯექი და წავიდეთ. — რაღაც ეშმაკად არ დაქოქა გიორგიმ მანქანა!

კოლა დაიხარა და კვიმატურად ჩახედა თვალეზში.

— ხომ არ გეშინია?

— მეშინიაო? მე და — შიში?

— კი არ მეშინიან, ზეგ მთაში მივდივარ და უნდა გავემზადო.

— გამზადებას ხვალაც მოასწორობ.

შენ ის მითხარი, ხომ არ გეშინია აქ დარჩენისა? თუ გეშინია, მაშინ შენ ჩაჯექი და მე დავრჩები.

რაღა გეწყობა, თუ მანქანას ცალი თვალი დაფუჭული აქვს და ამდენ საზამთროსა და ოთხ კაცს ვერ წავიყვანს? რაც არ უნდა იყოს, კოლა მაინც ჩემზე უფროსია, წავიდეს. არც ალაზნის პირას უნდა იყოს ძილი ურიგო.

როგორც კი დაიძრნენ, გუგულამ თავი გამოყო სარკმლიდან და მეუბნებდა:

— ქოხში ჩემი ნაბადია. არ შეგეშალოს, ახალი რომელიც არი, ის აიღე. სანამ ესენი ჩამოვლენ, მანამდე კაი ძილსაც გამოაცხოვ.

ქოხში არავინ დამიხვდა. ავიღე გუგულას ნაბადი, იქვე გავშალე, ზედ ნებიერად წამოვწექი და თოფი გვერდზე მოვიდე.

ცოტა ხნის შემდეგ მჭედელი იოსება მოვიდა, ავშარა ურემზე მიაგდო და თვითონაც გაჯავრებული მიეგდო შინელზე.

ათიოდე წუთში ბაგრატა გამოჩნდა, ქოხის წინ მინავლული ცეცხლი გაჩხრიკა, პაპიროსს მოუკიდა და იქვე ჩამოვდა.

იოსებამ თვალი შეავლო და ვაკვირვებულმა წამოიწია. მერე მე მომიბრუნდა:

— რომელი ხარ, ბიჭო?

ბაგრატამ ზანტად დაჰკრა ნაფაზი და ცეცხლში ჩააწიტა:

— დანებე თავი, ის გიყი იქნება.

— გუგულას არა ჰგავს, რაღაც მოკლე მეჩვენება.

ბაგრატამ ყური ცქვიტა, თოფი მოიგდო და რიხიანად შეჰყვირა:

— რატომ ხმას არ იღებ, რომელი ხარ, კაცო?!

— ისე ჰკითხულობთ, თითქოს პირველად მხედავდეთ, — წავიღრინე და წამოვკექი მეც.

— კაკო ყოფილა.



— ვაჰ, კაკო ყოფილა. რატომ დაბრუნდი?

— დამეზარა უკანვე წასვლა. ხვალ დილით ისინიც ჩამოდინა სათევზაოდ.

არ ვიცი დააკმაყოფილა თუ არა ამ პასუხმა ბაგრატა, ჩემთვის ხმა აღარ გაუცია. იოსებას მიუბრუნდა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

**დილოგი.**

— იპოვე?

— აქაურობა სულ მოვიარე და ვერსად დავკარი თვალი.

— სახლში წავიდოდა.

— არ იცის სახლში წასვლა.

— სიმინდებში შევიდოდა სადმე.

— არც სიმინდებშია.

— ვინმე ალავერდელი დაიპერდა.

შეიძლება სადმე ბოსტანში გადავიდა.

— ბოსტანში რა უნდოდა, გარეთ ამოდენა ბალახი და სიმინდია.

— ხშირად იცის გაპარვა?

— მოუკვდა გამომცემელი, ერთი ეგა აქვს ცუდი ზნე, თორემ სხვაფრივ კარგი ცხენია.

—ახლა რა უნდა ჰქნა?

— ჩემი დარჩენა მინდოროში არ შეიძლება, ამდამ უნდა შინ ავიდე.

— ფეხით?

— ფეხით რათა. შენი ცხენი მათხოვე და დილაზე ჩამოგიყვან.

— სიამოვნებით გათხოვებდი, მაგრამ გაშვებული მყავს და ვინ იცის ალაზნის რომელ მხარეს არი მოქცეული.

— რომ ვიპოვო, მათხოვებ?

— თუ ამდამ შენ იმას იპოვი, გათხოვებ კი არა, თუ გინდა გაჩუქებ.

— ვაუკაცურად ამბობ?

— ვაუკაცურად.

— კარგი, — იოსებმა წამოდგა და მიგდებული ავშარა აიღო.

ბაგრატამ თვალი გააყოლა ქოხს იქით მიმავალს და ჩაიხიბოთხიათ:

— თუ ამდამ ეგ ჩემს ცხენს იპოვის, ერთ ურემ საზამთროსაც ვკისრულობ.

მე ჩემთვის ჩუმაღ ვწვევარ ნაბადზე, გარშემო კოლოების ლეგიონი მახვევია. თავს მეგლებიან, მეაღერსებიან.

— ძმოოო! — დროდადრო რომელიმე მათგანი ჩამწუვლებს ყურში და

მერე, სადმე შიშველ ადგილას ისეთ ნესტარს გამიყრის, თოთია ხევსურთა ხანჯალი ღმერთმა შეარცხვინა! ხან იქით გადადებრუნდები, ხან აქეთ. ხან ქოხში შევალ, ხან გარეთ გამოვალ. გააქვს სილებს ყბებზე, კისერზე, ხელებზე და ფეხებზე ტყლაშუნი. გაგხარაიან, შეგუკურთხე გუგულას, გიორგის და თვითონ კოლასაც.

სულ კი კოლას ბრალია! ეგ თავგასიებული სამაგიეროს მიხდის ალბათ, ამასწინანდელი ამბისთვის. შინ რომ მოვედით, მაშინ ხომ კარგა მითაქა! უცნაური კია, რაც უნდა წაღმა მოვიწადინო კაცისთვის, ხშირად უკუღმა გამოიღის. არა, რალა ეშმაკივით მეც იქ დავხვდი, როცა ეგენი მოვიდნენ? რა ვიცოდი, თუ სამაჰანკლოდ იყვნენ!

მე და თორღვა ვზივართ და ალგებრის ამოცანას ვიყვანთ. ჩვენთვის ვართ მიყუჟულები ბუხრის პირას. თორღვას უფროსი და მერი ქათამს ბდღენის ფაციფუცით. დედამისი საკლასო რვეულებს ასწორებს. მამას კი ფეხი ფეხზე გადაუდვია, უდარდელად აბოლებს, წინ გაზეთი გაუშლია და ჭადრაკის პარტიას არჩევს.

გავიხედე და ეს ჩვენი თავგასიებული, გიორგი და სოკრატა არ შემოვიდნენ?! ვგიჟდები: შვიდი წელია მე და თორღვა ერთმანეთს ვიცნობთ, შვიდი წელია, სულ თორღვა მეხმარება ალგებრაში, შვიდი წელია, რაც მე აქ დავდივარ და ესენი ამ ოჯახში არ მინახავს. ახლა რა კელამ უკბინათ? — მეცადინებთ თავს ვანებებ და ყურებს ვცქვეტ.

გიორგი კედლებს ათვალიერებს. სოკრატა თორღვას მამას დაყინებით უცქერის, ხელს უხერხულად იქნებს და ღერღვას, ღერღვას რაღაცას. კოლას კი, რაც შემოვიდა და დაჯდა, თავისი ფეხსაცმლისთვის თვალი აღარ მოუწყვეტია.

შევხედე; ახლები აცვია. ხომ არ უპერს? გავიფიქრე და შემეცოდა. მე თვითონ გამოამიციდია, ხუმრობა ხომ არ არის ახალი ფეხსაცმელი?

**ლადო მრალაშვილი**  
თავგადასავალი საღი ლაიისა



მერიმ სალამი კი თქვა, მერე არც მიუხედნია იქით. ჩააგდო სიჩქარეში და ისეთი სისწრაფით ბღღვნის ქათამს, ველარ იგებს, ბუმბულს რომ ჩვენ გვაყრის სახეში.

— ამას რაღა დაემართა? — კითხულობს კარგა ხნის შემდეგ თორღვას მამა და კოლას უყურებს.

კოლამ ერთი კი გამოიხედა მაგიდისკენ და მერე ისევ თავის ფეხსაცმელს დააქცერდა.

არც წინათ ყოფილა ბამბის ქულასავით, მაგრამ ახლა სახეზე ისეთი ფერი ადევს, როგორც წყალში დიდი ხნის ნაგვებს რკინას.

— თავი ხომ არ გტკივა?

კოლამ წამით კიდევ აიხედა და ხელი უცნაურად აიქნია.

— ჰო, ისე, რაღაც...

მერიმ ქათმის ბღღვნა შეაჩერა.

თორღვას მამამ თორღვას მოხედა და უთხრა:

— წადი, ბიჭო, თავის ტკივილის აბი მოიტანე.

თორღვა წავიდა, მოიტანა და კოლამ ჩაყლაპა.

გიორგი ისევ იცქირება აქეთ-იქით და ცერებს ერთი მეორის ირგვლივ საქმიანად ატრიალებს.

სოკრატა ისევ უშნოდ იღრიჭება და რაღაცას მიედ-მოედება. კოლასაც თავისი ფეხსაცმელისთვის არ უღალატია, თუმცა, აჰა, ლამის მეხუთმეტე წუთი მიდის.

— არ დაგიამდა? — კითხულობს ისევ თორღვას მამა.

კოლამ ცალი თვალით გამოიხედა და ანიშნა, არაო.

მართალია, თარსია, მაგრამ შემეცოდო, რაც არ უნდა იყოს, მაინც ჩემი ძმა არი. მივუბრუნდი და თორღვას ვკითხე:

— რამდენი აბი ჩაყლაპე?

თორღვას გაუცვირდა ჩემი კითხვა და გაოცებულმა მიპასუხა:

— ერთი.

— ერთიო? — წამოვხტი აღშფოთებული. — შე დალოცვილო, ერთი იმის თავს შეხედე, — ბუღლოზერის კაბინა გეგონება, მაგას ერთი აბი რას უზამს?

არ გემეტება? წადი მთელი კოლოფი გამოიტა!

ამისა თქმა იყო და, რომ წამოხტა კოლა და გლიჯა კარებში!...

მას შემდეგ არის ჩემზე აღრენილი.

მაინც რამოდენა თავი აქვს მაგ ღმერთამწყურალს, როცა გაუპარსავს დაინახავს ჩიჩუა დალაქი, საპარიკმახეროს კეტავს:

— არა, რომ აალირებ თავსა და პირდაპირ მე მომადგები, ღმერთი აღარა გწამს? პირისახე ნახევარი ჰექტარი გამოგივა, რა სამართებელმა უნდა გამოძლოს? რა დამიშავებია შენთვის, ძმაო, ჩაადი ლევანასთან (ლევანა განთქმული მცელავია ჩვენს კოლმეურნეობაში. დღეში ხანდახან ჰექტარ-ნახევარს თაბავს).

ის იყო ბაგრატას წასთვლიმა, რომ იოსებაც დაბრუნდა. დაბრუნდა და ცხენი ურმის ზეწარზე გამოაბა.

ბაგრატამ უცებ თვალი გაახილა და გაცივრებებისაგან კინაღამ ღველფში ჩავარდა.

იოსება მოვიდა და ქოხის წინ შინელზე არხენიად წამოწვა.

**დაილოვის გაგრძელება:**

— სად იყო?

— ჩავედი თუ არა, ემანდვე იყო ნაშეში. წნორებში სძოვდა.

— ვაჰ, არ მეგონა თუ იპოვიდი.

— არ გეგონა, მაგრამ ვიპოვე, ახლა რას იტყვი?

— მადლობის მეტი რა მეთქმის? შენი არ იყოს, არც მე მიყვარს, როცა ღამით ცხენი სადმე შორს დახეტიალობს. როგორც კი შებინდდება, მომყავს და ქოხთან ვაბამ ხოლმე.

— შენ იგრე ამბობ, სიტყვას გადაღიხარ.

— შენ კი იცი, ჩემი სიტყვა ბეჭედილია. მაგრამ რა გინდა შინ ამ შუღლამისას? ალავერდთან ჩახრამულია, არც კოლონოს ბოლოზე ვარგა გზა. ოქიოზეც...

— შენ გზას რას ჩივი, კაცო, ავღვები და მეც ხორხელზე წავალ.

— სახორხელე გზა ანეულად მოხნეს გუშინწინ.

— ახლა, შენ თუ ცხენს არ მაძლევ.

ეგა თქვი, გზას რასა კითხულობ? გზისა  
მე ვიცი და ჩემმა ურემმა.

— ცხენს როგორ დაგიჭერ, მაგრამ  
რა ძალა გადგას ამ შუალამისას.

— იშიაზი მაქვს, კაცო, ჩემი მინ-  
დორში გაჩერება არ შეიძლება.

— შენც ქოხში დაწევი, ანდე, შინე-  
ლი ხომ მანდ არი.

— მინდორი მინდორია, ქოხშიც და  
ქოხს გართავ. ალაზნამ ხაოს კრეფა  
იციხ.

— აბა, ცხენს როგორ დაგიჭერ, სი-  
ტყვა სიტყვაა, გადაჯექ და წადი.

— გადასაჯლომად კი არ მინდა, ურ-  
ემში უნდა შევება.

— ურემში ვერ შეგაბმევენებ, თუ  
გინდა, შეჯექი და წადი.

— კაცო, შენ თუ ცხენს მადლევ, რა-  
ღას კითხულობ შევებამ თუ შევჯდები:

— არ შეიძლება, იოსებ, თუ გინდა  
შეჯექი.

— მამ სიტყვას გადადიხარ?

— არ გადავიდიარ. ჩემს ცხენს გურ-  
ჯანიდან ახმეტის თავამდე და თეთრ-  
წყლებიდან თორღვას აბანომდე ყველა  
იცილობს. ღამეა, დაგინახავს ვინმე ურ-  
მით მიმავალს და იტყვის: აგე, ბაგრა-  
ტა, კოლმეურნეობის საზამთროს შინ  
ეზიდებაო.

— ამ შუალამისას ვინ გამოვა ჩემს  
ღასანახად, კაცო.

— ღამეა, მაგრამ ხომ იცი, ეშმაკს  
მანინც არ სძინავს, ამოდენა გზაზე ვილა-  
ცა მანინც შეგხვდება.

— გზაზე სულ არ ვივლი, მინდორ-  
მინდორ წავალ.

— მით უარესი. მაშინვე იეჭვებენ:  
ეს რომ კაი კაცი იყოს, რა მიახტეია-  
ლებს ბარდ-წარაფში, რატომ სწორ  
გზაზე არ დადისო.

— აქა, აბა, ვინ უნდა შემხვდეს?

— აქ არა, მაგრამ სოფლის ბოლოში  
მანინც შეგხვდება.

— სოფლის ბოლოში ვენახებზე გა-  
ვუხვევ და ვინ დამინახავს?

— ვენახებზე გავლა სულ არ შეიძ-  
ლება. ახლა ყურძენში თვალთა შესუ-  
ლი. გუგულა ამბობდა: საფერავი უკვე

შემდგრეულიაო. ვენახები ყარაულებდნენ  
არი სავსე.

— იგრე გვატარებ, ვერ დამინახა-  
ვენ.

— დაგინახავენ.

— თუ დამინახეს, იგრე გავივლი,  
ხმას არ გაცემ.

— არ ვასცემ და მაშინვე იტყვიან:  
თუ რამ მამაძაღლობა არ უღღევს გულ-  
ში, რატომ ხმას არ იღებსო?

— მეც დაველაპარაკები და ვეტყვი,—  
იოსება ვარ-მეთქი.

— ეგ კიდევ უარესი: თუ ბაგრატა  
კაი კაცია, სხვა რად დაუსვია, რატომ  
თვითონ არა ზის ურემზეო.

— მამ აღარც სიტყვა გწამს და აღარც  
ძმაკაცობა?

— როგორ არა მწამს, სიტყვაცა  
მწამს და ძმაკაცობაც. ანდე, ცხენი მანდ  
არი, შეჯექი და წადი.


მომბეზრდა მთვრალების ღიჯინი, თა-  
ნაც კოლოებმა შემაწუხეს. ავდექი, ავი-  
ლე თოფ-ნაბადი და ქოხიდან გავედი.  
ოც ნაბიჯზე კლდე არი. კლდემდე მცო-  
რე ფერღობია. ქვემოდან მუდამ ნიავე  
უბერავს. ნიავეს კოლო უფრთხის. დავწ-  
ვები და წაფუძინებ, სანამ მანქანა ჩამო-  
ვა.

გავშალე ნაბადი, დავწევი, თოფი  
გვერდით მოვიდე და ვფიქრობ: იოსე-  
ბამ ღვინო ჩამოიტანა (ვინ იცის, იქნებ  
პირველად არა), ბაგრატამ საზამთრო  
უნდა გაატანოს (არცერთი არ აგებს.—  
საზამთრო საკუთარი არ არი, იმ ღვი-  
ნით კი იოსება თვითონაც კარგად გამო-  
იბრუქა). ღვინო დაიხარჯა, ახლა სა-  
ზამთროს ჯერია. იოსებამ ვალი მოიხა-  
და, ბაგრატას მოსახდელი აქვს. იოსება  
დილაძე თვის ცხენს ვერ იპოვის,  
ბაგრატა არ ათხოვებს. ეშმაკია ყარაუ-  
ლი, იცის, რომ იშიაზიანი ფეხით მჭე-  
დელი ვერ შეჯდება. არც იოსებაა ნა-  
ლები, იშიაზი მოიმიჯნა, ცარიელი  
ცხენით რა საზამთროს აიტანს შინ?

აქ კოლო აგრე რიგად არ იკბინება და  
არ ვიცი, როდის დამეძინა.

**ლალო მგალაშვილი**

თავგადასავალი საზოგადოება





სიზმარში მთაში ვიყავი, მამაჩემთან და ცხვარს ვყარაულობდი. მოდიოდა და მოდიოდა ნადირი ფარაზე დასაცემად. მე არ ვუშვებდი ახლოს და გაჰქონდა თოფს გრიალი. უკანასკნელ სროლაზე გამომეღვიძა. გავახილე თვალი და მივიხედ-მოვიხედე. რის მთა, რის ცხვარი. ალაზნის პირას ვწევარ მინდორზე და გარს ნადირის ნაცვლად კოლო მახვევია.

უეცრად მხარმარჯვნივ კაცი შევნიშნე. ბაღის გვერდგვერდ კლდის პირზე მოდიოდა. შალაფების გასწვრივ, ცის ფონზე გავარჩიე თავისა და თოფის მოხაზულობა. მოძრაობაზე ეტყობოდა, გეზი აქეთა ჰქონდა. გამახსენდა საღამომდელი საზამთროს მოვაპტრე ბიჭები და მათი მუქარა. მამინვე თავში დამცეცხლა. თოფი მოვიგდე ხელში და კიდევ უფრო გავეკარი მიწას. ვილაცავ, კეთილი სული არა ჩანს. ეტყობა კი აუღაყუღდა. არც მარტო უნდა იყოს, სხვები ალბათ უკან მოსდევენ. საჭიროა სწრაფი მოსაზრება და მოქმედება. პირდაპირ ქოხისკენ მოდიან. ქოხში იოსებასა და ბაგრატას სძინავთ. ბაგრატა და იოსება ჩემი თანასოფლელები არიან. საზამთროც მაჭამეს, შინაც ბლომად გამატანეს და ქოხშიც შემეფარეს, მაშასადამე მე მათგან დავალებული ვარ. იოსება და ბაგრატა თავისთავის არიან ქოხში, არავის არას უშლიან და არც გულში რამე ცუდი განზრახვა აქვთ. იმათ კი, აქეთ რომ მოიპარებიან, ცუდი განზრახვაცა აქვთ და საამისოდ ღამე აურჩევიათ. იციან, ამ დროს ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა. არის მჩაგვრელი და ჩაგრული, ბოროტი და კეთილი. ჩემი პირდაპირი მოვალეობაა ჩაგრულს მივემხრო და ბოროტი დავებოტუნო. გარდა ამისა, იოსება ამ საქმეში სრულიად უბრალოა. ღამეში კი რას გავარჩევ ბრაღიანსა და უბრალოს?

ქოხთან მივირბინო და გავაფრთხილო. — ვაითუ შემნიშნონ. არადა მძინარი ხალხი ეგრე როგორ გავაქლებტინო?

ავდექ და კიდევ უფრო ქვევით ჩავცურდი. ქოხი მაღლობზე დარჩა. ქო-

ხამდე რომ მიხვიდე, ალაზნზე მჭვრელნი ჩასასვლელი უნდა ამოიარო. ამ ჩასასვლელს ვერ ასცდება მხარმარჯვნიდან მომავალი. ისე რომ, მე ქოხთან მისასვლელი ბილიყს ეკლში ვზივარ. გეკო ჩემი თოფია. იქიდან ამოსულთ ისე წავაწყობ ერთმანეთზე, ჩემს მეტი კაცბ ვერ გაიგებს.

ლანდი ახლოვდება. მე გატრუნული ვწევარ. დანარჩენები არ ჩანან. ეტყობა, წაკუზულნი მოიპარებიან. კეთილი, მოიპარებოდნენ. ამ ბილიყს სად ასცდებიან?

ვწევარ და წუთებს ვითვლი. ლანდი ჩასასვლელში ჩადის და უჩინარდება.

კეთილი — გაუჩინარდეს. როდისმე ხომ უნდა გამოჩნდეს ამ ბილიყზე?

ვწევარ და წამებს ვითვლი.

მგონი ძალიან მაღე გამოჩნდა. ისე თავისუფლად და უშოშრად ამოვიდა, თითქოს აქ ჩასაფრებული არ ვიწვე და ვახნა თოფისთვის პირში არა მქონდეს მიცემული! ამოვიდა, გამოიშინდრა, მიიხედ-მოიხედა, მოიხსნა თოფი, გამოღმიდან ალაზნის გაღმა მდებარე ალვანს დაახალა, გაბრუნდა და ქოხში შევიდა.

ოჰო! ეს ვილაცავ, სულ არა ფრთხილობს. რა კვენჩითა და ბაქბუქით მოდის? აბა, დროით, კაკო, თორემ, ვინ იცის, იქნებ ცოცხლებს ველარ მიუსწრო ბაგრატასა და იოსებას.

ვდგები და თოფმომარჯვებული ქოხისაკენ მივხობხავ, თან აქეთ-იქით ვიხედები. არც კლდის პირზე, არც ჩასასვლელთან კაცი არა ჩანს. კეთილი და პატიოსანი. მივალ და იმ ერთ ვილაც თავზეხელაღებულს სულ ბურღავალას ვაქახებ.

როგორც იყო, მივიპარე ქოხთან, წამოვდექი და კედელს ავეკარი.

ქოხში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უეცრად რაღაც გადაგორდა შიგნით ბოროტინით და იოსებაამაც დაიზმუელა.

ვაი შენს თავს, კაკო, თუ ახლა იოსება სისხლში ბანაობს და ბაგრატა აზრზედაც არ არი, რომ ახლა მისი ჯგერია!



რადას უყურებ, იჩქარე, თორემ დაგვიანდა!

ქონში ასანთი გაჰკრეს და თოფის ტუჩიც შეეყავი ფიცრების ღრიჭოში.

ჩოქზე დამდგარმა კაცმა რომ ცხვირზე მიდებული ლულა დაინახა, შიშისაგან თვალები შუბლზე აუცივიდა და კინაღამ ასანთი ხელიდან გაუვარდა.

— ვინა ხარ, კაცო, რა გინდა? — დაიხავლა.

— არ გაინძრე, თორემ ვაგათავებ! — დავიბოხე ხმა. — თქვი, რომელი ხარ!

— ბაგრატა ვარ.

— ვინ ბაგრატა ხარ?

— კინკილაშვილი.

— სადაური?

— თაღლაურელი.

— ცოლ-შვილი გყავს?

— მყავს.

— და-ძმა?

— და-ძმაც.

— რამდენი შვილი გყავს?

— ექვსი.

— ერთიც უნდა დაუმატო.

— დავუმატებ.

— სიტყვა სიტყვაა, თორემ...

— ძალღმრთელი ვიყო, თუ აქედან ცოცხალს გამიშვებ, დუქინამდე ავალ.

— მარტო ხარ?

— კაცია ჩემთან.

ამასობაში ასანთი ისე ჩაიწვა, რომ ვერც ერთმა ვერ შევნიშნეთ. როცა ბაგრატას თითები დაეწვა, მაშინღა გაიჩინა ხელი.

— ფუი, შენს პატრონს.

— არ გაინძრე-მეთქი!

— ახალს ავანთებ.

— კარგი, აანთე.

ბაგრატამ აანთო და იკითხა:

— შენ თვითონ ვინა ხარ?

— კაცო ვარ.

— რომელი კაცო?

— ბაჩიაშვილი.

ბაგრატამ ასანთი გადაავდო და შებღალა:

— შენა ხარ კაცო ბლაქიაშვილი?

— აანთე, აანთე! ბლაქიაშვილი კი არა, ბაჩიაშვილი.

— სადაური ხარ, კაცო?

— თაღლაურელი.

— თაღლაურელი? ბაჩიაშვილი? —

კაცო, ოოო! კაცო, კაცო, ჩვენი კაცო. — და ბაგრატას ისე გაეხარდა ჩემი ხმის გაგონება, ალბათ ხუთი გოგოს პატრონი იოსებას მეექვსედ ვაჟის შექენა არ ვახარებია ასე.

— კაცო, კაცო, ჩვენი კაცო!... — და ღიღინ-ღიღინით იბოვა საღდაც კუთხეში მიყრილი „ცენტრალის“ ვაზნები.

მე, რაკი დავაჯერე გული, ჩემს თანასოფლელებს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, უკან გავბრუნდი და ნაბაღზე დავწექი.

ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატა მოვიდა, ახლოს მომიჩოჩდა და საიდუმლო ხმით მეკითხება:

— თევაზი გინდა?

მე წამოვჯექი და განზე გავიწიე. — პირიდან ისეთი ღვინის სუნი სცემდა, ას ნაბიჯზე კამეჩს წააქცევდა.

— თევაზი ვის არ უნდა?

— ჰოდა, ქვემოთ, გაღმა ტოტზე ძუგარას ბიჭს ფაცერი აქვს დაგებული, — ჩამჩურჩულეებს ბაგრატა.

— მერე ჩვენ რა.

— ეხლა შუაღამეა, ეძინება.

მე შორს დავიჭირე:

— აჰ, ქურდობა არ მიხსენო!

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს.

— მე გაგებისა არ მეშინიან.

— იქნება წყლისა გეშინიან?

— არც წყლისა.

— აგიკიდებ და იგრე გაგიყვან.

— არა, ვერ მოვიბარავ.

— გალომბისას ამოგდებული იყო შენგან თაღლაური, ეხლა რაღა დაგემართა?

— ჩემი ძმა გაიგებს.

ბაგრატამ ოღნავ უკან დაიხია.

— ჰოო, ეგ სხვა საქმეა.

ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა.

— საიდან გაიგებს? შენ არ იტყვი და მე პირში წყალს ჩავიგუბებ.

---

ლადო მრავალშვილი

თავგადასავალი საში ლაჩისა



— არა, მე ჩემს ძმას ვერ ვუღალატებ.

ბაგრატი გვერდზე შებრუნდა, თოფი ლაჯებში ჩაიყუდა და ნაწყენმა ალაზანს გახედდა.

მეც წამოვწექი და ხელები თავქვეშ ამოვიწყე.

— ბაგრატ... არ გესმის, ბაგრატ!... იქით კვირას მართლა ცხენი მოჰკალი?

ბაგრატა მობრუნდა და დამაკვირდა! — შენ რა იცი, რომ მოვკალი?

— ვიცი. მე რა გამომეპარება.

ბაგრატა გაყუჩდა. მერე თოფი დაუშვა და ისევ ახლოს მომიჩოჩდა.

— შენს სახლიკაცს არაფერი უთხრა. ბიჭო. შემთხვევით მომიხდა. ბაღში შემოსულიყო. ძალიან ბნელიდა. მაშინაც, წელანდელივით, ბაღს შემოვუარე. გავიხედე, — შალაფებში ვიღაც დაიხრება და გასწორდება, დაიხრება და გასწორდება. ვთქვი: ეხეე, ეს ნამდვილად ქურდია, საზამთროს იპარავს. აბა, დადექი მანდა-მეთქი! — ვუთხარი და ვუქუხე კიდეც, მივედი ახლოს და რას ვხედავ — ცხენი არ არი! თუ ძმა ხარ, შენს სახლიკაცს არაფერი უთხრა. მე, ხომ იცი, პირუტყვი როგორ მიყვარს. საწყალი ცხენი! თავს რომ ასწევდა და დასწევდა ბალახის მოსაწიფენად, მეგონა, კაცი კრეფს საზამთროს-მეთქი, თორემ ცხენი ივრე მიყვარს, თოფს როგორ ვესვრი!

მე კარგა ხანს ვდუმვარ და მერე ვპირდები, ძმას არაფერს ვეტყვი-მეთქი.

გახარებული ბაგრატა კიდეც უფრო ახლოს მოდის და ჩურჩულით მიმხელს:

— ფაცერზე თუ არ გინდა წამოსვლა, ნუ წამოხვალ, წყალში ჭყაპუნე მეც მესხარება. ქურდობა კი, ხომ იცი, როგორ მეჯავრება, — და ხმას კიდეც უფრო უღაბლებს: — ახლა ერთ საათში ჩვენი მალხაზა აქ ჩამოვა. მალხაზას ხომ იცნობ, — ბულდოზერზე მუშაობს ახმეტაში. ჩამოიტანს ბულდოზერს და მოელი ალაზანი უნდა დაწყვიტოს.

— როგორ თუ მთელი ალაზანი? — წამოვკექე მაშინვე. — ვინ უნდა დაწყვიტოს?

— მალხაზას „ხაზეინებს“ — თბილი-

სიდან ჩამოსვლიან „ხაზეინები“ თევზი უნდა დაუჭირონ.

— მერე, მთელ ალაზანს როგორ დაწყვიტენ?

— ბულდოზერისთვის ეგ არაფერი არ არი. მთელ დამეს იმუშავებს და დილაზედ მოათავებს ჯებირის გაკეთებას. მერე ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადავარდება წყალი და ეგეც შენი დაწყვიტა!

— სად აპირებთ დაწყვიტას?

— ანდე, მანდე. ჩავალთ თუ არა ძირს, ძველი ნაკალაპოტარია: წინათ მანდ უვლია ალაზანს. ეხლა ბალახი და წნორია აყრილი. გადავკეტავთ და მაგაზე მივუშვებთ.

უეცრად რაღაც შორეული ტრაბტრაბი ჩამწვდა. ბაგრატამაც ყური ცქვიტა.

დიღხანს ვუსმენდით დამის სიჩუმეს და ბოლოს შორს, ახმეტის ბოლოსკენ, შუქი გამოჩნდა.

ტრაბტრაბი კიდეც უფრო გაძლიერდა.

ბაგრატამ თვალი მოჰკრა შუქს და წამოხტა:

— ის არი, აგე, მოდის კიდეც! — თოფი მხარზე გადავდო და ბაღის თავისკენ გაუყვა შესახვედრად.

დიღხანს ისმოდა მომაველი ბულდოზერის ხმა. მისი პროექტორების შუქიც ხან მთლიანად გამოჩნდებოდა რიყეზე, ხანაც ალუნის მხრიდან მდინარის პირას დარგული ალვების კედელში ნაკვწნდებოდა.

ძალიან დიღხანს მოდიოდა ბულდოზერი. მეგონა, გათენებამდე ვერ მოაღწევს-მეთქი.

როცა ჩასასვლელთან მოვიდა და მუშაობა დაიწყო, მეც წამოვდექი და გზაზე გავედი.

ალავერდის მხარეს არც სინათლის ნასახი ჩანდა და არც რამე ხმაური ისმოდა.

გამოვბრუნდი და ისევ ნაბაღზე მივწექი. გიორგიმ და კოლამ სულ დამიკვიწყეს. ნეტა კინოს თუ მაინც აუსწრეს! (ჩვენს სოფელში მუდმივი კინო-ლანდგარია და ორივენი იქ მუშაობენ. — გიორგი მექანიკოსია და კოლა



თანაშემწე). ვინ იცის, იქნებ კოლოთო-  
შიც ვერ იშოვეს საბურავი და თვითო-  
ნაც სადმე მინდორში ათევენ ღამეს?  
თუ ასეა, მე უკეთეს პირობებში ვარ:  
ქვეშ ნაბადი მიგია და გვერდით თოფი  
მიღევს. ახლა ზედაც ამ ბულდოზერის  
მოსვლა! ხვალ დილით ჩავალ და შეიძ-  
ლება თევზი მეც მიწილადონ. მოვხარ-  
შავ, გავახვევ ჭინჭარში და მამაჩემს  
ავუტან მთავი. ავუტან და... ვუთხრა  
თუ არა, რომ ქართულში ორიანი გა-  
მომყვა? არა, არ ვეტყვი. მასწავლე-  
ბელმა მითხრა: თუ თავისუფალ თე-  
მას, „როგორ დავისვენე ზაფხულ-  
ში“, კარგად დაწერ, ულაპარაკოდ სა-  
მიანს გიწერო. ულაპარაკოდ? ულა-  
პარაკოდ კი არა, ოღონდ დამიწეროს  
და თუნდაც ორკოდანთ ნინუას ძაღლი-  
ვით მთელი დღე ვიყეფებ.

გულმა აღარ გამძლო და მეც ავი-  
ბარგე. ნაბადი ქოხში მივიტანე, პირ-  
აღმა დაგდებულ იოსებას დავახურე  
და ბულდოზერისკენ გავეწი.

როცა მივეუახლოვდი, ნაკალაპოტა-  
რის ყელი ისე გაწმენდილი დამხვდა,  
მარტო ორი არნადის გატარებდა უნ-  
დოდა გარდიგარდმო, რომ ალაზნის თა-  
ვის ძველ ბუდეში ეხუვლა. ახლა შიგ  
შესვლა და წყალში ჯებირის გაკეთება-  
და იყო საჭირო.

ბაგრატა მოგლეჯილ კუნძვე ჩამომჭ-  
დარიყო და გაფაციცებით ადევნებდა  
თვალს რკინის მხეცს. მძლოლს ვილა-  
ც. ალბათ მასთან ერთად მოსული, ადგი-  
ლებს უთითებდა, სადაც არნადს ხელ-  
მეორედ უნდა გაევლო.

გათენებისას წყალს ნახევრად ჰქონ-  
და ჯებირი გაკეთებული, გაღმა ნაპირს  
ორი მსუბუქი და ერთი ც სატვირთო  
მანქანა რომ მოაღდა. იქიდან ხალხი  
გადმოვიდა. იღგნენ და უსმენდნენ  
ბულდოზერის ღრენა-ხროტინს.

რამდენიმე რეზინისჩემებიანმა ჩვენ-  
თან გამოტოვა. ეჭვით შეგვათვალი-  
ერეს მე და ბაგარტა. მერე ერთმა  
განზე გაიყვანა მებადე. მივხვდი, ჩემზე  
ელაპარაკებოდა. მერე ის კაცი შებ-  
რუნდა და სხვა ჩემებიანებთან მივიდა.  
კარგა ხანს დავობდნენ და პარჭყავდნენ

ხელებს წაღმა-უტეულმა. ბოლოს ამ სიტყვებს მოგკარი ყური.

„ ჩვენც ავეშვით და იგეთ ადგილას  
დავკეტოთ, სადაც ეგ ძაღლის ლეკვი  
თვალს ვერ მოგვკრავს“...

ამის თქმა იყო და, ერთ-ერთი წყალ-  
ში შეერია, ბულდოზერი გააჩერებინა  
და მთელი ხუთი წუთი რაღაცას ჩაპ-  
ყვიროდა ყურში მისკენ გადმოხრილ  
მებულდოზერეს.

მებულდოზერემ ერთი კი გადმოიხე-  
და ჩემკენ მგელივით, მერე ღორღიანი  
არნადი დაცალა და ნაპირზე გამოვიდა.  
მოტორი დაბალ გაზზე გადაიყვანა, მიდ-  
გა და თავის უფროსებს მთელი ალაზ-  
ნის გასაგონად უღრიალა:

— ძალიან ძნელია მუშაობა. დაქანე-  
ბა ძლიერია, ქვიშა თავს არ იჭერს და  
წყალი ჭამს ჯებირს! ანდე, სამგან გა-  
არღვია. ვირის მუშა გამოვდივარ. ერთ  
კვირასაც ვერ დავწყვეტ, დღედაღამ  
რომ ვიმუშაო.

— აბა, ერთი კიდევა სცადე! — არა-  
ნაკლები ღრიალით შეეგება „ხაზეინი“.  
— ცედი, მაგრამ არაფერი გამოვა!

— არ გამოვა და ზედ ხომ არ შეაკე-  
დები? დაანებე თავი და შინ წაიდე.  
მივედი, ვტაცე ბაგრატას ქურთუკში  
ხელი და წნორს იქით მოვაფარე.

— ხომ არ შეიშალე? კბილები მიკაწ-  
კაწებს თევზისთვის. უთხარი — გა-  
ნაგრძონ მუშაობა, ჩემს ძმასთან სიტყ-  
ვასაც არ დაეძრავ.

— ეგ სხვა საქმეა, — თქვა ბაგრატამ  
და იმ წუთში დამტოვა.

ერთი საათის შემდეგ ახალ სადინარს  
გაუხსნეს ყელი და დაგუბებულმა ალა-  
ზანმა ხელახლა იგრილა ძველ კალა-  
პოტში.

ილიის რიყრაყზე ტალახისფრად  
დიდებოდა ცისფერი ტალღები. ერთ-  
ურთში ჩავრეხილებს პირზე მოგდებუ-  
ლი ჭუჭყიანი ქაფი და ნარიყი მოჭკონ-  
დათ. ფსკერზე მოზრიალებდნენ ნაპირ-  
იდან ჩამომზღვეული ქვები. შრიალებ-  
და სანაპიროს ქვიშა, განუწყვეტელ ნა-

**ლალო მრავალხილი**  
თავგადასავალი სამი ღამისა



კადად ჩადიოდა წყალში. წინ გადახრეული წნორები ქერქდახეთილი ტანი-თა და ბადესავით გამლილი ტოტებით იჭერდნენ ტალღების ქეჩოზე მოგდებულ ნადავლს.

უეტრად სადღაც, ქვემოთ, გაისმა განწირული ყვირილი. განგაშის ხმაზე აჭივინდა ცხენი, საზარლად დაიყოყინა ვირმა და ისეთი ყეფა-ღმული ატეხა ძაღლმა, რომ ნაკალაპოტარის პირზე გამწკრივებული ხალხი ერთბაშად შებურუნდა წყლის მიმართულებით.

კლდის თავზე კაცი გარბოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა: — არიქა, უშველეთ ხალხო, დაიხრჩო კაცი! არიქა, თორემ წაიღო!

„ხაზეინებს“ პირზე ღიმილი შეაშრათ. მაშინვე დაიძახეს:

— აბა, ქვევით გაცივდით, ბიჭებო, ჩვენიანი იქნება ვინმე! — მერე, რაკი ვერ გაიგეს რომელი აკლდათ, თვითონაც დაიკლოთავეს და გაქცეულებს მიჰყვნენ.

მეც რომ მივირბინე, წნორების რაყადან დამფრთხალი ცხენი გამოვარდა. წყალში გავლებული ფერდები კარაქ-წასმულივით ულალააებდა, დაბორკილი წინა ფეხები სკუსკუებით მოჰქონდა და შეშინებული ფრუტუნებდა.

წყლის პირას წნორებში ჩაცუქქულიყო ქედანა ძაღლი, აზანზარებულ წყალს საბრალოდ შეჰყმუოდა და ცდილობდა შიგ შესულიყო.

— ანდე, კაცო, წნორზეა შემოხვეული, ანდე, შუა წყალში, მამ ვერა ხედავთ?! ჩქარა, თორემ დაიხრჩო! — ღრიალებდა კლდეზე გადმოხრილი მჭედელი და თან ხელების მალმალი ტყაბუნით მუხლის თავებს იგლეჯდა.

მერე მეც შეგნიშნე: ვილაც ბერიკაცს შუა წყლიდან ერთ მტკაველზე ხელ-ფეხი შემოეხვივნა მოზარდი წნორისათვის და ლოკოკინასავით მიჰკრობოდა ტანზე. დაჰანჭახებული ტანსაცმლიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. უქუდო, მელოტი თავი გასისხლიანებოდა და მთელი ტანი ხურვებაშეყრილივით უტაცახებდა.

გაუხდელად შეცვივდნენ წყალში ბიჭები. ოთხმა კაცმა ძლივს ააგლიჯა ზის

ტანს და გამოღმა ციციმ გამოიტანეს როდესაც ნაპირზე დასვეს, მაშინაც ძლივს გააშვებინეს ორივე ხელში დაბლუჯული თავიანთი ხალათები. იჯდა ქვაზე ფეხებგაჩახუული, სველ ნიკაპს განუწყვეტლივ აცამცამებდა, დაჰქკნარი ლაბაბი ერხეოდა და თვალებს აქეთიქით უაზროდ აციცებდა.

ახლოს მივედი და ტუჩების ცმაცუნს დავაკვირდი. — განუწყვეტლად, ძლივს გასაგონად იმეორებდა ერთსა და იმავეს: „რა ამბავია, რა მოხდა? რა ამბავია, რა მოხდა?“

გონს რომ მოვიდა, ჯერ ქუდი იციოთხა და მერე თქვა: ვირი რა იქნათ.

ჰკითხეს: ვირი თუ ცხენიო.  
„არა ცხენი გადაარჩა, ვირი რა იქნათ.“

დატრიალდნენ ბიჭები, ზოგი დაღმა დაჰყვა, ზოგი აღმა და ზოგიც გაღმა გავიდა. ბოლოს ერთ მორევში იპოვა მებულღოზურემ ჩინჩილში გაჭედილი.

— არიქა, ნამყენი კურდღელი, ბიჭებო! აქეთ მოდიოთ, აქეთ!

ახლა იქით იგრილა მთელმა ხალხმა. საბრალო ცხოველს ყელამდე მოსდგომოდა მღვრიე წყალი და ზედაპირზე მარტო თავილა უჩანდა. ხანჯლებივით დაეწკაბა ყურები და ზევით აწეული ბლავვი დრუნჩით ხარბად ისუნთქავდა ნოტიო ჰაერს.

ვირის გამოყვანა ნამდვილად გაჰიროდა. კინაღამ დაეხრჩოთ. მერე როგორც იყო გამოათრის. ისიც, რაკი ნაპირზე გამოვიდა, შეიბღერტა, ერთი უნდილად დაიყოყინა და ლასლასით გასწია ნაშეზე გავარდნილი ცხენისაკენ.

ბერიკაცს სისხლი მოჰბანეს და თავი შეუხვიეს. მერე მიადგნენ და ჰკითხეს: წყალში როგორ მოხდით.

თუში ყოფილა, ცხენი და ვირი გამოურეკია დამის საძოვარზე. ძაღლიც თან გამოჰყოლია. შუალამემდე თავისუფლად უძოვებია. შუალამისას დაუბორკავს ცხენი, ალაზნის ნაკალაპოტარში შემოურეკავს საძოვარად და თვითონაც იქვე ქვაზე მიუღვია თავი დასაძინებლად. დიდხანს ესმოდა თურმე



ბუღალტერის ტრახტრახი, მაგრამ რას მიხედვობდა, თუ მისი სამარის სათხრელად იყო მოსული? და როცა იხუვლა ძვილ ხაგზაურზე მთელმა ალაზანმა, ზათქით გადაუარა ზედ მძინარე კაცს და გაიტაცა.

უცებ წამოხტა ბებერი თუში. ქვებას სროლა დაუწყო ძაღლს და ზედ პატრონის სულიც მიაყოლა: რატომ არ გამაგებინე, თუ ჩემს თავს ეს უბედურება უნდა მომხდარიყო.

აკოქლებული ძაღლი წკმული-წკმულით დაედევნა თავის რიცხვმცირე რემას.

მერე თუშმა დასწყევლა ყველა წყალი და ყველა მეთევზე, ბუღალტერისკენ ზვავიანად გადაადუყა, მალა აწეული მუშტით დაგვემუქრა: „დედას გიტორებთო“ და წავიდა.

უცებ „ხაზეინობა“ აფორიაქდა.

— არიქა, ბიჭებო, თევზი გაგვისხლტა ხელიდან! ვაი, მაგის ზღუში და მაგის ცხენ-ვირი!.. რას გამოგვემჭვიტა ამ სიკეთის დროს?

— ნუ გეშინიან. ხაზინ, ბიჭები უკვე წავიდნენ ფაცრის ჩასადგმელად.

და ხაზეინმაც დინჯად ჩაიწყო გალაფეს ჯიბეებში ხელები და დინჯადვე გაალაჯა რიყეზე.

ფაცერთან რომ მივედით, გაწყობა უკვე მოეთავებინათ, ჩიჩქაევით გადმოდიოდა ზედ წვრილი გოჭა და გველანა.

— პირველი თევზი ამ ჭეილისი იყოს, — დაიძახა ხაზეინმა და გაფუებული ლოყებით გამიღიმა.

უცებ ფაცერზე მკლავის სიგრძე კაპუეტი არ გადმოვიდა!

დავავლე უმაღლე ხელი და აფართხლებულს წინასწარვე გამოხადებულ წნორის წკებას გავეყარე ლაყუნში.

— სიტყვა სიტყვაა, ეს თევზი ჩემია!

— აბა, მამ როგორ, — ერთხელ კიდევ დაიჭიმნენ ლოყები და კიდევ ერთხელ გამოანათეს მსუქან ტუჩებზეა ქათქათა კბილებმა. დავაკვირდი და მივხვდი, რომ ეს კბილები ძაღლის ძვალსაც კი გატეხდნენ.

მერე კარგა ხანს ედგა ფაცერს აქეთიქიდან საპატიო ყარაულივით მეთევზეთა ორი მწყრივი, მაგრამ გარდა ლიფსიტებისა, აღარაფერი არ გადმოსულა. ხაზეინმა წარბი შეიკრა.

— ისევ ქლორი უნდა გავუშვათ.

— არაფერი არ გამოვა, თუ ქლორი არ გავუშვით.

— წავიდეთ, მანქანაშია.

აღმა ავყევით დაწყვეტილ ალაზანს. ალაგ-ალაგ მორევებში დაქარწყანებული ბიჭები დატატყუნობდნენ და ბადეს ისროდნენ.

— ვერაფერს ვერ დავიჭერთ, სანამ ქლორს არ გაუშვებენ. — და შურით შეხედეს ჩემს მონაპოვარს.

როგორც კი ქლორიანი ტომარა გადმოიტანეს და წყალში შეიტანეს, მამინვე მივუხტი ქლოროსანს:

— ახლავე ნაპირზე გამოიტა ეგ ტომარა!

ქლოროსანმა გაკვირვებით შემომხედა და შეცბა.

— შენ არ გესმის? წყალში არ ჩაუშვა-მეთქი ქლორი!

ტომრიანი წელში გაიმართა, ერთი უგემურად დაიღრიჯა და გვერდზე გააწიტა.

— ვირის აკახმულობას არ გავხარ! აქედან დაიკარგე, თორემ თუ დაგაყარ სილა. იქნება ხელზე ამყვე.

იმ წუთსვე გადმოვიღე თოფი და მივეუშვირე:

— აბა, როგორი ბიჭი ხარ და წყალში ქლორს გაუშვებ!

ტომრიანმა უმწეოდ ჩამოათვალიერა გაჩუმებული ხალხი და მერე მე გამბურღა თვალებით.

ბაგრატა მოვიდა და ხელი მომხვია:

— შენ რა შემპირდი? ხომ თქვი, ითევზაონო? როგორ, ჩემი სიტყვა სიტყვაა და შენი სიტყვა აღარ?

მოვბრუნდი და ბაგრატას მრუდედ ავხედე:

— ერთი შენი სიტყვაა სიტყვა! მე

**ლადო მრავალხვილი**  
თავგადასავალი საში ლაშისა





გიოხარი, ითევზაონ, განა თევზი და ალაზანი მოწამლონ-მეთქი?

უცებ, სანამ მე ბაგრატას სათქმელს მოუღუთავებდი, ვილაცა მებდღენა და თოფი ამართვა:

— აი შე უდღეურო...

— ჰა, ჰა, ხელი არ ახლო! — ახლა სხვები ებდღენენ ჩემს მეტოქეს და შე-ბოქეს.

— კარგი, წაიღეთ თოფი. აჰა, არც თქვენი თევზი მინდა. — და ეს მშვენიერი კაპუტი ისე მიუღუდე ფეხებში, ჩემი თვალი და გული თან გაჰყვა.

— აბა, ეგ როგორ გეკადრება.

— შენ რაღას მიჰქარავ, თხის თავო!

— აბა, შენ ვინ რას გაწყენინებს.

— დაიჭი შენი თოფი და თევზიც აიღე. ალალი გულით მოგვიცია, ღმერთმა შეგარგოს.

ის იყო თოფი გამოვართვი და თევზიც ისევ დავითრიე, რომ ვილაცამ ორივე მხრებზე დამაწყო მძიმე ხელები და თავისკენ მიმაბრუნა.

შეგბედ და ძუგარას ბიჭი ვიცანი.

— როგორ გაყინულხარ, რათა ხარ ხალათის ამარა? ზაფხულია, მაგრამ ალაზანზე დილით სიო იცის. თევზი გინდა? შენც ნახე რაღა მეთევზეები. წამო ისეთი თევზი დაგიჭირო, მაგათ საგარეჯოს ბაზარზეც არ ენახთ.

მივიხედ-მოვიხედე, ქლორიან ტომარას ვედარსად მოვკარი თვალი და გავყუ ძუგარას ბიჭს.

გზაზე მოვბრუნდი და დავიბარე:

— არ გავიგო, რომ ქლორი გაუშვათ, თორემ ჩემს მეტი მტერი არ გინდათ.

— არა, აბა, რას ბრძანებთ. — ქლორი ისევ მანქანაში შევატანინე. — ხაზე-ინმა ლოყები ერთხელ კიდევ დაჭიმა ქისტური დოლივით. — თქვენ არხეინად წაბრძანდით. დანარჩენი ჩვენ ვიცით.

მივდიოდი და რიყეზე ვედარ ვეტეოდი. უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი ძმა. ვიდრე მიყვარდა. ჩემი თავი ხომ კინადამ სულში ჩავისვი. ხუმრობა ხომ არ არი — ვინ იცის, რამდენი თევზი ვიბსენი.

წინა დღეებში დაწყებული ალაზნის

ტოტი დაწმენდილიყო და სარკეზე დაკრული კრიალა მოდიოდა. ალაგ-ალაგ დარჩენილ მორევებში ფსკერის ქვებიც კი ჩანდა. დაგელოზდნენ ლიფსიტების გუნდები. შიგადაშიგ მომცრო კაპუტების ჩრდილისფერი ზურგებიც ელაგდნენ. დავდექი და თვალებით დავუწყე ჰამა.

— აქედან დავყვეთ, — თქვა ძუგარას ბიჭმა და სათავისკენ გასწია, — რასაც ამოვიღებ, სულ შენ გაგატან.

ძუგარას ბიჭმა პირველივე მორევთან წამოიკრიფა ბადე, ჩავიდა წყალში, თევზების სრიალს დააკვირდა და მერე თუთქა კიდევ.

როცა ნაპირზე გამოიტანა, სამი თევზიდან ერთი ისეთი იყო, იმ ადრინდელ დაჭერილს არაფრით არ ჩამოუფარდებოდა.

ასე მიჰყვებოდა მორევებს და უხათქუნებდა ბადეს.

როცა ბოლოში ფაცერთან გავედით, უკვე მესამე წყებლას ვავსებდი თევზით.

ფაცერზე ორიოდე ლიფსიტა ფართხალბდა მხოლოდ. ფაცერის ბოლოში მტკავლიანი მურწა განაბულიყო. გამოვიყვანე, ბესიას ავხედე და როცა იმანაც თანხმობის ნიშნად გამიღრიჭა, ისიც წკებლაზე წამოვაცვი.

— გუშინ საღამოს შენი სახლიცაი ვერ გავმართე. თავდაც არა მაქვს სათადარიგო თვალი. წუხელ აქ დარჩნენ ეგენიც?

— არა, მარტო მე დავრჩი, მაგათთვის აუცილებელი იყო სოფელში ასვლა, კინოს ვერ გააცდენდნენ.

— ეტყობა, გაუკეთებიათ. აგერ, ვერ ხედავ? — ჩამოსულან.

გავიხედე და კლდის თავზე კოლაა თავი დავინახე. გამეცინა. ასევე იცინის ღროდადრო მის დანახვაზე ჩემი უფროსი ძმა და ეკითხება:

— ვინ იყო შენი ნათლია, ვინ დაგარქვა ეგ სახელი. კოლა — რა, — საბჭოს ცხენი ხარ?

ოდესღაც ერთი ჯაგლაგი ცხენი ჰყოლიათ საბჭოში და კოლა რქმევია. ამის გაგონებაზე კოლა იბღვირება და მაინც-

დამაინც თვალში არ უზის უფროსი ძმე.  
— დიდი მადლობა, ბესი, ძალიან დი-  
დი მადლობა. ამის შემდეგ მე შენი ხმის  
გამცემი არა ვარ. მიდი და ითევზავე  
ალაზანზე რამდენიც გინდა. ოღონდ  
ქლორი არ გავიგო, ქლორი და დინამი-  
ტი.

ბესია იღრიჭება და მხარზე ხელს მი-  
თათუნებს:

— აბა, რას ამბობ, რა ეშმაკად მინდა  
ქლორი და დინამიტი. სანამ ბადის სრო-  
ლა შემძლიან, ქლორ-დინამიტთან ხალხს  
ხის წვერზე გავიყვან და ხილს არ ვაჭ-  
მევ. საით მიდიხარ? აქედან ფეხით გინ-  
და ახვიდე იმსიშორებზე? წამო, მანქანა-  
ში ჩავსვა, მაინც უნ მივიღივარ და ქო-  
ხამდე მივიყვან.

ქოხთან რომ მივედი, კოლას ყურე-  
ბამდე მიეტანა პირის ნახევები და  
ბრტყელი კბილები გოგარის თესლივით  
გადმოჟყარა გარეთ. ეტყობოდა, იოსება  
იწ საწყალი ბებერი თუშის გადარჩენის  
ამბავს უყვებოდა.

ბესიას კიდევე ერთხელ გადავუხადე  
მადლობა, კიდევე ერთხელ დავრთე  
ალაზანზე თევზაობის ნება და მანქანი-  
დან გადმოვედი.

კოლა მობრუნდა, ჩემი სამი წკეპლის  
ასხმულას შეხედა და ეგრევე დარჩა  
გაღრმობილ-გახეხებული პაპუასების  
ღმერთივით.

### ლამე მორა

ჯერ ისევ მთის წვერზე იდგა მზე,  
ჩვენი ფერმის ბინაში რომ მივედი.

უზარმაზარი წითელი ძალღიწველი წამო-  
ვარდა და შემოგვიტია.

ლაზარემ გამაფრთხილა:

— სადავე წამოკრიფე და ცხენს თავი  
დაუჭირე. არ დააფრთხოს, თორემ გად-  
მოგაგდებს.

მეც დავფაცურდი და აღვირის ტო-  
ტები დავიმოკლე. სიფრთხილეს თავი  
არა სტკივა: მართალია, ერთი ბებერი,  
დარბაისელი ცხენია, აქამდე კეტის ცე-  
მით ძლივს ამოვიყვანეთ, მაგრამ პი-  
რუტყვია, — რას გაიგებ გუნებაში რა  
აქვს?

ლაზარემ ძალღიწველი შეუტია და დაწინა-  
ურდა.

თაფლა კვიცი აიყალყა და ტოტი  
დაჰკრა.

მარჯვე ჩანდა წითელი ძალღიწველი. ელვას  
უმალ გაუსხლტა და უკან იდან წამოუა-  
რა.

— მარცხნივ დაიჭი და მომფარე,  
თორემ ივეთი წყეულია, ძირს ჩამოგი-  
ლებს.

ეუცხუნე წკეპლა ჩემს მერანს და  
ქუსლი ვკარი.

ვითომ ბახტრიონის ვალავისთვის  
შემოგვიკრავს, ყურიც არ გაუბღერტია.  
ისევ ლაზარემ მიხსნა: კვიცს უკან  
დაახვეინა და ძალღიწველი მისცა პირში.

უნდა გენახათ, როგორ ებღღენა! ცე-  
რის სიმსხო ეშვები ისეთი ქათქათა  
ჰქონდა, თითქოს ყოველ დილით „ლა-  
იკით“ უხეხიაო.

ბინიდან მაღალი კაცი გამოვიდა და  
ჩვენკენ გამოიქცა.

— ორუჯ, აქეთ, ორუჯ! ჰავაგა, შე  
სამგლევე! — ყვიროდა კაცი და თან  
მორბოდა.

ძალღიწველი დაღრღნა ჯოხის წვერი და  
ცხენს შეეტოტა.

ცხენმა ტყუბი წიხლი ჰყარა და გვერ-  
დზე გახტა.

ლაზარემ ივაჟკაცა და უნაგირზევე  
დარჩა.

ძალღიწველი წიხლებსაც გაუსხლტა და  
ისევ მიეტანა. ბინიდან გამოვარდნილმა  
კაცმა მოასწრო, ზედ გადააჯდა და ყელ-  
კისერზე მოდებულ გრძელ ბალანში ხე-  
ლი სტაცა. ძალღიწველი გაიწია და კაციც გა-  
ითრია.

ამასობაში ქოხთან მივედი და ჩა-  
მოვხტით.

როგორც კი ქოხთან დავგივულა, ძალ-  
ღიწველი მაშინვე გაჩერდა. კაცი ერთი კი-  
დევე შეუწყურა, კისერი ალერსით მოუ-  
თელა. გადმოაღაჯა და ჩვენთან მოვიდა.

— რატომ არ დაიძახე, ხომ იცი, რომ  
აღის ნაგლეჯია?

---

ლადო მრავალხილი  
თავგადასავალი სამი ლამისა

— რა ვიცოდით, რომ ბინაზე გეყოლებოდა? — ცხენს ბაკის საარზე აბამდა ლაზარე.

— მწყემსმა გააჯავრა და გამოექცა, აღარ ეკარება.

ღამხვლური ჩვენი ფერმის გამგე ბერდია გამოდგა. რაც თავი მასსოვს, სულ ის არი ფერმის გამგედ. არცა მგონია აღრე თუ იყო ვინმე, ანდა შემდეგში თუ იქნება.

მოვიდა და კისერზე მომიტყაპუნა:

— სანდროს ბიჭი ხარ? — ცხენს ხურჯინი მოხსნა და ლაზარეს სამფეხა მიუდგა.

— პური ხომ არა გშია?

მალღობა მოვახსენე: ლაზარეს ბინაზე უკამე ესლახან-მეთქი.

ლაზარეს ფერმის ერთი ბრივადა ჩვენი ფერმის მოსაზღვრედდა. როცა მთაში მიღიხარ, ჯერ მათ ბინაზე უნდა გაიარო.

ცხვარი მალე მორეკეს და მოწყველეს. იქაურობა რძის მსუყე სუნით გაიჟლინთა.

მამაჩემმა, ნიშნად სიყვარულისა, ქეჩოში წამომადლო და გაიკვირვა: მთაში მართლა ამოხვედიო?

როგორც კი რძეს დვრიტა უქნეს, ჩემი მიტანილი ხურჯინი მიითრიეს.

არყიანი ხელადა და კიტრ-მამიღორი ჩვეულებრივი ნობათია ბარიდან ამომსვლელისაგან, მაგრამ ახალი თევზი?!

სუფრა გაშალეს, ლაზარე თავში მიიწვიეს. უმალ წყრთიანი კაპუტები დაითრიეს და მერე საითთაოდ აღავლინეს „ხოტბა“ ჩემს „სადიდებლად“. ბოლოს ყველა გამოტყდა: ეგეთი კარგი ვახშამი მეფე ერეკლესაც არ ექნებოდაო.

დაწვრილებით მამამბობინეს ჩემი თევზაობა და მერე ბაგრატამ რომ ცხენი მოკლა, იმაზე იცინეს.

— მაგას საზამთროს ბაღში რა უნდა? — ხითხითებდა ბერდია, აქ უნდა ამოიყვანო, — იმ წყეულ დათვის მოგვაშორებდა.

— ღმერთმა დაიფაროს, — აჩქარდა მამაჩემი. — დათვის მაგიერ ჯერ ჩვენი გაგვწყვეტდა, მერე ძაღლებს.

— კარკით, მოეშვიოთ იმ საწყალ

დათვის. თავად ხომ მოგეშვათ. — მსვენა ვეთებზე იწმენდა თითებს მამუკა.

ქონისაგან ჩექმის ყელივით უპრიალეზს ბერიკაცს საცვეთები.

ლაზარემ სიგარეტი მოიგდო პირში, ცეცხლიდან ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა და მერე იმდენ ხანს აგორავა ხელს-გულზე, სანამ არ მოუტოდა.

— ის დათვი თქვენ კი მოგეშვათ, მაგრამ გუშინწინ ჩვენი ფერმის მეთერთმეტე ბრივადიდან წაუყვანია.

— განა ჩვენ კი სულ დაგვივიწყა. — თევზის თავს წუწნის მამაჩემი. — წუხელ მთელი ღამე იწია. არაფრით არ მოვუშვი. მერე ისეთი დამღვრებული წავიდა ბურღლუნ-ბურღლუნით, ალბათ ერთ კვირას მაინც დამადგება უმძრახათ.

— შენ არხეინად იყავი, მალე მოგაკითხავს. მოიტა, ბიჭო, ე არაყი ერთიც ჩამაცეცხლე. — მამუკა არაყს „ცეცხლავს“ და მერე სიამოვნებით ისევს უღვამებზე ხელს. — თუ წუხელ ლაზარედან მაინც არ წაიღო, ამაღამაც მოვა.

— რა უნდა ვუყო. ძაღლები დამიშინა მაგ წყეულმა, — რაც მოხვდება ხელში, ყველაფერს ესვრის.

— ორუჯა წაიყვა, — ურჩევს ბერიკაცი. — ეგ დათვის არ გაექცევა.

— დათვის არა, მაგრამ მე გამირბის. — ჩივის მამაჩემი, — არა ჩერდება ცხვართან.

— შენზე ნაწყენია. იმ დღეს ჭოხი არ უნდა დაგერტყა, — ამბობს ბერდია.

— მამ რა მექნა, კაცო, კინაღამ შეკამა ის საწყალი კაცი, ძლივს გავაგდებინე პირიდან.

— პირველად მესმის ორუჯა, — მეც ვერევი საუბარში, — ძაღლის სახელი გავითავდათ?

— ეგ ერთმა სალოანელმა თათარმა მაჩუქა შირვანში და ყონალის პატივსაცემად იმისი სახელი დავარქვი. — მეუბნება ფერმის გამგე.

— კაი პატივისცემა, — გავიფიქრე ჩემთვის, — ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელს ერთი ბებერი მეძებარი ჰყავს და ესლაც ფრანკოს ეძახის.



— აი, შენ რა ჰქენი: — ურჩევს მა-  
შაჩემს მამუჯა, — წაიყვანე ამაღამ ორუ-  
ჯა და, თუ არა დგება, იმ გეზზე დააბი,  
საიდანაც დათვი ძოდის. დათვს ერთი  
გეზი აქვს — პირაღმიდან პირდაღმა წა-  
მოვა, გაირბენს ფარაში და გაიტაცებს.  
წაიყვა ორუჯა და იმ გეზზე დააბი. თუ  
წუხებელ არაფერი იგდო ხელთ, ამაღამაც  
მოვა.

ბევრი რამ ითქვა, სანამ ხელადა და-  
იცლებოდა. მერე დელამამაც მოგვისწ-  
რო. ლაზარემ მოგვიანებით ახსნა ცხე-  
ნები და წავიდა.

მამაჩემმა დიდად დაუმაღლა ჩემი  
მთაში ამოგვრა და თვითონაც წამოღდა  
ცხერის გასარეკად.

მე გავვოცდი:

— სხვაგან რომ იყო, ახლა აქეთ უნ-  
და მოდიოდე, სად მიხვალ?

— საღამოთი წაიხემსებს ცხვარი, მე-  
რე კი ალხაჯზე წავა დასაყრელად, შვი-  
ლო.

— ბინაზე არ მოგყავთ?

— ბინაზე მოსაწველად მოგვყავს.  
ქოხში ნაბადია. ღამე თბილად დაიხუ-  
რე, მთამ სიგრილე იცის. ცეცხლთან  
ახლო არ დაწვე. შეიძლება ძილში ან  
ნაბლას კალთა გადაიგვარდეს, ან შენ  
დაიწვა რამე. აბა, ყოჩაღად იყავი. დი-  
ლაზე კი მოვალ და ცხვარში გჯგატა-  
რებ. — დედამოდიდან ჯაჭვი ჩამოიღო  
და ორუჯას მიეტანა.

ძალდი ორჯერ დაუსხლტა, მაგრამ  
ბერდია მიეხმარა და მაინც დაიჭირა.

უცებ ავიხირე: გინდა თუ არა, მეც  
უნდა წამოვიდე ამაღამ ცხვარში-მეთქი.

მამაჩემი უარზე დადგა: ან ძალდი შე-  
გაშინებს და ან ნადირიო.

— შეგამაინებსო? ვის, მე? — გავწიწ-  
პატი. — თქვენ ერთი თოფი მომეცით  
და ვაზნები ბლომად!..

იმდენი ვქენი: სამმა მწყემსმა რომ  
ცხვარი გაირეკა, მეოთხე კაცად მე მივ-  
ყევი უკან.

მთაში უცებ სცოდნია ჩამობნელება.  
როგორც კი მზე მთებს ჩაეფარება, წა-  
მოიშლებიან ჩრდილები, წვებიან იალა-  
ღებზე, ფერღობებსა და ღრანტეებში.

ცხვარმა მალე მოძებნა თავისი ღამის

საყარი — ალხაჯი. გორის ძირს კლდე-  
გადაედელა მკერდი. დაჯბილული სარტ-  
ყლები ქონგურებივით მიუყვებოდა და  
შრეებად დალაგებულს შორს გაეფინა  
ნაშალი. საძოვრამდე უწყევდა ქვა-ღორ-  
ლი. კლდის ქვეშ აქა-იქ ძლივს მოჩანდა  
ქვიშაში არეული დრემლა და ჭუჭყიანი  
მატყლის ბლუჯები.

ცაზე პირველი ვარსკვლავების კიაფი  
გორის იქიდან წამოშლილმა ნისლმა  
მოცელა. მერე შიგადაშიგ ძიაგნეს სარკ-  
ბლებს და იქიდან მიკრავდნენ მოჭიატე  
თვალებს.

საოცარი სიმყუდროვე იდგა ალხაჯ-  
ზე. მხოლოდ წყნარი ფშვენა და ცოხნის  
ხმა ისმოდა.

შორს, ბნელში ჩაძირული ხეობის გაღ-  
მა, მთების უბეებში კიაფობდნენ კენტ-  
კენტად დანთებული ცეცხლები.

ცივი სიო მისუსხავდა სახეს. ფეხებ-  
დამამრა. თოფი ჩავიხუტე და ნაბაღში  
ქულიანად გავეხეიე.

ღმერთმა დალოცოს ალაზნის ღამე,  
მაგრამ მთისას მაინც ვერ შეედრება.  
თუნდაც იმიტომ, რომ კოლოს ნასახს აქ  
ვერ იპოვით. მერე როგორი სიმშვი-  
დეა: — ათას ჭირ-ვარამსა და ქარ-  
სეტყვაში გამოჯეცილი მწყემსები უწ-  
ვანან რიყესავით დაყრილი ფარას და  
საცრისოდენა თვალეზიანი ბომბორა  
ძაღვები სამუქარო ღრენით გივლი-  
ან ვარს.

მხოლოდ ავი სიზმრისაგან უეცრად  
გამოღვიძებული შურთხი თუ დაიყვი-  
ლებს და სადღაც, შორს, კლდის ნახეთ-  
ქებში, თავის მიუსაფრობას ზოლიანი  
აფთარი კაცის ხმით მოსთქვამს.

და შრიალი, ჩუმი, იღუმალი შრიალი  
დგას ყურებში. ამ შრიალითვეა სავსე  
იალალი, მთები, ხეობები და ღამე.

უნებურად გავონდება კარგი რაც არი  
ამ ქვეყანაზე და, სიავე, თუ სადმე რამ  
სიავე სულღმებლობს, საუკუნოდ გა-  
ვიწყდება.

ისეთი ღამეა, ასეთ ღამეს ნადირმაც  
ფარას არა უნდა აენოს რა.

**ლალო მამლაშვილი**  
თავგადასავალი საგი ლაისა

და მჯერა: ამაღამ არ მოვა დათვი! თავის ბუნებათადაც რომ შეხედვს გზაბნეულთა ცხვარი, უნდა ტორი მოხვიოს მსუბუქად და უთხრას:

„როგორ ჩამორჩენილხარ, დაო ცხვარო, რიცხვმრავალ მომქმეთ?

„გამომყევი და მე მიგაცილებ, ბეჩავო, შენს ალჩაჟამდე“.

„ან იქნებ იქამდე ძლიერ შორია და მისი ძებნით მუხლმოჭრილი მყუდრო სკვანეს ირჩევ დილაზე?“

„მაშინ მობრძანდი ჩემს უბრალო გამოქვეყნულში და ცისკრამდე მშვიდად იცოხნე“.

„არ მოგერიდოს ამ ფუმფულა ბელეზის გვერდით და ნურც სხვა რამეს მოგრიდები ჩემს სამყოფელში“.

„მე ვუღარაჯებ შენს ტკბილ სიზმრებს განთიადამდე, განთიადისას ისაუბრე და გაჰყე შენს გზას“.

მაგრამ ამ ღამეს დათვი მოვიდა და მერე როგორი!

შუალამემდე არც წამთვლემია. მერე კი ცხვრის ფშვენასა და ორუჯას ყრუ ღრენაში თანდათან შეეცურე ძილის მორევში.

განზირებული თოფის სროლამ, მწყემსების ყვირილმა, გამწარებული ძაღლების გნისმა და დამფრთხალი ცხვრის ღვრიანმა გამომადვიდა.

ჯერ გავიტრუნე. მერე ნაბადი გადავიტრე და ყური წაუფუღე. უცებ გაოგნებისაგან გამოვერკვიე. ფეხზე წამოვხტი, ცენტრალკა ვიშიშვლე და ჩახმახი შევწკაპე. სასხლეტში მქონდა თითი გაყრილი და კუნაპეტში დამფრთხალი ვიყურებოდი.

ქვემო ფერდობიდან ძაღლების ვააფთრებული ყეფა ისმოდა.

მწყემსების ყვირილში მამაჩემის ხმა ვიცანი:

— კარგი, ნულარ ესვრით, ძაღლებს არ მოარტყათ. ჰეი, არჩილ! გამობრუნდი და ცხვარს მარცხნივ მიჰყე! ნიკავ! ძაღლებს დაუძახე და შენც მობრუნდი.

— ორუჯ, ორუჯ! ჩობან, ჩობან! აღმას, უკან აღმას!

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მერე თვითონ მე მეცა რაღაცა ფეხებში და გულალმა

ღამცა. ჩახმახი დასხლტა და თაფლმოდისა გრიალი მოიღო.

შუალ ერთი გადამეგლო ზედ, პირველს მეორე მოჰყვა, მესამეს კი აღარ შეეშალა ნახტომი და პირდაპირ დამაცხრა.

რა უნდა შექნა: თოფი დაცლილი მაქვს, ირგვლოვ კუნაპეტი სიბნელეა და გარშემო მთა-გორები ნადირით ავსილა. ჯიბის დანა რა არი, — ისიც არა მაქვს! ნუთუ ეგრე უბრალოდ უნდა გამაფუქოს ნადირმა?

— არიქა, მამი, მიშველე! — ვიღრიალე და ნადირს ყელში ვეცი.

— სადა ხარ, შვილო! — დაიბდავლა საბრალოდ მამაჩემმა, — რა არი, რა დაგემართა? ნუ გეშინიან, მოვდივარ!

— არიქა მიშველე, აქეთა ვარ!

მამაჩემზე აღრე არჩილმა მომაგნო. გაჰკრა ასანთი და მამაჩემიც მოვარდა შიშველი ხანჯლით.

— აქა ვარ, შვილო, ნუ გეშინიან! — და ხელიდან ძლივს გამომგლიჯეს ნახევრად მიმხრჩვალი ცხვარი.

ამ სიბნელეში ალავერდის ტაძარი არ გამოჩნდება, ნაბადს რას დავინახავდი? კიდეც კარგი, წამოვკარ ფეხი თუ არა, გულალმა დავეცი და ტყვია ცას ვახალე.

მამაჩემმა და მწყემსებმა ისევ ძაღლებს გასძახეს და ცხვარს გამოენთნე.

ისევ ატყდა „ორუჯ, ორუჯ! ჩობან, ჩობან!“ სტვენა და „ჩიიიჰე!“

იღვა ბრაგაბრუჯი, ქვიშის ჩხრიალი, ცხვრის ღვრიალი და უკან მობრუნებული ძაღლების ღაველი.

მერე ისევ მომძებნა მამაჩემმა, ჩემს ნაბადსაც დაავლო ხელი, მომყეო, მითხრა და ისევ ცხვარს გამოუღდა უკან.

იქამდე ვიარეთ, სანამ იმ გორის წვერზე არ ავედი, რომლის ძირშიც ცხვარი გვეყარა. იქ შეგროვილ ფარას მოვუარეთ ირგვლივ, ძაღლები ისევ შეროვიკრიბებთ და გათენებას დაველოდეთ.

სანამ სიცივემ კარგად არ მომიჭირა, ნაბადი არ გამხსენებია.

თოფი ხელახლა გაატენე, ისევ შევი-

ფუნთე ნაბადში და გვერდით მოვიდ-  
დე.

ბერი მეხვეწა მამაჩემი, ჩემთან ახ-  
ლოს დაწეო და მეც ხათრი ვეღარ  
გავუტეხე.

უცრად შორეული კენესის ხმა მო-  
იტანა ხვიდან ნიავმა. ნუთუ ცხვარია?

კიდევ უფრო კარგად წავუგდე ყური  
და... გულსაკლავ კენესას შესაბრალო-  
სი წკმუილი გაერია.

— აბა, ყური დაუგდე, მამი, — ვუ-  
ჩხრჩულე მამაჩემს.

მამაჩემი წამოგდა.

— აბა, ნიკავ ძაღლები მოათვალიე-  
რე, ყველა მანდ არი?

— ყველა რად იქნება, ორუჯა ჯაჭ-  
ვით შენ არ დააბი?

— აუჰ, სულ არ დამავიწყდა! არიქა!  
გაიქეცი შენს გაზრდასა და აუშვი, ეხ-  
ლს ცხვარს თავს აღარ დაანებებს, ეგ  
იგეთი ძაღლია.

— ნადირის ხმა პირველად მაგან გა-  
იგო და პირველადაც ეგ ეძგერა, — და-  
უაბტა არჩილმა.

მხოლოდ ფეხის ხმაზე მივხვდი, რომ  
ნიკა თავქვე დაეშვა.

შემზარავ ყმუილში გადასული კენე-  
სა-წკმუტუნე კი ისევ ისმოდა.

კარგა ხნის შემდეგ ნიკა ამოვიდა და  
აკეცილი ჯაჭვი მამაჩემს ჩხარუნით მი-  
უჯღო.

— შეხსენი?

— შევხსენი.

— კარგი გიქნია. თვითონ რა იქნა?

— იქავე დარჩა.

— დაგვრჩებოდა რამე და თავს არ  
ანებებს. ჭკვიანი ძაღლია, დალოცვილი.

— არა, კლდის ნახეთქებთან გდია და  
ვეღარ დგება.

— შეიძლება ფეხი დაიშვა.

— შეიძლება. ვცადე და ვერ წამო-  
ვყენე.

— რა სჭირს?

— არ ვიცი. ვერაფერი გავარჩიე.

— ასანთი უნდა წაგედო. არაფერია,  
დაწე, დაისვენე, ძაღლი კოჭლობით არ  
მოკვდება.

მთელ ღამეს თვალი არ მოგვიხუტავს  
არავის.

მთელ ღამეს ფეხი არ ჩაუკრეფია  
ძაღლებს.

მთელ ღამეს ბორგავდა ხევში მდინა-  
რე.

და მთელ ღამეს ამოჰქონდა ნიავს  
კენესაში არეული წკმუტუნ-ყმუილი.

როგორც კი ირითრათა, მამაჩემს  
გულმა არ მოუთმინა და ქვევით ჩავიდა.  
მამაჩემს მე და არჩილი მივეყვით.

ვეებერთელა ქვის გვერდით ეგლო  
წითელი ძაღლი და სუსტად კენესოდა.  
ორიოდ ნაბიჯზე ვაგჩერდით მღუ-  
მარენი.

საბრალო ორუჯა ისეთი თვალით შე-  
მოგვეყურებდა, თითქოს შველას ითხოვ-  
სო.

მამაჩემი ახლოს მივიდა და გასინჯა.

— არაფერი აღარ ეშველება. იმ წყე-  
ულს ლოდი უსვრია. მენჯის ძვალი და  
ხერხემალი დაღეწილი აქვს, — ისეთი  
ხმით თქვა მამაჩემმა, ღმერთს დაეფარა  
და, მე რომ ამ ძაღლის ადგილას ვყო-  
ფილიყავი, ალბათ ამაზე უფრო ვერც  
შეწუხდებოდა, — მამუკამაც მოიგონა  
სიბრძნე და, მე უარესი გიფი ვარ! —  
ამისი დაბმა შეიძლებოდა? ეს რომ აშ-  
კებული ყოფილიყო, დათვი ვერაფერს  
უზამდა და არც ცხვარს გაატანდა.

— შეიძლება არც წაიღო, მამი, სისხ-  
ლი არსად არა ჩანს და მატყლოს ბლუ-  
ჯებიც ძველია აღნაჯზე.

— არა, შვილო. დათვს თავისი კანო-  
ნი აქვს. არ უნდა შეუშვა შიგ, თორემ  
თუ გაერია, აუცილებლად წაიყვანს. აფ-  
თარი კი არ არი, სანამ ერთი ცხვარიც  
კი ფეხზე დგა, ყელები სჭრას.

— იქნებ სხვა ძაღლებმა გააგდები-  
ნეს?

— რომ დაეგდებინებინათ, ერთ-ერთი  
ძაღლი მიინც დარჩებოდა და უყარაუ-  
ლებდა.

— ეხლა რა უნდა ვქნათ? — იკითხა  
არჩილმა.

— არაფერი. რაღას ვუშველით?  
მხოლოდ მენანება, ცოდვაა, რომ ეგრე  
იტანჯება. აჰა, თოფი და გაათავე.

---

**ლადო მრალაშვილი**  
თავგადასავალი სამი ღამისა



— შენ თვითონ ესროლე, ძია სანდრო.

— მე არ შემიძლიან. არც ხელი მიზამს და არც გული, ძალიან ამაგდარი ძაღლი იყო. ბერდია გადაირევა, რა ვუთხრა, რომ გაიგებს?

ძაღლს წკმეილი შეეწყვიტა და ყველას სათითაოდ ისე გვიყურებდა, თითქოს ჩვენი ყოველი სიტყვა ესმოდა.

მამაჩემი გვერდზე შებრუნდა და თოფი გაუწოდა.

ძაღლი ცდილობდა მიშვერილი ლეკლისათვის თავის არიდებას და სუსტო წკმეილით შებრალებას ითხოვდა.

წვალობდა არჩილიც. როგორც კი დასხლტას დააბირებდა, ორუჯა თავს გვერდზე მაშინ გასწევდა.

რამდენიმე წუთს გრძელდებოდა ეს დევნა-დამალვა. ბოლოს ჭკვიანი ცხოველი მიხვდა, რომ სიკვდილი გარდუვალი იყო, თავი ჩამოავდო, მინავლული თვალებით შეხედა მწყემსს და შევნიშნე, როგორ წამოვიდნენ დაბაღუბით ცრემლები. ძაღლი ადამიანივით დასტიროდა თავის უდროოდ დაღუპულ ვაჟ-კაცობას და უპატრონოდ დაგდებულ ფარას.

თოფის ხმა არ გამიგია. ის კი დავინახე: შუბლიდან სისხლი თქრიალით წამოუვიდა.

არჩილმა თოფი მიაგდო და გორის წვერისკენ აღმართს ისე შეუყვია, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაქცეოდა აქაურობას.

მთელ ჩემს სიცოცხლეში მამაჩემის თვალზე ორჯერ შევნიშნე ცრემლი. ერთხელ ჩემი უმცროსი დის კუბოს რომ უშვებდნენ საფლავში და მეორე ახლა, როცა გადაგდებულ თოფს დაეწოდა ასაღებად.

— ჩემი ბრალია, — ჩურჩულებდა თავისთვის, — არ უნდა დამერტყა ჯოხი. რა პირითლა შეგხედო ბერდიას.

ფარასთან რომ ავედიო, ნიკას უთხრა:

— ამ დილით ცხვარს რომ მოწველით და გამობრუნდებით, ნიჩაბი გამოიყოლე და ორუჯა დამარხე.

— შენ სადლა მიდიხარ, ძია სანდრო?

— მე წავალ და იმ დათვს მოვძებნი.

მანამ არ მოგბრუნდები, სანამ ან იქნება და ან მე.

— მარტო ვერ გავიშვებ. თამაშობა ხომ არა გგონია? აი, მოგწველოთ ცხვარი და მეც წამოვალ.

— არა, თქვენ ცხვარს მიხედეთ. მაგას მე და ლაზარეც ვეყოფით. ეგრე გადავივლი და ბინაში მივუსწრებ. მხოლოდ... — ცოტა ხანს შეყოყმანდა მამაჩემი. — ალხაჯი უნდა გამოვცვალოთ. ის აღვილი არ მომასვენებს, სადაც მაგ ძაღლის სული იტრიალებს.

საცვეთები ამოქაჩა, თოფი მხარზე გადიგლო და თავქვე დაეშვა.

ნაბადი მივაგდე და მეც დავედვენე. მამაჩემი მობრუნდა და გაიკვირვა:

— შენ სადლა მოხვალ?

სადაც შენ მიხვალ, მეც იქ მივდივარ.

მეთქი.

ვერაფრით ვერ გამაბრუნა. — კარგი, წამოდი, — ბოლოს დამთანხმდა, — ლაზარეს ბინაზე დატოვებ და ჩვენც მალე დავბრუნდებით.

ლაზარეს ბინაზე ცხენებს კახაშავდნენ. კოტადაკვერცხილი კეხები გამოქონდათ ქოხიდან მწყემსებს.

— საით, ლაზარე? — იკითხა მამაჩემმა.

— ყველი დაპტოვებია ამ ბინას ბეჭრი, ბარემ ჩავიტან ალგანს.

— სულ გზაზე უნდა იდგე?

— თუშს მეტი რა უწერია? გზა და იალადი. შენ თვითონ საით ამგზავრებულხარ შენი ბოკვერით?

მამაჩემმა თოფი მოიხსნა და ჩამოჯდა.

ძაღლის სიკვდილი თუშებმა ისე მოისმინეს, როგორც ოჯახის წვერის დაკარგვა. მოგვისამძიმრეს და ჩვენ უფრო მეტად დაგვიანეს, ვიდრე ძაღლი.

— ახლა რას აბირებ?

— უნდა მოვძებნო და მოვსინჯო, ერთი, პირისპირ რა ვაქცაცია.

— დათვზე შენი მარტო გაშვება არ იქნება. ეტყობა ძუ-დათვია და ბელებიცა ჰყავს.

— იმადაც მოვედი შენთან. უნდა გადასდო ბარში გამგზავრება და ეს საერთო ჭირი მოვიშოროთ.

— არ იქნება. ყველი ბებრი დაგროვილა და გულებს აღარ გვყოფნის.

— გულებს მე გათხოვებთ. ყველი რას ჰქვია, უნდა გამომყვე. იმ ძაღლის სიკვდილმა გამამწვარა.

— უცნაური ხალხი ვართ, — გაიცინა ლაზარემ, — სანამ ეგრე არ გავმწვარდებით, მანამდე ყურის გაპარტყუნება გვეზარება... აბა, რა გიყო, მარტო ხომ ვერ გავიშვებ? შენ მითხარი, საით წაიღო და მე გმტყვი, სად უნდა ვეძებოთ.

როცა დაწვრილებით მოისმინა, თუშმა თქვა: ცხენები დაგვკვირდებათ.

— ხევს გაღმა ეგდება სადმე, ბურახიანში და, თუ ბელუბიცა ჰყავს, შეიძლება ბუნავიც ჰქონდეს. წყალში გასვლა დაგვკვირდება.

ჩემი თან წაყვანა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ბოლოს ისევ ლაზარე წამეხმარა: ბაღლი ჩემთან იქნება და არა გაუჭირდება რაო.

— მაგის ტოლა რომ ვიყავი, ხუთი დათვის ტყავს ვითვლიდი და სამს კიდევ მგლისას. გაუშვი, წამოვიდეს, ზომ უნდა დაამტკიცოს, რომ დიაცად არ იზრდება.

ლაზარემ კიდევ ერთი მწყემსი წამოიყვანა, — მარეკად გამოგვადგებაო და დავიძარით.

ცხენები ფრთხილად ჩადიოდნენ დამრეც ბილიკზე.

ხევს გაღმა მწვანე ფერდობზე შეფერილი ცხვარი ისე მოჩანდა, როგორც ცახზე აბრეშუმის ჭიის პარკი.

ხევს გაედით და ცხენებიდან ჩამოვხტით.

უნაგირზე გუშინა და დღეს განუწყვეტლოვ, ხამად ჯდომისაგან ფეხები ისე გაუფაფხული დამქონდა, ქვეშ ერთი შემინებული დათვი თავისუფლად გაძვრებოდა.

მონადირეებმა ნამუსი შემინახეს და არა შემამჩნევინეს რა.

ტყის პირას მოზრდილ ნოტოს ოციოდე წლის ბიჭი მისდევდა.

— ართანელებისაა. იმათი ზოოტექნიკოსი რაღაც ახალ ჯიშს ეჩხირკედელავება და ამ ნოტოს ცალკე აბალახე-

ბინებს, — გვითხრა ლაზარემ და ბიჭს შეუძახა, — გამარჯობა შენი, კაცო, დათვისა ხომ არაფერი ისმის აქეთ?

ბიჭი წარმოხსადეგი იყო. წელზე ფართო ხანჯალი ეკიდა და ხელში გრძელი კავი ეჭირა. გახარებული წამოვიდა ჩვენსკენ.

— კარგია, რომ შეგხვდით. აიმ დგნალებს იქით ცხვარია დამარხული. ძაღლმა მიაგნო ეხლახან. დილას თოფის წამოღება დამავიწყდა და ცხვარი უკან გავაბრუნე. მთლად ახალია. იქნება თქვენიც არი. წუხელ აქედან მოისმოდა სროლის ხმა. წამო, გაჩვენებთ.

მცირე ყალთაღის პირას, ნაკაფში აყრილი დგნალების ძირში ვეება კუნძი გადმოვავორეთ და მიწისა და ქვა-ლორლიდან ნახევარი ცხვარი გამოვიდეთ. დათვს მთელი მკერდი, დუმა და ბარკლის ნაწილი მოექამა, დანარჩენი კი დეიმარხა დასამაყავებლად.

ისევ დავმარხეთ.

— გუშინი ხომ არ გაქვს, საით იქნება? — ჰკითხა ბიჭს მამაჩემმა.

მწყემსმა ფიჭვის ტყისკენ გაიშვირა კავი.

— აიმ ფერდობში უნდა ეგდოს.

— მეც ეგრე მგონია, — თქვა ლაზარემ, — ოთხას-ხუთას ნაბიჯზე შორს არ წავა დათვი დამარხული ნანადირევადან.

— ერთი ძირიანად მოგლეჯილი ბებერი ფიჭვია. იმის ძირში თუ ექნება ბუნავი. ჩვენს მწყემსებს უნახავთ ამ წინაზე. ძალიან დიდს ამბობენ.

— იმ ფიჭვამდე ვერ მიგვიყვან?

— რას არ მიგიყვანთ. თავადაც წამოვალ, ოღონდ ეგ მოვიშორით!

ცხენები ტყისპირას დაეტოვებთ და მე და ჩვენს ახალ ნაცნობ მწყემსსაც აქ გვიბრძანეს დარჩენა.

მწყემსმა იუარა: მარეკად უნდა მოგეხმაროთ, მეც კი მჭირს ჯავრი მაგ დათვისაო. ჩემს თოფს წაეტანა.

მე, ნურას უკაცრავად, არ დავანებე.

**ლადო მგალაშვილი**  
თავდადარსაველი სამი დამისა

ფიციხი ჩანდა, შემომწყურა, მიმაგდო და ჩვენებს დაედევნა.

ახლა მე გავბრაზდი: უთოფო კაცი დათვზე მიდის, მე კი აქ ქალაქუნასავით დამტოვეს-მეთქი.

ლაზარემ დიდად იწყინა.

— ამ წუთსვე გაბრუნდით! — გამოსცრა კბილებში, — აქ სათამაშოდ კი არ მოვსულვართ. თქვენ არ იცით რა წყუ-ულია, გაიგებს და გაიპარება.

არც ერთმა არ დაუფურცრეთ. არ დაუფურცრეთ და ორივეს ძვირად დაგვიჯდა.

ლაზარეს წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა: ძირიანად მოგლუჯილი ფიჭვის ძირში დათვის ნაწოლი ნახეს. თუკი ჭერაც თბილი იყო.

— აბა, უნდა შეეცრათ აქაურობა! — თქვა ლაზარემ, — შორს არსად იქნება წასული, აქ სადმე ღარტაფში ეგდება. თანაც მარტო არა ჩანს. აბა, შენ, ჭეილო, — უთხრა ჩვენს მეგზურს, — მავ ბურახიანს შემოუარე და იმ ხეზე ადი, ერთი ტოტი რომ მოხლეჩილი აქვს. კარგად დაზეერე სადამდისაც თვალი მიგიწვდება. არ შეგვემინდეს, დათვი ბეზერი ჩანს და ვერ ამოუა. შენ, კაკო, ამ უიქვს ეცი. მე აქ ჩავსაფრდები, თქვენ კი, დანარჩენებმა ზემოდან წამოუარეთ და თავი შეუკარიოთ, არ გაგეპაროთ. თანაც იხმაურეთ, როცა იქ ახვალთ, ერთი-ორი სროლაც მიაყოლეთ. აბა, იფრთხილეთ, ავად სადმე არ გადაგეყაროთ. მე აქ ჩავჯდები. ეშმაკი ნადირია, მაგრამ თუ იგოძნო, გზები შეუკრეს, საფარს მოაშურებს. აბა, ეხლავე დაიფანტენით, — ნიავეით ჩავგჩურჩულებდა ლაზარე.

ყველანი რომ გაიშალნენ, მე ცალკე კიდევ ერთხელ გამაფრთხილა.

— სანამ ჩვენ სულ არ გავწყდებით, შანამდე თოფი არ გაისროლო. ეხლა კი აძვიერი მავ ხეზე.

ფრთხილად მივბობდავდი ფიჭვზე და თოფს მივათრევდი. ერთი ორჯერ კინაღამ კისრიდან გადაამძვრა და ძირს ჩამოშვივარდა. ბოლოს, როგორც იყო, მოვქებნე სასურველი ტოტი, ძლივს მოვასწარი მოხერხებულად დაჯდომა და

გამაგრება, რომ საშინელმა ღრგვინმა შეარყია ტყე.

— გაიქეცი, განზე გახტი! — იყვირა ლაზარემაც და თვალი მოვკარი ბურახიანში ყალყზე დამდგარმა დათვმა როგორ დასცა ვეება პირი ართანელ ბიჟს.

ზედიზედ იგრიალა ხის ძირში შამხანამ და წაქცეულ ბიჟს მაღლიდან გადააწვა წაბლისფერი ბალნის გორა. თხასავით გადაახტა წაქცეულ ხეს სამოცი წლის ლაზარე. ბურახიანში შევარდა და წაქცეულ დათვის ერთი ტყვია კიდევ ხეთქა თავში.

ბურახიანს ზემოდან მოისმა თოფის ხმა, ყიჟინა და ხმელი ტოტების მტვრევა. ეს მამაჩემი და მისი ამხანაგები გამორბოდნენ ჩვენკენ სროლით, მოსამველებლად.

უეცრად თვალემა გვყვიტე. შიში რა საკადრისია და მოულოდნელობისაგან კინაღამ ტოტიდან ჩამოვვარდი: პირდაპირ გამორბოდა ცოცხალი დათვი და ჩემს ხეს რომ მოაღწია, ზედ შემოაბობდა. მე ხეს მოვეხვიე და ზედ ავეკარი. რომ მომიახლოვდა, ავჩქარდი და ვესროლე. არ ვიცი, ვერ დამინახა, თუ ძალდადაც არ ჩამაგდო, ფაცხაფუცხით აირბინა ჩემს წინ იქითა მხრიდან და კენწეროზე მოექცა.

ისე მალდა ავიდა, კენწერომ ქანაობა დაიწყო.

ვიჯექ და ველოდი როდის მოტყდებოდა ტოტი და ძირს ბრაგვანს მოადენდა. მაგრამ ტოტი არა ტყდებოდა და მე გაშტერებული მიგჩერებოდი უცნაურ საქანელაზე ჩამომჯდარ მხეცს.

— მოდით, მომეშველენით, ბიჭებო! — იყვირა ლაზარემ ბურახიანში, — ჩქარა, ამ ბაღს არა დაუშავდეს რა!

მე ფრთხილად გავუყარე თოფის თასმაში ხელი და ფრთხილადვე დავემვი ძირს. მიწას რომ მივუახლოვდი, ისე ამიკანკალდა ხელები, კინაღამ ჩამოვვარდი — ალბათ წუხანდელმა უძილობამ და ტყის სიგრილემ დამცადა.

დათვს ისე გამოვეპარე, არ შევუწინინივარ. ბურახიანში რომ მივედი, ლაზარეს მწყემსი და მამაჩემიც მოსულიყვე-





ნენ და უზარმაზარი მოკლული დათვის ქვეშ მოყოლილი ბიჭი გამოყავდათ.

ბიჭი კენესოდა და სიმწრისაგან იკლავებოდა. დაკრუნჩხული თითები ბლუჯა-ბლუჯა გლეჯდა შამბ-ბურახს და ძირს აფენდა.

— ხომ გითხარი, შორიდან მოუარე მაგ ბურახიანს-მეთქი? — ეუბნებოდა ლაზარე და თან შარვალს ხდიდა, — აბა, ლუკა, შენ გავარდი და ჩემს ცხენს უნაგირზე ნაბღის მისაბმელი თასები შეხსენი. თუ დიდი ჭრილობაა, ლახტი უნდა დავადოთ.

ლუკა გავარდა. შარვალი გახადეს და ბარძაყის წინა მხარეს ჭრილობა ვერ აღმოუჩინეს. მარტო უკანიდან აჩნდა ორი ნაკბილარი და სისხლი გასდიოდა.

ლაზარემ ცერები დაფარა ჭრილობებზე და მამაჩემს უთხრა, ხალათი აუწიე და პერანგის კალთა შემოახიეო.

როგორც იყო შეუხვიეს. ლაზარემ წინდის ორვე სახვევეები შეიწყვიტა და იმით შეკრა.

ახლა ვი შეწყდა სახვევეში სისხლის ეონვა.

— აბა, გამაგრდი, ბიჭო, ვაჟაკი არა ხარ, რამ მოგაფთომფლოვა ეგრე?! — გაწყრა ლაზარე.

ბიჭს არაამქვეყნიური ფერი ედო სახეზე და შუბლი ოფლით ჰქონდა გაწულული.

— სხვაგან ხომ არაფერი გაქვს. აბა, დაუკვირდი, გტყვა კიდევ სადმე რამე?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. მარტო ბარკალზე მიკიღია ცეცხლი. — მისუსტებულ იხით ჩურჩილებდა ბიჭი.

— რა იყო, რა დავემართა, როგორ ვერ მიხვდი, რომ ბურახიანს უნდა მორიდებოდი? უიარაღო კაცი სადათვეში ისე დალაჯებ, თითქოს აზარი სამაჯურ ავთავებინოს და თოფიც სამაჯურა გქონდეს დამარხული.

ბიჭმა ძლივს გვიამბო, რომ ბურახიანის გარშემოვლა დაეზარა, რადგან დათვის ასე ახლო გატრუნვას არ ელოდა. როდესაც ვანაბული წამოუხტა, ხანჯლის ამოღება ვერ მოასწრო და კავილა მიაგება პირში. პირს ასცდა კავი და

ტყერდში ეჯახა. მაშინ დასცა გაბრაზებულმა ბარკალში პირი და ალბათ უსასავით დაამტრევედა, ზედიზედ მიყრილ შაშხანის ტყვიებს რომ არ მოესწრო.

ლაზარემ მისი ხანჯალი ამოაძრო ქარქაშიდან, დაკვირვებით დაათვალიერა და თავი გაიქნია.

— ნახე, რა უქნია სამგლეს! კინაღამ მეორე მხარეს გაუხედებია.

ხანჯალს ერთმანეთისაგან ორი გოჯის დაშორებით ორი ნაეშვარი აჩნდა.

— არ გამიკვირდა, როგორ ვედარჩამეთქი: კიდევ კარგი, ამოღება ვერ მოასწარი. ამას უმადლე, რომ ეგ ბარკალი ახლაც ზედა გაქვს.

მერე ისევ ჩააგო და მამაჩემსა და ლუკას მიუბრუნდა.

— არაფერია, ოღონდ დროით უნდა აყვანა ბინაზე, მანდ არი ახლა თქვენი ზოტექნიკოსი, ბიჭო?

— მანდ არი, — ამოიყნავლა ბიჭმა.

— ჰოდა, დროით უნდა აყვანა. ნადირის კბილია, რა ვიცი, სისხლი არ მოეწამლოს. იქ რამე წამლები ექნებათ. აბა, რაღას უყურებთ? ცხენებამდე მივიყვანოთ.

— ჩემი ცხენის უნაგირი უფრო რბილია, მუცლით გადავიკიდოთ ზედ. არაფერი უშავს, ლახტი დაჭერილია და ბინაც შორს არა აქვთ. — თქვა ლაზარემ, ტყვიდან რომ გავედით, — უთხარით კიდევ, ჩამოვიდნენ და ნოტოს მოჰხედონ. თქვენც მალე ჩამოდით და ცხენებიც ჩამორეკეთ. მე და კაკო კი აქ დავრჩებით, დათვის გავატყავებთ და ხორცსაც ასო-ასო ავქნით. რაღას ველოდო? — დღესვე ჩავალ ქვევით და ახალ ხორცსაც ჩავუტან ბარში.

როცა ნადირი გავატყავეთ, ტყავი გავზომე და თორმეტი მტკაველი გამოვიდა.

ლაზარემ ხანჯლის პირველივე ღონიერი მოქნივით მკერდი გაუშო ნადირს. უმალვე ვული ამოჰგლიჯა და დიდი მონდომებით გასინჯა.

**ლადო მგელაშვილი**

თავგადასავალი საზოგადოებას



— აი, კიდევ რამ უშველა იმ უშნო ჯეილს. ნახე, პირველივე ტყვია ბეჭში მოხვდა და შიგ გულში გაუარა. ბედნიერად მისერია. ავჩქარდი და ძალიან მეშინოდა დათვის მაგიერ კაცს არ მოვარტყა-მეთქი.

ის იყო წინა მხარი ააქრა, რომ ხეზე ასული დათვი გამახსენდა. ლაზარეს სახელო მოვქაჩე და ყურში ვუჩუჩუღლე.

— აქემდე სად იყავი? — შეხტა ლაზარე და თოფს ეცა.

დათვი ისევ ფიჭვის კენწეროზე იჯდა და ქანაობდა. ბალღივით წყმუტუტუნებდა და შესტიროდა იქაურობას.

რატომღაც ძალიან პატარა და საცოდავი მეჩვენა.

ფერმის გამკეს მიუფახლოვდი და შევხვებოდი: „ეგ ბელი ჩანს და ნუ მოჰკლავ-მეთქი“.

ლაზარემ დაუმიზნა. პირველივე სროლით გადმოავდო ძირს. მერე დაცლილი ვაზნა გულგრილად გამოავდო, ჩახმახი დაუშვა და მომიბრუნდა.

— მტაცებელი ნადირი არ უნდა დაინდო, ეს დაიხსომე, ეგ ბელი გაიზრდებოდა და ერთ წელიწადში დათვი იქნებოდა. ძალიან შემცდარხარ, თუ ფიქრობ, რომ ერთ წელიწადში ვაპირებდეთ მეცხვარეობის დამთავრებას თუშები.

ბელი ერთხელ კიდევ შეფართხალდა, გაიჭიმა და პირიდან სისხლი წასკდა.

მე დამენანა, თოფი ძირს დავუშვი, თვალი ავარიღე და ზურგი შევაქციე.

**ღამე მესამე**

მთიდან ჩამოსვლის მეორე დღეს სოფელში ისე დავდიოდი, თითქოს დათვი თავისი ბელით მე მომეკლას. მესაცერ ეყვებოდი, როგორი ღრიალით გამოვარდა შამბიდან ძუ და როგორ მოგვეშურა პირდაპირ. დაწვრილებით აღწერდი გადაქცეულ ფიჭვს და იმ აღვილს, სადაც მე და ლაზარე ვიყავით ჩასაფრებულნი.

სამხრობისას ნახევარმა სოფელმა იცოდა ჩემი აშბავი, მზის ჩასვლისას კი უკვე მთელმა თაღლაურმა.

სალამოს თორღვა მოვიდა ჩემთან მითხრა:

— ზეზვანთა ქალაქელი სტუმრები არიან ჩამოსულები და შენი ნახვა უნდათო.

გამიკვირდა: — ვინ სტუმრები?

— ნათესავეები. ორი გოგოა. გაუგიათ, რომ დათვი მოჰკალი და უნდათ თავიანთი თვალთ გნახონ, რა ჯეილი ხარ.

— სისულელეს თავი დაანებე, როდის ვითხარი, მე მოვკალი-მეთქი?

— იმ გოგოებმა ეგრე იციან, შენ რა გენაღვლება? — უთხარი, მე მოვკალი-მეთქი. იგეთი ცერცეტები არიან, დილას მეკითხებოდნენ: კამეჩი უფრო იკბინება, თუ ძროხაო. მე ცხვარი ვუთხარი, ბებერი ინდაური კი ჩვენებურ მარტორქად გავასაღე.

— და ეხლა ის გოგოები ფიქრობენ, რომ მეც შენსავით სულელი ვარ?

— რატომ მაინცდამაინც ეხლა? ალბათ აღრევე იცოდნენ, ჭკვიანი კაცი დათვზე სანადიროდ გეკოთი რომ არ წვა.

— შენთვის არ მითქვამს გეკოთი ვიყავი-მეთქი.

— იმ გოგოებმა ეგრე იციან.

თორღვას ლაყაფის აშბავი ცნობილია. ვინ იცის, რა არ მოუჩმახა იმ პატროსან ხალხს? მოდი, წვაალ და მე თვითონ ვეტყვი სინამდვილეს.

ცხენზე ჯდომისაგან ბარძაყის კუნთები ისევ მტკიოდა, მაგრამ მაინც გავყევი თორღვას.

ზეზვანი სოფლის თავში ცხოვრობენ. გვერდზე ღრმა ხევი ჩამოუღლით. სახლი კი გზის პირას უდგათ.

დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ იმათთან. შარშანწინს აქეთ, რაც პაპამისმა კბილი ამომგლიჯა, გახედვაც კი მეზარება იქით.

მაინც როგორ მაწვალა! ერთ კვირას მტკიოდა უკანა კბილი. ერთ კვირას ვგორაობდი სიმწარისაგან ბალახზე.

ერთ კვირას შევეღმუოდი ჩვენს კაკლს, როგორც ძაღლი მთვარეს.

სუნამოდან მოყოლებული და არყი-

თა და თამბაქოს ბოლით გათავებული, რა არა ვცადე, მაგრამ არ დამიამდა. მარჯვენა ყბა მეზურნესავით მქონდა გაბერილი.

ბოლოს დედამეძე ველარ გაუძლო ჩემს წამებას და ზეზვას პაპასთან ამიყვანა.

ზეზვას პაპა ხარაზია. სახლის გვერდით რალაც ოთახის მსგავსი აქვს მიშენებული და დღემუდამ შიგა ზის. შეიძლება ერთ ღროს კაი წერწერა ჯეილი იყო, მაგრამ ახლა კუში გასჩენია და ნემსკავივით არი მოკაკული. ჩუმი კაცია, პირქუში. იშვიათად თუ ამოღერდავს სიტყვას. — სათქმელს მოქმედებით მიგახვედრებს.

ავედით თუ არა, მაშინვე შემატყრო რაზეც ვირჯებოდი. არაფერი მითხრა, მიუბრუნდა ისევ საქმეს და სანამ ბოლომდე არ მოათავა, თავი ზევით აღარ აიღო.

მერე ადგა, სკამზე მანიშნა და ხელი ამიჩნია.

დავჯექი და პირი დავადე. ეტყობა, საკმაოდ კარგად ვერ დავადე. მოვიდა, ცალი ხელით შუბლი დამიკირა, მეორით კი ნიკაბი ისე დასწია, კინაღამ ყბა ამომიგდო.

მე ვიღრიალე და წამოგხტი. ზეზვას პაპას არაფერი უთქვამს. ლურსმნის ამოსაძრობი გაზი ჩამარტყა თავში და ისევ სკამზე დამსვა.

დედაჩემი ყველაფერს ამას გულგრილად უყურებდა. იცოდა, რომ ამ კაცისთან დალაქი და კბილის მკურნალი ქალაქშიაც არ მოიძებნებოდა.

კიდეც ერთხელ დამადებინა პირი, ამჯერად ალბათ უკეთ და თავისი დაშარული, ჭუჭყჩამკვდარი თითები შიგ ჩამჩარა. ბოლოს მოძებნა მტკივანი კბილი და ის გრძელტუჩებიანი გაზი ჩაავლო.

რამდენჯერაც ამოსწია ამოსაძრობად, იმდენჯერ ავყევი ზევით.

მერე, რომ ველარაფერი უსაშველა, სკამზე ავიდა. ის სკამზე ავიდა და მე ტახტზე ავიმალდე.

ბოლოს მავიდაზე აბობლდა და, რო-

ცა მეც იქვე აღმომაჩინა, კბილს გაზი უშვა და მე მითაქა შუბლში.

ჩამოვედით და ისევ თავიდან დავიწყეთ.

მაგიდაზე მალალი არაფერი ჰქონდა და ვიფიქრე, შეიძლება სხვენში ავიდეს და მერე იქიდან კრამიტებზე გადაინაცვლოს-მეთქი.

— ახ, რატო მალლითა კბილი არა გაქვს ამოსაძრობი, მიწაში ხომ ვერ ჩამერებოდი? — წამიღრინა პაპამ და კიდეც ერთხელ სცადა ბედი. ამჯერად კი გაუშართლა. კბილი ღრძილიანად მოთხარა და კალთაში მომიგდო აღრიალებულს. მერე საგულისგულოდ გაწმინდა თავისი ჭუჭყიანი იარაღი და ისევ სადგისსა და ნემსს მიუბრუნდა.

დედაჩემმა სამმანეთიანი დიდი მალლობით დაუდო დაზგაზე. მე ღმულისთ გამოვადფურობე სისხლი და გარეთ გამოვვარდი.

მას შემდეგ იქით არ გამიხედია.

ახლა კი, რა ვიცი, კაცნი ვართ. — იქნებ იმ გოგოებს რა აინტერესებთ? დათვი სამხეცეში თუ ეყოლებათ ნანახი, თორემ ჩემსავით ლეკიმთს ღრანტებში ხომ არ დაუწყებდნენ დევნას?

მივდივართ ხრამ-ხრამ და თორღვა მეუბნება:

— იცი რა, ფეთხუმო, მოდი ერთი მაგრად ვიცინოთ.

შევდექი და წარბი შევიკარი.

— რა ნახე დათვის სიკვდილში სასაცილო, ბიჭო! მე ქანჭურის სიმსხოცრემლები მცვიოდა, იმ საწყალ ბელს რომ ვატყავებდით.

— ფეხებზე მკიღია შენი დათვი. მე გოგოებზე გითხარი, სულელები არიან და ვიცინოთ-მეთქი. ყური დამიგდევ: მუნჯობა მოვიგონოთ. მე ვეტყვი მუნჯიც არი და ყრუც-მეთქი.

მე დაფიქრდი და მერე ვკითხე: — შენა?

— მე რა? შენ მუნჯი იყავი და ხელებით მანიშნე. დანარჩენს მე ავუხსნი.

**ლადო მიალაფილი**  
თავგადასავალი საში ლამისა



უარზე დავდექი: თუ გინდა, ორივე მუნჯები ვიყოთ-მეთქი.

თორღვამ თავი სინანულთ გაქინია:

— არ გამოვა, ბიჭო. დილას ვიყავი მავათთან და იმდენი ვიქაქანე. ზეზვას პაპამ ჩაქუჩი მდრუხა: დააყე ეგ საძაღლე ყბა, თორემ მოგკალიო.

ხრამიდან ასასვლელს რომ მივუახლოვდით, შევდექი:

— მერე ზეზვამ ხომ იცის, რა ყრუმუნჯიცა ვარ?

— ეგ არაფერია, შენ აქ დაცადე, მე ავალ და ზეზვას გავაფრთხილებ.

კაი ხუთმეტი წუთი გავიდა, სანამ თორღვა დაბრუნდებოდა.

მერე ხრამის პირს ვილაც გაქანტული გოგო მოაღდა. კაბის კალთა მუხლებში მოიქცია და ძირს ფრთხილად ჩამოიხედა. ხელში უწიპო ყურძნის მტევანი ეჭირა და ჩიტივით იკიკნებოდა.

გადაუხტი და მაცულის ბუჩქს მოვეფარე.

— სად პრის, რატომ არ ამოიყვანთ? — ჰკითხა იმავ წუთს იქვე გამოცხადებულ თორღვას.

— მორცხვია, საცოდავი. იცის თავისი ბეჩაობა და კაცსაც ემალება და სოფელსაც. თავისი ღლე და მოსწრება სულ მწყემსად არი ცხვარში.

ხრამს ერთი გოგო კიდევ გადმოაღდა. მსუქანი, ტანსრული და ლაღლაჟა. საოცრად მოკლე კაბა ეცვა. ერთმანეთს მიატყუბა მსხვილი კანჭები და მანაც დაბლა დაიწყო ცქერა:

— მეც მანჯენთ, რა!

— ბნელა, ვერც მე ვხედავ რამეს. მიდი, თორღვა, ამოიყვანეთ.

თორღვას, ეტყობა, დაეხარა ჩამოსვლა და ზევიდან დამჩხავლა:

— კაკო! ეე, მეცხვარე! ამოდი ზემოთ.

მე ჩუქუნიც არ გამიღია.

გამხდარი გოგო მიუბრუნდა და გაიკვირვა:

— აქედან რას გააგებინებთ? ჩაღით ძირს!

თორღვამ პირზე ხელი იტაცა:

— აი, წმინდა გიორგიმ დამცეს მეხი

და თავისი ლახვარი! სულ გადამავიწყდა, რა კაცთანაც მაქვს საქმე.

თორღვა ძირს ჩამოვიდა და პაღლა ავედით. გზადაგზა ამიკლო ჩურჩულთ:

— მაგრამ დადექი, არ გაგეცინოს. უკვე დაბთულები არიან.

გოგოები მართლაც ლამაზები იყვნენ. კოპწიად ჩაცმულები. მსუქანს წინ ჩამოვარცხნილი თმა ისე კობტად ჰქონდა შეკრეკილი და აბუებული, სკოლადამთავრებული გეგონებოდათ.

გამხდარს (ოღონდ არც ისეთი გამხდარი იყო, როგორც ქვემოდან მომეჩვენა) თმა შუაზე გაეყო და კისერთან აქეთ-იქით პატარა წითელი ბაფთებით შეეკრა.

აველი და ხრამის პირსვე გავწიე გაქირო. კინაღამ ხვეწნით ყელი გამოიბღღუნა თორღვამ, მაგრამ ფეხი ვერ გადამაღმევეინა.

მერე გოგოებს განუმარტა:

— ეშინია ამ საცოდაუს. წამო, განა შეგჭამენ, შე საბრალო, ადამიანები არიან.

მერე იმედი ვაღაიწყვიტა:

— რას იზამ, არ მოდის.

ქოჩორა თვითონ მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა:

— ციცირო.

თორღვა გაიღრჩვა:

— სახელი თუ უთხარი, ყურებში გაქარღება.

ხელის გამოწვდაზე მე უკან დავიხიე და კინაღამ ისევ ხრამში ამოვყავი თავი.

თორღვამ ჩაიხიხითა და ამისხნა:

— ნუ გეშინიან, ხელს გაართმევენ. აი, — და გაშლილი ხელით ირგვლივ ჩამოარბია სალამი.

მე მინც ვერ გავიგე. ციცინოს ხელი ხელში ავიღე და დავუწყე თვალიერება. გოგოს შერცხვა და ხელი უხერხულად წამართვა.

თორღვამ კიდევ გადაიხარხარა:

— ახალი მოდის ტარზანია. უფრთხილდით, არ მოგიტაცოთ.

გამხდარს არაფერი უთქვამს, გაბრუნდა და გზის პირას გრძელ მერხზე ჩამოჯდა. ქოჩორაც მიჰყვა.

თორღვამ წამავლო ხელი, მიმიყვანა, მეც მერხზე დასვა და თვითონ წინ წავიციე.

გვერდზე გავიწიე და იქიდან დავუწყე ვოგოებს თვალღებება.

— აბა, თეა, შენ უთხარი რამე, მე არ ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო. თეამ შეხედა ციცივს, მერე მე დამაკვირდა და მუხლებზე კაბა გაისწორა.

— არც მე ვიცი მუნჯური ლაპარაკი.

— დედა, როგორი ლამაზი ბიჭია და ცოლდე არაა, ყრუ-მუნჯი რომაა? სულ არაფერი ესმის? — მიუბრუნდა ციცივს თორღვას.

— გვერდზე წყალბადის ბომბი რომ აუფეთქო, მაღლა ატანილი ლოდი თუ დაეცემა თავში და მაშინ მიხვდება რამეს,

— აბა, ცხვარს როგორღა მწყემსავს?

— ცხვარს რა დიდი რამე უნდა? გარეკავს საძოვარზე, თვითონ გორის თავზე დაჯდება და უყურებს.

— ეგ დღისით, ღამე?

— ღამე ძაღლები ჰყავს.

— მერე როგორ უნდა გაიგოს ან ძაღლების ყეფა და ან ნადირის ხმა? წყვეული თორღვა არ დაიბნა. ცოტა ხანს შეყოყმანდა და მერე უთხრა:

— ეგ წინათ მარტო ყრუ-მუნჯი კი არ იყო, ცალი თვალიც გაფუჭებული აქონდა.

— დაბადებიდანვე?

— არა, ჩილიკაობის დროს ჯოხზე წაიოგო და გამოეთხარა.

— მერე? ახლა რომ მშვენიერი თვალები აქვს?

— რა ვიცი, ვილაცას ექვია, ოდესაში წაიყვანეთ და იქ მოარჩენნო. მაგათებმაც წაიყვანეს და იქ ადამიანის თვალის მაგივრად მგლის თვალი ჩაუსვეს.

გაკვერბდი და არ გავიციენ.

— მერე? — არ მოეშვა ციცივს.

— მერე რა? ახლა ღამე უფრო კარგად ხედავს, ვიდრე დღე. როგორც კი დადამდება, დახუჭავს მარჯვენა თვალს და ისე დადის. მაგას ღამე რა ნადირი ზიებარება.

ციცივს პირი დაელო და ხან თორღ-

ვას უმხერდა გოცეხული და ხან მე მაკვირდებოდა მარცხენა თვალზე.

თეას თავისი ყურძნის მტევანი სულ გამოეკენკა და ხელში კლერტს ატრიალებდა. დროდადრო ისიც გამოაპარებდა ჩემკენ თვალს.

უნდა ვაღიარო: ბევრი გოგო შემხვედრია მთავი და ბარშიც, მაგრამ ამ თეასთან კარგს კი არ გადავყრივარ. ასეთი სუფთა, ასეთი კოპწია, ასეთი ლამაზი, ასეთი... ჰაიტ, თორღვა! ვიცი რისთვისაც ჩაცუტებულხარ მანდ წუწკი მეძებარივით და ენაშვებო...

— უთხარი რაა, მოყვეს როგორ მოკლა დათვი... — შეეხვეწა ციცივს.

— რა მოყოლა უნდა, ეგ თვითონ დათვია, ვერ მოკლავდა? — მერე მე მიმიბრუნდა და მანიშნა: ამ გოგოებს აინტერესებთ, როგორ მოკალი დათვიო.

შე ვერ გავიგე, რა მკითხა.

— დათვი, დათვი, როგორ მოკალი დათვი!

კიდევ ვერ გავიგე.

— შე გამოტვინებულს, დათვი არ იცი რა არი? — ყბა ამუშავა.

— ჰამ, ჰამ! — წაყვიყვიე.

— არა, ძაღლი არა, დათვი რომ მოკალი, აი, ცხვარს რომ ჰამს. — და თავის საკუთარ მკლავს დაუწყო ჰამა.

— აუუუუ! — ავეუმეღლი.

ახლა კი გადაირია თორღვა. წამოხტა და ხელებს დაუწყო პარჭყვა:

— მგელი კი არა, ფეთხუმო! დათვი, დათვი. ბუეე, ბუეე, ღრრრ! ბუეე, ბუეე, ღრრრ! — დადგა ოთხივე ფეხზე, თან მე მიყურებდა და თან ზღაზუნით მიუყვებოდა გზას.

უცებ ახლად გამომცხვარი ნეხვი ვერ შეამჩნია და ხელი შიგ ჩაჰკრა.

ახლა კი ვეღარ შევიკავე თავი და გადავიხარხარე.

გოგოებს მუცლები ხელით ეჭირათ. მოკაულები დროდადრო ძლივს და იშლებოდნენ წელში.

გაშტერებული იღვა თორღვა გზაზე

ლადო მრალაშვილი  
თავგადასავალი საში ლაშისა

და დაბნეულად გაეშვირა წინ მაჯამდე მოთხვრილი მარჯვენა.

ალბათ ხშირ ბინდამდე არ შევწყვეტდით სიცილს, სახარაზოს ზღურბლზე რომ ზეზვას პაპა არ გადმომდგარიყო. უმალვე მოგსხიბე სიცილი და ხელებში შევხედე.

პაპამ სადგისით მეორე ხელის ზურგი მოიქეჭა და უკანვე შებრუნდა.

— ახი არ იქნება, რომ ეს გათხუნული სილა მაგ აქერცლილ ლოყაზე დაგაკრა? — იღრინებოდა თორღვა. — მაშ დათვი ვერ უნდა გაიგო ამოდენა კაცმა?

წინკარი გაიღო და შიგ ვილაც მალაღლი, ახალგაზრდა ქალი ჩადვა.

თორღვამ ტუჩები მოიკენიბა და უმალ ხელები წელზე შემოიწყო.

— ციციწო, შვილო, რაღას უყურებთ თუ წასვლას აპირებთ? — თქვა ქალმა და მე და თორღვა შეგვათვალიერა.

— ზეზვა ისევ ლობიოს გლეჯს ვენახში, დედა, ჩვენ მარტო ხომ არ წავალთ?

— კარგი, დაეუძახებ. ეგ ბიჭები არ მოდიან?

— არ ვიცი. ერთი შეიძლება წამოვიდეს, მეორე — მუნჯია.

ციციწოს დედა მიხვდა, რომ მუნჯი მე ვიყავი და დამინანა.

— საწყალი, რა კარგი ბიჭია. გაემზადეთ და მე ზეზვას დაეუძახებ.

— ჩვენ უკვე მზადა ვართ. ზეზვას უთხარი მალე ჩაიცვას, თორემ უკვე ღალამდა.

ქალი გაბრუნდა და მე თორღვას ვანიშნე: საით აპირებთ-მეთქი?

თორღვას ხმა არ გაუცია, შეტრიალდა და ეზოში შევიდა.

მანამდე ვისხედით ჩვენ სამნი და ჩუმჩუმად ვზევრავდით ერთმანეთს, სანამ ზეზვა და თორღვა არ გამოვიდნენ.

ბიჭებს ჩემთვის არაფერი უთქვამთ ისე წამოყარეს გოგოები და გზას გაუდგნენ.

მოსახვევამდე გავაყოფე თვალი. ციციწოს გარდა კაცს არ მოუხედია უკან. დიდხანს ვიჯექი მერხზე გამშრალი და გამტკნარებული. მერე თორღვასავან

შემოჩეჩებული ჯობი ბრაზიანად ვისროლე. დავეწყველე ზეზვაც და თორღვას ძმაცაკობაც. წამოვდექი და წელი ძლივს ავიტანე: თორღვამ ზეზვა მოისყიდა და სამაგიერო გადამიხდა.

ვიცოდე მინც სად წავიდნენ?

უცებ, ბინდბუნდში, მოსახვევთან თეთრი კაბა დავლანდე.

ისევე დავეშვი მერხზე, როგორც წამოვიწიე.

თეთრი კაბა მოვიდა და თავზე დამადგა:

— ადექით, წამოდი.

ნე თავი ავწიე და მღუშარედ შევხედე თვას.

— იქნებ არ გინდათ ჩვენთან წამოსვლა?

მონუსხულივით ვუქცეროდი გოგოს და თითქოს არ მესმოდა, რას მეუბნებოდა. ბოლოს ვანიშნე, სად მიდიხართ-მეთქი.

თეამ ხელი დასავლეთით გაიქნია და ღმილით პირჯვარი გადაიწერა.

ახალა მომაგონდა, რომ დღეს თეთრი გიორგის ეკლესიაში მარიამობის პირველი დღე იყო. ჩვენ, მოსწავლეებს, მართალია, გვიმლიდნენ, მაგრამ ხშირად ცნობისმოყვარეობა და გართობის სურვილი გვძლევდა და საღამოთი ავდიოდით ხოლმე აწყურისა და ზემო ხოლამნის თავში მდგარ ეკლესიაში.

წამოვდექი და გავყვი გოგოს.

თეა წუხდა და მაჩქარებდა:

— არც კი ვიცი, საით უნდა წავიდეთ, რა იქნენ, რატომ არ ჩანან? — სახელოში ხელი მომიკიდა და გამეჩაჩა.

მალე წამოვეწიეთ.

შეიძლება ბიჭებს არც კი უნდოდათ გაჩერება, მაგრამ ციციწო გაჩიუტდა და დააცდენინა. ტყუილად კი არა აქვთ ამ ზეზვასა და თორღვას კულები გადაბმული.

შარაზე ჩავედით. დაჩარდახებული ცხენის ურმები კიდევ მიდიოდნენ და მიაჩხარუნებდნენ ზედ დაკიდებულ ქვაბებს. აქ-იქ პატრონებს აყოლილი, შარის პირას მოძუნძულე ძაღლები ჩვენს წაბევაზე კუდს ლაჭებში მალავდნენ და ურმებქვეშ მიძვრებოდნენ.



გაღმა უბანში შარიდან გადავუხვიეთ და ისევ სასოფლო გზას გავყევით. უკვე ბნელოდა. აქა-იქ ბოძებზე მოკიაფე ელნათურები სუსტად ანათებდა.

გზადაგზა თორღვა მობრუნდებოდა და თვას საყვედურობდა:

— რა ვშმაკად გინდოდა, რომ წამო-ათრიე? ერთბაშად ყური დოღ-გარმონით არ დაუტკბო.

— დაეხსენ, თორღვა, ცოცხაა. რა გინდათ, ნახოს მაინც თუ ვერ მოისმენს, — ემუდარებოდა ციციწო.

სოფლის თავში გზა ორად იყოფოდა: ერთი — საურმე — ფერდობის ძირს უვლიდა და ნელ-ნელა მდლდებოდა თეთრი გორგისკენ, მეორე — საცალ-ფეხო — ბილიკად ასდევდა ხრიოც ეკალ-ბალახიან ფერდობს, გვერდს უქცევდა ჭავჭავს, მერე შუაზე სჭრიდა კოლმეურნეობის სიმინდის ყანას და ბოლოს ისევ საურმე გზას უერთდებოდა.

ღვარ-წვიმას საურმე გზა ისე ჩახერამა, რომ ფერდობიდან ხალხს და ურმებს ვერც კი შენიშნავდით. წარამარა მოძრაობდნენ აქეთ-იქით მანქანები და მტვრის ბუღს აყენებდნენ. ისმოდა საყვირის ხმა, ურმების ღრიჭინი და მთვრალ მეურმეთა შეძახილები.

ბილიკით ვარჩიეთ წასვლა.

— აბა, აქ გამოჩნდება მაგისი მგლის თვალი, — მობრუნდა თორღვა და ხელ-ებით მაინშნა: გაგვიძებო.

მე არაფერი გამოვიდა.

თორღვამ ერთი ორჯერ კიდეც სცადა, მაგრამ რაკი წინ ვერ გამოიგდო, თვითონ პირველი შეუყვა ფერდობს. უნდოდა თეაც გაეყოლებინა, მაგრამ გოგო ჩემთან დარჩა.

მთვარე მკრთალად ანათებდა გარე-შემოს. ცრიატ შუქზე მინდვრის პირას წამოსკულებულ უცნაურ არსებებად მოჩანდნენ ჭავჭავები.

თეა ხანდახან გახედავდა მათ და შემკრთალი დუმდა.

ზეზვა რაღაცას ყვებოდა და ციციწოს კისკისი კლდეზე დაგორებული კენჭივით ისმოდა ღამეში.

ღროდაღრო თორღვა მობრუნდებოდა:

— ხარი ხართან დააბიო... ეს გოგო როგორმე მოვაშორეთ ამ ფეთხუმს, თორემ ხედავთ, ეგეც დამუხჯდა.

სიმინდის ყანიდან სამნი გამოვიდნენ ყაყანი. რომ დაგვინახეს, ყაყანი შეწყვიტეს. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ და საკმაოდ მთვრალეებიც.

ბილიკიდან გადავუხვიეთ.

ბიჭებმაც გადაუხვიეს და წინ გადაგვიდგნენ.

შედგნენ შეშინებული თორღვა და ზეზვა.

ციციწომ ძლივს წამოიკნავლა:

— ჩვენგან რა გინდათ, ხომ არაფერს გიშლით?

— ვარიები ყოფილან, მერე რა ვარიები! — თქვა ერთმა და ზეზვა ბოხ-ჩასავით მიაგდო გვერდზე.

— დეედაა! — იცოდა ციციწომ.

— აქა ვარ, შვილო, მოდი ჩემთან, დედა გენაცვალოს, — წამოვიდა უშნო აყლაყულა.

— ხელი არ ახლოთ! — ვიყვირე და გულგახეთქილ გოგოს წინ ჩამოვეფარე.

აყლაყულა მალა აწეული მუშტით დაიხარა და თვალბში ჩამხედა:

— მე შენი რომტაუტამ-რამტიტა-რო! — მერე სიმღერით გააგრძელა: — თავმჯდომარეებს დიდი ტაარო! — და უცებ მოსხიბა: — აქ რა გინდა?

ჩემს სიცოცხლეში გუგულას დანახვა ეგრე არ გამხარებია.

მერე მეგობრებს მიუბრუნდა:

— ხელი არ ახლოთ, ჩვენი ბიჭები არიან.

მთვრალეებმა იწყინეს:

— ვინ ჩვენი ბიჭები, ბიჭებთან რა გვესაქმება?

გუგულა ჩემს წინ გაიბოტა და გრძელი მკლავები ქორივით გაშალა:

— თუ ძვლის კბილებს აღარ ჭერდებით და ოქროსი მოგენატრათ, მაშინ გაგიშვებთ.

— მაინც ვინ არიან? — აიღერდნენ მთვრალეები.

— კოლას ძმა არი.

**ლალო მგალაშვილი**  
თავგადასავალი სახი ლაშისა

— დიდთავასი?

— დიდთავასი.

რაც თავი მასსოვს პირველად იყო, რომ კოლას სახელმა მიხსნა.

მთვრალეებმა კვერდით ჩაგვიარეს ბურტყუნით.

როცა ციკინოს შიშმა გაუარა. პირისპირ დამიღვა:

— რად მოიგონე მუნჯობა?

— მე არა, თორღვამ მოიგონა.

ციკინო მადლობის მაგიერ გამებუტა. მივიდა, ზეზვას გაუყარა ხელი და გაიყოლია.

თორღვა ცდილობდა თეას მიტმასნოდა.

თეა თავისთვის მიდიოდა. მოწყვეტილ ბალახს მოკლე-მოკლედ კვნეტდა და მერე ენის წვერით ისროდა.

გული მომეწურა. ახლა კი მეც დამენანა ჩემი თავი. ვიგრძენი, რომ განაპირობებული, ზედმეტი ვიყავი.

ნელ-ნელა ჩამოვრჩი, მერე შევბრუნდი და უკანვე დავეშვი თავქვე.

უცებ ფეხების ტყაპტყუბი მომესმა. ჩემს უკან ვილაცა მორბოდა.

ნაბიჯისთვის არ მომიმატებია, არც მომიკლია. არც უკან მომიხედავს. — რა ჩემი საქმეა, აქ ერთი ასიოდე სოფლის ხალხი მაინც დადის. ირბინოს.

ფეხის ხმა თანდათან მოახლოვდა, მოახლოვდა, მერე წამომეწია და, ბოლოს ვილაცამ სახელოში მტაცა ხელი.

შევედექ და მოვბრუნდი:

— თუ მართლა შინ წასვლა ვადაგიწყვეტიათ, მეც თქვენთან მოვდივარ, — მითხრა აქოშინებულმა თეამ.

მე თავპატივი არ გამიღვია.

— კი ბატონო, თუ გზის დაკარგვისა გეშინიათ, მომყევით.

თეამ წამომირბინა და წინ ვადამიღვა:

— მე სულ არ მაინტერესებს, მართლად მოჰკალით თუ არა დათვი. მე საერთოდ ყოველგვარი სიკვდილის წინააღმდეგ ვარ. ოღონდ პირველად ვარ აქეთ და ის ჩამაშხამებთ, დამათვალღიერებინეთ ის ეკლესია და მაჩვენეთ, რას აკეთებენ იქ ამ საეკლესიო დღესასწაულის დროს ურწმუნონიცა და მორწმუნენიც.

ძალიან გთხოვთ. მე ხომ თქვენთვის არა მიწყენინებია რა და ერთი ციკუნა საყვედურიც არ მითქვამს. მაშინაც კი არ გაგამჟღავნეთ, როცა მუნჯობას იგონებდით.

მე თვალები ვჭყიტე და გოგოს დავაკვირდი. მთვარის მკრთალ შუქზე ისეთი კარგი, ისეთი ლამაზი, ისეთი საყვარელი ჩანდა, რომ მის მუდარას ალბათ კოლასავით ხეპრეც ვერ გაუძლებდა.

— როგორ, თქვენ იცოდით, რომ ვიგონებდი?

— ვიცოდი. მე მუნჯი ნათესაფი მყავს და ვიცი, როგორც ლაპარაკობენ მუნჯები. გარდა ამისა, თორღვას დაავიწყდა, რომ დილას დიდი ამბით გვაცნობა, — ერთ კლასში ვსწავლობთო. არც ის გამოძმარვია, ხრამში როგორ გეძახდათ ზევიდან. ამოდით... ახლა ხომ წამოხვალთ? ხომ წამოხვალთ? თქვით რაა, ხომ წამოხვალთ? — ხელში ხელი მტაცა და შემანჯღრია.

ისეთი ტკბილი, ისეთი სააჟური ხმა ჰქონდა, რომ ჩემზე მაგარ ჯეილსაც დაშლიდა.

აღარაფერი მითქვამს, შევბრუნდი და ბილიკს შევეუყევი.

ხელში მეჭირა მისი გრილი ხელი, ისე ნაზად მეჭირა, როგორც ადრეულ ბალობაში ჯიხლის ბლარტი.

როცა კარგად ავივაკეთ, შევნიშნე, რომ გვიცდიდნენ. როგორც კი მივუაზლოვდით. შებრუნდნენ და წავიდნენ. თეას ცალ ხელში ისევ ბალახის ღერო ეჭირა. ისევ მოკლე-მოკლედ კვნეტდა და ენის წვერით ისროდა. უცებ მომიბრუნდა:

— ახლა მაინც მიამბეთ იმ დათვის სიკვდილი, ნუთუ არ დაგენანათ? ბელს მაინც როგორ ესროლეთ?

— დათვი მე არ მომიკლავს. ბელს კი... არც ბელისთვის მისვრია.

მერე დიდხანს მივდიოდით ჩუმიად.

ხელზე გამხდარი თითების მოჭერა ვიგრძენი და თეამაც შემხედა.

— თქვენ ძალიან კარგი ბიჭი ყოფილხართ. ეს იქიდანაც გამომჩნდა, რომ მუნჯობა ვერ ითამაშეთ. ისე კი არ გა-

მივით, თითქოს უნიჭო იყოთ. არა, არ გინდოდათ მოგეტყუებინეთ. მითხარით, რატომ გამოგყვით ლიტერატურაში საშემოდგომო?, გიკირთ? ჩვენ აქედან ოცდაათში ვაპირებთ წასვლას, თუ ისურვებთ, შემიძლია ამ სამ დღეს დაგეზმაროთ.

თავზარი დამეცა. თორღვას დილასვე ცხვარივით გავუყიდვიარ. რაში დაჭირდა? ხომ შეეძლო სულ არ ეთქვა ჩემთვის ამათი არსებობა? ეშმაკია წყეული! სხვისი გაბიაბრუებით აპირებდა თავისი შანსების გაზრდას.

— რატომ გაჩუმდით, ხომ არ გეწყინათ? იქნება არ უნდა მეთქვა?

— არა, რატომ. ხომ უნდა იცოდეთ, როგორ კაცთან მეგობრობ?

— ჩემგან ნურაფერი გეწყინებათ, სულითა და გულით მინდა დაგეზმაროთ.

— გმადლობთ, არ არის საჭირო. მე ოკითონაც შევძლებ როგორმე.

სიმინდის ყანა ისე ვადავკერით, ხმა არც ერთს აღარ ამოგვიღია. შემდეგ კი თეამ მიამბო, რომ ციციწო ზეზვას დეიდაშვილია, თვითონ კი მეზობლად ცხოვრობს და თანაკლასელებიც არიან. კახეთში პირველად არის და ძალიან უნდა მარიამობის ნახვა.

როგორც იყო მეც გამეხსნა კრიტა და გამოვუტყუდი, ჩემმშუმად მოთხრობებს ვწერ-მეთქი.

— როგორ? — ვაოცდა თეა. — მოთხრობებს წერთ და ლიტერატურაში ორიანი გაქეთ?

— განგებ დამიწერა მასწავლებელმა. გაამპარტყენებული გაცვეთილებს არ ვაშაუდებდი. სულ არ ვემდურთ. რაღაც თემა მომცა, დავწერ იმას და ნიშანს დამიწერს.

— გინდა, ერთად დავწეროთ? მერე ჩემს ლექსებსაც წაგაკითხებ.

ყური ვცქვიტე და ვოვოს ვაკვირვებოთ შევხედე.

ჩვენს თანამგზავრებს ხევის პირას წამოვეწიეთ. აქედან უკვე ჩანდა თეთრი გიორგის ეკლესია და მკიდროდ დასახლებული მისი გარემომონი.

წლის ყოველ ამ დროს აჭაურობა პა-

ტარა ქალაქად იქცევა. თავისი გამზირები, ბით, ქუჩებით. შესახვევებითა და ჩიხებით. ოღონდ საცხოვრებლები ერთსართულიანია. წიფლისა და ჭავჭავილის ტოტების კედლებითა და სახურავებით.

აქვს თავისი ბაზარი, თავისი „სასადილო“-„სასაუზმეები“, სახინკლე ფარდულები, ლატარია და სხვა წვრილწვრილი სავაჭროები. იყიდება ღვინო და წყალი, ზოგჯერ ერთად და ზოგჯერ ცალ-ცალკე. საზამთრო და ნესვი... და, საერთოდ, ყოველთვის მაგონებს ქალაქს: იპარავენ ავტომანქანებს, აბაჯურებს ზომა-წონაში, ჩხუბობენ მთერალები და გვიან მოსულ მილიციას ჩაბდუჯული მიჰყავს ცხვირპირდაღწეული დაზარალებული.

გარმონის ჭყვიტინმა და ღოლის ბაგუნმა შორიდანვე წაიღო ყურები. მერე, რამდენი წყვილი უკრავს! „ქალაქის“ მთელ მიწა-წყალზე ბალახის ნასახს მარტო ჭიხების ძირში თულა იპოვით. რამდენიმე ასი მოცეკვეის ფეხქვეშ ადის მტვრადქცეული მიწა და ნაცრისფრად ეფინება ყველას და ყველაფერს. არის ხორხოცი, კიევი, ტირილი და ღმუილი. ალაგ-ალაგ „ვალახულები“ ვადაქცეულან გულაღმა. ლაშქრზე დღეი გადმოსდით და თეიანთი ცოდვილი პირით თეთრი გიორგის სურვილებს ქადაგებენ.

იმდენი კიარეთ, რომ თეა დაიღალა.

— მომშივდა კიდევ. — ბოლოს გამომიტყდა.

მე ჯიბეები მოვიჩხრიკე და ვოვოს დამნაშავეს თვალით შევხედე. — ერთი მანეთი რა არი, ისიც არ მქონდა, რომ მისთვის შოკოლადი მეყიდა. რაც მეზადა, ისიც ლატარიაში წავაგე.

თეა მოვიდა და ხელი დამიჭირა:

— ეიხუმრე. წამოდი, კიდევ ვავიაროთ.

რამდენიმე წრეში გაიწვიეს საცეკვაო. თეამ არ იცეკვა.

**ლადო მრალაშვილი**  
თავადასავალი საში ლამისა



უეცრად აქამდე დაუბრებელი თორღვა მოვიდა და გამოგვიცხადა:

— არ მოგვივლათ? სუფრაზე გვეპატყებინა.

მე და თეამ ერთმანეთს შეეხედეთ და გავიცინეთ. უნდა გამოვტყდე, მეც კი მაგრად ვიყავი მოშივებული.

გავყვივით.

ცაცხვთან ციცინო და ზეზვა იდგნენ, მესამე ვეღარ ვიცანი.

— უშიშა, ვერა სცნობ? — მითხრა ზეზვამ და ბიჭუნე მიმითია.

ზემოუბნელი უშიშა მინდოდაური, რაც თელავში ჩავიდა სასწავლებლად აღარ მენახა.

თეაც გავაცანი და მერე ყველანი გავყვივით მოპატყეს.

— წელან დაგინახეთ გალავნის კიშკართან. წამოღით, იმოდენა პურმარინია, ნახევარ მედღეობით ეყოფათ.

იმდენი ვიარეთ, რომ „ქალაქს“ გავცდით.

შევედქი და გავიკვირე:

— სადღა მივდივართ?

— სუფრაზე, — უღარდელად მომიგო უშიშამ, — ამ მტვერ-ნაგავში წესიერი კაცი პურსა კამს?

კიდევ კარგა ხანს ვიარეთ და სიმიწებში შევედით.

შუა ყანაში აღვილი მოეკალოვებინათ. ძირს წიფლის ნედლი ტოტები და ფუჩჩი ეფინა. გარშემო ქვები შემოემწკრივებინათ ჩამოსაჯდომად. კალოს შუა კი აქა-იქ შემორჩენილ სიმიწდის ღეროებზე სანთლები დაენთოთ.

ვეება ხურჯინი მოათრიეს. ცალი თვალის ტიკორა და თუშური ყველი ამოიღეს, მეორე თვალის შოთი პურები, ოთხი ცივად მოხარული დედალი, ძროხის ბეჭი და ცხვრის ხაშლა. მერე საიდანაც კიტრი და პამიდორი დაყარეს „სუფრაზე“ და ტიკორას თითი გაუხსნეს.

ო, როგორ დავხლიჩეთ ამ დამშეულმა ხალხმა ქათმები! ორი ყანწი გვქონდა და რიგრიგობით ესეამდით. თეამ და ციცინომ თითო ძლივს დაცალეს.

ღვინო კარგი იყო და მალე მოგვეკიდა.

ახლად ჩამოვათვალე რეგნა ბინძვლები.

უშიშას გარდა ოთხიდან კიდევ ერთი ვიცანი — აწყურელი ვახტანგი.

ვახტანგმა გამოლოცა:

— გიქვარდ, ერთი როდის ინებებს ჩემს ცნობას-მეთქი. როგორა ხარ, ძველო, ვახსოვს, თურღოზე, ვარდისუბნელებთან რომ ვიჩხუბეთ? შენ რომ არ მოგესწრო, შემკამდნენ. წელან დაგინახე ლატარეასთან და უშენოდ არ მიწოდოდა პურის გატება.

მე დავუმაღლე და ბეჭიდან ჩამოთლილი ნაჭერი თეას მივაწოდე. თეამ ნაჭრის მაგიერ ჩემს ხელს წაავლო ხელი და ლოყაზე მიიღო:

— უკვე მთვრალი ვარ. ნახე, როგორ მიხურს ლოყა!

სამი უცნობიდან ვიღაც დაბალი აღვა, მუგუზალივით შავი.

— არ დაგვზოგოთ, ბიჭებო, წელანდელი ნამუშევარია. თუ დაგვჭირდა, კიდევ გავაჩნეთ, — და გვერდით მჯდომს გადახედა, — გინდა, ერთი ხურჯინი კიდევ მოვათრიო?

მეგობარმა თავი გაიქნია:

— დაჯე, რად გინდა, ჯერ ამისთვისაც ვერ მოგვივლია.

დაბალმა ჩაიხიზხიზა და სუფრაზე ირგვლივ ხელი მოატარა.

— აი, რასაც ხედავთ, სულ სამი მანეთი დამიჯდა. ისიც მხოლოდ დამკვრელებს მივეცი. — ეტყობოდა ღვინოს კარგა დაერგინა ხელი. — არ გჯერათ? გინდათ, ეხლავე ცოცხალი დეკეული მოგიყვანოთ?

მეზობელმა ხალათზე ჩამოქანა და ისევე ქვაზე დასვა:

— დააყე ეგ საღვინე ყბა. დეკეული შარშანაც დაჰკალი, მაგრამ ვირი გამოდგა.

— ვა, განა ეხლაც მაშინდელივით ბნელა. — კიდევ გაივსო ყანწი დაბალმა.

მე ვერაფერი გავიგე და უშიშას მივხედე.

— შარშან მაგან მლოცველებს დეკეული მოჰპარა და ჯაგებში დაკლა, — ღრქით მიყვებოდა უშიშა, — იგრე

ბნელა, თეთრი გიორგიც შავად მოჩანს. ამ ჯეილმა კი დაკლა დეკეული და ახლა გატყავებას უპირებს. ყურების სიგრძემ დააეჭვა. ხელი მოუტაცუნა, — კისერზე მოკლე ფაფარი აქვს. სანამ ფეხებზე ქაჩაჩები არ უნახა, ვერ გაიგო, რომ ვერის ატყავებდა.

სუფრა ხარხარმა შეარყია.  
უმაღ წამოვდექი და თეაც ავიყოლე:  
— წავიდეთ!

დაბნეულმა თეამ მორჩილად გამომიწოდა ხელი და გამომყვა.

— დაიცა, სად მიხვალ, კაცო! — წამოდგა ვახტანგი.

— ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და თქვენი სუფრაც!

დაბალი ვედარ გააჩერეს.

— ნუ მიჰერთ, გამიშვით, სუფრა გამილანძღა!

მეგობრებმა არ გაუშვეს.  
— გამიშვით რაა, ცოტა ხანს გამიშვით!

— არა, დაჯექი.

— გამიშვით, ერთ სიტყვას ვეტყვი!

მეც გავგულისდი და მოვტრიალდი.

— ერთი გამოუშვით, ვარსკვლავები დავათვლევინო!

ახლა მე მეცნენ ზეზვა და თორღვა.

მერე ციციწოც მოვიდა და შემეხვეწა:

— შენი ჭირიმე, კაცო, ნუ იჩხუბებ. წავიდეთ აქედან. მეც მოვდივარ. წავიდეთ ზეზვა, მე ხალხი მეგონა, ეგენი კი ხულოგნები ყოფილან.

სანამ თეა არ მოვიდა, ადგილიდან ფეხი ვერ მომაცვლევისეს.

მოვდიოდი და უკან მომყვებოდა დაბალის მუქარა:

— არსად დაამთქნაროს რამე, თორემ...

— ნუ გეშინიან, ლაყაფა არ არი, — ამწვიდებდნენ უშიშა და ვახტანგი.

როცა „ქალაქში“ შევედი, თეამ მკითხა:

— რატომ გამოიქეცი, კაცო?

— ის ხურჯინი მაგათი არ იყო. — მაშასადამე, არც პურ-მარილი. იმ დაბალმა სამ მანეთად დამკვრელები დაიჭირავა, და მერე იმ ხურჯინის პატრონის ქოხთან მირევა. სანამ ის საწყა-

ლი თავისი ცოლ-შვილით ვითომ უფსოსოდ ბუქნაობდა, მაგათ ის ხურჯინი ააცალეს. თავიდანვე კი ვიფიქრე, ამ მიყრუებულ ადგილას რა უნდათ-მეთქი.

— მართალია, კიდევ მშია, მაგრამ ასე რომ მცოდნოდა, რაც ვჭამე, იმასაც არ გავეკარებოდი.

— ნუ გეშინია, აი, მივიდეთ და რამდენიც გინდა იმდენ ქადას გაჭმევ — ახლა გამახსენდა, რომ აქ ჩვენებური კაცია მღვდლად. — გალავანშიაც ხომ არ შეესულვართ და არც ეკლესია გენახავს?

„ქალაქის“ აურხაურმა და თეას გვერდით ყოფნამ ბრაზი თითქმის სულ გამიწელა. ეკლესიის გარშემო მუხლებზე სასოებით მხოხავმა დედაბრებმა ხომ ღიმილიც მომგვარეს.

თეა შედგა და გაიკვირვა:

— რას ეძებენ ეს ბებები?

— ნუგეშს თეთრი გიორგისას.

— მამ მთელი სიცოცხლე ასე იხოხებენ?

— ერთ-ორ წრეს დაარტყამენ, მობეზრდებით და ადგებიან.

გალავანში შევედი ყველანი. შენობას ირგვლივ შემოვუარეთ და მერე კარისკენ გავწვიეთ.

ეკლესიაში ტევა არ იყო. ხალხი უწყვეტ ნაკადად შედიოდა-გამოდიოდა და იდგა ერთიანი ზუზუნი. თვითონ შენობა თავლის სანთლისა და საკმეველის სუნით იყო გაყვანილი. კედლების გასწვრივ ძლივს დაბარბაცებდა ბებერი მნათე და ნახევრად ჩამწვარ სანთლებს აქრობდა, რომ ალს კედელი არ გაემუტრა. მნათეს სიმთვრალისაგან თვალები ჩიხირთმასავით აჭროდა.

ეკლესიის ერთ კედელზე მოოქროვილ ჩარჩოში თეთრ ცხენზე მოკალათებულიყო წმინდა გიორგი და იქიდან მხართმძობზე არხეინად წამოწოლილ გველშაპს შუბს ჩრიდა ხახაში. უცებ გავიფიქრე: მტკივან კბილს თუ აძრობს-მეთქი და გამიკვირდა: როგორ უჩერლე-

**ლალო მგალავანი**  
თავგადასავალი სამი ღამისა

ბოდა საწყალი გველუშაჲ ასე მორჩილად ამდენ ხანს.

ეკლესიის შორეულ კუთხეში ბავშვის ღნავილი ისმოდა.

— ეტყობა, იქით ნათლობაა.

— მოდი, ენახოთ, როგორ ნათლავენ. — მითხრა თეამ.

მე ფეხის წვერებზე ავიწიე.

— რაღაც მღვდელი არა ჩანს. ალბათ ელოდებიან. მოდი, ჭერ მღვდელი ენახოთ. აი, იმ განაპირა ოთახში იქნება.

მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ მე და თეა მარტონი ვიყავით.

— ისინი რაღა იქნენ?

— არ ვიცი. რაო, ისინი მღვდელივით სპირონი არიან ნათლობისას?

გაპეცინა, ხალხის კედელი გაეარღვიე და თეაც გაიყოლე.

ოთახის კარი შევალე და ზღურბლზევე შევდექით.

წინ, სენაკის კუთხეში, ორი ანაფორიანი ჩატუცქულიყო და ხურდა ფულს ითვლიდა.

პატარა მღვდელი უცნობი იყო. მაღალი კი — ჩემი მეზობელი და უფროსი ძმის კარგი მეგობარი. ოდესღაც ნადლიკენარი ვარდენა თბილისს გადასახლდა ცოლ-შვილით და იქ სტამბაში დიდხანს მუშაობდა ასოთამწყობად. თავდაც ვერაღა ლექსებს და ორიოდ ძვილ ჟურნალ „ჩვენი თაობაშიც“ დაბეჭდა. ამ რამდენიმე წლის წინ წამაკითხა ერთი. მგონი „კალოს იარაღები“ ჰქონდა სათაურად. ყველა იარაღი თავის უპირატესობას უმტკიცებდა მეორეს და ბოლოში მუშა-პოეტი და ვარდენას გვარ-სახელი ეწერა. ამ ხუთიოდე წლის წინ ისევ სოფელი არჩია. მერე, რაკი ახლომახლო მღვდლის შოვნა გაჭირდა, მიადგინნ ვარდენას და ღვინისა და ქაღალტის მუსუსსაც უფარი არ უთქვამს.

მე წაიფიე და იქვე სკამზე მდგარ საწაწილეს და ღვინიან ჭამს გასასინჯად წავეტანე.

ვინ იცის, რამდენ ხანს იდავებდნენ. პატარა მღვდელს რომ არ შეეკმჩნეო. ცქვიტი თვალებით ხარბად შემომხედა და შეცბა.

მაღალმა მიცნო და მოღუშულს უმალ უმალ კამალა.

— ნუ გეშინია, მამაო ფილიპონ, ჩვენი ბიჭია. ღვინო მოსწყურებია და მომაკითხა. ოღონდ ეგ არ დალიო, გენაცვალე. ეგ ნაწყუმპლია — ვილა-ვილა-ცეების ნასვამი ჰიქებოდან ნაგროვები. მაგას წმინდა ზიარების დროს ვხმარობთ ხოლმე მლოცველებისათვის. აი, თეანკარი ღვინო. თუ გემო იცი, — დასაესე ხელადა მომწოდა.

კარებში ვილაცამ შემოყო თავი და მოწიწებით თქვა:

— ჩქარა, მამაო, ბალდი შეწუხდა. ლამის ტირილით დაიხრჩოს.

ვარდენა წამოდგა და ფულსა და მღვდელს ჩამოეფარა.

— ეხლავე, შვილო ჩემო, ეხლავე მოვდივარ.

მე წმინდა საწაწილეს თვალი ავარიდე და ხელადა გვერდზე მივდგი.

— ქაღა გექნება, ძია ვარდენ.

ვარდენამ გვერდით ჩამიარა და მიჩურჩულა:

— ქაღები გუშინდელია. წამო, ბალდს მოვნათლავ და მერე ერთად ავკრიფოთ ვარდთ ახალი ქაღები.

სანამ მე და თეა ნათვლამდე მივალ-წევდით, ვარდენას უკვე მოუთავებინა ნათლობა და ტირილით დაოსებულ შიშველ ბალდს ქიპზე, შებლზე და ხელფეხზე რაღაცას უსვამდა. მერე საიდანაც დააძრო ვეება ჭვარი და რიგრიგობით მიაღო ტუჩებზე ბალდის გარშემო მდგარო.

მხოლოდ ერთი გოგო გაინახა. ეტყობა შეჭხარდა ათასთა ლოშნით ნახევრად გაცვეთილი რკინის დანახვა.

— აკოცე, შვილო, როგორ შეიძლება უფარი, ნათლია ხარ.

— რა ექნა, მამაო, მამკალი და ვერ ვაკოცებ.

— იესომ დაგიფაროს სიკვდილისაგან. — წვირი ჩამოიფოცხა და ყბა მიუშვირა. მაშინ მე ვაკოცე. — და ხმადაბლა დაუმატა. — ეგ უფრო მიუტა ღმერთსა, შვილო.

ახალგაზრდები ხარხარებდნენ. მოხუცებმა წარბი შეიკრეს.





ვარდენამ ხალხს შეხედა, ყველას ჯვარი გადასახა და საქმიანად დაუმატა:  
— ამინ!

მერე მობრუნდა, დიაკვანი იხმო, ხტრჯინი მოატანინა და თვალებით მომ-  
ეხუნა:

— აბა, ეხლა გამოიყე, კაკო!  
ძლივს გავეტიეთ ეკლესიიდან.  
ეზოში რომ მღვდელი დაინახეს, ყო-  
ველი ოჯახი ცდილობდა თავისთან მი-  
ეწვია ღვთის მოციქული.

— მოდი, მამაო, სუფრა გვიკურთხე.  
მაგრამ „მამაო“ ყველგან როდი მი-  
დიოდა.

პირველად ცაცხვის ძირში შეეჩერ-  
დით.

მღვდელმა დიაკვანს თვალი უყო, სა-  
ცეცხლური გაანაღო და გაცვეთილი  
წიგნი გაშალა. იქნევდა საცეცხლურსა  
და წიგნს ჩასჩიჩინებდა ხმამაღლა:

— უფალო უფალოთაო და ცათა მზი-  
ლველოო! გვარი შენი?

— ჩეჩელაშვილი, მამაო.

— აკურთხე სუფრა მონისა შენისა ჩე-  
რჩეტაშვილისაა! ღმერთო დიდებულო  
და დიდად სახსენებელოო! შენ დაიფა-  
რე, — და ხმას დაუწია. — სისულელე ამ  
ღედაკაცისა და სიხარბე მღვდლისააა! —  
და დიაკვანს ანიშნა: — აიღე, შვილო,  
ფირუხს, რაც მანდ მოგხვდეს და ჰქარი  
ხტრჯინის ძირსააა! — და ხმამაღლა: —  
ალილუია, ალილუია, ალილუიიიიია!

ფირუხა დიაკვანმა იმდენი სიხარბე  
გამოიჩინა, კინალამ მთელი ხტრჯინი  
იმ პირველ სუფრაზევე გაავსო.

მერე მოვდექით სხვა სუფრებს.

გაგზარია, ბლომად ვკამეთ მე და  
თემამ იმ ღამეს ქადა-ნაზუქი!

უცებ იგრავინა და გრუხუნმა ზედ  
თავზე გადაგვიარა.

— ოჰოო! ახლა კი დროა თავს ვუშ-  
ველოთ, თორემ ამ შეიძლება ისეთი  
ღვაძი გასკდეს, ძირხვენის ფოთოლი  
ფანჩატურად ღირდეს.

იქაურობა სულ გადაეხრბიკეთ, მაგ-  
რამ ბიჭებს და ციციონს ველარ მივაკ-  
ვლიეთ.

— შინ წავიდოდნენ.

— შინ რომ არ იყვნენ წასულები?

— სულერთია, თუ არ არიან წასუ-  
ლები, ახლა მაინც წავლენ. ხედავ  
როგორ ჩამოიბურა? მაგარი წვიმა მო-  
ვა.

— მაშინ ჩვენც წავიღეთ. — დამე-  
თანხმა თვა.

„ქალაქის“ ხმაური თანდათან უკან  
დარჩა. ირგვლივ ისე ჩამობნელდა, სი-  
მინდის ყანა ძლივს გადავჭერით. როცა  
ფერდობზე გავედით, უკვე აღარაფერი  
ჩანდა.

თვა შეშინდა.

— ახლა როგორღა წავალთ?

— ხომ არ დაგავიწყდა, რომ ცალი  
თვალი მგლისა მაქვს?

თემამ გადაიკისკისა.

უცებ ქარი ამოვარდა და წამოგვიბე-  
რა. რუხრუხმაც უმატა.

თეას შესცივდა და მკლავზე მომეკრა.  
ვინანე: მცოდნოდა მაინც თუ აქეთ  
წამოვიდოდით, პიჯაკს გამოვიყოლებდი-  
მეთქი.

ქარი უფრო გაძლიერდა და მივხვდი,  
რომ ველარ გავასწრებდით.

— შარავზით ველარ წავალთ. სოფ-  
ლის თავზე მოკლე გზა ვიცო, ტყე-ტყე  
მიდის.

— საითაც გინდა, იქით წავიღეთ,  
ოლონდ არ დავსველდეთ.

გზიდან გადავუხვიე და ანდეზე წავე-  
დი. ქარი ზურგში გვიბერავდა და სწრა-  
ვად მივდიოდით.

წინწკლა დაიწყო.

რის ვაი-ვაგლახით ხევი ავათავეთ და  
ფერდობზე ავედით. ავედით და წამოუ-  
შინა კიდეც წვიმამ.

თეას მაგრად ჩაებლუჯა ჩემი მკლავი  
და მთლად გათოშილი ზედ მეკვროდა,  
უმალ გავიხადე პერანგი და წამოვას-  
ხი. რას დაიჭერდა? ერთი-ორჯერ მითხ-  
რა უარი, შენ თვითონ გეცვასო, მაგრამ  
ვანუგეშე: ნამთევი კაცი ვარ და არა  
მცივა, ეს ჩემთვის ვართობაც არის-  
მეთქი.

ელვის უშუქზე კაკალი მოვძებნე და  
შევეფარეთ.

**ლალო მიალავილი**

თავგადასავალი საში ლამისა



დიდხანს ვიყავით ხეს აკრულები.

ანაზღად იქვე ახლოს, შემოღობილი ვენახის თავში, ქოხი დავლანდე. ღობეს ამირანის კოშკივით კარი არსად აჩნდა. კიდევ ჩავუსაფრდი ელვას და მერე ქოხის მარჯვნივ, კარის ადგილას, მარგილზე ჯარჯი შევნიშნე.

კაკალქვეშ უკვე წვიმა ჩამოდიოდა.

თეას კბილი კბილზე დაეჭირებინა და მთელი სბრუულით კანკალუბდა.

ვუთხარი: ნუ გეშინია, გადავჭრით-მეთქი და ღობისკენ გავვარდი. თეა გუმანით მიხვდა, რომ არ უნდა გამომკიდებოდა და ხესთან დარჩა.

ჯარჯს რის ვაივაგლახით მივაგენი და, როგორც იყო, ამოვადრე მარგილიდან.

„კოშკს“ კარი უკვე შეღებული ჰქონდა. შევარდი კაკალქვეშ და თეაც მოვიტაცე.

ქოხში სიმშრალე იყო. ვიცოდი, ვენახში გამართულ ქოხებში ხშირად სკამლოგინიც არი ხოლმე და მართლაც მივაგენი.

სკამლოგინზე ხელი რაღაც რბილს წავატანე და სიხარულით ბნელს გავუღრიჭე, — ზედ ფარაჯა ეგდო.

ავგისტოს ბოლოდან ვენახებს უკვე ყარაულობენ და ეტყობა, პატრონმა აქვე დატოვა ეს ფარაჯა. ვიცოდი, წვიმაში უკან აღარ დაბრუნდებოდა. დავავლე ხელი და საგულდაგულოდ შევფუთნე თეა შიგ.

შემდეგ გამახსენდა, სანამ ქოხში შემოვიღოდი, თივის ბუღულს რომ გადავაწყვდი. გავვარდი, ისიც მოვიტანე, ქოხში დავახვავე, ფეხები შიგ მუხლებამდე ჩავფალით და მერე სკამლოგინზე ჩამოესხედი.

თევა თბილი იყო და თეამ მალე შეწყვიტა კბილების კაწყაწი.

გოგო როგორც კი გათბა, ჩემი პერანგი მიწილდა. ქარი ისევ დათარეშობდა ირგვლივეთში, ელვის შუქზე დროდადრო ჰკვეთდა ირიბად გაბმული წვიმის გამჭვირვალე ლარებს. ქოხში უკვე თბილოდა და სიმყუდროვე იყო.

მხოლოდ ნაპირზე ჩამოსდიოდა წვიმა

ბი და ქვევით წკაპაწყუბი გაჰქონდა

— კაკორო, ჰაი, კაკორო! — ღამიანა სოფელურად ჩუმი ხმით თეამ.

— რა არი, თეა?

— ნეტავ ჩენი წინაბრები, აი, ძალიან შორეული წინაბრები ასეთ ქოხებში თუ ცხოვრობდნენ?

— არა, აბა, იმათ რა იცოდნენ მამინ ვახის სხვლისა და ბალახის მოთიბვისა?

— მამ ჩვენც გავათუეთ ამ ღამეს როგორმე, — მშვიდად დაასკვნა და თავი მხარზე ჩამომადო.

— როგორ ვერ გავათევთ. შუღამე გადასულია და საცაა გათენდება, — კიდევ უფრო ვანუგეშე.

დიდხანს ვისხედით ჩუმად.

ვერც კი გავიგე, თეას როდის ჩაეძინა. მხოლოდ მამინ მივხვდი, მხარი რომ დამიმძიმდა და მშვიდ, თანაბარ სუნთქვასაც მოვკარი ყურით.

გარეთ კვლავ ქუხდა. ელვის ნამსხვრევები ფხრეწდნენ ცას და ქარი ისევ ცელავდა წვიმას.

და გული მეწურებოდა, რომ ეს თვე არდადაგების უკანასკნელი თვეა, რომ მხოლოდ ოცდაათერთმეტი რიცხვით არი, რომ თეა ოცდაათში მიდის თბილისში და რომ ოცდაათამდე მხოლოდ სამად-სამი დღეა იყო დარჩენილი.

მხოლოდ მამინ გამახსენდა ლიტერატურის მასწავლებელი და მისივე შერჩეული თემა, როცა წვიმამ თითქმის გადაიღო და სიბნელეც გაცრიათდა.

გამახსენდა და შევფიქრიანიდი: აი, ხათაბალა! — რა უნდა დაეწერო? კურორტები მე არ მომივლია და შეკრებაკონფერენციებზე მე არ მივუწვევივარ ვინმეს! დაეწერო და ისიც ერთ დღეში? — ზეგ გამოცდა მაქვს.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა. აბა, შენ იცი, თეთრო გიორგი, თუ წუხანდელ შენს კარზე გათუულ ღამეს ჩამითვლი რამედ და შემეწევი!

— ამინ! — დაეყოლე ხმამალა და მშვიდად მფშვინავ თეას გადავხედე.



## ს კ რ ი ლ ი

ბაღში მეფობდა სიჩუმე მკაცრი,  
და ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ იდო  
თოვლი, რომელიც ხვდებოდა თვითონ —  
დარჩენას უკვე არ ჰქონდა აზრი.

მე ვუყურებდი უხმოდ და თრთოლვით,  
როდესაც ქვისგან გამოკვეთილი  
ბელადის გაწვდილ ხელიდან თოვლი  
გაუჩინარდა თეთრი მტრედისგან.

ბაღში აპრილი ახელდა თვალებს  
და წარმომიდგა: საოცრად ნაზი,  
ამ გამარჯვების ზეიმით მთვრალი  
სადღაც, სოფელში ტიროდა ვაზი.

და ირწუოდნენ ხენი ჩრდილებად  
იქ, სადაც ენთო აღმოსავლეთი...  
და არ არღვევდა ღრუბლის ნაფლეთიც  
ამ საზეიმო განწყობილებას.

## ბ ა ბ უ შ ა რ ა

### I

აპა, გამოჩნდა! ცაცხვი ბებერი,  
ამაოების უარმყოფელი,  
დგას როგორც იმის მაუწყებელი,  
რომ იქ იწყება ჩემი სოფელი.

დაიწყოს! ძნები, მინდვრები, სერი,  
დამფრთხალ ჩიტების თავშესაფარი —  
ბუჩქიც იმგვარად იზიდავს მზერას,  
როგორც იზიდავს ბავშვებს ზღაპარი.

შიშვლდება ჟამი ფოთოლთა ცვენის  
ტყის წიაღიდან, და ვძაბავ სმენას,  
და რასაც ახლა ვერ ამბობს ენა,  
უსიტყვოდ ჰყვება ბუნება ბრძენი

და თავბრუს მახვევს, და უკვე მესმის,  
ო, პოეზია! მე ვხვდები უკვე:



თვით ბუნებაში იგრძნობი უკეთ,  
ვიდრე ქალაღღზე, — არ არის ლექსი!...

II

სოფელში მთვარის შუქზეც გათბები,  
როცა სიჩუმე სიჩუმეს ერთვის  
და მთელი ღამე ჩიტების გვერდით  
თუთის რტოებზე თვლემენ ქათმები.

და ეზმანება ნამგალი ჩალას,  
ჩალა — საჭონელს, ვაზებს — გიდელი.  
და ინარჩუნებს გუშინწინდელი  
წვიმის სიგრილეს ხევი და ჭალა.

და ყველგან, ყველგან სადაც გაივლი,  
მიწის სიღრმიდან ბალახთან ერთად  
ამოდის თითქოს იღუმალ ფერთა  
ჭაბუკი, როგორც მინდვრის ყვავილი.

ეს ღამე როგორ არ ჰგავს წინანდელს,  
გაურკვეველი წერტილის მსგავსი  
ცაში გულგრილად ციაგებს მარსი  
თოვის ლულაში მბჟუტავ სინათლედ.

III

თავს აფარებენ ბუჩქები ღობეს  
და თრთიან, თითქოს ეზმანათ წუხელ,  
რომ გაუტოლდნენ ისინი მუხებს  
და დაჰყურებდნენ ზევიდან სოფელს.

და წყდებათ გული — რა უღმობელი  
ყოფილა თურმე ზმანების სარკე! —  
იმ სიმაღლიდან ისეთი კარგი  
და მიმზიდველი ჩანდა სოფელი!...

დაუვიწყარი წუთების გამო,  
ყველაფრის გამო ვარ მადლობელი.  
და, აი, უკვე ფითრდება ღამე  
და მზის ამოსვლას ელის სოფელი.

მზე კი აყოვნებს, ვდგავარ და ვუცდი —  
ამოვა? აჰა, ამოდის მგონი...  
გათენდა — თითქოს შეკრული მუშტი  
ვაიხსნა — ცაში აიჭრა გნოლი.

აფეთქდა სივრცე უზარმაზარი  
და მზე აღმოხდა წვით და ნათებით,  
ძლევამოსილი და გადამდები,  
და ურჩი, როგორც ტყეში ხანძარი.

ბედნიერება! უსიტყვოდ ენდეთ  
ამ დიად გრძნობას და ნულარ გიკვირთ,  
თუ არ ვრძელდება ხანგრძლივად იგი,  
როგორც ბრწყინათვის — სიკვდილის  
დღემდე.

ამ სილამაზეს, აღტაცებას,  
თუ გული გიცემთ, სად გაექცევით,  
როცა დენივით გრძნობენ ფესვებიც  
ფოთლებზე პირველ სხივთა დაცემას.


როცა ვერ ხედავთ, მაგრამ იგრძნობა,  
რომ დედამიწა ბრუნავს ბებერი,  
იმედით სავსე და უვნებელი,  
როგორც სიცოცხლის მარადისობა.

## ეგვიპეის წიგნზე მინაწერი

როდესაც დგება სიჩუმე სრული  
და ცაში ჩნდება კენტი ღრუბელი,  
მე მახსენდება ეგვიპეის  
კეთილშობილი და მძლავრი სული.

ღრუბელი თეთრი და სულის ტოლი  
ვარსკვლავებს ერთვის, როგორც ძლეული —  
ფერფლად ქცეული გრძნობის, სხეულის  
და თვითმფრინავის ამაყი ბოლი,

რომელსაც მიწა ეძახის დაბლა  
და ღნება უკვე — უხმოდ და უცებ,  
რომ დაეპუროს ცრემლებად გულზე  
მფრინავის დღემდე გაუთხრელ საფლავს.



# 1818—1968

გიორგი ლომიძე

## ნიკოლოზ ბარათაშვილს

ვით ოქროს ფარჩა გადმოკიდული,  
 ბრწყინავდა შენი ქვეყნის ბუნება;  
 ჰხვდებოდნენ დიდი მთაწმინდელები  
 მთაწმინდის მთაზე შენს დაბრუნებას.

დაგხვდა ილია — ქართლის კლდეკაცი,  
 სამშობლოს აზრი შუბლნატყვიარი;  
 დაგხვდა აკაკი — ბერი ბულბული,  
 ვისი სიმღერის გული ტყვე არი...


ყელს შემოგეჭდო ვაჟა-ფშაველა,  
 ადგილის დედა გეგებებოდა...  
 და შენი ძვირფას ნეშთის წინაშე  
 შენი სამშობლო ფეხზე დგებოდა...

გარს შემოგერტყით ახალი მოდგმა-  
 შენი სიმღერის ცრემლნასხურები;  
 შენს ნაგუბარზე ვინც გამოვზრდილვართ,  
 ახალ ქართლის ბედს ვემსახურებით.

და ჩვენ გემთხვევით ფერფლს აჟღერებულს  
 და არა მტვერსა და მოჩვენებას, —  
 შენს დაბმულ ქროლვას, დაბორკილებულს,  
 და შენს დალურსმულ გამოჭენებას...

გულში ატეხილ ქარიშხლის ღელვამ  
 სიკვდილის წყვიდიადს არ დაგანება;  
 გააფთრებული შენი მერანი  
 მსოფლიოს გზაზე მიექანება.

და ხალხი, შენი დამბადებელი,  
 ამონათებულ მზეეს ეშურება;  
 არ დაიღლება გული ხალხისა,  
 თუ რაში ოფლით შეიწურება!







ნალი ბაგიაშვილი

## ლეგატო, ლეგატო

ქალაქი სიგრძეზე იყო გაშენებული. ზღვის ნაპირიდან მათა კალთებამდე ორი ქუჩა და ერთი სარკინიგზო ხაზი ძლივს ეტეოდა. ქალაქის სამხრეთით, ისრებივით დარტობილიყვნენ ლურჯი, მეჩხერი ფიჭვები.

უანგმორეული ცის ქვეშ ბელურებით ატუზულიყვნენ ლაყალაყა იაპონური ფანჩატურები და მხრები უცახცახებდათ. უსაშველოდ წაგრძელებული საკვამურები მუშტად შეეკრათ ქვის ცალთვალა ჭუჭყიან სახლებს და ზეცას ემუქრებოდნენ. წვიმის ყრუ ხმაურს გავესო ქალაქი.

სადამოობით ოთახში ვიჯექი...

ფანჯრის მინებზე წვეთები ცურავდა. დაღარული მინიდან რკინიგზის ლიანდაგი მოჩანდა — სველი და თევზივით მოფართხალე ლიანდაგი. ლიანდაგს იქით, მთის გადაყვითლებულ ფერღზე, რამდენიმე წითელსახურავიანი, კირით შეფეთქილი სახლი იდგა. სახლები ლურჯად შეღებილ პატარა ფანჯრებს მტკივანი თვალეზივით ახამხამებდნენ.

ზოგჯერ გარეთ გამოვიდოდი...

წვიმა წყნარი და რბილი იყო. შორიდან ძაღლის ყეფა ისმოდა. ვუყურებდი ნაცრისფერ, ჩარახულ იაპონურ ქოხებს და მეჩვენებოდა, თითქოს ამ უთავბო-

ლო წვიმაში დგომით გაციებულყვნენ და ახველებდათ.

წვიმამ ორი კვირა იძალა, მერე კი მყუდრო დღეები დაიჭირა. სადამოობით დავაბიჯებდი განძელებზე, შევეყურებდი ზღვაში ჩამავალ მზეს და ზღვაში გადაწოლილი ოქროსფერი კვალის თრთოლვას.

ზღვა წყნარი იყო. ჩატბორებული ნაპირი ზღვის კომპოსტოს გრძელ, მწვანე ფოთლებს დაეფარა. ირგვლივ თევზის ქონის სუნი იდგა. აქედან თეთრი ბურუსის მიღმა კუნძულ მანგრონის ნაცრისფერი კონტურებიც კი მოჩანდა. კუნძული ნაფოტივით ირწეოდა წყალში.

არაფერზე არ ვფიქრობდი, არაფერი მაგონდებოდა; ასეთ სიმშვიდეს ვგრძნობდი, წინათ რომ არასოდეს მიგრძენია. ეს სიმშვიდე ჩემგან ერწყმოდა ბალახს, მზეს, ოკეანეს... ან იქნებ პირიქით. ისინი მავსებდნენ იმ საოცარი განცდით, ერთ ჯაღოსნურ წრედ რომ შეიგრძნობ შენს ირგვლივ ყველაფერს, და... ზეიმობ, ზეიმობ, რომ იმ ჯაღოსნური წრის მიღმა არ დარჩენილხარ...

თოვლივით უცბად მოვიდა ძალიან წყნარი დღის ბოლო.

დაიწყო ზამთარი.



წინადამინდელი ქარების მერე წყნარი და ნათელი დღე დაიჭირა. თოვლი ვარდისფერი იყო და ისე ციმციმებდა. თითქოს მიწას დაფშენილი შუშა მოაყარაო.

სცენის უშველებელი ფანჯრიდან გრძელი, იაპონური ფანჩატური ილანდებოდა. მისი თოვლიანი სახურავი ისეთი მსუბუქი ჩანდა, ისეთი ჰაეროვანი, ლოლუებს რომ არ ჩამოემძიმებინა, ცაში შეტივტივდებოდა.

ფანჩატურს იქით საგულდაგულოდ ჩაწყობილიყვნენ თოვლიანი, დაბალსაკვამურიანი სახურავები. საკვამურებიდან წელა და რიტმულად მიიზღაზნებოდა კვამლის თბილი რგოლები.

სცენაზე მთელი დღე თვალისმომპრელი სინათლე იდგა. საღამოობით კი, თოვლი მეღნისფრად რომ ჩამუქდებოდა, სინათლეს ვანთებდი. ელექტრონის შუქზე დარბაზი მყუდრო ხდებოდა.

სცენაზე აშლილი პიანინო იდგა. იმ პიანინოზე ვატარებდი გაკვეთილებს დილის ცხრიდან, საღამოს ექვს საათამდე.

ყოველდღე თერთმეტი გაკვეთილის ჩატარება არც ისე იოლი საქმე გახლდათ, როცა თერთმეტიდან ხუთი საათი პირველკლასელზე მოდიოდა, ხოლო მუშაობა სულ რაღაც სამიოდე თვის დაწყებული მქონდა. დღის ბოლოს ისე ვიღლებოდი, მხრებში გაშლა მიძინებოდა, ყელი სიცხიანივით მიშრებოდა, მეწვოდა.

გაკვეთილების შემდეგ, ჩვეულებრივ, დირექტორის კაბინეტში შევდიოდი. კაბინეტში სინათლე ენთო. დირექტორი ფანჯარასთან ზურგშექცევით იჯდა და წერდა. შევიდოდი თუ არა, თავს წამოწევდა და მოჭუტული თვალებით შემათვალიერებდა.

— დამთავრე?

თანხმობის ნიშნად თვალებს ვხუჭავდი, ტახტზე ჩამოვჯდებოდი. ტახტი ძველებური იყო, საზურგეში ოვალური, შებოლილი სარკე ჰქონდა ჩატანებული. ტახტის პირდაპირ მოსწავლეთა პირა-

დი საქმეებით გამოტენილი წიგნწაკითხვა რაღა იდგა.

— შენი მოსწავლეებიდან ჩვიდმეტს არა აქვს შემოტანილი სწავლის ფული, — იმ დღეს საქმიანად მითხრა დირექტორმა.

— პატივცემულო ნადეჟდა, — თავი მოვისაწყულე.

— ორ დღეში თუ არ გადაიხდიან, ხელფასი დაიგვიანებს,

— კაპიკებლა დამჩნა.

— მით უმეტეს. ლავრენკოვი სკოლაშია?

— ერთი გაკვეთილი დარჩა. კუზნეცოვას მუსიკალური ლიტერატურა აქვს მესამე კლასში.

— ყველა უნდა გავაფრთხილო, მეღნიკოვი თუ ნახე?

— დილით შემოირბინა, დღეს გაკვეთილები არ უნდა ჰქონდეს.

— მის კლასთან კი ატუზულიყვნენ ბავშვები და.

— არ ვიცი.

— შემოივლის?

— შემოვივლიო, ასე მითხრა.

თვალეები დავხუჭე.

— გეტყობა იღლებით, თერთმეტი გაკვეთილი ბევრია, — მითხრა დირექტორმა.

— რა ვქნათ...

— წელს შვიდი-რვა კაცის მიღებას ვაპირებდი, ისიც ბაიანის კლასში. კიდევ კარგი, მისაღებ გამოცდებზე დაგსვი და გითხარი, რამდენსაც მოერევი, იმდენი ბავშვი აირჩიე-მეთქი. რომერტის თერთმეტი მოსწავლეს რომ შენთვის უნდა მომეცა. ხომ იცოდი ეს?

— მერე რა.

— თხუთმეტი პირველკლასელის აყვანა რა ამბავი იყო!

— თხუთმეტივე ძალიან ნიჭიერი იყო.

— იყო თუ არ იყო, არ ფიქრობდი, რომ გაგიჭირდებოდა?

— არ მიფიქრია.

— როგორ მეცადინებოვენ?

— საოცრად კარგები არიან.

— შენ თვითონ ხარ საოცარი, — გავლიმა დირექტორს.

პირველკლასელები ნამდვილად კარგები იყვნენ: დიდი, ცნობისმოყვარე თვალბრძანა და ზედმეტი მონდომებისაგან გამრულებული ტურნებით მახსოვდნენ ყოველთვის. მათთან მეცადინეობისას ველეავდი, ზოგჯერ არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, როგორ მეთქვა სათქმელი. ვიცოდი, ოდნავი გულგრილობა, ოდნავ სიყალბე ამ ნდობით აღსავსე თვალებში უდიდეს დანაშაულად აირეკლებოდა. გაკვეთილი მთავრდებოდა. ისინი სწრაფად ჩაირბენდნენ საფეხურებს და სადღაც გარბოდნენ, — ეჩქარებოდათ. წავიდოდნენ და მე კარგა ხანს ვგრძნობდი მათ მზერას, აი, ისე, ხშირად უკან რომ არ იხედები, იცი კი, ვილაც გიყურებს, ვილაც გიყურებს და... ზურგი გეწვის.

წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. — რობერტის მოსწავლეები რას აკეთებენ? — დამეწია დირექტორის ხმა.

— იანვარში მოისმენთ.  
— მგონი არ უნდა იყო კმაყოფილი რობერტის შარშანდელი მუშაობით.

— მისი მოსწავლეები კლავიატურას ისე ურტყამენ, თითქოს შეშას ჩეხვენო. ზოგიერთმა ნოტებიც კი არ იცის.

— უკულოდ მუშაობდა და მერე გაიქცა.

— რამდენი წელი იმუშავა?

— ერთი.

— ახლა სად არის?

— რა ვიცი. სამუშაოს გამოცვლა სულს არ გამოუცვლის.

დირექტორი ჩემთან მოვიდა, მძიმე ნიკაბი მხარზე ჩამომადო და ქუჩას გახედა.

ქუჩის მეორე მხარეს, სიბნელეში კინოთეატრი მოჩანდა.

თავი ნელა მოვატრიალე დირექტორისაკენ და სახეში შევხედე.

ასე ახლოს მისი სახე ჯერ არ მენახა: შუბლს რამდენიმე პარალელური ნაოკი გასდევდა. თვალებთან კანი ჩამუქებოდა და მსუბუქი ნაოკები გასჩენოდა.

— კარგად ათბობენ. შარშან საძაგელ დღეში ვიყავით, ვიყინებოდით. ამ ზა-

ფხულს სკოლის ცენტრალური გათბობა აბანოსთან შევკერებინე. ბევრი სირბილი დამჭირდა.

— დარბაზში ფანჯარა რომ არ გავაღო, სუნთქვა მიჭირს.

— ფანჯრებს ყველანი ვაღებთ.

— მერე კი გრჩებათ ხოლმე ღია, — ვთქვი საყველურით.

— მე ყოველთვის ვკეტავ.

— სხვები?

სხვებს ხშირად ავიწყდებოდათ დღის ბოლოს ფანჯრის დაკეტვა. სკოლის შენობა ხისა იყო, ყოველდღე კი ქარი ქროდა. ქარი ოთახებში იჭრებოდა, ბნელ დერეფნებში დაიკუნტებოდა და ხის შენობას აჭრიალებდა. შეშინებული ვუსმენდი ამ ხმას. მეგონა, ვილაც დადიოდა ჩემი ოთახის კართან და მითვალთვალებდა. გარეთ კი ცივი მდუმარება ამაღლებულიყო ცამდე.

მე სკოლის ერთ განაბირა ოთახში ვცხოვრობდი. — ხომ ვიცოდი, ქარი იყო, მაგრამ მაინც მეშინოდა.

— გადმოსულიყავი ჩემთან, მარტო ვცხოვრობ.

— არაფერია, შეეჩვევი.

ბინის საქმე ვერ იყო კარგად ნეველსკში. დიდი მშენებლობა მიდოდა, მაგრამ არა ჰყოფნიდა ქალაქს. იქაურობა სავსე იყო იაპონური სახლებით. კვირა ისე არ გაივლიდა, რომელიმე არ დამწვარიყო. ასანთის ყუთით ვიფეთქებდა ხოლმე გამხმარი, გამოფიტული ხის სახლები.

კაბინეტში ნინა კუნეცოვა შემოვიდა. პალტო ჩაეცვა და ხელთათმანებს იჭიმავდა დიდრონ, წითელ ხელბუზე.

— სად მიგეჩქარება? — ჰკითხა დირექტორმა, — გასაქცევად გამზადდებულხარ!

— სტეფანე ოთხ დღეში ზღვაში გადის. რომ დავიგვიანო, ერთ ამბავს ამიტეხავს. არაფერია, ოთხ დღესაც გავუძლებ როგორმე.

სტეფანე ნინას მეუღლე იყო. ნაცრის-



ფერთვალზე ალექსი სამი წლისა ჰყავდათ.

სტეფანე შტურმანად მუშაობდა თევზსაპერ გემზე. სექტემბერში ვილაყებმა ამბავი მოუტანეს ნინას, შენი მეუღლე სხვადასხვა მიზეზთა გამო, რაც პირადულ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე საზოგადოებრივს, ზღვაში უპირებს წაყვანას მშვენიერი სქესის წარმომადგენელს, რომლის მეორეხარისხოვანი მოვალეობა გემზე მზარეულის მოადგილეობა იქნებაო. ეს, რასაკვირველია, ზოგიერთი დაინტერესებული პირის ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ, სადღაც სიმართლის ნატამალი მაინც ერია! იმ წვეთმა აუზღვრია ოჯახს დაწმენდილი დინება.

— ზღვაში წავა... მარტო დარჩები. ყველაფერს აწონ-დაწონი, — დირექტორმა გულხელი დაიკრიფა და მხრით კედელს მიეყრდნო, — ასეთ საქმეში აჩქარება ვის გაუტვია?!

— აღარაფერი დამრჩა ასაწონ-დასაწონი.

— კარგი ერთი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს დილით ლუშინმა დარეკა,

— თქვა ისევ დირექტორმა.

— მართლა?

— ლუშინი კულტურის საოლქო განყოფილების უფროსი იყო.

— რა მინდაო?

— თქმა არ მინდოდა და მაინც წამოძვდა. — ინანა დირექტორმა.

— რათა?

— უსიამო რომ მითხრა.

— ისეთი რა გითხრა

— მელნიკოვი გამოიძახა. მეკრას თავისი ბარგი-ბარხანა და ჩემთან ჩამოვიდესო.

— საჩივრებმა თუ მიიღწიეს ლუშინამდე? — თქვა ნინამ.

იური მელნიკოვი თავიდანვე ძალიან განცალკევებულად ცხოვრობდა. არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი. მის ასავალ-დასავალს კაცი ვერ გაიგებდა. სკოლაში ერთი განაკვეთი აიღო — ბაიანის კლასი მიჰყავდა. დღეში ექვს მოს-

წავლეს ამეცადინებდა და ოთხსაღამო ჰყოფნიდა. სკოლაში მოსწავლეებთან მუშაობისათვის. კვირის დანარჩენი ორადღე კერძო მოსწავლეებისათვის გამოჰყო. კერძოდ სწავლის მსურველი ბეჟარი იყო. პატარა სკოლა, სადაც მხოლოდ ხუთი პედაგოგი მოღვაწეობდა, რა ზღვად გასკდებოდა! იურიმ ათი კერძო მოსწავლე აიყვანა და გაკვეთილები სკოლაში დაუნიშნა. ეს არ გამოეპარა დირექტორს: სასტიკად აკრძალა კერძო მოსწავლეთა სკოლაში მიღება. ამის შემდეგ იური ორ დღეს სკოლაში აღარ გამოჩენილა. სამაგიეროდ, მოსწავლეები არც ერთ გაკვეთილს არ აცდენდნენ და დილიდან საღამომდე იურის კლასთან ატუზუნნი ელოდნენ. ეს კიდევ არაფერი: ფული წინასწარ აეკრიფა და რადგან გაკვეთილებს სისტემატურად აცდენდა, მშობლებმა ჩივილი დაიწყეს, რიგრიგობით მოდიოდნენ დირექტორთან, წერდნენ განცხადებებს, ყვიროდნენ...

დირექტორი გამოიძახებდა ძელსიკოსს, სთხოვდა მოსწავლეებთან შინ იარეო. მელნიკოვი ამაზე უარს აცხადებდა, თვითონ იარონ ჩემთანო. ეს კი შეუძლებელი იყო; მას ქალაქის ვარეუბანში მისცეს ოთახი და ასე შორს ექვსი-შვიდი წლის ბავშვები ვერ ივლიდნენ. მაშინ მელნიკოვმა წინადადება შემოიტანა, მოგვიანებით გადაუხდი მშობლებს წინასწარ აკრეფილ ფულსო. მშობლები მაინც ჯიუტობდნენ. მაინც წერდნენ განცხადებებს, ყვიროდნენ...

— რას ეტყვიან? — ვკითხე.

— კარგი დღე არ დაადგება. რამდენჯერ ვთხოვე, როგორ ვეხვეწე, საყვედურიც გამოვუცხადე ბოლოს. სხვა რაღა შემეძლო?

— მაგას მაშინ უნდა ემუშავა, აიოველ წელს... — თქვა ნინამ.

— როდის?

— მე, ნინამ და ვოვა ლარცხვიკოვმა ჩამოვაყალიბეთ სკოლა. თითო განაკვეთი ძლივს მოგვიკროვდა. სკოლა ისე უცებ გაიხსნა, არავინ მოელადა. ჩვენ რა გვიჭირდა, თბილები მაინც გაგვაჩნდა,

ვოვა იყო მთლად შიშველი. ფული შე-  
ვაგროვეთ, ტყაპუჭი და თქები ვუყი-  
დეთ. მეორე წელს რობერტი გვეახლა  
და წლის ბოლოს აიკრა გულა-ნაბადი.  
მესამე წელს კი შენ და მეღნიკოვი ჩა-  
მოხვედით.

— სკოლა სამი წლისაა. — ვთქვი.

— ვფიქრობ, იურის გადაიყვანენ პა-  
რანაიკსში. იქ ახლახან პიონერთა სახ-  
ლი გაიხსნა. დავრჩებით სამი ქალი და  
ერთი ვაჟი.

მაგისი თორმეტი მოსწავლე? —

— ლავრენიკოვს მიეცემ.

— არ აიყვანს, — გადაჭრით ვთქვი,  
— სულ იმის წუწუნშია, დრო არა მაქ-  
ვსო.

— გამონახავს.

— ახლა ფული სჭირდება, — თქვა  
ნინამ, — ცოლი მოჰყავს. ძალიან სე-  
რიოზულად ლაპარაკობს ლუბაზე...

დერეფანში გამოვედით.

— ამდენ ხანს რას აკეთებს ვოვა?  
აქამდე უნდა დაემთავრებინა გაკვეთი-  
ლი.

დერეფანი გავიარე და ლავრენიკოვის  
კლასთან შევჩერდი.

— წასულა, — თქვა ნინამ, როცა  
კლასის კარს მიაწვა. — დაკეტილია.

— წასულა?... — გაეღიმა დირექ-  
ტორს, — ჩემთან არც კი შემოუხედავს.

— ლუბასთან თუ ეჩქარებოდა. სხვა-  
თა შორის, თავისი გამჭვარტლული ოთა-  
ხი შეათეთრა და ფანჯრებზე თეთრი  
ფარდები ჩამოჰკიდა. რამდენიმე საოჯა-  
ხო ნივთიც შეიძინა... ეს მხოლოდ შე-  
სავალია.

— ლუდის ქარხანაში ცუდი ხმები  
დადის ლუბაზე, — თქვა ნინამ.

— ლუდის ქარხანაში მუშაობს?

— მბეჭდავად.

— შენი საქმე არაა, — გაწყრა დი-  
რექტორი, — ვოვამ თვითონ იცის.

— რაკი დირექტორი ამბობს, — ნი-  
ნამ მხრები აიჩეჩა. — დირექტორი  
მანაც დირექტორია.

— მოსწავლეებს გამოუცხადეთ დრო-  
ზე შეიტანონ გადასახადი, თორემ ხელ-

ფასი დაიგვიანებს და დაგანახებთ, რა  
დირექტორიცა ვარ.

— ზეცაო, დაგვიფარე. დმერთებო,  
ყოველის შემძღწენო, კეთილი თვალით  
გადმოგვხედეთ.

— მორწმუნეცა ხარ? — დირექტორ-  
მა მხიარულად მოჰუტა თვალები.

— როცა გაგვიჩრდება, ყველაფერი  
ხარ.

— ასე რა გიჭირს, მერე?

— ჩემი ქმრის შემყურეს, რა ფული  
მეყოფა.

— ქმარმა, რაო?

— ოქტომბერში უნდა წასულიყი  
და ახლა მიდის ზღვაში. ჰამა ხომ უნდა?  
მისი ფული რახანია გათავდა.

— ისეთი ქუხილი აუტეხე, ცოტაც  
დარჩა, ზეცა არ დააქციე თავზე და, სად-  
ღა წავიდოდა!

— ამიტომ შინ ყოფნა არჩია, ჩავუ-  
რთე მეც.

— არაა ეგ შენი საქმე!

— შენი ხომაა. ჰოდა, მიხედე შენს  
საქმეს. ვხედავთ, გიყვარს ის კაცი.

ნინამ არაფერი მიპასუხა, დაფიქრე-  
ბული დაეშვა კიბეზე. უკან არ მოუხე-  
დავს, ისე დატოვა შენობა და ქუჩაში  
გავიდა.

ნინას დირექტორი მიჰყვა. ღია კარი-  
დან კარგა ხანს მოჩანდნენ, მერე თვალს  
მიეფარნენ.

ჩემს ოთახში შესვლა ვერ მოვასწარი,  
რომ კარი ისევ გაიღო და ვილაცამ ფეხე-  
ბი დაიბერტყა შემოსასვლელში.

— ვინ არის? — გავეხმაურე.

— რაია ვარ.

— რაია?

— ოპოპო, რა დღეშია იატაკი!

რაია სკოლის დამლაგებელი იყო.  
მხრებგანეირი, კუნთმაგარი გოგო გახ-  
ლდათ.

— ცოცხი დაკარგულა! — გამომძახა.

— რა თქვი?

შემოვიდა და კართან მდგარ სკამზე მოი-  
კალათა.



— როგორა ხარ?  
 — ცოცხი დაკარგულა. შემოსასვლელში, კიბის ქვეშ დავტოვე.  
 — შენი ცოცხი საგარდერობოშია.  
 — გაცედა, ძონძივით გახდა. ახალი უნდა მიყიდოთ.

— აა!  
 თექებს დაუწყე თვალღერება.  
 — მიდიხარ სადმე? — მკითხა.  
 — ცოტას გავივლი.  
 — ამ ყინვაში გარეთ რა გინდა?  
 — მიყვარს თოვლში სიარული, — თექები წვივებზე ამოვიქაჩე და ოთახში გავიარ-გამოვიარე.

— დირექტორის ნახვა მინდა, აღარ შემიძლია მეტი, — თქვა რაიამ.  
 — რა მოხდა?  
 — მოსწავლეები ძალიან ანაგვიანებენ სკოლას. ქაღალდის ნაკუწებს აღარ ვჩივი, თუმცა მათი ხელით აკრეფა მიხდება; მთელი თოვლი შიგ შემოაქვთ. მიდი და ფხიკე მერე! იცი რა ძნელია? ხელები მეწვის, — ტყვიასავით დამაყარა რაიამ.

— შენ ადგილზე, დამლაგებლობას თავს დავანებებდი, ხომ მუშაობ სამკითხველოში, ჰოდა, იმუშავე.

— ჭრა-კერვის კურსები?  
 — იმ ფულით სწავლობ ჭრა-კერვას?  
 — არ იცოდი?  
 — საიდან მეცოდინებოდა? — ეთქვი და წავედი.  
 — მე რომ წავიდე, ოთახებს ვინ დაგილაგებთ?

— ვიშოვით ვინმეს.  
 — მერე ისიც ცოლო არ იქნება?  
 — რა ვუყოთ, ასეთი სამუშაოა.  
 — დირექტორს მინდა მოველაპარაკო, რა მოხდება, ფაჩუჩები ატარონ ბავშვებმა, ქვეყანა დაიქცევა? პალტოსთან ერთად ფეხსაცმელიც გაიხადონ, ფაჩუჩები ჩაიცვან.

სკოლიდან რომ გავდიოდი, რაიამ მომაძახა, ოთხშაბათობით და შაბათობით გემშემკეთებელი ქარხნის კლუბში ცეკვებია და რატომ არ დადიხარო..

მშვიდი საღამო იდგა.  
 დიდი ქარების მერე ჩამოწოლილი სა-

ღამო თითქოს უფრო ნათელია, თბილი და მყუდრო. გაყინული თოვლი ქვიშას ჰგავს, ქარისაგან ბორცვებად მიგრავილსა და დახაზულ ქვიშას. ფერმიხდილი მთვარე მილევია ცას. სადღაც არის ზღვა. მისი წყნარი, მავრამ ღონიერი სუნთქვა აქამდე აღწევს.

მიდიხარ ამ ცასა და მიწას შორის, სული სხეულში ვეღარ ეტევა. მარგალიტებადქცეული ცრემლი სახეს ეყინება და შენი სახე ზინავს ღამის ლურჯ შუქზე. დახუჭე თვალები, ერთი წუთით დახუჭე თვალები და დაინახავ, როგორ ბრუნავს დედამიწა!

უცებ იაპონურ ფანჩატურებს შორის რუსულ სახლს მოვკარი თვალი.

„აღბათ მერანიც წამოასუბეს სახურავზე, — სიამოვნებით გავიფიქრე, — მერანი ლტოლვის ნიშანია. დარაბებზე ძამლებიც ესკუპებათ, — უამისოდ როგორ შეიძლება, ისინი მზის კანონებით ცხოვრობენ. ჭიშკარზე ფრთავალილი მტრედი ექნებათ უეჭველად ამოჭრილი“.

რაც უფრო შორს მივდიოდი, მით უფრო გახშირდა რუსული სახლები.

ეს ისე მახარებდა, თითქოს ცალფეხა ოდასახლები შემფეთებოდა. საქართველოდან ასე შორს...

როდის-როდის ჩამქინდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, ან ნამდვილად მეძინა თუ ბურანში ვიყავი, რომ... უცებ ფანჯარაზე კაკუნმა გამომაფხიზლა.

საწოლი ფანჯარასთან მედგა. თავი წამოვყავი და ცხვირი პირდაპირ გაყინულ მინას მივაჭყლიტე, — ლავრენიკოვის მუდარით სავსე სახე შემომჩერებოდა სიბნელიდან. ყურებიანი ქული უკან გადაეწია და ქულის ყურები მოყინულ ლოყებზე უფართხალებდა.

— გააღე, რა!

— ამ შუღამისას აქ რა უნდა, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, ხალათი წამოვიხი, ბატარეის ქვეშ გასაშრობად შეწყობილ თექებში წავყავი ფეხი და სინათლე ავანთე. სამი საათი სრულდებოდა.





სკოლის კარი ჭრიალით გაიღო. ვოვას-  
თან ერთად დერფანში თეთრი მტვე-  
რი შემოიჭრა.

— ქარი ამოვარდა? — ვკითხე ვოვას,  
რომელმაც შემოსვლისთანავე ფეხების  
ბარტყუნი ატეხა. ქული მოიხადა, ხელზე  
დაიბერტყა, მერე ქულით ჩამოიბერტყა  
თოვლიანი მხრები.

— ამოვარდა.  
— რა მშვიდი ამინდი იდგა!  
— შენთან საქმე მაქვს.  
— ხვალამდე ვერ მოიცდიდი?  
ჩემი ოთახისკენ წავედი.  
— ვერ მოვიციდი.

ოთახში შევედი. საწოლს სწრაფად  
გადავაფარე პლუდი და ვოვას სკამი გა-  
მოვუწიე.

— დაჯექი.  
ვოვამ პალტო შეიხსნა და მიმედ დაე-  
ცა სკამზე.

— რატომ ვერ მოიცდიდი?  
— ქარში მოცდა მომიწევდა.  
— რათა, სახლი ხომ არ დაგეწვა?  
— უარესი. იცი, რამდენ ხანს გიკა-  
კუნე? საშინლად ყინავს. მთლად გავი-  
თოშე.

— არაყი რომ მქონდეს, უცებ ეშვე-  
ლებოდა შენს გაჭირვებას.  
— მაშ.

— არაფერია, მოიცადე, ახალი წლის-  
თვის ამანათს მივიღებ.

— არაყი იქნება?  
— აუცილებლად, რადგან სახლინზე  
ვეცხოვრობ, ჰკონიათ, აუცილებლად  
უნდა გქვამდე.

— შენ კი წვეთს ვერ დაგაღვეინებს  
კაცი.  
— თქვენ ხომ სვამთ.

— კეთილი გოგო ხარ. სექტემბერში  
ორი ამანათი ყურძენი რომ მიიღე,  
ის მომაგონდა. ორივე ამანათი ერთ  
დღეში აარიგ-ჩამოარიგე.

— აბა რა უნდა მექნა?  
— აქ ყურძენი მამასისხლადაა.  
— მით უმეტეს.

— სხვა შეინახავდა, გამოიზოგავდა.  
ღანჯარასთან მივედი, ხელი მოვიჩრ-

დილე და გარეთ გავიხედე. ჰაერში  
თოვლი ტრიალებდა.

— ამას წინათ თბილისიდან რამდენი-  
მე „ელვა“ მივიღე. სახალინზე ტაიფუნს  
გადაუვლია, თავს როგორა გრძობო  
მე კი აქ ვიყავი და არაფერი გამიგია.

— კი არ გადაგვიარა, ჩაგვიარა.

— დეკემბერში ტაიფუნი? ტაიფუნი  
ივლის-ოქტომბრის შუალედში იცის.

— დეკემბრიდან მაისამდეც იცის,  
ოლონდ იშვიათად.

— მაინც სასაცილოა, — იქ საქარ-  
თველოში გაიგეს და აღელდნენ, მე კი...

— იმ დროს აქ ძლიერი ქარები იყო.

— საიდან მოდიხარ? — ვკითხე ბო-  
ლოს, — ლუბასთან იყავი?

მან თავი დამიქნია.

— იჩხუბეთ?

— არა. ერთი რაღაც დავაზუსტე.

— ნეტა, როდის მოათავებ მაგ და-  
ზუსტებას.

— მითხრეს, ქმარიც ჰყოლია და შვი-  
ლიცო.

— ქმარი რომ ჰყავდა, ხომ იცოდი?

— შვილი?

— თუნდაც ჰყავდეს, მერე?

— არაფერი.

— ამას აზუსტებდი ამ შუალამისას?

— გაყრილან. ქმარი კუნძულის  
ჩრდილოეთით წასულა. ბავშვი პატარა  
ჰყოლიათ, ექვსი თვისა. გამოჰკიდებია  
ქმარს, ვერსად უპოვნია. შვილი რომე-  
ლიდაც სოფელში მიუტოვებია.

— სისულელეა.

— ასე იყო, თვითონ მითხრა,  
ვოვა სკამიდან წამოხტა, — შვილი მია-  
ტოვა, შვილი!

— ჰმ?!  
— რატომ ჩაიდინე ეს-მეთქი, —

ვკითხე, — აბა რა მექნათ, იცინის. ჯერ  
ახალგაზრდა ვარო.— ვოვამ ბოლთა დაა-  
რტყა ოთახში და ისევ მაგიდასთან მი-  
ვიდა, ხელისგულეები დააყრდნო და ზედ  
ჩამოწვა. — არ გვიჩხუბია. ერთი ხმა-  
მალალი სიტყვაც არ მითქვამს, ავღეკი

აზანიკი

და წამოვედი. ნუ მიდიხარო, იცინოდა. შორს მაინც ვერსად წახვალო.

— მაინც წამოხვედი?

— წამოვედი. სახლთანვე მოვკებნე გასაღები, ზიბეში აღარ აღმომაჩნდა.

— ამოგივარდებოდა სადმე.

— გულის ზიბეში ვინახავ ხოლმე. იჭიდან რა ამოავდებდა!

— გამოვარდნილა და ეგაა.

— ლუბამ ამომაცალა. მეხვეოდა, არ მიშვებდა.

— არა მგონია.

— გეუბნები...

— რა უნდა ჰქნა ახლა?

— არაფერი. ხვალ სახლმართველობაში მივალ. ახალ გასაღებს ავიღებ.

— მესმის.

— გავალ, რომელიმე კლასში გავათათევ ლამეს.

— მოიცა...

— არაფერი არ მინდა.

სწრაფად მოვათვალიერე ოთახი. საკიდარიდან ქურჭი ჩამოვხსენი, ბალიშს ხელი დავავლე და ვოვას მივაჩეჩე.

— არა, არა! — იუარა. მაგრამ ხელი მაინც შემომამშველა, — ბალიში შენ არ ვინდა?

— ჩემი საწოლი გასაშლელია, თავს აფუწე.

— მეტი რაღა მინდა, მეფურად გავათევ ლამეს!

— ჰო, გამახსენდა, — პლედოც წაიღე.

— ღმერთივით გოგო ხარ, — ცრემლი აწვებოდა ვოვას და მაინც ილიმებოდა.

— ის? — ვკითხე და ისე შევხედე ჩამოღვენილ სახეში. თითქოს იმის იქით რაღაცის დანახვა მსურდა.

— მას საყვარლების ხშირი ცვლა ჩვეულებრივად მიაჩნია.

კარგა ხანს ვიყურებოდი ფანჯრიდან: ღამის ლურჯ სინათლეზე ვხედავდი — ქარი გააფრთხილებით ხვეტდა თოვლს და ნამქერს. ნამქერი ცისფერი იყო, ლილაში გატარებულს ჰგავდა.

„თუ ასე გაგრძელდა, დილამდე კი-

ნოთეატრს ნამქერში ჩაფლავს“, — ფიქრე.

სკოლის შენობა ავადმოფიცივით კენესოდა და ცახცახებდა.

ოთახში დილაბინდი იდგა.

თვლების სრესით ავანთე სინათლე და საათს დავხედე, — ცხრა სრულდებოდა.

ხელები სვიტერის სახელოებში გავუყარე.

დარბაზში მოსწავლე დამხვდა. ხელებს ითბობდა ბატარეაზე.

— მოხვედი?

— დიახ, მასწავლებელო.

— ხელები გეყინება?

— დიახ, მასწავლებელო.

— იგუნდავე?

— ქარია, მასწავლებელო.

— ადი სცენაზე.

მოსწავლემ მორჩილად აიარა საფეხურები და პიანინოსთან დაჯდა.

— იმეცადინე?

— დიახ მასწავლებელო.

— კარგი, ვნახოთ.

მან შიშით ჩამომხედა და ლემუანის ეტიუდები გადაშალა.

— სულ დამავიწყდა, — თქვა შერე, — დირექტორმა დამავალა, ჩემთან შემოვიდესო.

— იმეცადინე. ახლავე მოვალ.

ხმაურით გავიხურე დარბაზის კარი და კაბინეტში შევედი. დირექტორი ქაღალდებს ათვალიერებდა.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, დე-ლეგატად რომ გავგზავნოთ?

— სად? — გამიკვირდა და ცოტა დავიბენი.

— პროფკავშირების საქალაქო კონფერენციაზე.

— არ მესმის.

— რაა აქ გაუგებარი, — შემომოტია, — დღეს ვადავწყვიტეთ, ჩვენი სკოლიდან შენ წახვალ.

— როდის ვადავწყვიტეთ, ჯერ არ გათენებულა.

— როცა გეძინა.

დირექტორმა საქალაქდ დახურა და სახეში შემომხედა.

— არ გესმის? — გაეღიმა.  
— არა.  
— წუხელ ქარს კინოთეატრის შესასვლელი მთლად დაეფარა ნამქერით. უთენია დამაფეთეს. ცხრა საათზე საბავშვო ფილმი უნდა გასულიყო.  
— შე რატომ არ დამიძახებთ?  
— ვოვამ თქვა, გვიან დაიძინაო. ისე კი კარგა ხანს ვუბრაბუნეთ სკოლის კარს. გამოგღვიძებოდა, ვინ გიშლიდა?  
— ასე ვთქვათ, შემიცოდეთ. არა?  
— არა. დღეგატად გგზავნით.  
— რა კონფერენციაა?  
— სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიული კავშირის IV საქალაქო კონფერენცია.  
— გასაგებია.  
— წითელ მანდატს მიიღებ.  
— ბევრნი იყავით გაწმენდაზე?  
— მთელი კულტურის განყოფილება იქ იყო. ისე ვმუშაობდით. შენი მოწონებული.  
კარი გამოვალე.  
— გაკვეთილს დავამთავრებ და ისევ შემოვალ. რაია ვნახე გუშინ, რალაც დამაბარა, — ვთქვი.  
დარბაზში შესვლისას ნაცნობი ხმა წამომეწია.  
— ალბათ პარნაქისკში ვადამიყვანენ. — მითხრა იურიმ, — მივემგზავრები.  
— უკე? — რატომღაც თვალი ავაბრდივ.  
— მუსიკალური სკოლა მაინც იყოს, ბიონერთა სახლია. დილის მატარებელს მივეყვები. რომ მცოდნოდა, სკოლაში კერძო გაკვეთილების ჩატარების უფლებას არ მომცემდნენ, ერთსაც არ ავიყვანდი, — ამბობდა და საგულდაგულოდ აპრიალებდა დარბაზის კარის სახელურს.  
— საითაა ეგ ქალაქი?  
— კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზეა, ყურესთან.  
— რა ყურეა?  
— „მოთმინების ყურე“.  
— ჰოდა, ითმინე ახლა, — გახუმრებდა ვცადე, არ გამომივიდა.

— რალაც მინდა გკითხო, — თქვა დამნაშავეის ღიმილით, — მხოლოდ არ გამიბრაზდე.  
— ისეთი რა უნდა მკითხო?  
— რატომ ჩამოხვედი აქ?  
— ყველა საიდანღაც ჩამოდის.  
— შენ?  
— ავდექი და ჩამოვედი.  
— ვფიქრობდი, იქნებ იქ ვინმემ აწყენინა-მეთქი.  
— ვის უნდა ეწყენინებინა?  
— იქნებ იყო ვინმე, ვაჟი.  
— არავითარ უბედურ სიყვარულს ჩემს ცხოვრებაში ადგილი არა ჰქონია. იური შეცბა.

— ცდები, ძალიან ცდები. შენ თუ ფულის გასაკეთებლად ჩამოხვედი, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ყველა... ეს თავშესაფარი ადგილი კი არაა...

იური ერთხანს დუმდა, კარის სახელურს ადარ აწვალებდა, ხელები მოწყვეტით ჩამოუშვა. მერე შეტრიალდა და წავიდა.

„ბედნიერება ადამიანის სულიერი წონასწორობაა. ამ წონასწორობის საყრდენ წერტილს კი არც ფული, არც დიდება არ წარმოადგენს. ესაა საკუთარი ადგილის პოვნა ამ, ერთი შეხედვით, ქაოტურ, მაგრამ უდიდესი შინაგანი კანონზომიერებით აღსავსე ცხოვრებაში და... შრომა, შრომა!..“

ნელა ავიარე რამდენიმე საფეხური და სცენაზე ავედი. ფანჯრიდან თოვლის კორიანტელი მოჩანდა. მოსწავლე ლემუანის ეტიუდს უკრავდა და ხმამალა ითვლიდა. ფეხები იატაკამდე ვერ სწვდებოდა და რიტმულად აქანავებდა. „მატარა სკამი უნდა ვიშოვნო, ფეხები დაადგან“. გავიფიქრე და გვერდით მივეუქეტი.

— თავისუფლად. გაათავისუფლე ხელი... გაათავისუფლე მხარში, იდაყვში. მაჯაში ნუ უჭერ. ახლა კარგია. ნუ ურტყამ, რბილად... აი ასე, გასაგებია? ლეგატო, ლეგატო!





# თეთრი ყვავილები

წვიმა მოულოდნელად წამოვიდა. ასფალტი ჯერ დაიწინწკლა, მერე ერთი-ანად დასველდა და ბოლოს აქა-იქ მოზრდილი გუბეებიც გაჩნდა. გაჩერებასთან ავტობუსი შეჩერდა. იქიდან მოკლესმარვლიანი ბიჭი ჩამოვიდა, სანოვავის ჩანთა გადმოატრიალა, დაბერტყა და თავზე ჩამოიმხო. წვიმა გამეტებით ურახუნებდა მუშაბმის ჩანთას. მოპირდაპირე მხარეს ბაზარი იყო. ბაზრის კარში დახვავებულ საზამთროგებთან თავზე ტომრებწამოხურული, გალუმპული გამყიდველები მოჩანდნენ.

ბიჭმა ბაზარში პირველსავე ფარდულს შეაფარა თავი. ფარდულში წვერგაუპარსავი გლეხები ლუდს შეექცეოდნენ. გამხმარი თევზისა და თამბაქოს უკლისამრევი სუნი იდგა, თეთრხალათიანი, ჩასქელებული გამყიდველი დახლზე იყო გადმოყუდებული და გარეთ იყურებოდა. აქედან წვიმა გამჭვირვალე ფარდასავით მოჩანდა.

ბიჭი ბაზარში ხშირად დადიოდა. სულ იმას ეხვეწებოდა დედას, მეც წამიყვანეო. დღეს კი პირველად წამოვიდა მარტოკა.

ფარდულში წვიმის შხუილი შემოდინოდა. ბიჭს ის უბედური დღე გაახსენდა:

მაშინაც ასეთი კოკისპირული წვიმა იყო. ხალხმა საწვიმრები მოიხურა და ქოლგებიც გაშალა. წასვლა კი არავის უფიქრია. ბიჭს აღარც ახსოვდა, ტიროდა თუ არა მაშინ. გზაში ყველა მას ეფერებოდა. მერე დედა სასაფლაომდე მიაცილეს და იქ დატოვეს ქარსა და წვიმაში...

ბიჭს დედის სახე გაახსენდა—ქალს დიდრონ შავ თვალებში ბინდი ედგა და ჩამომჭკნარ სახეზე სიყვითლე გადაჰკრავდა. მათი საწოლები გვერდიგვერდ იდგა და ბავშვი ბურანში გრძნობდა. რა

მზრუნველობით უსწორებდა ხოლმე დედა საბანს. მერე კონცინდა და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. ბიჭს ახლა ბებიას გვერდით ეძინა. ბებია მისეთი ღრმა ძილი იცოდა, ზარბაზანი რომ გაგესროლათ, ვერაფერს გაიგებდა.

საწოლ ოთახში დედის სურათი ეკიდა. მერე, როდესაც მათთან დეიდა ქეთო მოვიდა. მამამ სურათი ჩამოხსნა და საღვაც დამალა. დეიდა ქეთო მათ სკოლაში ასწავლიდა უფროსკლასელებს. რვეულები მოჰქონდა ხოლმე შინ და შუადამემდე ასწორებდა. ერთხელ ბიჭმა მაგილიდან გასწორებული რვეულები აიღო და ფურცვლა დაუწყო. ბევრი ნაწერი წითელი მელნით იყო აჭრელებული, ბოლოში კი უზარმაზარი ორიანები ეწერა. „როგორი ყოფილა“. — ფიქრობდა ბიჭი და რვეულებს ფურცლავდა. უცებ ოთახში დეიდა ქეთო შემოვიდა. ბიჭი, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, დაიბნა და აიღუწა.

— რვეულებს ათვალიერებ? — ჰკითხა ქალმა და გაიღიმა. უცნაური ღიმილი იცოდა, ბიჭი დამშვიდდა და თვითონაც გაიღიმა.

ქალს სწყინდა ბიჭი რომ დეიდას ეძახდა; ბიჭსაც ეხამუშებოდა ეს სიტყვა. მაგრამ არ იცოდა, როგორ მიემართა. ერთხელ ბებია უთხრა: — სადაური დეიდაა, შვილო, დედა დაუძახეო. ბიჭს რაღაცა მოაწვა ყელში, თვალები ცრემლით აევსო და ღრიალი მორთო.

— არა, არა! — ყვიროდა და მუტებს ჰირვეულად იწვედა. დეიდა ქეთო გაწვილდა და ოთახიდან გავიდა.

მამა სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა. ამ დროისათვის ბიჭი გაკვეთილებს ამზადებდა ხოლმე.

— აბა, როგორაა საქმეები, ვაჟაკო? — ეტყოდა მამა და ქოჩორს მოუთელავდა. ბიჭი წიგნს უხმოდ ჩაჰკირ-



კიტებდა და კალმისტრის ბოლოს დეჰა-  
ვდა. გულში რატომღაც ემღეროდა  
მამას.

ფიქრებიდან გამოერკვა. წვიმას გადა-  
ელო და ნაფლეთებდა ქვეული ღრუბ-  
ლებიდან მზე იცქირებოდა.

ბიჭმა წასვლა დააპირა. ბაზრის კარებ-  
ში ყვავილებს ყიდდნენ — ვარდებსა და  
მიხაკებს. კიდევ თეთრ გრძელღეროიან  
ყვავილებს. მოხუცი გამყიდველი იმ ყვა-  
ვილებს თაიგულებდა კრავდა და თან  
ცალი თვალი მუშტრისაკენ ეჭირა. ბიჭი  
იდგა და უყურებდა. მას საღდაც ენახა  
ასეთი ყვავილები. „მგონი სასაფლაოზე  
ენახე“, ფიქრობდა. უცებ გაახსენ-  
და — მეხსიერებაში რომელიღაც კინო-  
სურათში ნანახი კადრი ამოტივტივდა:  
ომიდან დაბრუნებულ მფრინავს თეთრი  
ყვავილები მიაქვს დედის საფლავზე, აი,  
სწორედ ასეთი ყვავილები. ბიჭი ისევ  
მოხუც გამყიდველს შეჰყურებდა. მან  
უკანასკნელი თაიგულიც ჩადო წყლიან  
ქოთანში და ბიჭს თვალი ჩაუკრა. „ვი-  
ყიდი!“ — გადაწყვიტა ბიჭმა.

— ეგ ყვავილები რაღად გინდო-  
და? — ჰკითხა დეიდა ქეთომ და სანო-  
ვავის ჩანთა ჩამოართვა. ბიჭი თავდახრი-  
ლი იდგა და იბღვირებოდა.

— რას იბღვირები? — გაიცინა დეი-  
და ქეთომ.

— სასაფლაოზე მივდივარ, — თქვა  
უცებ ჩახრინწული ხმით ბიჭმა და გა-  
წითლდა. დეიდა ქეთოს ცრემლნარევი

სითბო ჩაუდგა თვალბში. უცებ დაიხა-  
რა, ბიჭს ლოყაზე აკოცა და სამზარეუ-  
ლოში შებრუნდა.

სასაფლაო არც ისე შორს იყო.  
ბიჭმა რკინიგზა გადაჭრა და აღმაოთს  
შეუყვია. მზე აცხუნებდა. სველ ქვა-  
ფეხილს ორთქლი ასდიოდა. მალე მწვა-  
ნედ ახასხასებული ხეების იქით ეკლე-  
სიის ჯვარი ამოიწვერა. მერე ბიჭმა სა-  
საფლაოს ნაცრისფერი გალავანიც დაი-  
ნახა.

დედის საფლავს ადვილად მიაგნო.  
საფლავის ქვა წვიმას დაესველებიხა.  
ქვაზე ძველი, გამხმარი თაიგული იდო.  
მასზე შერჩენილი წვიმის წვეთები მზე-  
ზე პატარა. მარგალიტებზე ბრწყინა-  
ვდა. ბიჭმა მას ლამაზი ყვავილები მიუ-  
წყო გვერდით და უცებ სინდისის  
ქენჯნა იგრძნო. „სულ დაგვაიწყდა“.  
გაიფიქრა და სველ ქვას ხელი გადაუს-  
ვა. ჰაერში სველი მიწისა და ბალახის  
სუნი იდგა. გარშემო სიჩუმე და მყუდ-  
როება გამეფებულიყო. შორიდან კი  
ქალაქის ჩვეული გუგუნე აღწევდა  
ოდნავ.

ქვემოდან ნაბიჯის ხმა გაისმა. ბიჭმა  
კაცი დაინახა. იგი უხერხულად უვლიდა  
გვერდს საფლავის ლოდებს და ატალ-  
ხებულ ბილიკს მოჰყვებოდა. კაცს  
თეთრი ყვავილები ეჭირა ხელში. ბიჭს  
მიუახლოვდა და დამნაშავესავით გაი-  
ღიმა.

**თეიმურაზ ჯღარაკაძე**

**უ ა ნ რ ა**

მსკიზი

— უჯარ, უჯარ, — კუბეში თავი შე-  
მოყო გამყოლმა და ფოლადის კბილები  
გადმოყარა, თოფებით რომ დაგვინა-  
ხა, — ოხოტიტ დომან, და? — დაგვიმ-  
ტერია რუსულ-თათრულად.

— უტკა, უტკა, — მხარი ავუბი მეც.  
ორთქლმავეალმა ერთი მიაკივლა და  
გაჩერდა. პლატფორმაზე ჩამოვხტით.

ვახანიკი

დეკემბერია. ცივი, ქარიანი დეკემბერი. ტალახით გაგლესილ ასფალტზე ტყაპატყუპით მივაბიჯებთ. ოთხნი ვართ. ჯერ კიდევ ბნელა. საათზე ვიხედები: ხუთია.

— ავტობუსი შეიძის ნახევარზე გადის, არა? — ვეკითხები გივისს.

— ჰო, მგონი, წამო ჩაიხანაში, გავთბეთ ცოტა.

წავედით.

— იოლდამ შირინ ჩაი! — გასძახის არმაზი.

კვამლით გამჟვარტლულ ოთახში, მავიდებს შორის ციბრუტივით ტრიალებს ღიბიანი თათარი; ლამბაქების პირამიდა დაუხვავებია მკლავზე. დავთვალე: თხუთმეტია. ნეტა როგორ ახერხებს? — ვფიქრობ ჩემთვის.

არმაზი უკვე მეორე ჭიქას სვამს. სულ დამავიწყდა, მეტქება, რომ შეჯიბრი გაქვს — ვინ მეტს დალევს.

— გემრიელი ჩაია. აზერბაიჯანელებს საკუთარი წესი აქვთ ჩაის მოდუღებისა, — ამბობს არმაზი, — ერთხელ მასწავლეს კიდევ, მაგრამ დამავიწყდა. დიდი ჩალიჩი უნდა.

ნება-ნება ვსვამთ მუქ ჩალისფერ სითხეს. სითბო ნელა, მაგრამ ჯიუტად გვეღვრება სხეულში. ტანში საამო ურუნტელი მივლის. სასიამოვნოდ მაზმოვრებს.

საათის ისარი შეიძის ნახევარს უახლოვდება.

— დროა, წავიდეთ. იოლდამ, გელბურა, — ვეძახი მომტანს, ფულს ვაწვდი და ხელს მსუქან ბეჭებზე ვუტყუაბუნებ.

— იახში ჩაი, სადოლ, სადოლ! — ბუხუნებს თათარი და დიდ, ბანჯგვლიან მარჯვენას მართმევს.

სადგურის მოედანზე გავდივართ. ავტობუსი ჩამოდგარა.

— ზარდოფ, ზარდოფ! — ვყვირით ოთხივე.

— ზარდოფ, სუდა, ზარდოფ, სუდა! — გვესმის პასუხად.

ავტობუსი ზანტად მირახრახებს, მთელი კირწყულუ ზგზუე. ჯერ კიდევ ბნელა.

— რვა საათზე თენდება. ზუსტად ჩავუსწრებთ, — ხმაილადა ფიქრობს თამაზი, — ამინდიც საიხვეა სწორედ. ცოტაც რომ ჩამოთოვოს, მისწრება იქნება.

— შარშან, გახსოვთ, რამდენი იხვი იყო? — ისმის გივის ხმა, — ხო, ხო, რადრო იყო, ლულებს ხელს ვერ ვაკარებდით, ალმური ასდიოდა.

ყველა გაჩუმდა. ალბათ შარშანდელ ტყვიელ მოგონებებს თუ მიეცნენ. მე? ეჰ, მე კი შარშან სანადიროდ საერთოდ არ ვყოფილვარ. თოფი არ მქონდა თბილისში და თანაც ერთ გაწამაწამში ვიყავი პრაქტიკაზე. არაფერია, — გულს ვიმშვიდებ ჩემთვის, — წელსაც იქნება. სიგარეტს ვუკიდებ და ფანჯარაში ვიყურები. გარეთ კი ზამთრის დამეა. უღრუბლო, ვარსკვლავებით მოჭიქული, ქარსუსხიანი დამე. უკან ვილაც აზერბაიჯანელი ზის. რაც მოვდივართ, სულ ბაიათს მღერის. ეტყობა, გადაკრულშია. საინტერესო ჩვეულება აქვთ ამ აზერბაიჯანელებს — სიმღერით ჰყვებიან თაკიანთ თავგადასავალს, სევდის, სიყვარულისა თუ სიძულვილის ამბავს. ლაპარაკზეც რომ დააკვირდეთ, გეგონებთ, მღერიანო. მომწონს ეს გულმართალი, გამტანი და გამგებიანი ხალხი. თავს განაცვალებენ, თუ მეგობრად გიგულეს. მახსოვს: შარშანწინ, ერთი აზერბაიჯანელი დავპატივე თბილისში, საახალწლოდ. ვწევარ შინ, ჩემთვის, და დილაუთენია ზარი გაისმის. კარს ვადებ. ვხედავ, აგიბალა ჩამოსულა, ვეხვევი. ის კი რატომღაც კიბზე ჩარბის უკან და ხელით მანიშნებს.

— პადაქდი, და!

გაკვირებული ვუყურებ.

კიბზე კიკინ-ბაკუნი და ერთი გნიასია.

თვლებს არ ვუჭერებ.

— ეტო ჩტო, აგიბალ? — ვეკითხები.

— ავეც; და!





ცხვარი, მოგეხსენებათ, კარგი რამ არის, მაგრამ მეოთხე სართულზე, კომუნალურ ბინაში რომ მთელ ფარას მოგაყენებენ, როგორი საქმეა? რალა ბევრი გვაგვარძელო, ის ცხვრები გავაყი- დინე ავიბალას. იმ ფულით ერთი კარგი თოფი და სანადირო ძაღლი ვაყიდინე. მერე ქართული ღვინის ქაშნიკიც გავა- სინჯე და რამდენიმე დღის შემდეგ, კარ- გა შეჭიკჭიკებული გავაცილე სადგურ- ში.

მათთან, სოფელში რომ ჩავდივარ, ხარზემით მხვდებიან.

— ტიმურ ხან ბურია.  
ხანობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნახზე თათრულად ფეხის მოკეცვა, ცხელი ჩაი და მონადირულ ამბებში გრძელი ზამთრის დამეცების გატარება კი მომწონს.

ჩამოვედით.

ტბამდე კილომეტრ-ნახევარი იქნება. სულმოუთქმელად მივთელავთ გამხმარ ლერწმებს. ირგვლევ ჭაობია. იხვების ყვიტყვიტი ისმის. „აქ ღორიც იქნება“ — ვფიქრობ ჩემთვის და ზურგჩანთას სამ- ხრეულით მაღლა ვიწევე, მხრებზე, რომ უფრო მოხერხებული სატარებელი იყოს.

— ამ მინდვრებს იქით უკვე ტბაა, — ამბობს არმაზი. — თათარიანხანდ დავ- ნაყრდეთ და გზა განვაგროთ.

ვივი არაყს ასხამს.

— ჩვენი ნადირობისა იყოს! — ამ- ბობს თამაზი.

— თითოც დავლიოთ, ღმერთი სა- მობითათაო.

მაგრამ მე მესამეს აღარ ვსვამ — დაცლილი მაქვს, ნადირობისას აღრე ვიღლები ხოლმე.

ორ ჯგუფად დავნაწილდით. მე და თამაზი მარცხნივ წავედით. უხმაუროდ მივაბიჯებთ, თოფში ვაზნებს ვაწყობთ. ალიონი შეუმჩნეველად წამოგვეპარა. ფარჯა ნამით იტუნებდა. მარჯვენა ხე- ლი მექავება. მომეყინა ალბათ. ცივი ლითონი ხელში ნემსივით მჩხვლეტს, წამდაუწყუმ ვიორთქლავ მჯილს. თამაზი ჩემგან ასიოდე მეტრზე იქნება ჩასაფ- რებული.

ტბა მოკრიალეხულია. ჩქამი არ ის- მის. ქარიც ჩადგა. თითქოს ბუნება გა- ინაბა რალაც გრანდიოზულის წინ, რო- მელიც, ეს-ესაა, უნდა დაიწყოს. სველი ლერწამი უსიამოდ მილიტინებს კისერ- ზე. ვიმშუშნები.

სროლა გახტურდა. იხვი მოდის, ტრი- ალებს ტბის თავზე. მეც ვტრიალებ მარ- ცხნივ და მარჯვნივ. ოფლად ვიღვრები, ფარჯას ვიღვდავ. ვერა მშველის — გა- ცილებ. არ ვიცი, რა მომდის, რის ბრა- ლია. უწინ უკეთ ვისროდი. ხელი თუ გადაეჩვია. ვცდილობ, მეტი თავდაჯე- რებით ვესროლო. როგორც იქნა, ერთი ჩამოვიღე დუბლეტით.

გადაფრენა დამთავრდა. ყველანი ერ- თად ვიყრით თავს. ბიჭებს ბლომად და- უხვოცავთ.

— არაფერია, შენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული! — იცინის თამაზი.

ბოლბა მიბყრობს. თვითონაც არ ვი- ცი, რატომ, კუმტად შევეყურებ და ხმას არ ვიღებ.

არმაზი და გივი კურდღელზე აბირე- ბენ ნახამპარში შესვლას.

— ლაქაშებში გადავალ, — გამბობ მე, — საღამოს აქ შევხვდეთ, ტბას- თან, — რეზინის ჩექმებს ბოლომდე ვი- წევე.

— მეც შენთან მოვიდივარ, — ამ- ბობს თამაზი.

— წამოდი, თუ გინდა, — ცალყუად ვეუბნები.

ლაქაშებს შევერით. შუაღდე გადა- ვიდა. ფეხქვეშ წყალი ჭყაუნობს. თხელ ჭაობში კოჭებამდე ვეფლობით. ეტყო- ბა. წყალი ახალდამდგარია და ნიადაგ- ში ვაჯდომა ჯერ ვერ მოუსწრია.

—მეტიჩარა ვინმე ჩანს, რას შემო- მეტენა?! — ვბუტბუტებ და ნაბიჯს ვუ- მატებ.

— წამოვიდა, წამოვიდა! — ისმის თამაზის ხმა.

თავზე, მართლაც, იხვის გუნდმა გა- დავგიფრინა. მჭახედ იქუხა ჩემმა



„ტულკამ“. „ახლოს ჩამოვარდა“, — გავიფიქრე და სირბილით გავეშურე იხვის ასადებად. ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. წელამდე ჩავვარდი. მინდა ფეხი წინ წავდგა, მაგრამ უფრო და უფრო ვეფლობი. ბრაზი მერევა. ლაქაშებს ვებლაუტები, მაგრამ, ვგრძნობ, დამოუკიდებლად ვერ დავაღწევ თავს. „დაფუძახო?“, „დამცინოს მერე? არა, არ დავუძახებ“... უკანასკნელ ღონეს ვიკრებ. პირაღმა ვემხობი და ცვდილობ ხოხვით გამოვიდე.

— მოიცა, მოგეხმარები, — მესმის ზურგიდან.

„თამაზია. მაინც დამინახა“, — ვბრაზობ გულში.

ალბათ სახეზეც მეტყობა, რომ ვბრაზობ. მაგრამ, დახე, თამაზიც ჩავარდა. ეტყობა, საფლობია, ორივეს გვეცინება.

ხმელ გვიმრას ჩალის ბულულივით ეღება ცეცხლი. ტანსაცმელს ვიშრობთ. თოფს ვასუფთავებთ ტალახისაგან.

თამაზს ვაკვირდები. ტარანივით ბიჭი არ ყოფილა?! ღია წაბლისფერი ქოჩორი შუბლზე დაჰყრია. ხშირი, გადაბმული წარბები, არწივის ცხვირი, მოგრძო სახე, თხელი ტუჩები.

— მომშიგდა, — ვამბობ და ზურგჩანთას ვხსნი.

ყბებს გამალებით ვამუშავებთ.

— მაჭკუნარა სოკო არ გიყვარს? — ილტკმება თამაზი.

— კი, როგორ არა.

— რატომ არ ჭამ მერე? ძალიან გემრიელია, დედაჩემის გაკეთებულია.

მართალი გითხრათ, სოკო არ მეჭამა მანამდე. რატომღაც მომერიდა კიდევ, მეტყვა. სოკო გადავიღე.

— ძალიან გემრიელი ყოფილა.

შევვატყვე, გაეხარდა.

— შენ სად ცხოვრობ? — მეკითხება თამაზი.

— ვაკეში.

— მეც ვაკეში. მრავალი ბაღი უნდა იქვე, ცოტა ზემოთ.

— გიას იცნობ?

— ცუტურას? როგორ არა, ძმაცაცია.

— ვაჰ, ჩემი ძმაცაციაა. აბა, შენ რატომ არ გიცნობდი აქამდე?

— რა ვიცი, ხდება ხოლმე.

— როგორ ჩავვარდით, არა?

— აბა, ზაფხული მაინც ყოფილიყო. სულ ამის გულისათვის, აი! — და ხუმრობით წვიპურტს ურტყამს ნისკარტზე ფრთამოტეხილ იხვს. იხვი აცემინებს, — გაიზარდე! — უბარტყუნებს ზურგზე.

იხვი? იხვი უაზროდ მოგვეტერებია. რას იზამ, ყველას თავის გასაჭირი აქვს.

სიბნელე კუბრივით ჩამოწვა. თვალთან თითს ვერ მიიტანო, რომ იტყვიან, ისეთი დამეა. წამოთინყელა.

„წვიმისათვის მაინც გაგვესწრო, — ვფიქრობ ჩემთვის, — ისინი სადღა არიან? სადგურში თუ გველოდებიან. დაგვაგვიანდა უკვე“.

— აღარ თავდება ეს ოხერი ჭაობი.

— მგონი გზა, აი, იქ უნდა იყოს, — ხელით ვანიშნე შორს, მანქანების მოძრავე სინათლეებზე.

ჩექმები წყლით გაგვევსო. აცივდა. ნაბიჯს მოფუჩქარეთ ყურს ვუვადებ ჩექმავი წყლის ჭყაპაჭყუბს. ხელზე ხელის მოჭერას ვგრძნობ. თამაზი ჩურჩულებს. წამიერად ვშეშდები. თხუთმეტიორდე მეტრზე წყვილი კაკლისოდენა თვალი ანათებს. მგონი გვიახლოვდება.

იტყვი, ჯელები არ ხართ, რამ შეგაშინათ ორი თოფიანი ვაჟაცაიო: არა, შიშმა კი არა, მოულოდნელობამ გამოგვიყვანა წამით წონასწორობიდან, შეხვედრის მოულოდნელობამ.

— მგლებია, თემო! — დაიხაძა თამაზმა და ესროლა.

თოფები დავცალეთ. რაღაცამ ტყაპანი მოადინა წყალში.

— მოხვდა! მოხვდა! — ღრიალით  
მივცვივდით.

უამთა სიავისაგან დაფხავებულ-  
გამოფიტული, ჭიებისაგან გამოხრული,  
ფოსფორმოდებული კუნძი თუ ხედნამ-  
ყოფი უმწეოდ ტივტივებდა წყალზე.  
ქარი ზუზუნებდა. ლაქაშები შრიალებ-  
დნენ და ეს შრიალი უფრო ხითხითს წა-  
ავავდა ახლა.

ჩუმად, ნაცემი ძაღლებივით ყურებ-  
ჩამოყრილი მოვდივართ უკან. გაბუ-  
ტულებივით მოვაბიჯებთ, გვრცხვენია  
ერთმანეთის შეხედვისა.

— ხდება ხოლმე. ასე პაპაჩემმა კამე-

ჩი მოკლა ღამით. ტახი ეგონა თურ-  
მე, — ამბობს თამაზი.

— იმან რაღაც მაინც მოკლა. ჩვენ  
კი...

— ბიჭებთან არაფერი წამოგვეცდეს,  
თორემ გარეთ აღარ გამოგვეყოფა თავი.  
ამასობაში გზაზე გამოვედით. სატ-  
ვირთო მანქანამ ჩამოიარა. თივაზე და-  
ვეყარნით და ნეტარებით გავაბოლეთ  
დანესტიანებული სიგარეტები.

გივი და არმაზი?

თქმა არ უნდა, ჩაიხანაში არიან. მერ-  
ვე თუ მეცხრე ჭიქა ჩაის მიირთმევენ  
და საკუთარ გულის ჭიას ახარებენ.







1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ჩვენი დიადი სამშობლოს ბედნიერი ბავშვები თავიანთ წვრილ ხმას უერთებენ ამ საყოველთაო ზეიმს.

წლეულები წელი განსაკუთრებით სასიხარულოა ქართველი ნორჩებისათვის. მათ საყვარელ ჟურნალ „დილას“ არსებობის 40 წელი შეუსრულდა.

„ცისკარი“ სულითა და გულით ულოცავს „დილას“ — დედაენის ამ დაუშრეტელ წყაროს, სახელოვან იუბილეს და ახალ წარმატებებს უსურვებს მას ჩვენი ბედნიერი თაობის სასიხარულოდ.

## ბივი ძნელაქე

### აქარბული, ჩაქარბული

აჭიკტიკდნენ ჩიტუნები,  
აჩუხჩუხდა ნაკადული,  
აელვარდა არემარე,  
აქარგული, ჩაქარგული.

გაზაფხულმა გაგვახარა,  
გალამაზდა მთა და მდელი,  
ამღერდა და ახმაურდა  
საყვარელი საქართველო.

## ბივი ჭიჭინაქე

### ზღარბი

ზღარბო, ზღარბო ჭაცვია,  
ეს რა ქურჭი გაცვია!  
დამიკაწრეს ხელები  
მაგ ჩსუტუნა ნემსებმა,  
ნეტავ, შენი დედიკო  
როგორ გეაღერებდა!

## მუხრან მატაპარიანი

### ვანო

ვანომ ლოგინი თვითონ დაიგო,  
არ მოაცდინა კითხვას დაიკო.  
თავითი ბალიშიც თვითონ დაიდო,  
დედამ აკოცა ვანოს ამიტომ.

## ც ე კ ვ ა

ტაში, ტაში, ტაში, ტაში,  
ითამაშე თამრიკო,  
დაუარე, გენაცვალოს  
დედიკო და მამიკო.

ტაში, გოგო, ტაში, ბიჭო,  
ეს გოგონა ვისია,  
თმახუჭუჭას როგორ შვენის  
დაწინწყლული ზიზია.

ტაში, ტაში, ტაში დაჰკარ,  
დილილ, დილილ, დილილმე.  
აბა, ბიჭო, გადაუხტი,  
შენი ცერის ჭირიმე!

## ჯანსუღ ჩარკვიანი

ერთი, ორი და სამი,  
გიგლამ შემოდგა სკამი.  
ორზე არა და სამზე —  
მე უცებ შევხტი სკამზე.

სამი, ოთხი და ხუთი,  
სიწყნარე იყოს წუთით...  
ბაბუამ გაჰკრა კვესი  
და მეც დავიწყე ლექსი:

ხარობს მამული ჩვენი  
და მზე დაჰნათის ზვრებს,  
დიდება ძია ლენინს —  
დიდი ოქტომბრის მზეს!

## სოსოური აბგაპი

ბულბულმა სტვენა მასწავლა,  
რაკრაკა წყარომ ანბანი,  
მობრძანდნენ მინდვრის ყვავილნი  
და მომიქარგეს კაბანი...



მტრედმა ბუმბული მოზიდა  
და შემიკერა საბანი,  
იამ მიმღერა ნანინა —  
ვარდისწყლით ხარო ნაბანი...  
რაც უნდა მეთქვა ეს იყო —  
ჩემი ცისფერი ამბავი.

## ბივი გეგეჭქორი

ქარო, ფეხები არა გაქვს,  
ხვალ ჩვენთან როგორ მოხვალ?  
მე ორი ფეხით დავდივარ,  
ოთხი ფეხი აქვს ძროხას.  
ყურშასაც ოთხი ფეხი აქვს,  
ჭიამაიას — ექვსი,  
რვა ფეხით ზვირთებს მთარღვევს  
რვაფეხა ცისფერ ზღვებში.

## აფხარ კვიგაიფილი

### მონაღირე

გამოუთალა ზურიას  
პაპამ მშვილდი და ისარი,  
ზურია კოხტა ბიჭია,  
ჯერ მხოლოდ ხუთი წლის არის.

კვალდაკვალ დასდევს მურია,  
ეზოში დადის ზურია,  
ისარს ყვავ-ყორნებს უმიზნებს,  
იმათი მოკვლა სწყურია.

ტოროლასა და ნიბლიას  
არ ესვრის არასდიდებით,  
სულ იგალობონ,  
იხარონ,  
რას უშავებენ ჩიტები...

## გარიულ ჭანგური

### ტყუპები

ავდგები და ნახშირით  
მაგრად მოვითხუპნები,  
თორემ ყველას ვეშლებით  
მე და გია — ტყუპები.



კვიცს ვაჭამე შაქრის კენიტა,  
ლამის ხელი მომაკენიტა.  
ტკბილი ისე მოეწონა,  
მეორედაც მომაკითხა.

## გორის უოცნიშვილი


### გამარჯობა

ხარი ხარს რომ შესვდება,  
ესალმება ძმურად,  
მამლაცინწა მამალი  
სულ თავს უკრავს მურას.

„გამარჯობათ, ჩიტებო!“ —  
თხა კიკინებს გზაზე,  
ღრუტუნა სომ ღორია,  
გოჭებს სალამს აძლევს.

მხოლოდ ერთი ბიჭია  
გულმაღვიწყვი მეტად, —  
გამარჯობა არ იცის,  
სხვა რა იცის, ნეტა?!





რიჩარდ რაიზი

### ბიბ ბოი ტოპეგს სხლ-ქარს

ამერიკელმა ზანგმა მწერალმა რიჩარდ რაიტმა პირველი მოთხრობე-  
ბითვე მიიქცია პროგრესული საზოგადოების ყურადღება. რომანებმა „ამე-  
რიკის შვილმა“ და „დაუსრულებელმა ოცნებებმა“, მოთხრობების კრებულ-  
მა „ბიძია თომას შვილები“ მწერალს მსოფლიო აღიარება მოუპოვა. რი-  
ჩარდ რაიტმა რასობრივ დისკრიმინაციას პროტესტი გამოუცხადა, სამშობ-  
ლო მიატოვა და საფრანგეთში გადასახლდა. აქ გარდაიცვალა 1960 წელს.  
ეს მოთხრობა ამოღებულია კრებულიდან „ბიძია თომას შვილები“.

მართალი თუა, რასაც მღეროან საშხრეთზე?  
თითქოს მთელი წლით იქ მზე ჩახჩახებს  
მარად?

ლობებს გასწვრივ მაგროლები ჰყვავის,  
და მაძღარია ყველა ხორცითა და ქონით?  
მართალი თუა, რასაც მღეროან სუანზე?  
ასე ტყბილია მის ნაპირებთან ოცნება?  
ასე მხურვალედ თუ უყვართ, როგორც  
მღეროან?

თუ მართალია,— მკვიდრი ვარ მე ამ ადგილის.  
(ხალხური სიმღერა)

საცვალს არ იცვამს დედაშენი...  
ხმა მკაფიოდ მოედო ტყეს და მიყუჩ-  
და. სხვა ხმა ექოსავით გამოეხმაურა:  
ჩემთან იგი იხდიდა მას...  
კიდევ სხვა ხმა, გამკვივანი, წყვეტილი:  
იგი დვინოში რეცხავდა შას...  
შემდეგ ჰარმონიულად შეწყობილი,  
ყმაწვილური ხმების კვარტეტი ხეთა  
კენწეროზე აიჭრა:

და კაუჭზე კიდებდა...  
ოთხი ზანგი ბიჭი მხიარული სიცილით

ტყიდან გამოვიდა. ზანტად მიაბიჯებდ-  
ნენ ფეხშიშველები და თან ერთმანეთზე  
გადახლართულ ვაზსა და ბუჩქებს შოლ-  
ტავდნენ.

- ეჰ, რა ცუდია, რომ შემდეგი სიტყ-  
ვები არ ვიცი.
- მართლაც ცუდია.
- მიხვალ იმ ადგილამდე, კაუჭზე  
რომ ჩამოვიდებდა და მორჩა.
- როგორი რითმებია კაუჭზე?
- გაუჭზე.
- მაუჭზე.
- ბაუჭზე.
- სიცილ-ხარხარით გაგორდნენ მოლზე.
- ბიბ ბოი!
- ა?
- იცი რა?
- არა.
- შენ შეირეკე, ბიჭო!
- შევირეკე?
- მთლად შეირეკე!

\* ლექსები თარგმნა ლ. სულაბერიძემ



- რატომ შევირეკე?!
- აბა რას ნიშნავს ბაუჭზე?
- შენ შემეკითხე, რა რითმებიანო კაუჭზე. შემეკითხე, ხომ?
- მაგრამ რას ნიშნავს ბაუჭზე?
- ზანგო, ბაუჭზე ნიშნავს ბაუჭზე. იცნოლენენ, მიწიდან ფეხის თითებიო გლუჯდნენ მაღალ, მწვანე ბალახს.
- იყოს ბაუჭზე — ბაუჭზე, მაგრამ რას ნიშნავს გაუჭზე?
- მე კი ვიცი!
- აბა თქვი.
- აი, როგორ იმღერება ეს:

ს ა ე ვ ა ლ ს ა რ ი ც ვ ა მ დ ა დ ე დ ა შ ე ნ ი,  
ჩ ე მ თ ა ნ ი ხ დ ი ლ ა ი გ ი შ ა ს,  
ღ ვ ი ნ ო შ ი რ ე ც ხ ა ვ დ ა მ ა ს  
ღ ა კ ა უ ჭ ზ ე კ ი დ ე ბ ღ ა.  
შ ე მ დ ე გ ა ე ვ ა მ დ ა გ ა უ ჭ ზ ე .

- ისევ გაიცინეს. ზურგზე იწვნენ მუხლებზეშვერილები, სახე თაკარა მზისთვის მიეპყროთ.
- ბიგ ბოი, შენ შეირეკე!
  - აბა რატომ მკითხე?
  - ზანგო, შენ შეირეკე!
- იწვნენ გატრუნულნი, მოლიმარნი, თვალმოჭუტულები.
- რა თბილია მიწა.
  - ლეიბივით.
  - ღმერთო, აქედან სულაც არ წავიდოდი.
  - მეც არ წავიდოდი.
  - მზე ძვალსა და რბილში ატანს.
  - ძვლებს მითბობს.

შორს ნადვლიანად დაიკვილა მატარებელმა.

- მეოთხე ნომერმა გაიარა.
- მთელი სისწრაფით.
- ჩრდილოეთისკენ მიდის. ღმერთო, ჩრდილოეთისკენ!

ამღერდნენ. თან შიშველი ქუსლებით მიწაზე ტაქტს აყოლებდნენ:

მატარებელი დიდებისკენ მიდის,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
მატარებელი დიდებისკენ მიდის,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
მატარებელი დიდებისკენ მიდის,  
ვინც მას მიჰყვება, დარდი არ იცის, არა,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
მატარებელი...

მატარებელს არ მიჰყავს ლოთები,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
მატარებელს არ მიჰყავს ლოთები,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
ვინც მას მიჰყვება, ფეხით არ დადის, არა,  
მატარებელი, ო, ალილუია,  
მატარებელი...

როცა სიმღერა დაამთავრეს, გადახარხარეს, წარმოიდგინეს მატარებელი დანიშნულებით — დიდება.

- კარგი სიმღერაა!
  - ფუ-ფუ-ფუ...
  - რა მოხდა?
  - ფუი...
  - რაშია საქმე?
  - ვილაცამ ჰაერი გააფუჭა.
- ბეკი, ბობი და ლესტერი წამოხტნენ. ბიგ ბოი არ განძრეულა, თავი მოიმძინარა.
- ღმერთო, რა მყრალი სუნი დააყენა!
  - ბიგ ბოი!
  - ბიგ ბოიმ ზვრინვა ამოუშვა.
  - ბიგ ბოი!
  - ბიგ ბოი, თითქოს სიზმარშიაო, გვერდზე გადაბრუნდა.
  - ბიგ ბოი!
  - მ-მ?
  - შენ მთლად დამპალხარ!
  - დავმპალვარ?!
  - ღმერთო, ნუთუ არა გრძნობ?!
  - რას არა ვგრძნობ?
  - ზანგო, ცხვირი გამოტენილი ხომ არა გაქვს?
  - რას არა ვგრძნობ?
  - ზანგო, შენ ჰაერი გააფუჭე!
  - ბიგ ბოიმ გაიცინა და თვალი დახუჭა.
  - ყოველთვის ის ქათამი კაკანებს, კვერცხი რომ დაღო.
  - ჩვენ ქათმები არა ვართ.
  - აბა ვინ კაკანებდა?
  - სამნი განზე გადგნენ და ცხვირი მიაბრუნეს.
  - წავიდეთ!
  - საით გასწიეთ?
  - საბანაოდ.
  - წავიდეთ, ვიბანაოთ.
  - რას ამბობთ! — თქვა ბიგ ბოიმ და

ბრაზმორეულმა ჰაერი ხელისგულით გაჰკვეთა.

— წამოდი, ნუ იმანჭები!  
— გინდათ ლინჩი მომიწყონ? არავე-  
თარ შემთხვევაში!  
— იგი ვერ დაგვინახავს.  
— რა იცი?  
— ვიცი, რომ ვერ დაგვინახავს.  
— თუ თქვენ გინდათ, წადით. მე კი აქ ვრჩები, — თქვა ბიგ ბოიმ.  
— ერთი მაგისი! წავიდეთ, — თქვა ბეკმა.

სამივე გზას გაუდგა ბალახისა და ბუჩქების შოლტვით. ბიგ ბოი ზანტად უყურებდა მათ.

— ეი!  
არ გაჩერებულან, ისე მოიხედეს ბიგ ბოისკენ.  
— ეი, ზანგებო!  
— წამოდი!

ბიგ ბოიმ დაიჯიჯიყა, შოლტი აიღო, ადგა და ჩანჩალოთ გაჰყვა ამხანაგებს.

— დამიცადეთ!  
— წამოდი!  
გამოუდგა, დაეწია, მხრებზე შეახტა და წააქცია სამივე.

— დაცა, ბიგ ბოი!  
— ეშმაკმა წაგიღოს, ზანგო!  
— ხელი გამიშვი!

ბიგ ბოი გორაობდა მდელოზე, იცი-  
ნოდა და ფეხებს მიწაზე აბაგუნებდა.

— ჩვენ რა, შენი ცხენები ვართ?  
— თქვი, რაღა!  
— აი, სამივე გექვერებით და ნახავ, რა დღეს დაგაყრიო!  
ბიგ ბოიმ ჩაიცინა.

— მართლა?  
— რაო, არ მოგწონს?  
— ისე მიგყეპავთ, სული ფეხებში გა-  
ვივიდეთ!

— სამს ვერ მოგვერევი!  
— აბა, გამოდით!  
გარშემო შემოერტყუნენ.  
— ბეკ, შენ ფეხებში ეცი!  
— შენ კი, ლესტერ, თავში!  
— შენ, ბობ, უკანდან მოუარე და ხელეები გაუკავე!

დახტოდნენ ბიგ ბოის გარშემო.

— გამოდით რაღა! — უთხრა მათ ბიგ ბოიმ; ხან ერთისკენ გაიშვერდა ხელს, ხან მეორისკენ.

ბიჭები გარშემო უვლიდნენ, მაგრამ ახლო მისვლას ვერ ბედავდნენ. ბიგ ბოი შედგა და დონიჯშემოყრილი უყურებდა მათ.

— სამნი ხართ და მაინც გეშინიათ.  
— სხვა დროს გავუსწორდეთ, — თქვა ბობმა.

— როდესმე მოულოდნელად გავკო-  
ჭოთ, — თქვა ლესტერმა.  
— მოტყუებით მოგვერევით, — უთხრა ბეკმა.

გაიცინეს და ერთად გასწიეს.  
— მშია, — დაიბოყინა ბიგ ბოიმ.  
— მეც.  
— მკერდის ხორცს შევჭამდი, მსუ-  
ქანს.

— ნეკნებიანს...  
— სიმინდის კვერებს კვერცხით...  
— ატმის პუდინგს საწებლით.  
— ჩუმაღ, ზანგებო!  
ამღერდნენ, თან მდგლოს შოლტავდ-  
ნენ სიმღერის ხმაზე.

მომესურვა ღვეხელი,  
ტუბილი არის ღვეხელი.  
მომესურვა ხორცი,  
წითელია ხორცი.  
მომესურვა პური,  
პური შებრაწულია,  
მომესურვა ქალაქი,  
შორს, შორს არის ქალაქი,  
მომესურვა სეირნობა,  
ვერ ვეწევი მანქანას,  
უკანაღზე ქუსლებს ვიციემ,  
სულმთლად დამილურჯდა...

გადაძვრნენ ეკლიანი მავთულის ღო-  
ბეზე და ტვერში შევიდნენ. ბიგ ბოის თვალები ნახევრად მოჭუტული ჰქონდა და ხმადაბლა უსტვენდა.

— და ე ს ხ ი თ!  
ბეკი, ლესტერი და ბობი ეცნენ ბიგ ბოის კისერში, ხელეებში და ფეხებში. ბიგ ბოიმ დაიჯიჯიყა, გააფთრებით გა-  
იბრძოლა და პირქვე დაეცა.

**რინარდ რაიტი**  
ბიგ ბოი ტომეგს სახლ-პარს

— დაიჭი!  
 — ხელები დაუჭირე! ხელები!  
 — ფეხებზე დააჯექი, წიხლები რომ არ დაგვყაროს.  
 ბიგ ბოი მიძიმედ სუნთქავდა, ცდილობდა დასხლტომოდა ამხანაგებს.  
 — ხო მ ჩ ა გ ვ ი ვ ა რ დ ი ხ ე ლ შ ი ?  
 — მიჰქარავთ! — უთხრა მათ ბიგ ბოიმ. ტლინკაობდა, ხელიდან დასხლტომას ლამობდა, ხან ერთს სტაცებდა ხელს, ხან მეორეს.  
 — მომეხმარეთ, ხელები გავუჟავო! — შესძახა ბობმა.  
 ბიგ ბოიმ მარცხენა ხელი შემოავლო ბობს კისერზე. მარწუხივით მოუჭირა.  
 — ჩაგივარდით, ხომ?  
 — დაიჭირეთ!  
 — ერთი მაგრა მივცხოთ!  
 — რას უყურებთ, მომეხმარეთ, ხელები გავუჟავოთ. კისერზე წამიჭირა! — დაიყვირა ბობმა.  
 ბიგ ბოიმ კიდევ უფრო ძლიერ წაუჭირა კისერზე და თავი დაახრევიანა.  
 — ჩაგივარდით, ხომ?  
 — გამიშვი, ბიგ ბოი, არ დამახრხო! მტკივა! — ყვიროდა ბობი.  
 — შენც გამიშვი, — უთხრა ბიგ ბოიმ.  
 — მე არ გაკაეებ! ისინი გაკაეებენ! — წუწუნებდა ბობი.  
 — უთხარი გამიშვიან, თორემ დაგახრხო, — უთხრა ბიგ ბოიმ.  
 — გესმით, ხელი გაუშვით, თორემ დამახრხო! — დაიხრიალა ბობმა.  
 — დაიჭი, ბობ!  
 — კისერი წამაწყვიტა...  
 ბიგ ბოიმ კიდევ უფრო მაგრა მოუჭირა.  
 — იცოდე, დაგახრხო, თუ არ ეტყვი, ახლავე გამიშვიან ხელი.  
 — გამიშვი, — ატირდა ბობი.  
 — რატომ არ იჭერ, ბობ? — ჰკითხა ბეკმა.  
 — არ გესმით, გაუშვით, დავიხრჩვი.  
 — კისერში წვდი, ბობ!  
 — არ შემიდლია... ხრ... ხრ... ხრ...  
 ბობისთვის რომ ეშველათ, ლესტერი და ბეკი წამოხტნენ და გაიქცნენ. ბიგ ბოიმ ხელი უშვა ბობს. ბობი ძლიერ წა-

მოდგა, სრუტუნებდა, თან კისტის ხელები ლავდა.  
 — ეშმაკმა წავიღოს, ზანგო, კინალამ დამახრჩვე.  
 — სხვა დროს უარეს დღეს დაგაყარი, — უთხრა ბიგ ბოიმ.  
 — ბობს რომ მაგრა გაექაჩე, მოგერეოდით, — შორიდან დაუძახა ლესტერმა.  
 — სწორედ თავს გავაქაჩინებდი, — უთხრა ბიგ ბოიმ.  
 ერთად გაიმინძილეს, თან შოლტს იქნევდნენ.  
 — გესმით, როცა მთელი ჯგრო დაგეხვევა, — დაიწყო ბიგ ბოიმ, — მარტო ერთი უნდა მოიგდო და აიძულო სხვებს უთხრას, თავი დაანებეთო, გასაგებია?  
 — ყოჩაღ, ბიგ ბოი!  
 — კარგად მოგიფიქრებია!  
 — მაგრამ კინალამ დამახრჩვე, შე ეშმაკის ფეხო, — უთხრა ბობმა.  
 — მე ყოჩაღი ზანგი ვარ, — თქვა ბიგ ბოიმ და მკერდი წამოჯგომა.

2

პატარა ტბასთან მივიდნენ.  
 — მე არ ჩავალ, — თქვა ბობმა.  
 — გეშინია? — ჰკითხა ბიგ ბოიმ.  
 — არა, არ მეშინია...  
 — აბა, რატომ არ ჩავალ?  
 — ხომ იცი, ბებერი ხარვეი აქ ზანგებს ბანაობის ნებას არ აძლევს.  
 — შარშან ბილის ესროლა იმის გამო, რომ აქ ბანაობდა, — თქვა ლესტერმა.  
 — სისულელეა, ჰარვეის ზანგებისთვის არ სცალია, — თქვა ბიგ ბოიმ.  
 — შინ ზის, გოგოებზე მისდის სული, — თქვა ბეკმა.  
 გაიცინეს.  
 — უსირცხვილო ხარ, ბეკ, — უთხრა ლესტერმა.  
 — ბებერ ჰარვეის ცალი ფეხი სამარეში უდგას, რა დროს მისი გოგოებია, — თქვა ბობმა.  
 — ისე გამოშრა ხარვეი, წვეთი წვენი არ დარჩა ტანში, — თქვა ბობმა.  
 — აბა, ჩავიდეთ, — თქვა ბიგ ბოიმ.  
 ბობმა ხელი გაიშვირა.



— ხედავ იქ წარწერას?  
— ვხედავ.  
— რა წერია?  
— კ ე რ ძ ო მ ა მ უ ლ ი, — წაიკითხა  
ლესტერმა.

— იცი, ეს რას ნიშნავს?  
— ეს იმას ნიშნავს, რომ ძაღლებს და  
ზანაგებს შესვლა აკრძალული აქვთ, —  
თქვა ბეკმა.

— რახან შემოვედით, — თქვა ბიგ ბო-  
ნი, — თუ დავგვიჭირეს, უბედურებას მა-  
ინც ვერ ავცდებით. ამიტომ ჯობია ვი-  
ზანაოთ...

— მაშ, მე მეორე!  
— ვინმე პირველი ჩავიდეს, მას მე  
მივყვები!

ბიგ ბონი ყურადღებით მიმოიხედა.  
ირგვლივ არავინ ჩანდა. ნელა დაიწყო  
გახდა.

— ვინც უკანასკნელი ჩავა, ის ძალ-  
ლია!

— დედაშენია ძაღლი!  
— მამაშენია ძაღლი!  
— დედაშენია და მამაშენია!

ტანთ გაიხადეს და ტანისამოსი ხის  
ქვეშ დაყარეს. ნახევარ წუთში უკვე შიშ-  
ვლები, შავები იდგნენ ტბის დაფერდ-  
ბულ ნაპირზე. ბიგ ბონი ფრთხილად  
ჩაპყო ფეხი წყალში.

— ბრრ, ცივია, — თქვა მან.  
— ჩავიცვამ, — თქვა ბობმა და ფეხი  
ამოიღო წყლიდან.

ბიგ ბონი ილღის ქვეშ სტაცა ხელი.

— ვითომ?  
— თავი დამანებე, ზანგო! — დაიყვი-  
რა ბობმა.

— გადაავდე წყალში! — უთხრა ლეს-  
ტერმა.

— თავი უკარი წყალში!  
ბობი ჩაჯდა, გაიჩაჩხა და ეცა ბიგ ბო-  
ნი. ეტყერნენ ერთმანეთს. ჩაფრენილები  
ზედ ნაპირზე ჰიდაობდნენ და ცდილობ-  
დნენ ერთმანეთი გადაეგდოთ წყალში.

— მოდი, ხელი ვკრათ!  
— ო-კეი!

სიცილით გამოქანდნენ ლესტერი და  
ბეკი და ერთმანეთს ჩაფრენილ ორ სხე-  
ულს ხელი ჰკრეს. ბიგ ბონი და ბობმა

ტყაპანი გაადინეს წყალში. და მალა  
ავარდნილი ვერცხლისფერი მხეფები  
მზეზე აბრჭყვივალდა. ბიგ ბონი ამოყურ-  
ყუმელავდა.

— არამზადებო!  
— თვითონა ხარ არამზად! — უთხრა  
ბობმა ბიგ ბონის.

ჩაყვინთეს და მეორე ნაპირისკენ გას-  
ცურეს. მღვრიე წყალი ქაფს იღებდა.  
შემდეგ უკან გამოცურეს, მძიმედ სუნთ-  
ქავდნენ.

— მოდი, რას უყურებთ!  
— უჰ, რა კარგი წყალია!  
ლესტერი და ბეკი ყოყმანობდნენ.  
— მოდი, გავწუწოთ, — უჩურჩულა  
ბობმა ბიგ ბონის.

სანამ ლესტერი და ბეკი უკან გადახ-  
ტომას მოასწრებდნენ, ბიგ ბონი და ბო-  
ბმა პეშვით შეასხეს წყალი.

— ეი, შეჩერდით!  
— ეშმაკმა წავიღოს, ზანგო, ცივა!  
— ჩამოდით წყალში! — დაიძახა ბიგ  
ბონი.

— მეტი რა ჩარაა, ვიბანავებთ!  
— გაიხედე, ხომ არავინ მოდის!  
ჩაიმუხლეს და გაიხედეს.  
— არავინ მოდის.  
— მაშ, ჩამოდით!

ბეკი და ლესტერი ნელა შევიდნენ  
წყალში. წარამარა ჩერდებოდნენ, რომ  
სული მოეთქვათ. ატყდა შეუპოვარი  
ბრძოლა; თვალდახუჭულები პეშვით  
ასხამდნენ ერთმანეთს წყალს.

— ეი, გეყოფათ!  
— გეყოფათ, კინალამ დავიხრჩვი!  
ერთ ადვილას შეიყარნენ, ქშინავდ-  
ნენ, თვალებს აფახულებდნენ, წყალი  
ჰიპამედ წვდებოდათ. ბიგ ბონი ჩაჯდა და  
ბობი წააქცია.

— დამეხსენი, ზანგო!  
— ნუ ღრიალებ!  
— შენი ყვირილი ერთ ვერსზე ისმის.  
— საჩემო წყალი არ არის, მცივა.  
— ეს გუშინდელი წვიმის ბრალა.

---

**რინარდ რაბინი**  
ბიგ ბონი ტოვებს სახლ-პარს

კვლავ გადაცურეს და გადმოცურეს ტბა.

— დასანანია, რომ უფრო ფართო არ არის ტბა.

— თეთრებს რამდენიც უნდათ, იმდენი აქვთ ფართო საცურაო. ჩვენთვის კი არ არის.

— მე მისისიპში ვცურავდი, როცა ვიკსბერგში ვცხოვრობდი.

ბიგ ბოიმ ჩაიყურყურებოდა და წყალს დაუბერა. გაისმა ბუყბუყი, თითქოს ბეჭემოთმა ამოისუნთქაო.

— მოდიო, ბეჭემოთობანა ვითამაშოთ!

სხვადასხვა მხარეს ვაცურეს, ჩაყვინთეს, ტუჩი წყლის ზედაპირამდე მიიტანეს და დაბერეს ისე, როგორც ბეჭემოთები სუნთქავენ. მერე დაქანცულენ ბნაპირზე გავიდნენ და იქ წამოწვნენ.

— შეხედეთ, ბატის კანი მაქვს.

— მეც.

— ვიჯდეთ აქ, შევშრეთ.

— ღმერთო ჩემო, გავიყინე!

ჩუმად ისხდნენ მზეზე, ძლივს იკავებდნენ კანკალს. ცოტა რომ შეშრნენ, ალაპარაკდნენ, თან კბილს კბილზე აცემინებდნენ.

— რას იზამდით ახლა, რომ პარვეი მოვიდეს?

— მოვკურცხლავდი.

— თოფი რომ ექნეს!

— ხმა ჩაიწყმიდე, ზანგო!

გაჩუმდნენ. ხელს ისვამდნენ სველ, მოცახცახე ფეხებზე და წყალს იცილებდნენ. შემდეგ მზით აბრჭყვიანებულ წყლის ჭავლს დააქკერდნენ.

სადღაც შორს მატარებელმა დაიკვილა.

— მეშვიდე წავიდა!

— ჩრდილოეთისკენ მიდის!

— მთელი სისწრაფით მიჰქრის!

— ოდესმე მეც წავალ ჩრდილოეთში.

— მეც.

— ამბობენ, ჩრდილოეთში ზანგები ყველა უფლებით სარგებლობენო.

ჩაფიქრდნენ. შავფრთიანი პეპელა ზედ წყლისპირზე დაფრინავდა. გაიზუზუნა ფუტკარმა. საიდანღაც წერწას

ტკბილი სურნელი მოდიოდა. ტყინამ ბელურების გაურკვეველი ჟივივი ისმოდა. ბიჭები გვერდს ინაცვლებდნენ, რომ მზეზე გამშრალიყვნენ და სისხლი გაეთბოთ. ბალახის ღეროებს წყვეტდნენ და ლეჭავდნენ.

— აი!

ზევით აიხედეს და გაოცებისაგან პირი დააღეს.

— აი!

ნაპირზე ბიჭების პირდაპირ თეთრკანიანი ქალი იდგა. მზეზე თმა უბრწყინავდა, ქული ხელში ეჭირა.

— ქალი, — თქვა ბიგ ბოიმ, — თეთრი ქალი.

გამტვრეული უყურებდნენ ქალს, ინსტინქტურად ხელებს იფარებდნენ შიშველ ტანზე. შემდეგ წამოიჭრნენ. თეთრმა ქალმა ნელ-ნელა უკან დაიხია და ხეებში მიიმალა. ბიჭები ერთმანეთს შესიქვროდნენ.

— წავიდეთ აქედან, — დაიხურჩულა ბიგ ბოიმ.

— დავიცადოთ, სანა ქალი წავა.

— წავიდეთ, თორემ ტიტვლებს მოგვისწრებენ!

— იქნებ კაცი ახლავს იმ ქალს.

— გავიქვით, ტანსაცმელი წავიღოთ, — თქვა ბიგ ბოიმ.

კიდევ შეიცადეს. დაყურადნენ.

— ეშმაკსაც წაუღია. წავალ, ჩემს ტანსაცმელს ავიღებ.

ბალახს მოეჭიდა და ფერდობზე ამოხოხდა.

\* — შეჩერდი, არ ახვიდე!

— დაბრუნდი, ხომ არ შეიშალე!

ბოზი ყოყმანობდა, ხან ბიგ ბოის შეხედავდა, ხან ლესტერსა და ბეკს.

— მე და ბიგ ბოი წავალთ და ტანსაცმელს წამოვიღებთ, — თქვა მან.

— შიშველი როგორ წახვალ, შე სულელო! — უთხრა ბეკმა. — არ იცი, ვინ არის იქ?

ბიგ ბოი ფერდობის თავზე მოექცა.

— ამოდი, — უჩურჩულა ბოზს.

ბოზი აპყვა ფერდობს. მათგან ოცდახუთი ფუტის მოშორებით თეთრკანიანი ქალი იდგა, სახეზე ხელი ჰქონდა აფა-

რებული. ბეკმა და ლესტერმა ხელეზზე აიწიეს და ფერდობის ნაპირს გადახედეს.

— დაბრუნდით, ქალს შეეშინდა, — უთხრა ლესტერმა ბიგ ბოის და ბობს.

ბიგ ბოი შედგა. შეხედა ქალს, შეხედა ტანსაცმელს, შემდეგ ბეკსა და ლესტერს.

— წამოდი, ავიღოთ ტანსაცმელი! გადადგა ნაბიჯი.

— ჯიმ! — დაიყვირა ქალმა.

ბიგ ბოი შედგა და გარშემო მიმოიხედა. ხელები ჩამოშვეებული ჰქონდა. ქალი შიშისაგან გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ბიგ ბოის, უკან დაიხია ხისკენ, სადაც ტანსაცმელი ეყარა.

— ბიგ ბოი, დაბრუნდი, დავიცადოთ, სანამ ქალი წვა!

ბობმა ბიგ ბოისთან მიიბრინა.

— წავიდეთ შინ! დავგიჰქერენ, — უთხრა ბიგ ბოის.

ბიგ ბოის ყელი გაუშრა.

— ლედი, ტანსაცმელი უნდა ავიღოთ, — უთხრა ბიგ ბოიმ ქალს.

ბეკი და ლესტერიც ამოხიხნენ ფერდობზე და შიშით შედგნენ. ბიგ ბოი ხისკენ გაიქცა.

— ჯიმ! — შეჰკვილა ქალმა. — ჯიმ! ჯიმ!

შავი და შიშველი ბიგ ბოი ქალისაგან სამი ფუტის მოშორებით იდგა.

— ჩვენი ტანსაცმელი უნდა ავიღოთ, — გაიმეორა მან, ტანისამოსისკენ ხელი გაიწვდინა.

— მოშორდით! მოშორდით! მოშორდით! — ჰყვიროდა ქალი.

— გავიქცეთ! — თქვა ბობმა და ტყისკენ მოკურცხლა.

ტ რ ა ხ!

ლესტერმა დაიკვნესა, პირქვე წაემხო. შუბლი ქალის ფეხსაცმლის ჰვინტს დაჰკრა.

ბობი შედგა, თავისი ტანსაცმელი გულზე მიიკრა. ბეკი გაიქცა, ბიგ ბოი ლესტერს დასცქეროდა, ტუჩი უთრთოდა.

— მას თოფი აქვს, თოფი! — ყვირო-

და ბეკი და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ტ რ ა ხ!

ბეკი ფერდობის ნაპირზე შედგა, თავი უკან გადაუვარდა, ტანი არაბუნებრივად მოეღრიცა, ნაპირიდან გადავარდა და მზისკენ შეხეების ბრჭყვიალა ბოძი ატყორცნა. წყალზე ბუშტები ამოიბურცა.

ბიგ ბოი და ბობი უკან იწვედნენ, შეშფოთებით ჰყურებდნენ თეთრკანიანს, მათკენ რომ მობრბოდა. ხელში თოფი ეჭირა და ოფიცრის ფორმა ეცვა. ქალთან მიიბრინა და ხელში ხელი სტაცა.

— რა მოხდა, ბერტა?

ქალი შესცქეროდა და ხმას არ იღებდა.

ოფიცერი სწრაფად მიბრუნდა. სახე აწითლებული ჰქონდა. თოფი ასწია და ბობს დაუმიზნა. ბობი გაიქცა. ტანისამოსი მკერდზე ჰქონდა მიკრული.

— არ მესროლოთ, მისტერ, არ მომკლათ, მისტერ!

ბიგ ბოი თოფის ლულას სწვდა.

— არამზადავ, ყარაჩო, როგორ მიბედავ!

ბიგ ბოი არ ანებებდა თოფს.

— გაუშვი, შავო ნაძირალავ!

ლულა ცისკენ იყო აშვერილი.

ტ რ ა ხ!

ოფიცერი ბიგ ბოიზე მაღალი და ჩაფსკვნილი იყო. ბობმა ტანისამოსი დააგდო, მიიბრინა და ოფიცერს ზურგზე შეახტა.

— არამზადავ, ყარაჩო!

ოფიცერმა ხელი უშვა თოფს, ბობი მიწაზე გააკრა და შიშველ ტანზე მუშტები დაუშინა. მაშინ ბიგ ბოიმ თოფი მოუქნია და ყბაში შემოჰკრა, კბილები ჩაუმიტვრია. ოფიცერი შებარბაცდა, მიწაზე დაეცა. ბობი წამოხტა.

— არიქა, ბიგ ბოი, თავს ვუშველოთ!

ოფიცერი წამოდგა. მძიმედ სუნთქავდა, წინ გადაუდგა ბიგ ბოის. ტუჩები

რინარდ რაბინი  
ბიგ ბოი ტომვანს სახლ-კარს



უთრთოდა, ნიკაპზე და კისერზე სისხლი ჩამოსდიოდა.

— მომეცი თოფი! — უთხრა მშვიდად ბიგ ბოის.

ბიგ ბოიმ თოფი დაუმიზნა და უკან დაიწია.

ოფიცერი მიეტანა.

— მომეცი-მეთქი, თოფი!

ბობმა ტანსაცმელი აიღო.

— იჩქარე, ბიგ ბოი, იჩქარე!

ოფიცერი სულ ახლო მივიდა ბიგ ბოისთან.

— არ მომეკაროთ, თორემ გესვრით! — უთხრა ბიგ ბოიმ. მისი თითები თოფის სასხლეტს ეძებდა.

ოფიცერი შედგა, ტუჩზე მომდგარო სისხლი გადააფურთხა. თვალები აემღვრა. ვაფითრდა. უცებ ბიგ ბოისკენ გადახტა.

ტრახ!

ოფიცერი პირაღმა დაეცა.

— ჯიმ! — შეჰკივლა ქალმა.

ბიგ ბოი და ბობი შეკრთნენ, ქალისკენ მობრუნდნენ.

— ჯიმ! — ისევ შეჰკივლა ქალმა და უღონოდ ჩაიკეცა ხის ძირას.

ბიგ ბოის თოფი გაუფარდა. ფართოდ გახელილი თვალებით მიმოიხედა. ბობი ტიროდა.

— ბიგ ბოი, ბიგ ბოი!..

ბიგ ბოიმ თოფს დახედა, დაიხარა, რომ აელო, მაგრამ ვადაიფიქრა. ვაოგნებული იყო. დახედა ლესტერს, შემდეგ ოფიცერს. თვალი ვერ მოაშორა მის სისხლს, მიწა რომ იწოვდა.

— შენ იგი მოჰკალი, — ამოისლუკუნა ბობმა.

— გავიქცეთ!

შიშვლები შებრუნდნენ და მოუსვენს. მიიბრინეს ეკლიანი მავთულის ღობესთან და შედგნენ.

— ჩაიცვათ, — თქვა ბიგ ბოიმ.

სწრაფად გადაიკვს კომბინეზონი. ბობს ბეკის და ლესტერის ტანსაცმელი ეჭირა.

— რა ვუყოთ ამას?

ბიგ ბოი მიაშტერდა ბეკის და ლესტერის ტანსაცმელს. ხელები უძაგდაგებდა.

— აქ დაგტოვოთ.

გადაძვრნენ ღობეზე და ტყეში გაიქცნენ. ვაზი, ლერწმები და ფოთლები სახეში სცემდათ. ბობი წაბარბაცდა და წაიქცა.

— იჩქარე, — უთხრა ბიგ ბოიმ.

ბობი ატირდა. ვადალღეტილ მუხლზე ბიდან სისხლი სდიოდა.

— მეშინია!

— წამოდი! ნუ ტირი! სანამ ისინი დაგვიჭერენ, შინ მივალთ.

— მეშინია! — გაიმეორა ბობმა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

ბიგ ბოიმ ხელი ჩაავლო.

— წამოდი!

### 3

ტყის პირას რომ გავიდნენ, შეჩერდნენ. წინ, მინდვრებზე გაკლავნილი გზა მოჩანდა. გზა შინ რომ მიემართებოდა, დედასთან, მამასთან. მაგრამ შიშისგან უკან დაიხიეს. ხეების სქელი ჩრდილი საიმედო და მყუდრო იყო. მინდვრებზე დაფენილი თაკარა მზის მსურველ ელვარება კი დაუნდობელი. ნახევრად დამპალ მორზე მოიკრუნჩხნენ.

— შინ უნდა წავიღეთ, — უთხრა ბობს ბიგ ბოიმ.

— ლინჩს მოგვიწყობენ? — ჰკითხა ბობმა.

ბიგ ბოიმ არ უპასუხა.

— ლინჩს მოგვიწყობენ? — გაიმეორა ბობმა.

ბიგ ბოი შეკრთა.

— ჩუმად, — უთხრა. არ უნდოდა ამაზე ფიქრი. არ შეეძლო ამაზე ფიქრი. მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა. შინ მისულიყო. დედასთან, მამასთან.

თავი ასწიეს. ფურგონის ყრუ ჭრიალი მოესმათ. მიწას გაეკრნენ. გორაკზე ქუდი გამოჩნდა, შემდეგ თეთრი სახე, შემდეგ მხრები. ცხენშებმული ფურგონი გორაკზე ამოვიდა.

ბიგ ბოი და ბობი განაბული უცდიდნენ. თვალს არ აშორებდნენ ფურგონს, სანამ მტერის ბოლქვებში მოსახევებს არ მიეფარა.

— წავიდეთ შინ, — უთხრა ბიგ ბოიმ ბობს.

— მეშინია.

— გავიქცეთ!

მიირბინეს სიმინდის ყანამდე. მერე ნელა განაგრძეს გზა. შარშანდელი ნაყანევი ფეხს ტკენდათ.

შორს აფურის ქარხანა გამოჩნდა.

— ერთი წუთი დაიცადე, — ქოშინით უთხრა ბიგ ბოიმ ბობს.

შედგნენ.

— მე ჩემსა წავალ, შენ შენსა.

ბობს თვალეები დაუმრგვალდა.

— მეშინია, ბიგ ბოი!

— გასწი შინ!

— შენსა წამიყვანე, ბიგ ბოი! დამიჭერენ...

— თუ შინ წახვალ, იქნებ თქვენებმა დავმალონ.

ბიგ ბოიმ გზა განაგრძო. ბობმა ხელი სტაცა.

— შენსა წამიყვანე, ბიგ ბოი!

ბიგ ბოიმ მოიშორა.

— თუ აქ იდგები, დაგიჭერენ და ლინჩს ვერ ასცდები! — დაუყვირა ბიგ ბოიმ და გაიქცა.

ცოტა რომ გაირბინა, მოიხედა. ბობი ქარივით მიჰქროდა ტყეში.

ბიგ ბოიმ რკინიგზამდე მიირბინა, ნაბიჯი შეანელა. არ იცოდა ქუჩაზე ევლო, თუ მიწაყრილზე ასულიყო. გადაწყვიტა რკინიგზას გაჰყოლოდა. მატარებელს უფრო იოლად განერიდებოდა, ვინე თეთრების ბრბოს.

ლიანდაგს მიჰყვებოდა, ხან წინ იყურებოდა, ხან უკან. ლოყა ეწვოდა, ხელი მოიკიდა. როცა ხელი ჩამოიღო, სისხლით ჰქონდა სველი. სწრაფად შეიწმინდა ძიქვაზე.

თავის ეზოსთან მივიდა, ღობეზე გადაიკრა, დამფრთხალ წიწილებს შუა ჩახტა. ბანტამის მამალმა დეზის ვაკვრა დაუბირა. ბიგ ბოის ფეხი დაუცდა და სამზარეულოს კართან გაიშოტა. აქ ჰურჭლის ნარეცხს დვრიდნენ და მიწა ლიბი იყო.

ბარბაცით შევიდა კარში.

— ღმერთო ჩემო, ბიგ ბოი, რა დაგემართა?

დედა შუაგულ სამზარეულოში იდგა. ბიგ ბოი ხმაამოუღებლივ დაეშვა სკამზე. ქურაზე ქვაბი ბრწყინავდა. სამზარეულოში საჭმლის სუნი იდგა.

— რა დაგემართა, ბიგ ბოი?

ბიგ ბოიმ მღუმარედ შეხედა დედას... შემდეგ აზლუქუნდა, დედა ახლო მივიდა და ფრთხილად შეეხო მის დაკაწრულ სახეს.

— რა შეგემთხვა, ბიგ ბოი?

— ისინი დამიჭერენ, დედა! დამიჭერენ...

— ვინ ისინი, შვილო?

— ვაიმე, დედი, ვაიმე!..

— ბიგ ბოი, რა მოხდა?

— მან ლესტერი და ბეკი მოკლა, — წაიბუტბუტა ბიგ ბოიმ.

— მოკლა?

— ჰო.

— ლესტერი და ბეკი?

— ჰო, დედი!

— როგორ თუ მოკლა?!

— თოფით მოკლა, დედი.

— ღმერთო, დავვიფარე! აი, უბედურება, აი, უბედურება! — ხელების მტვრევით დაიკვნესა დედამ.

— მე კი ის მოვკალი, დედი...

დედა გაშტერებული უყურებდა შვილს, რათა მიმხვდარიყო მისი ნათქვამის აზრს.

— მითხარი, როგორ მოხდა ეს, ბიგ ბოი?

— ჩვენი ტანსაცმელი ხის ძირას ეწყო. მივედი, უნდა აგველო...

— რომელი ხის ძირას?

— ჩვენ ვბანაობდით, დედი. თეთრმა ქალმა...

— თეთრმა ქალმა?

— ჰო, იგი ტბასთან იდგა...

— ღმერთო, დავვიფარე! ვიცოდი, არ მოისვენებდით, სანამ რაიმეს არ ჩაიდენდით! დერეფანში გავიდა.

— ლუსი!

---

რინარდ რაინტი  
ბიგ ბოი ტომვას სახლ-კარს

— რა იყო, დედა?

— მოდი აქ!

— რა იყო, დედა?

— მოდი აქ-მეთქი!

— რა მოხდა, დედა? მე ვკერავ.

— მოხვალ თუ არა?

ლუსი კართან შედგა. ხელში გულსაფარი ეჭირა. ბიგ ბოის სახე რომ დაინახა, შემკრთალმა დედას შეხედა.

— რა მოხდა?

— მამა სად არის?

— ალბათ, სახლს უკანაა.

— ახლავე დაუძახე!

— რა მოხდა, დედა?

— მამას დაუძახე-მეთქი!

დედა სკამზე დაეშვა, ხელში ჭურჭლის ტილო ეჭირა. უცებ წელში გასწორდა.

— ბიგ ბოი, მე შენ სკოლაში მეგულებოდი.

ბიგ ბოიმ თავი ჩაღუნა.

— რატომ არ იყავი სკოლაში?

— ჩვენ ტყეში წავედით.

დედამ ამოიხრბა.

— მე შენთვის ყველაფერი გავაკეთე, ბიგ ბოი, რაც კი შემეძლო. ახლა მხოლოდ ღმერთს შეუძლია შენი ხსნა.

— დედი, დამიფარე მათგან, ნუ მიმცემ მათ...

სამზარეულოში მამა შემოვიდა. დაჟინებით შეხედა ჯერ ბიგ ბოის, მერე მეთლეს.

— რა შეემთხვა, ბიგ ბოის? — მკაცრად ჰკითხა მეთლეს.

— საულ, ბიგ ბოის უბედურება შეემთხვა თეთრებთან.

ზღურბლზე მდგარი საული პირდაღებული შესცქეროდა ცოლსა და შვილს.

— საულ, ბიგ ბოი უნდა გაიქცეს სახლიდან.

— თქვი, რა ჩაიდინე? — მოხუცმა ხელი მოჰკიდა მზარზე და დაკაწრულ სახეზე დააცქერდა.

— ჩვენ... მე, ლესტერი და ბობი, მოხუცი ჰარვეის ტბასთან...

— საულ, ის თეთრი ქალი იყო.

ბიგ ბოი მოიკრუნხა. საულმა ბიგ მოკუმა და ცოლს მიაშტერდა.

ლუსი თვალბდაჭყეტილი უყურებდა ძმას, თითქოს პირველად ხედავსო.

— რა მოხდა, ენა ხომ არ ჩაყაპეთ? — ბრაზით, როგორღაც უმწეოდ დაიყვირა მოხუცმა.

— ჩვენ ვბანაობდით, — დაიწყო ბიგ ბოიმ, — შემდეგ თეთრი ქალი მოვიდა ტბასთან. ტანისამოსის ასაღებად გავიქეცი. ქალი აყვირდა. ჩვენი ტანისამოსი ხის ძირას ეწყო, იმ ხის ძირას, რომლის ახლოს ის ქალი იდგა და როცა ტანისამოსის ასაღებად მივედით, ქალი აყვირდა. ჩვენ ვუთხარით, რომ ტანისამოსის აღება გვინდა... გესმის, მამი, ის საულ ახლო იდგა ტანისამოსთან და როცა ახლო მივედით, ყვირილი მორთო... ბობმა ტანისამოსი აიღო, იმან კი ლესტერი მოკლა...

— ვინ მოკლა ლესტერი?

— თეთრმა.

— რომელმა თეთრმა?

— არ ვიცი, მამი. ოფიცერმა. მას თოფი ჰქონდა.

— ოფიცერმა?

— ჰო.

— ოფიცერმა?

— ჰო, მამი, ოფიცერმა.

მოხუცი მოიღუშა.

— შემდეგ რა მოხდა.

— ბეკმა თქვა, მას თოფი აქვსო. გავიქეცი. მან ბეკს ესროლა და მოკლა. ბეკი წყალში გადავარდა. მერე ბეკი აღარ გვინახავს... ოფიცერი ჩემთან მოიჭრა. თეთრ ქალს შეხედა, შემდეგ ბობის მოკვლაც უნდოდა. მე თოფს ჩავაფრინდი. ორივე დავეცი. მინდოდა თოფი წამერთმია. ბობი ზურგზე შეახტა. ოფიცერმა ბობს მუშტები დაუშინა. მაშინ მე თოფი შემოვკარი. ოფიცერმა ჩემკენ გამოიწია. ვესროლე, მამი. მოვკალი... მერე გავიქეცი.

— ვინმე დაგინახათ?

— არა.

— ბობი სადაა?

— შინ გაიქცა.

— ვინმე მოგდევდათ?



— არა.

— თქვენ დაინახეთ ვინმე?

— არა. მხოლოდ ერთი თეთრი, მაგრამ ჩვენ მას არ ვუნახავართ.

— როდის წამოდიოთ იქიდან?

— ახლახან.

მოხუცმა მღვდლარებით მოისვა თვალებზე ხელი და კარისკენ წავიდა. ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა.

— საულ, რა ვქნათ?

— ლუსი, — უთხრა მოხუცმა ქალიშვილს, — გაიქეცი სანდერსთან და უთხარი, მამა გიბარებს-თქო. გაიქეცი ჯენიკსთან და უთხარი, მამა გიბარებს-თქო. არავის უთხრა რამე. შემდეგ პირდაპირ შინ გამობრუნდი. ვასწი!

ლუსიმ წინსაფარი სკამზე დაავლო და გარეთ გავარდა. დედა ლოცვითა და ტირილით მოიხარა. მოხუცი მძიმედ მიუახლოვდა ბიგ ბოის.

— ბიგ ბოი!

ბიგ ბოიმ პაერი ჩაისუნთქა.

— შენ გეუბნები, ბიგ ბოი!

— დიახ, მამი.

— სკოლაში რატომ არ წადი?

— ტყეში წავედი, მამი.

— დედამ ხომ ვითხრა, სკოლაში წადიო!

— მითხრა, მამი.

— რატომ არ წადი?

— ტყეში წავედი. მამი.

— იცი, რომ ეს ცუდი საქციელია?

— ვიცი, მამი.

— მაშ, რატომ წადი ტყეში?

ბიგ ბოიმ ხელებზე დაიხედა. თითები ერთმანეთზე გადააჭდო.

— შენ გეუბნებიანი!

დედა წელში გასწორდა.

— საულ! — უთხრა ქმარს საყვედურით.

მოხუცმა ნერვიულად აჰიმა კომბინეზონის საბეჭური.

— დიდხანს იდგა იქ ქალი?

— არა, ცოტა ხანს.

— ახალგაზრდაა?

— არც ისე.

— რამე უთხარით?

— არა. მხოლოდ ის ვუთხარით, ჩვენი ტანისამოსის აღება გვინდაო.

— მან რა ვითხრა?

— არაფერი. ხისკენ დაიწია და დაიყვირა.

მამა პირდაპირ შეჰყურებდა შვილს და ტუჩებს ამოძრავებდა.

— ხომ არ გაელაბუტეთ, შვილო?

— არა, მამი. მაგას როგორ გავიფიქრებდით!

— როდის მოვიდა სამხედრო?

— როგორც კი ქალმა დაიყვირა.

— რა ვითხრა?

— შეგვაგინა.

მოხუცი მკვირცხლად შებრუნდა და სამზარეულოდან გავიდა.

— დედა, არ შეიძლება მანამ გავიქეყნა მანამ დამიჭერენ?

— მამა გააკეთებს, რაც საჭიროა.

— დედა, დედა, არ მინდა, რომ დამიჭირონ...

— მამა გააკეთებს, რაც საჭიროა.

მხოლოდ ღმერთს ძალუქს შენი შეველა, შვილო.

მამა ფილათოფით ხელში შემოვიდა. თოფი კუთხეში მიაყუდა. ბიგ ბოი მოჯადოებულოვით შეჰყურებდა თოფს.

ჭიშკარზე დააკაუნეს.

— ლიზა, მიდი ნახე, ვინ არის.

ლიზა გავიდა. მამა და შვილი განიბნენ. გაიგონეს დედის ხმა.

— ვინ არის?

— მე ვარ.

— ვინ შენ?

— სანდერსი.

— შემოდით, საული გიცდით.

სანდერსი ზღურბლზე შედგა. ილიმბოლა.

— დამიბარე, ძმაო მორისონ?

— ძმაო, სანდერს, უბედურება დაგვატყდა თავს.

სანდერსი სამზარეულოში შევიდა.

— რა მოხდა?

— ბიგ ბოიმ თეთრკანიანი მოკლა.

სანდერსი თავზარდაცემული შედგა.

**რიჩარდ რაიტი**  
ბიგ ბოი ბოვებს სახლ-მარს

მერე ახლო მივიდა საულთან, კისერი წაიგრძელა, პირი დააღო. სანამ დაილაპარაკებდა, ტუჩები რამდენჯერმე შეუთრთოლდა.

— თეთრკანიანი?

— მომკლავენ! ლინჩს მომიწყობენ! — დაიყვირა ბიგ ბოიმ და სანდერსს მივარდა.

— საულ, როგორმე უნდა გავაპაროთ ბიგ ბოი აქედან.

— დამშვიდდი, ბიგ ბოი! — უთხრა სანდერსმა ბიგ ბოის. მისი ხელი ხელში ეჭირა.

— მომკლავენ, ლინჩს მომიწყობენ!

იატაკზე დაემხო. აიყვანეს და სკამზე დასვეს. დედამ მაგრად მოხვია ხელები, თავი მკერდზე მიიკრა.

— რა ექნათ? — იკითხა სანდერსმა.

— ჯენიკსი და მამა პიტერსი დავიბარე.

სანდერსი კედელს მიეყრდნო. შემდეგ, მომხდარ უბედურებას რომ ჩაუფიქრდა, შესძახა:

— ხალხი შეიყრება... — ხმა ჩაუწყდა, თვალი ფილთა თოფისკენ გაექცა.

გარედან ნაბიჯის ხმა მოისმა. ყველა კარისკენ მიბრუნდა. სამზარეულოში ატირებული ლუსი შემოვარდა. ჯენიკსი შემოჰყვა. მორისონი მიეგება და ხელი ჩამოართვა.

— უბედურება დაგვატყდა თავს, ჯენიკს. ბიგ ბოიმ თეთრკანიანი მოკლა.

ჯენიკსმა ბიგ ბოის შეხედა.

— მამა პიტერსმა თქვა, ახლავე მოვალო, — უთხრა ლუსიმ მამას.

— როდის მოხდა ეს? — იკითხა ჯენიკსმა.

— მამა პიტერსს დავეუცადლოთ, — უმწეოდ თქვა მოხუცმა.

— თუ რაიმეს ვიქმთ, ახლავე უნდა ვიმოქმედლოთ, — თქვა სანდერსმა, — თუ ასე გულხელდაკრეფილი ვისხდებით, არ ივარგებს.

ბიგ ბოი დედას დაუსხლტა.

— მამი, გამიშვი, გამიშვი, მამი!

— გაჩუმდი, ბიგ ბოი!

— სად წახვალ, ბიგ ბოი?

— მატარებელს შევახტები.

— ეს გარდუვალი სიკვდილი იქნება, — თქვა ჯენიკსმა. — ისინი მატარებლებს გაჩხრევენ.

— ფულით უნდა დამეხმაროთ? — მიმართა მოხუცმა სანდერსს და ჯენიკსმა თათვი გაიქნის.

— საულ, რა ექნათ, რალაც უნდა ვიღონოთ. ბიგ ბოის აქ გაჩერება აღარ შეიძლება.

კარზე ისევ დააკაუნეს.

მოხუცმა შეუმჩნევლად თოფისკენ გაიწია.

— ლუსი, კარი გააღე!

ლუსიმ ყოყმანით შეხედა მამას.

— მე ვავალე, — უთხრა ჯენიკსმა.

მამა პიტერსი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა სამზარეულოში.

— სალამო მშვიდობის!

— როგორ ბრძანდებით?

— სალამო მშვიდობის!

— თქვენ როგორა ხართ?

პიტერსმა სამზარეულოს თვალი მოავლო.

— რა მოხდა?

— მამაო პიტერს, უბედურება დაგვატყდა, — დაიწყო მოხუცმა. — ბიგ ბოი სხვა ბიჭებთან ერთად...

—... ლესტერთან, ბექთან და ზობთან ერთად...

— ... საბანაოდ წავედით, ჰარვეას ტბაზე...

— მას ზანგები არ უყვარს, — თქვა ხაზგასმით პიტერსმა. ფეხები განზე გადაა და ცერები ჟილეტის ილიაში გაუყარა.

— თეთრი ქალი კი...

— მერე? — იკითხა პიტერსმა.

— ახლო მოსულა ნაპირთან. ბიჭებს თავისი ტანისამოსის ალება ნდომებიანო. კომბინეზონები ხის ქვეშ დაუტოვებიათ. ქალი აყვირებულა. გასაგებია? ალბათ, იფიქრა, ბიჭები მეღლაბუცებიანო. თეთრი ოფიცერი მოვარდნილა და ორი მოუკლავს...

— ლესტერი და ბეკი...

— ვაიმე! — წამოიძახა პიტერსმა. — ის ოფიცერი ჰარვეის შვილია.

— ჰარვეის შვილი!

— ის, ჯარში რომ იყო.  
— ჯიმი?  
— ჰო, — თქვა პიტერსმა. — გაზეთებში წერდნენ, რომ ლეგიონიდან შვებულებაში ჩამოვიდა. ის ქალი მისი ცოლია...  
თვალებდაკეტილები შესცქეროდნენ პიტერსს. ახლა, როცა გაიგეს, ვინ იყო მოკლული, მოსალოდნელი უბედურება კიდევ უფრო რეალური შეიქნა.  
— რა მოხდა შემდეგ?  
— ბიგ ბოიმ ოფიცერი მოკლა...  
— ხარვეის შვილი?  
— სხვა გზა არ ჰქონდა. ჯიმი ბიგ ბოისაც მოკლავდა.  
— ღმერთო, — თქვა პიტერსმა, გარშემო მიმოიხედა და ქუდი დაიხურა. — როდის მოხდა ეს ამბავი?  
— ერთი საათის წინ.  
— თეთრებმა უკვე იციან?  
— ვერ გეტყვი.  
— ახლავე უნდა წავიდეს ბიგ ბოი აქედან, — თქვა პიტერსმა. — თორემ ლინჩი არ აცდება...  
— სად წავიდე, მამაო პიტერს?  
ყველა პიტერსს შემოეხვია. მას ფეხები განზე გადგა. ჰერსს შეჰყურებდა.  
— სანამ გაქცევას მოახერხებდეს, საყდარში დავმალეთ, — თქვა ჯენიკსმა.  
პიტერსს ტუჩები დაებრცია.  
— არა, ჯენიკსს. ეს არ ივარგებს. იქ ბიგ ბოის უსათუოდ იპოვიან. ყველანი დავიღუპებით. ბიჭი ქალაქიდან უნდა გავიდეს...  
სანდრესი მოხუცთან მივიდა.  
— ყური დამივდეთ, — თქვა ჩურჩულით. — ჩემი ვაჟი უილი, „მაგნოლია ექსპრესს ქომპენში“ რომ მუშაობს, ხვალ დილით ჩიკაგოში მიდის, საქონელი მიაქვს სატვირთო მანქანით. დილაძლე ბიგ ბოის დამალვა რომ მოხერხდებოდეს, უილი წაიყვანდა...  
— მამო, შენი ჭირიმი, გამიშვი უილთან, — შეევედრა ბიგ ბოი მამას.  
მოხუცი მორჩილებით უყურებდა სანდერსს:  
— თქვენ გგონიათ ეს სახიფათო არ იქნება?

— ეს ერთადერთი გამოსავალია, — თქვა პიტერსმა.  
— დილაძლე სად დავმალეთ?  
— რა დროს გადის ქალაქიდან თქვენი ვაჟი?  
— ექვს საათზე.  
ერთ ხანს ჩუმად იდგნენ ფიქრში წასულელები. ქუთრაზე ჩაიდანი აწიშინდა.  
— მამო, მე ვიცი, სად გაივლის უილი თავისი სატვირთო მანქანით ბულარდზროდზე. მანამდე რომელიმე ღუმელში დავიმალეობი...  
— სად დამალეები?  
— ჩვენ იქ ღუმელებს ვაშენებდით...  
— დაგიჭერენ იქ, შვილო, — ასლუკუნდა დედა.  
— სხვაგან, აბა, სად დამალევა უკეთეს ადგილზე?  
— იქ ღრმა ორმოებია. ჩავძვრები და უილის დაველოდები, — თქვა ბიგ ბოი. — გვეედრები, მამო, გამიშვი, სანამ დამიჭერენ...  
— გაუშვით!  
— შენი ჭირიმი, მამო!  
მოხუცი ღრმად სუნთქავდა.  
— ლუსი, მიეცი ჩასაცმელი!  
— საულ, ისინი იპოვნიან იქ! — კვლავ ასლუკუნდა დედა და ხელები მოხვია ბიგ ბოის.  
პიტერსმა ხელი გააშვებინა.  
— დოო მორისონ, თუ არ გაუშვებთ და გაქცევის საშუალებას არ მისცემთ, უსათუოდ დაიჭერენ.  
ლუსიმ ბიგ ბოის ფეხსაცმელი მოურბენინა და ჩააცვა. მამამ დახეული ქული დაახურა. დედა ქურასთან მივიდა და სიმინდის ფქვილის კვერებით სავსე ტაფა გადააპირქვევა წინსაფარზე. შეახვია, შეუხსნა ბიგ ბოის კომბინეზონი და უბეში ჩაუდო.  
— აი, შენი საჭმელი, და იცოდე, ბიგ ბოი, ესაა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგეძლია...  
ბიგ ბოი კარისკენ გაიჭრა. დედამ ხელი სტაცა.

**რიჩარდ რაინი**  
ბიგ ბოი ბოვიტს სახლ-ბარს





— გაუშვი, დაო მორისონ!

ბიგ ბოი გზაზე გავარდა, დაფრთხო წიწილები, ღობესთან შედგა და თავისი-ანებს გასძახა:

— ბობს უთხარით, ღუმელებთან დაველოცები, იქ მოვიდეს!

4

ბიგ ბოი პირდაპირ დასავლეთით გაიქცა, რკინიგზის ლიანდაგისკენ. მარცხენა ხელით მკერდზე ცხელი კვერები ჰქონდა მიკრული. ხანდახან შალეებზე წაიბარბაცებდა. — ფეხსაცმელი უჭერდა და ფეხებს ტკენდა. წყურვილისაგან პირი ეწოდა. შუადღის შემდეგ წვეთი წყალი არ დაუღვია.

რკინიგზიდან გადაუხვია და ბულარდზე-როდისკენ გასწია. ეს გზა გორაკის თხემზე გადადიოდა. ბორძიკობდა, მტვერში ფეხი უტურდებოდა. პირდაპირ იყურებოდა. ეშინოდა ყოველი ბარდის, ყოველი ხის. ესწრაფოდა დადამებულყო. ოღონდ ღუმელებამდე მიადწიოს. უცებ შემზარავი ფიქრი აღებრა. მეძებარი ძაღლები გაასენდა და შიშისგან ნაბიჯი შეუწუნდა. ეს არავის გახსენებია: ვაითუ მის კვალზე ძაღლები მიუშვეს? ღმერთო! მთელი ხროვა ძაღლებისა ღრენითა და ყეფით დაესვეიან, დაფლეთენ. უცებ ისე მიღონდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ჰო, ასე იქნება, ძაღლებს მიუშვებენ მის კვალზე. ძაღლებს ვერსად დაემალება! რატომ არ მისცა მამამ თოფი? შედგა. უნდა გაბრუნდეს და თოფი წამოიღოს. და თუ ისინი თავს დაესხმიან, ერთ კაცს მაინც მოუსწრაფავს სიცოცხლეს.

შორიდან მატარებლის ხმაური მოესმა. ამან კვლავ გაუღვიძა გარდაუვალი ხიფათის გრძნობა. ისევ გაიქცა. მძიმე ფეხსაცმელს ბაგაბუფი გაუდიოდა მტვერში. დაიღალა სირბილით. ეგონა, საცაა გული ამოუვარდებოდა. ტუჩებს ილოკავდა. ქვეყანას ერჩივნა ერთი ყლუბი წყალი. გზიდან ნახანავებზე რომ გადაუხვია, ზურგს უკან მატარებლის გრუხუნი ავარდა. შიშით ატაცებული უფრო სწრაფად გაიქცა.

თითქმის მიაღწია იმ ადგილს, სკრეპულა ღუმელები იყო განლაგებული. გამოჩნდა შავი თიხნარი ფერდობზე. თუ ღუმელებში ჩაძვრება, მერე საშიში აღარაფერი იქნება. თუნდა ცოტა ხნით მაინც იჯდებოდა დამშვიდებული. ისევ თოფზე დაიწყო ფიქრი. რამე მაინც ჰქონდეს ხელთ, ან ვინმე ჰყავდეს ისეთი, ვისაც დაელაპარაკება... ჰო, ბობი, ბობი ხომ მოვა! კინალამ დაავიწყდა ბობი. ბობი წამოიღებს თოფს, აუცილებლად წამოიღებს. ბობისთან ერთად ყველას ამოყლენ. დილით კი უილის სატვირთო მანქანაში ჩაჯდებიან და წავლენ შორს, შორს, ჩიკაგოში...

ნული ნაბიჯით განაგრძო გზა, ხან წინ იყურებოდა, ხან უკან იხედებოდა. მსუბუქი ნიავი მაღალ ბალახს არხევდა. ლოყაზე ხოჭო შეაჯდა, მაშინვე ხელის ჩამოკვრით ჩამოავდო. ჩაბნელებული ფიჭვნარის იქით წითელი მზე ეკიდა. ორი ღამურა ფრთების ბატქუნით მიფრინავდა მზისკენ. ჟრუანტელმა დაუარა ტანში, სიცივემ აიტანა, ტანზე ოფლი აშრებოდა.

ბორცვის ძირას შედგა. ორმწკრივად ჩარიგებული შავი ღუმელები აწოწილიყო ფერდობზე. არ იცოდა, რომელში ჩამძვრალიყო. მარცხენა მხარეს მდგარ ღუმელებისკენ გაეშურა, იქ ის ღუმელები ეგულებოდა, ბობმა, ლესტერმა. ბეკმა და თვითონ რომ ააშენეს გასულ კვირას. ისევ მიმოიხედა. გაშლილ ადგილზე იდგა. ფერდობზე ავიდა და შავ ორმოს წაადგა. ორმოების სიღრმე ოთხი-ხუთი ფუტი იქნებოდა. მივიდა ყველაზე დიდ ორმოსთან და ჩაიხედა. ორმოდან ცივი სისინი მოესმა. ტანი დაეძაბა. შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გაიბრინა და ცერებზე შედგა. ექვსი ფუტის სიგრძე გველი ამოძვრა ორმოდან და რგოლად დაეხვია. ბიგ ბოი ავზნებული თვალებით ეძებდა ჯოხს. მიმოიბრინა გარშემო. მაღალ ბალახში ხის ტოტს წამოსდო ფეხი, აიტაცა და მიწას დაჰკრა, რომ სიმაგრე შეემოწმებინა.

ტოტმომარჯვებული ფრთხილად გავმართა გველისკენ, შვიდი ფუტის მან-

ძილზე რომ მიუახლოვდა, შედგა და ტოტი გაუქნია. რგოლი უფრო მკვრივად შეიკრა, სისინი გაძლიერდა და ბრტყელი თავი ამართა. ბივ ბოიმ მარჯვნიდან მოუარა, ბრტყელი თავი მარჯვნივ მიბრუნდა და შავი-მოლურჯო ენა გამოჰყო. ბივ ბოიმ ახლა მარცხნიდან მოუარა და ბრტყელი თავიც იქით მიბრუნდა.

ბივ ბოი შედგა, სიმწრით კბილი გააკრაქუნა, უნდა მოკლას გველი, უნდა მოკლას! ეს ორმო ყველაზე საიმედოა. ისევ გაუქნია ტოტი, თვალს არ ამორებდა მის წინ ამართულ ბრტყელ თავს და მდევრებზე ფიქრობდა. გველმა თავი უფრო მაღლა ასწია. ბივ ბოიმ ტოტი მოუქნია, ტოტმა ზუზუნით გაჰკვეთა ჰაერი და გვერდიდან მოხვდა ბრტყელ თავს. რგოლი დაიშალა, დაიკლაკნა. ბივ ბოიმ მთელი ძალით დაუშინა ტოტი, სცემდა ვააფთრებით, თავდავიწყებით. თვალები ცრემლით აევსო, კბილები დაკრეჭილი ჰქონდა. ურტყამდა, ვიდრე გველმა მოძრაობა არ შეწყვიტა. მერე ქუსლით შედგა თავზე და ტალახში ჩატყვნა, ჩასრისა.

სასომიხილი, გაოფლიანებული შეჩერდა. ტუჩის კუთხეებში ნერწყვი აქაფებოდა. შეკრთა და გადააფურთხა.

შოშით მიმოიხედა, ორმოსთან მივიდა და ჩაიხედა. ნეტა ასანთი ჰქონდეს. ორმო გველის სოროებით სავსე მოეჩვენა. გველზე ჩასაფრებული უცდიან. ტოტი ორმოში ჩაჰყო და დაატრიალა. დაიხარა და ისევ ჩაიხედა. აღარ უნდა იყვნენ გველები. ფერდობს ახედა, შემდეგ ჩაიშუხლა და ნელ-ნელა ორმოში ჩაძვრა.

იქ რომ ჩავიდა, კვლავ მოეჩვენა, რომ ორმო გველებით იყო სავსე და მზად იყვნენ შემოხვეოდნენ. ბივ ბოი გრძობდა მათ სიახლოვეს, თითქოს ხედავდა მათ, როგორ უცდიან მკვრივ, გატიკულ რგოლებად დახვეულები. სიბნელეში ხედავდა გაშიშვლებულ გრძელ, თეთრ კბილებს, მზად რომ იყვნენ ჩაფრენოდნენ წვივებში, გვერდებში, ყელში. უნდოდა ამოსულიყო ორმოდან, მაგრამ განაბული იჭდა. სისულელეა, ამშვიდებდა

თავს, აქ რომ გველები იყვნენ, აქამდე დამკებენდნენ. შიში თანდათან ტოვებდა და სული მოითქვა.

მუცელზე დაწვა, იდაყვებზე დაეყრდნო და ნიკაპით ხელებს დაეხვინა. მუხლებსა და ბარძაყებზე გრილი თიხა ეკვროდა, მაგრამ მკერდს სიმინდის ფქვილის კვერები უთბობდა. წყურვილი ისევ დაუბრუნდა, შიმშილით კუჭი ეწვოდა, კვერების შეჭმა მაინც არ უნდოდა. არა, ახლა არა! ბოი რომ მოვა მერე! მაშინ ერთად შეჭამენ!

ორმოდან მინდორზე მაღალი ბალახი მოჩანდა. ბალახი მოჩანდა შორს, ბულარზ-როდამდე და მის იქითაც. ქარი ამოვარდა და აღმოსავლეთით ბინდი ჩამოწვა. დროადრო ტყიური ვადაუფრენდა, ისე მაღლა, რომ შუა ლაქასავით მოჩანდა ცაზე. ბივ ბოიმ ამოიოხრა, გადაბრუნდა და ბალახის ლეროს ღშკვა დაიწყო. გაიზუზუნა კრაზანამ. მერე მეცხრე ნომრის შორეული, სევდიანი სტვენა გაიგონა.

მატარებელმა გაახსენა, როგორ თხრიდნენ აქ ორმოებს ზაფხულის ცხელ დღეებში, როგორ ჰედდნენ ქვაბებს ფართო თუნუქებიდან, ავსებდნენ წყლით, ურგებდნენ საორთქლო ცობოლას, თხელი თიხით ალესდნენ ქვაბებს და ქვეშ ცეცხლს უნთებდნენ. გაახსენდა, როგორ ხტოდნენ და ღრიალებდნენ, როცა ცობოლა ორთქლს ამოჰყვებოდა და გამკივანი სტვენით ამოვარდებოდა ქვაბიდან. ზოგჯერ მთელი ეს ფერდობი ცეცხლის ალითა და კვამლით იყო მოცული. ბივ ბოის კეისი ჯონსის სახელგანთქმულ მემანქანედ მოჰქონდა თავი და მთელი სისწრაფით მიაქროლებდა მატარებელს წყნარი ოკეანის სამხრეთ რკინიგზის მოელვარე ლინდავზე. ბობს მეორე ნომერი მიჰყავდა სანტა-ფეზე, ბეკს კი ცენტრალურ ილინოისზე დაჰყავდა მატარებელი, ლესტერს ნიკელ-პლეიტზე. ღმერთო ჩემო, რამდენ საწვავს ყრიდნენ ქვაბის ქვეშ! ადუღებული წყალი თუ-

**რიჩარდ რაინი**

ბივ ბოი ტოვებს სახლ-კარს



ნუქს გახეოქვას უქაღდა. ალი ისე მალ-  
ლო იწევდა, იძულებული იყვნენ, თვალი  
მოეჩრდილათ. სახეზე ოფლი წურწუ-  
რით ჩამოსდიოდათ.

ბიგ ბოიე ხელი გაიშვირა, ცეცხლი ჩა-  
აქრო და კვამლი გაფანტა. რატომ არ მო-  
დის ბობი? თვალი მოავლო მინდვრებს.  
არაფინ და არაფერი ჩანდა, გარდა მზის  
უქანასკნელი სხივებისა. კვლავ ღუმე-  
ლები მოავონდა. მოავონდა, ერთხელ  
თამაშში გაიმარჯვა. ბეკს შეშურდა და  
უნდოდა მისი ღუმელი დაენგრია. უჰ, შე  
შამაძაღლო! ტუჩზე იკბინა ბიგ ბოიე:  
ღმერთო ჩემო! რას ვამბობ? ხომ არ გა-  
დავირიე? მკვდარს ვაგინებ! საცოდავი  
ბეკი! ის აღარ არის, მკვდარია, ლესტერ-  
იც მკვდარია. დაენგრია მისი ღუმელი  
ბეკს! რატომ ვალახა ამისთვის? შეებრა-  
ლა ბეკი. ღმერთი დამსჯის. მაგრამ აღა-  
რასდროს არ ჩავიდენ ასეთ რამეს! საბ-  
რალო ბეკი! საბრალო ლესტერი! აღა-  
რასდროს აღარ სცემს მათ...

ბინდი გახშირდა. საღდაც, ზუსტად  
ვერ განსაზღვრა სად, კრიკინა აკრიკინ-  
და. ჰაერი რბილი და მძიმე გახდა. ბობის  
მოლოდინში თვალს არ აშორებდა მინ-  
დვრებს...

გვერდი მონაცვლა. მიწის გრილი  
ნესტი სხეულს უთოშავდა, და კვლავ  
გონებით განიცადა განვლილი დღე-  
ტყუილად როდი ამბობდა უარს საბანა-  
ოდ წასვლაზე! მათთვის რომ არ დაეჯე-  
რებია, არასოდეს დაატყდებოდა თავს  
ეს უბედურება. მან ხომ უარი თქვა ბა-  
ნაობაზე. შემდეგ ხათრი ვერ გაუტეხა  
და გაჰყვა ლესტერს, ბობსა და ბეკს.  
დილიდანვე უნდა წასულიყო სკოლაში,  
როგორც ღეღამ დაარია. მაგრამ, ღმერ-  
თო ჩემო, ვის არ მობეზრდება ყოველ-  
დღე ჩიჩინი, წადი სკოლაში, წადი სკო-  
ლაშიო! პირიდან დაღუპილი ბალახი გა-  
მოიღო და ბრაზით გადაავლო.

წყნარად და მშვიდად რომ მჯდარიყ-  
ვნენ, ის შეჩვენებული თეთრი ქალი იქ-  
ნებ უკან გაბრუნებულიყო. მაგრამ მაშინ  
იმ ოფიცერს შეეძლო ყველა მოეკლა!  
ოთხივე გაესტუმრებია საიქიოს! ეშმაკმა  
უწყის ამ თეთრების ამბავი! იქნებ იმ

ქალს გაეცინა მხოლოდ და მეტი არაფე-  
რი! და ოფიცერს ეთქვა: ეი, საცოდავო  
ყარაჩებო, აბა, მოუსვით აქედან! დაგა-  
ვიწყდათ, რომ აქ თქვენი ადგილი არ  
არის! ისინი აიტაცებდნენ თავის ტანისა-  
მოსს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ,  
მოკურცხლავდნენ... თვალი დაახამხამა  
და ოფიცერი გაქრა. სად არის ბობი?  
რატომ არ მოდის?

კვლავ ამოვლიჯა ბალახი და პირში ჩა-  
იღო. მამას რომ თოფის წაღების ნება  
დაერთო! თოფით თეთრკანიანების  
მთელ ხროვას გაუმკლავდებოდა. მინდვ-  
რებს გადახედა, თან თოფს ატრიალებდა  
ხელში, შემდეგ თოფი ასწია და თეთრ-  
კანიანს დაუმიზნა. ბუმ! ძირს დაადლო  
მისკენ გამოქცეული თეთრკანიანი. ახლა  
მეორე თეთრკანიანი შორბის. სწრაფად  
გატენა თოფი და ისიც განგმირა. კიდევ  
სხვა, მასაც მოულო ბოლო. შემდეგ მთე-  
ლი ბრბო წამოვიდა და ბიგ ბოიე ესროდა  
და ესროდა. თეთრკანიანები ზედიზედ  
ეცემოდნენ მის წინ. ისინი ყოველი  
მხრიდან უტევდნენ, მაგრამ ბიგ ბოიე  
თავისი საქმე მაინც გააკეთა. ახლა გა-  
ზეთში დაწერენ: ლინჩი მოუწყვეს.  
ზანგმა ოცამდე კაცი მოკლა. ან იქნებ  
ასე დაწერონ: ზანგი შეიპყრეს, მაგრამ  
მან მაინც მოასწრო სიკვდილის წინ ოცი  
კაცის მოკვლა. გაიღიმა. არა უშავს, არა?  
თვალი დაახამხამა, გაზეთს მოაშორა.  
ისევ გახედა მინდვრებს. სადაა აქამდე,  
ბობი? რატომ არ მოდის?

მოწყინდა ორმოში ჯდომა. უნდოდა  
დაბუყებული ფეხი გაეშალა. თითქმის  
დაბნელდა. აღმოსავლეთით ვარსკვლავი  
აენთო. იქნებ ოფიცერი არ მომკვდარა?  
იქნებ არც დაეძებენ და ტყუილად იმა-  
ლებს აქ? რა იქნება, შინ რომ წავიდეს?  
არა, სჯობია კიდევ დაიცადოს. ღმერთო,  
ოღონდ ერთი ყლუპი წყალი ჰქონდეს.  
ისევ გაუშრა ყელი, რომ ნერწყვის ძლივს  
ყლაპავს. წყუღიმც იყვნენ! მხოლოდ  
ის იციან იმ ობრებმა, კურდღელივით  
დაიჭირონ ზანგი. მიაწყვედვენ კუთხე-  
ში და ჩააძაღლებენ. ყველა ერთად და-  
ეხვევა, მთელი ბრბო! შეკრთა. ფეხები  
უქვავდებოდა ცივ თიხაზე. ღმერთო,



აქ ორმოში რომ წაადგნენ თავზე! ვინა  
ჰყავს ქომაგი, მომხმარე!.. წინასწარ  
რატომ ვიცლავ იმედს! ერთი ერთზე რომ  
გამიშვან, იცოცხლე, მე იმათ დღეს და-  
ვაყრიდი! მთელ ბრბოს მარტო გავუს-  
წორდებოდი! ყელში წავეუბრდი ერთს,  
ნელ-ნელა დავახრჩობდი, ხელს არ გა-  
ვუშვებდი, ვიდრე ენას არ გადმოავდებ-  
და და თვალებს არ გადმოკარკლავდა.  
შემდეგ მკერდზე შევადგებოდი და გავ-  
ტყეპნიდი, როგორც იმ გველს ვტყეპ-  
ნიდი და შემდეგ მიწაში ჩავსრისე.

— ა-ა-უ-უ!

ბიგ ბოიმ თეთრკანიანის ყელს ხელი  
შეუშვა და მინდვრებს მიმოავლო თვა-  
ლი. არცინ ჩანდა. ალბათ, ვილაცამ კვა-  
ლი აიღო. გარკვევით გაიგონა მამაკაცის  
ხმა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. სისულე-  
ლეა, ვინ დაინახავდა ორმოში?.. მაგრამ  
იქნებ იმ ღროს დაინახეს, ორმოში რომ  
ჩადიოდა და ახლა სხვებიც მოჰყავთ.  
იქნებ კიდევ სხვებს ეძახიან. ალყას არ-  
ტყაყენ! უნდა გაიქცეს აქედან... ოხ! იქ-  
ნებ ბობია? რასაკვირველია, ბობია. უნ-  
და ამოვიდეს ორმოდან და ნახოს, ბობი  
ზომ არ ეძახის...

— ა-ა-უ-უ!

გაირინდა.

— ა-ა-უ-უ-!

— სადა ხართ?

— აქ, ბულარდზე-როდზე!

— აქეთ წამოდით!

— მოვდივართ!

გაიგონა ნაბიჯების ხმა. შემდეგ ისევ  
შეძახილები, ამჯერად შორეული და ხმა-  
დაბალი.

— ხომ არა ნახე?

— არა, შენ?

— არა.

— გაიქცნენ ვითომ?

— არ ვიცი.

— არამზადები, ძაღლის შეილები!

— უნდა გაიქვლიტოს ყველა ზანგი!

— ჯიმმა ორს გააფრთხოვინა სული.

— ბერტა ამბობს, ოთხნი იყვნენო.

— სად იმალებიან ის ეშმაკის ნახსლე-  
ტები!

— ბერტამ თქვა, ერთს ბიგ ბოი, თუ  
ორაც ამლაგვარი ჰქვიაო.

— ვიყავით იმ ყარაჩას სახლში.

— მერე?

— შინ არ იყო.

— ზანგები ერთმანეს არ გასცემენ.

— ქონს ცეცხლი წავეუკიდეთ და გა-  
დავბუგეთ. შემდეგ ბერიკაცი და დედა-  
ბერი გავათრიეთ ეზოში და ისინიც დაე-  
წყით...

— ღმერთო, უჩემოდ? ძალიან მაწყე-  
ნინეთ!

— უნდა გენახა, როგორ გაჰკიოდა დე-  
დაბერი...

— ა-ა-უ-უ-!

— აქეთ წამოდით!

ბიგ ბოიმ ორმოს ნაპირზე აიწია და  
გაიხედა. მხარზე თოფგადაკიდებული  
თეთრკანიანი ფერდობზე ჩამოდიოდა.  
ნუთუ აქ დამიწყებენ ძებნას? ღმერთო,  
უსათუოდ მიპოვნიან. ხაფანგში გამაბეს.  
როგორ ვერ მოვიფიქრე, რომ აქ მოვი-  
დოდნენ! როგორც კი მოიყვანენ ძაღ-  
ლებს, მაშინვე აიღებენ კვალს და მი-  
პოვიან. ღმერთო, დამიფარე! აქვე, გო-  
რაკზე მომიწყობენ ლინჩს... დამიჭერენ,  
ბოძზე გამაკრავენ და ცეცხლს წამიკი-  
დებენ, ცოცხლად დამწვავენ! ღმერთო,  
მხოლოდ შენ ძაღვიძს ჩემი ხსნა, მხო-  
ლოდ შენ შეგიძლია ჩემი ხსნა და სხვას  
არავეს...

ისევ გაიგონა მდევართა ფეხის ხმა.  
უფრო ღრმად ჩაჯდა ორმოში. მხოლოდ  
ღმერთს ძაღუძს ჩემი ხსნა. მთელი ბრბო  
იკრიბება გარშემო. გაკოჰავენ. ეს იქნე-  
ბა ყველაფრის დასასრული... თუ ღმერ-  
თი არ უშველის, სხვა ვერაფერი იხს-  
ნის...

და უცებ შიშისაგან გული გაუჩერდა.  
ბობი! ახლა რომ მოვიდეს, ბობი? უსა-  
თუოდ დაიჭერენ. ორივეს დაგვიჭერენ!  
ძალით ათქმევინებენ ბობს, სად ვიმა-  
ლები. ახლა არ უნდა მოვიდეს, ბობი.  
ვინმემ უნდა შეატყობინოს ბობს, რომ  
არ მოვიდეს!

**რინარდ რაიტი**

ბიგ ბოი ბომბის სახლ-პარს

ნელა აიწია ორმოს ნაპირზე. რამდენი ხალხია! კიდევ მოდიან და მოდიან. უმეტესობა თოფიანია, ზოგს დახვეული თოკი ჰკივდა მხარზე.

— დამიჯერეთ, აქ იმალებიან სადღაც...

— მთელი გორაკი გადაეჩხრიკეთ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, უნდა მიუხლოთ თუ არა მაგ ღორის შვილებს!

— ეგ რომ შევარჩინოთ, მერე ჩვენს ქალებს ვარეთ არ გამოესვლებათ.

— ეი, ეგ რა ვიჭირავს?

— ბალიში.

— რად გინდა ბალიში?

— ბუმბლი, შე სულელო!

— უჰ, როგორ გავტრუსავთ. თუ დავიჭირეთ ეგ ძაღლები!

— ანდერსონი შემპირდა, კუპრს მოვიტანო!

— თუ დაგვჭირდა, მანქანაში ბენზინი მაქვს.

ბიგ ბოი აღარაფერს გრძნობდა. არ ფიქრობდა, რომ ისინი მის დასაქერად მოვიდნენ. იცდიდა. არ ფიქრობდა ბობზეც. ლოყით ცივ თიხას მიკრული, იცდიდა.

ძაღლმა დაიყეფა. ბიგ ბოიმ სული გატრუნა. ძაღლმა ისევ დაიყეფა. ბიგ ბოი ორმოს ფსკერზე მოიკუნტა და იცდიდა. შემდეგ ძაღლების თათების ბაგუნო გაიგონა.

— შეხედე!

— რა არის?

— გველი.

— შეხედე, ძაღლმა გველი იპოვა!

— უჰ, რამოდენაა!

— სჯობდა, ძაღლს ერთ-ერთი ის არამზადა ეპოვა!

აღარ ყვიროდნენ, მხოლოდ ჩურჩული ისმოდა მათი. შემდეგ ბიგ ბოიმ მეთერთმეტე ნომრის კივილი გაიგონა, გაიგონა ზარის ხმაც. უფრო მაგრად გაეცრა ორმოს ფსკერს.

**ყოველ ვაშლის ხეზე ჩამოვკიდებთ შავ ჯოჯოხეთის მამზალას...**

სიმღერა რომ შეწყდა, ხმამაღალი ხარხარი გაისმა. გორაკზე ვაფთრებით აყეფდნენ ძაღლები. ყური მიუგდო ბიგ

ბოიმ. ახლა მარტო ერთი ძაღლი ყეფდა.

— ჩუმად, არ გესმით ძაღლების ყეფა?

— როცა ასე ყეფენ, რაღაცის ალლო აქეთ ართმეული.

— შეხედეთ!

— შეუპყრიათ! შეუპყრიათ!

გაისმა ღრიანი. ბობია! ბობია! ბიგ ბოიმ ორმოდან ამოიხედა. გზა და ნახევარი ფერდობი გზის გაღალმა ხალხით იყო გაჭედული. რამდენიმე კაცი გორაკის თავზე იდგა. ბიგ ბოი ხედავდა, რომ გორაკზე კიდევ აღიოდნენ და აღიოდნენ.

— შეიპყრეს, როგორც იქნა!

— წამოდი!

— სად არის?

— აი, აგერ!

— თოკი წამოვიღე!

— ეი, ყველას აქეთ უხმეთ!

— სად არის, არ შეიძლება შეეხედო, მისტერ?

— ამბობენ, ბერტაც მოვაო.

— ჯეკ, ჯეკ, უჩემოდ არ წახვიდე! მეც მინდა შეეხედო!

— ძვირფასო, აქეთ მოჰყავთ!

— მაგ უჯიშოს მე პირველმა უნდა წამოვაცვა კისერზე მარყუჭი!

— კოცონი დავანთოთ!

— კუპრი ვავაცხლოთ!

— მე ჯაჭვი წამოვიღე.

ბიგ ბოიმ დაინახა გორაკის თავზე მომავალი ხალხი. მათ შორის გრძელი, შავი ლაქა მოჩანდა. ბობია! ბობი მოჰყავთ... აქ მოუღებენ ბოლოს. უნდა ამოვიდე აქედან და გავიქცე. კბილი კბილს დააჭირა და შუბლზე ხელი მოისვა. ხელი დაუსველდა ცივი ოფლით. უნდოდა ნერწყვის გადაყლაბვა და ვერ შეძლო.

**ყოველ ვაშლის ხეზე ჩამოვკიდებთ შავ, ჯოჯოხეთის მამზალას...**

ხალხი კოცონის გარშემო შეიკრიბა. მაღალი ალის შუქზე ადამიანთა სახე მკვეთრად გამოკვეთილი მოჩანდა. ფერდობზე კვლავ აღიოდნენ ქალები და კაცები. ახლა ბიგ ბოი გრძელ, შავ ლაქას კედარ ხედავდა.

- უკან დაიწვიეთ!
- ქალები კოცონს მოაშორეთ!
- ეს რა არის?
- ქალი წაიქცა, ალბათ, ცუდად გახდა.

ფერდობს კუპრის სუნი მოედო. ცა შავი იყო და ძლიერი ქარი ჰქროდა.

— ვიჩქაროთ, თორემ გაწვიმდება!

ბიგ ბოიმ დაინახა, როგორ გაიფანტა ხალხი, კოცონთან პატარა ჯგუფი დარჩა და ახლა პირველად გარკვევით დაინახა ბობი. კოცონის შუქზე შავი ტანი ალაპლაპდა. ბობი ცდილობდა დასხლტომოდა ხალხს, იგრიხებოდა, იკლავებოდა. რამდენიმე კაცი ხელ-ფეხს უბორკავდა ბაწრით.

ბობთან კასრი რომ მიიტანეს, ბიგ ბოის სუნთქვა შეეკრა. გაისმა შემზარავი ყვირილი. ბობს კუპრს ასხამდნენ. ბობს ხალხი ჩამოეცალა და ბიგ ბოიმ დაინახა, კუპრით ალაპლაპებული ტანი, საცოდავად რომ ფეთქავდა თეთრ ხელებში.

— ასე უნდა მაგ ეშმაკის მაშხალას!

უცებ სიწყნარე დაეშვა. შემდეგ ბიგ ბოი ჟრჟოლამ აიტანა. როგორც თოვლის ფანტელები, ისე აიტაცა ქარმა თეთრი ბუმბული და სპირალოვით დაახვიდა. ალი ხეების კენწვრომდე აიჭრა. ისევ გაისმა ყვირილი. ბიგ ბოი კანკალებდა და თვალმოუშორებლად უყურებდა. ხალხი ფერდობზე დაეშვა და კოცონი მთლიანად გამოჩნდა. ბიგ ბოი ხედავდა მოფუთფუთე თეთრ მასას, რომელიც ისე იწვა ყვითელ ალში, როგორც აკვანში. გაიგონა ღრიალი, გამკივანი და მოკლე. ხალხი მღუმარედ იღვა და გორაკს შესცქეროდა. იქ მოფუთფუთე თეთრი მასა თანდათან შავდებოდა, შავდებოდა ყვითელი ალის აკვანში.

- უფრო მაგრად შეუთეთთ!
- მომეხმარეთ, გეთაყვა!

ორ კაცს მძიმე ბიღონი აჰქონდა ფერდობზე. აიტანეს და მიწაზე დადეს, ისე გადახარეს ერთ მხარეს, რომ ბენზინს ნელ-ნელა ედინა კოცონის ირგვლივ.

ბიგ ბოი ორმოს ფსკერზე მოიკრუნჩხა.

სა. სახე თიხაში ჩამალა. აღარაფერზე ფიქრობდა, არაფრის ეშინოდა. უგრძნობი იყო, ცარიელი, თითქოს სხეულიდან მთელი სისხლი ამოწოვესო. შემდეგ კუნთები დაეძაბა, — ჩუმი ლიკლიკი გაიგონა. ცივი წყლის წვრილი ნაკადი მუხლებს უახლოვდებოდა. განზე გაიწია. აიხედა: წვიმა სხეპავდა ბალახს.

- წვიმს!
- წავიდეთ!
- ჩარლ, მომიცადე! აქ მოლიპულია!
- მანქანით მიგიყვანთ შინ, ქალიშვილებო...

ბიგ ბოიმ ისევ გაიგონა ძაღლის ყეფა, ამჯერად უფრო ახლო. გვერდით ვილაცეებმა ჩაირბინეს. კოჭებმ ეყინებოდა ცივ წყალში. ესმოდა წვიმის თანაბარი შიშინი.

ახლა ერთადერთი ძაღლი ყეფდა ორმოში ჩასასველთან. ალღო აეღო და გაკაპასებით ყეფდა. ბიგ ბოი მორგვევით მოიკუნტა. მუხლებს და ბარძაყებს წყალი უფარავდა. ძაღლი ჯიუტად ყეფდა. ბიგ ბოიმ გაიგონა თათების ფხაჭუნი, ძაღლის ცხელი სუნთქვა ეცა სახეში, ორი მწვანე თვალი აენთო მის წინ, ორმოს სივიწროვით დაშთობილი ყეფა-ყურის ბარბანს უხეტეავდა. ორმოს მერე კედლისკენ წახოხდა. ზურგიითიხას გაეკრა და სუნთქვა შეიკრა, ხელები წინ გაიშვირა, თითები ვაშალა. ძაღლი წვრილი, გაალმასებული ხმით ყეფდა და თანდათან წინ იწევედა ბიგ ბოისკენ. ხელებგაშვერილი ბიგ ბოი მუხლებზე წამოდგა. ძაღლის ცხელი სუნთქვა უფრო ახლო სცემდა სახეში და ნელა, გაჭირვებით ისუნთქავდა. ძაღლი კიდევ უფრო მიეტანა. ბიგ ბოის უკან დასახევი აღარ ჰქონდა. მუხლები წყალში უცურდებოდა, დაიძაბა მთელი ტანით, მოემზადა. შემდეგ, — თვითონაც არ იცოდა ზუსტად, როგორ, არ იცოდა, თვითონ სწვდა ძაღლს, თუ ძაღლი ეცა; — ერთმანეთს ჩააფრინდნენ და წყალში ჩავარდნენ. მწვანე თვალები

რინარდ რაიტი  
ბიგ ბოი ბოვებს სახლ-პარს



ქვეშ მოექცა, ბიგ ბოის ფეხებს შუა. ძაღლის ბრჭყალები ხელებში ჩაერჭო. ბიგ ბოის მუხლები უკან დაუცურდა და ძაღლს მთელი სიმძიმით დაეცა. ძაღლი მიძიმედ სუნთქავდა.

მის ქვეშ ძაღლი განწირულად იგრიხებოდა. ბიგ ბოის ხელები ძაღლის ყელს ეძებდა. ძაღლმა ვაბმით და ყრუდ დაიდრინა. ბიგ ბოის ხელები სწრაფად გაეცურდა ძაღლის ზურგზე. ისევ იგრძნო ძაღლის ბრჭყალები და დაინახა მისი მწვეანე თვალები. აი, მისი თითები ჩააფრინდა ყელს. მთელი ძალით წაუჭირა. ძაღლმა გაიბრძოლა, მაგრამ ვაათყეცე-პული შიშით ძალამოცემული ბიგ ბოი მთელი სიმძიმით დააწვა. ძაღლმა კვლავ წამოიწია და მერე ერთბაშად მიჩუმდა... ბიგ ბოის თავისი ხმამალალი სუნთქვა შეესმა, ძახილი და ფეხის ხმა გაიგონა, თანდათან უკან რომ იხევდა და ორმოს შორდებოდა.

დიდხანს, დიდხანს არ აშორებდა ხელებს ძაღლის ყელს. ფეხის ხმა სადღაც შორს მიწყდა, გადაიღო წვიმამაც. ბიგ ბოი მაინც არ უშვებდა ხელებს ძაღლის ყელს.

ასე დაჩოქილს შემოათენდა წვიმის წყალში. წინ ძაღლის ცივი, უსიცოცხლო სხეული ედო. ნელა მოახლოებული განთიადისგვარად მოდიოდა გონზე. დიდხანს იდგა უძრავად, თითქოს მაგარი ძილის შემდეგ იღვიძებდა, თითქოს ცდილობდა რაღაც გაეხსენებია.

გორაკიდან სატვირთო მანქანის ხმაური მოესმა. შეეცადა გამოსასვლელთან მისულიყო. მუხლები დაბუყებული ჰქონდა. თითქოს ათასი ნემსით ერთად ჩხვლტდნენ. თავბრუ ეხვეოდა, თვალთუბნელდებოდა, ნაპირთან მიჩოჩდა და გაიხედა. მოახლოებული განთიადის ბინდში, ოცდახუთი იარდის მანძილზე უილის სატვირთო მანქანა იდგა, მობორო გამორთული არ იყო. უილი საფეხურზე იდგა, ფერღობს გასკქეროდა.

ბიგ ბოი ორმოდან ამოხიხდა და სველ პალახზე უღონოდ დაეცა. უნდოდა უილისთვის დაეძახა, მაგრამ გამშრალი

ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა. ისევ სტადა დაძახებდა.

— უილი!

უილიმ გაიგონა.

— მოდი, ბიგ ბოი!

ბიგ ბოი წამოდგა, გაიქცა, მაგრამ ისევ დაეცა. უილიმ მიიბრინა, წამოაყენა.

— წამოდი!

სატვირთო მანქანასთან მივიდნენ.

— სწრაფად! — უთხრა უილიმ და საფეხურზე შეაყენა, ახადა ძარის კვადრატული კარი, რომელიც შოფრის საჯდომის ქვეშ იყო მოქცეული და ანიშნა, ჩახტო.

ბიგ ბოი ჩახტა, ყრუ ბრაგვანი გააღინა ფსკერზე. ოთხზე დადგა და სიბნელეში მიმოიხედა.

— ბოზი სადაა?

— დიჭირეს.

— როდის?

— წუხელი.

ბიგ ბოიმ ფერღობზე მდგარ შერუჯულ ხისკენ გაიშვირა ხელი. უილიმ იქით გაიხედა, შემდეგ კვადრატული კარი დახურა. ძრავა აგუგუნდა და მანქანა ერთბაშად დაიძრა. ბიგ ბოი გვერდზე გადაქანდა და დაეცა.

არ განძრეულა, ღონე აღარ ჰქონდა. იგრძნო, რომ მანქანამ სადღაც გაუხვია. წამოჯდა და ზურგით ხის ყუთს მიეყრდნო. ნელ-ნელა გამოსახა სიბნელიდან ნივთები. ორი გრძელი ხერელიდან დღის სინათლის წვრილი სხივი შემოიჭრა. იატაკი გლუვი ფოლადისა იყო და თეძოებს უციებდა. ნაფოტები და ნახერხი ხტოდა მანქანის ჯაყაყაზე. მანქანა ყოველ მოსახვევში განზე ისროდა ბიგ ბოის. ბიგ ბოი ყუთებს ეტანებოდა, რომ თავი შეეკავებინა. ერთხელ მაძლის ყივილი გაიგონა. ამან სახლი გაახსენა, გაახსენა დედ-მამა. ბუნდოვნად ახსოვდა წუხელ რომ თქვეს, სახლი დავწვიოთ... ყველაფერი ეს სიზმარი ეგონა.

კინწი მოსწყდა, ჩათვლია მანქანის რწევაში, მაგრამ უცებ შეხტა, გაიღვიძა. მანქანა ხრეშით მოფენილ გზაზე ვარბოდა. შორიდან ბეკაის სახერხი ქარ-

ზნის საყვირის მოკლე გუგუნი მოესმა. ექვსი საათია, გაუელვა დაუფიქრებლად. არ ჰქონდა ფიქრის თავი.

კვადრატულმა კარმა აიწია.

— როგორა ხარ? — ჰკითხა უილიმ.

— კარგად.

— როგორ შეიძურეს, ბობი?

— გორაკზე გადმოდიოდა...

— რა უქნეს?

— ცეცხლი წაუქიდეს, ცოცხლად დაწვეს... მწყურია უილი. ყელი ისე მეწვის, თითქოს ცეცხლი მივიდია.

— ბენზინის ჩასასხმელ სადგურთან შივალთ და იქ დაგალევენებ წყალს.

ბიგ ბოი ყუთს მიეყრდნო და ჩათვლიშა. როცა სატვირთო შედგა, შეკრთა და გაიღვიძა, გაიგონა, როგორ გადავიდა მანქანიდან უილი. უნდოდა გარეთ გაეხედა, მაგრამ შეეშინდა. ორმოში განცდილი საშინელი შიში ერთი წამით კვლავ დაუბრუნდა. სატვირთო მანქანა არ გაჩხრიკონ და არ ნახონ! უილის ნაბიჯის ხმა რომ გაიგონა, დამშვიდდა. კა-

რი აიხადა. გამოჩნდა უილის ქუდი ქუდში წყალი იყო.

— ჰა, სწრაფად!

ბიგ ბოი ქუდს ეცა. მანქანა დაიძრა. ბიგ ბოი ხარბად სვამდა წყალს. აგურის ცივი, მაგარი ნატეხები უცვივოდა კუჭში. ტკივილისაგან მოიკაკვა. თითქოს ნაწლავები გაეკვანძო, შემდეგ ტკივილი თანდათან გაუნელდა და წელში გაიმართა, თანაბრად სუნთქავდა.

მანქანა ერთ მხარეს გადაიხარა. ბიგ ბოიმ თვალები აახამხამა. დღის სინათლის შუქი ოქროსფერად აბრწყვილდა: მზე ამოვიდა.

მანქანა ასფალტზე მიჰქროდა, მიჰქროდა ჩრდილოეთისკენ, ანჯღრევდა ბიგ ბოის, კომბინეზონის უბიდან სიმინდის ფქვილის კვერების ნამცეცები უცვიოდა და ნაფოტთან და ნახერხთან ერთად ხტოდა ოქროსფერ სხივებში.

ბიგ ბოი გვერდზე გადაბრუნდა და მარჯვენა ხელით წაართვა თვალი.

თარგმანა გრიგოლ ჩიკოვანმა





ქარლო კობახიძე

## თითით სარკენებელი ბიჭები

ხმაურით იღვიძებს თბილისი, ტროლიბუსისა და ავტობუსის გაჩერებაზე ხალხი არ იღევა; გზაჯვარედინზე შუქნიშანი ხსნის და კეტავს გზას. ყველას სამსახურში, საქმეზე მიეჩქარება... იწყება სამუშაო დღე და საგრძნობლად კლებულობს ხმაური. ასე გაგრძელდება კარგა ხანს, ასე გაგრძელდება საღამომდე. საღამოთი დამთავრდება სამუშაო დღე და, ისევ დიდი ხმაური... გარჯით დაღლილი, მუშაობით კმაყოფილი ხალხი შინისკენ მიიჩქარის: ოჯახი, მეგობარ-მეზობლები... ცოტა ხნით დასვენება და მერე: კინო, თეატრი, სტადიონი. ბალი... ასეა ყოველდღე. გვიან იძინებს ქალაქი და ერთბაშად თუ თანდათანობით ქუჩები მაინც ცარიელდება. ვისაც ასეთ დროს გაუფლია ქუჩაში, მან იცის, რა აუტანელია საკუთარი ნაბიჯის ხმა. ადამიანების ფუსფუსის მიჩვეული თვალ-ყური ადვილად ვერ ეგუება უკაცრიელობას.

კარგა ხანია ჩვენი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტრომ დაკარგა ის სიახლე, მეტროდან ქუჩაში ამოსული ხალხის რიგებით რომ იგრძნობოდა. ცნობისმოყვარეობისათვის ახლა მართო თბილისის სტუმრები თუ ჩაპყვე-

ბიან და ამოპყვებიან ესკალატორს. სხვებს საქმეზე მიეჩქარებათ. ხალხი დადის ქუჩაში და, იქნებ პეერმა არც კი იცის, რა ხმაურია ქვემოთ — ამ მშვენიერა შენობების საძირკვლის ქვემოთ. შემდეგ: ცარიელდება ქუჩები — ქალაქი სიზმრებში იძირება და, ალბათ, არც ის ეცოდინება პეერს, რომ ამ დროს მეტროს მშენებლებს არ სძინავთ...

„თბილგვირაბმშენის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანს — ვლადიმერ ნადარეიშვილს რომ ჰკითხოთ, ვინ არის თქვენთან მოწინავეთა შორის მოწინავე მუშაო, უყოყმანოდ გიპასუხებს — გაიოზ კეკელიძე!

როგორც ასეთ დროს წერენ ხოლმე, შემთხვევით შეხვდით, ისე კი არა — მივედი და საგანგებოდ გავიცანი გაიოზ კეკელიძე, ესა და ეს კაცი ვარ, ამა და ამ საქმეზე გაცდენთ-მეთქი. გაელიძე, ჯერ სხვათაშორის გავესაუბრე: ეს ფეხბურთიო, ეს კალათბურთიო... შემდეგ, პირველი უხერხულობიდან გამოსასვლელი საერთაშორისო თემა — ამინდი! ბოლოს, საქმეზე რომ გადავედი, სიტყვა ვერ დავაძვრევენ. რა ვიცი, ვმუშაობ და ეგ არისო.





გახეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორი ჰენრი კობიძე წამეზმარა:

— გაიოზ, კაცო, მოუყევი: როგორ სწავლობდი საშუალო სკოლაში, შენი ცხოვრებიდან რომელი სასიხარულო დღე გახსოვს... ან, როგორ ვთქვა... დავიჯერო, არავინ გყვარება?

— აბა, ისე როგორ იქნება? — ეღიმება გაიოზს. — მაგრამ დაწერს და, უხერხულია, ქვეყანა გაიგებს.

— ყველაფერს არ გამოაქვეყნებს.

— მაშინ, რაღაზე მეკითხება?!

აქედან ვუტრიალე, იქიდან და, მაინც არაფერი გამოვიდა. ამ ლაპარაკში ცოტა გავზნობილდით კიდევ, თუმცა სამხიარულო მე რა მქონდა — უბის წიგნაკში ჩასაწერი ვერაფერი ვაქმევიყენე. სხვა გზა არ იყო და, შევებეწე, აქედან ხელცარიელი თუ წავედი, სამსახურში აღარ მიმეგვლება-მეთქი. ამ მოძველებულმა ხერხმა გასჭრა და ეს სიტყვაძვირი კაცი, როგორც იქნა, ალაპარაკდა: ნაწყვეტ-ნაწყვეტად მომაწოდა ბავშვობისა და შემდეგ წლების ამბები. მერე, შინ რომ დავბრუნდი და საწერ მაგიდას მივუჯექი, ასე დალაგდა მისი ნაამბობი:

ახალი კალენდრის საყიდლად რომ გამოვდივარ შინიდან, ეს იმას ნიშნავს, საცაა ჩამოიხვევა ძველი კალენდრის უკანასკნელი ფურცლები და ჩვენს სიცოცხლეს ერთი წელი კიდევ მოემატება, კიდევ ერთი წლით დავცილებით ბავშვობას. იმ კეთილზღაპრულ დღეებს ყოველთვის სინანულით ვიხსენებთ და მაინც ტკბილად მოსაგონარია. მაშინდელი მეგობრებიც, ცოტა არ იყოს, სხვანაირად გვახსოვს — შევხვდებით და ვაკვირდებით, გვინდა გავიგოთ: ღიმილი თუ შერჩა ძეგლებური, აი ისეთი, ამ შეხვედრამდე რომ გვახსოვდა.

როგორც ყველაგან, ვაგოლესუბნელი ბიჭებიც გვიანობამდე თამაშობდნენ ფეხბურთს. ხშირად იქამდე დარბოდნენ, ვიდრე დედები არ დაადგებოდნენ თავზე და წინ არ გაიგდებდნენ ბუზღუნით. სწავლასა და ოცნებაში იმარცვლებოდა დღეები... თავქვე მოხმაურობდა

სუფსა. უბნის ბიჭები სათევზაოდ დადიოდნენ მდინარეზე, ბლომად იჭერდნენ ქაშაპასა და წვერას. ანეკის ყოფილიყო, თორემ თევზის დაჭერას რა უნდოდა!

— ვფიქრობდი, ამდენ თევზს რა გამოლევს-მეთქი, — სინანულით ამბობს გაიოზი, — მაგრამ ბრაკონიერებმა ისეთ დღეში ჩააგდეს მდინარე. ჭიჭყინაც საძებარი გახდა. იტყვი, ალბათ, სად მეტრო და სად ესაო? ეს არის სწორედ სავალალო, ჩვევად რომ გვექცა, „რა ჩემი საქმეაო, ეგ მე არ მეხებაო“... ამისთანა სიტყვები...

ბალახზე გულაღმა წამოწოლილი ბიჭები ლურჯ ცას შეცქეროდნენ და ოცნებობდნენ: ზოგს ეჭიომბა უნდოდა, ზოგს — კურნალისტობა, ზოგს — აგრონომობა, ზოგი კი — ჯერ არ ამომირჩევიაო, მალავდა. გაიოზმაც თქვა სათქმელი — ან მშენებელი ინჟინერი გამოვალ, ან — სულ არაფერიო.

დაფნარის ღელე ლორჯოთი იყო სახვე, ჭალა-ათასნაირი ფრინველით. იქაც დახმაურობდნენ ბიჭები, — დახმაურობდნენ და თან დაჰქონდათ მიამიტი, ბავშვური ფიქრები.

დილის ბინდებუნი რომ გაიკრიფებოდა და ლურჯად გადმოდგებოდა ტოლების მთა, სოფელი სიმინდისა და ჩაის პლანტაციამი მიიჩქაროდა. ოჯახს ეხმარებოდა გაიოზი: სიმინდს თოხნიდა, ჩაის ბარავდა... ათასი საქმე იყო. გარჯაში ვაქცადებოდა შრომისმოყვარე ბიჭი: 1959 წელს დაამთავრა ჩონატაურის პირველი საშუალო სკოლა, ცოტა ხნის შემდეგ კი ჯარში გაიწვიეს.

სამაგალითო ჯარისკაცად ითვლებოდა: უბრალო, სულ უბრალო შენიშვნაც არ მიუღია უფროსებისაგან. სწავლასა და მეცადინეობაში მალე გაიარა სამმაწელობა და ვალმოხდილი დაბრუნდა შინ. დაბრუნდა თუ არა, თავისიანებს ნაფიქრი გაანდო, თბილისში, მეტროს მშენებლობაზე ვაპირებ წასვლასო.

**კარლო კობარიძე**  
თითით საგონებელი გიჟები



დმერთმა ხელი მოგიმართოსო, უთხრეს და გზაც დაულოცეს. ეს იყო 1963 წლის მიწურული.

ერთი წელი გრუზო ობოლადესთან იმუშავა. ამ საქვეყნოდ ცნობილ გვირაბმშენებელთან გატარებულ დროს ასე იგონებს:

— ყველაფერს, რაც ვიცი და მუშაობაში მადგება, გრუზოს ვუმაძლია: დაუვიწყარია მისი ურთიერთობა ყველა ახალბედა მშენებელთან. იგი სამაგალითო მუშა ზომ არის და არის, მისი კეთილი და მოსიყვარულე გულიც სამაგალითოა. მისგან ვისწავლე ისიც, როგორ უნდა ვიცხოვრო ქვეყანაზე!

მალე ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა და, გაიოზ კეკელიძე, როგორც მოწინავე და უკვე საკმაოდ გამოცდილი მუშა, ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირად დააწინაურეს, იმ ბრიგადისა, მექანიზებულ ფარზე რომ მუშაობდა.

მექანიზებული ფარი საინტერესო მანქანაა: კიდევ ანგრევეს უმკვრივეს ქანს, თალსაც ასწორებს, ბზარებსა და ნაპრალებში ცემენტსაც წნებს — თერმიულ წყლებს უღობავს გზას — და ბოლოს, გვირაბის მოპირკეთებით ასრულებს საქმეს. ეს ფარი პირველია ევროპაში — საბჭოთა გვირაბმშენებლობის ისტორიაში პირველად თბილისის მეტროში გამოიყენეს.

ამჟამად მექანიზებული ფარით წარმოებს მარჯვენა გადასარბენი გვირაბის გაყვანა სადგურ „სამასი არაგველიდან“ „ისნის“ მიმართულებით.

ფარი „მოსმეტრომშენის“ მეოთხე სამშენებლო უბანმა დაამონტაჟა, სამუშაო კი ჩვენმა მექანიზატორებმა შეასრულეს, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა ინჟინერი რომან ჭელიძე. საქმეს ალღო მალე აუღეს ბიჭებმა და მიზეზიც ეს იყო, რომ ამ მექანიზმის კონსტრუქციაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანეს. აი რა მოჰყვა ამას: თუ ვასულ წელს მექანიზებული ფარით თვეში ორმოცდაათი მეტრი გვი-

რაბი გაჰყავდათ, წელს ეს მაჩვენებელი სამოცდათხუთმეტ მეტრამდე აიწიეს.

თავდაპირველად ფარზე ოთხი მემანქანე მუშაობდა. ბიჭებმა თქვეს, რა ამბავია ამდენი მემანქანე, ამ საქმეს ერთიც თავისუფლად აუვაო. თქმა და გაკეთება ერთი იყო. დაიხოვა საგრძნობი თანხა...

ცვლის უფროსმა გრიგოლ ბენიძემ შინაურულად მიმიღო. კალამი რომ დამინახა ხელში, გავდიმა, სკამი შემობთავაზა, დაჯექიო. ვიუარე, ჯერ გვირახს დავათვალიერებ-მეთქი.

— შენ ავაშენა ღმერთმა! ზოგი მოვა, დამაყრის შეკითხვებს, მერე ქუღას დაიხურავს და გარბის?

სპექტანსაცემელი გამონახეს მაშინვე. ჩაჩქანი დამხურეს, მიიმე ჩექმები ჩამაცვეს და, აბა, შენ იციო.

— ასეა, ჩემო ძმაო, — მეუბნება გრიგოლი, — შორიდან ყველაფერი ლამაზდ და მიმზიდველად ჩანს. კინოში თონხა გინახავს?

— რამდენჯერ!

— მეც მანდა ვარ! აბა, შენ უხათქუნე თონხი და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

— არც მაგისი ხამი ვარ.

— მადლობის მეტი რა მეტქმის? —

თან უნდობლად შემომხედა.

ახალდაგებულ, ვიწრო ლიანდაგს მიეყვებით, აქა-იქ გუბეები დგას. ხან გვერდს ვუვლით, ხან ვრძელი ნაბიჯით გადავხატებით ხოლმე.

— ნახავ, როგორ ირგებიან ჩვენი ბიჭები, — განაგრძობს ცვლის უფროსი, — მათ სხვაზე ნაკლებ არ იციან, რა დიდ საქმესაც აკეთებენ და აკი თავსაც არ ზოგავენ... დღეს ქუჩაში რომ გახვალ, ნუ დაგეზარება, თუ ჩემი ხათრი გაქვს, თვალი გადაავლე ერთი, ჯანღონით საესე ახალგაზრდები რაზე მუშაობენ: დამდგარა ეს უშველებელი კაცი და ბილეთს ყიდის ტრამვაისა, ტროლეიბუსსა და ავტობუსში... გვონია, ძალა თუ არ დაიშურა, მიაწვება და კლდესაც გადაანგრევს, დახლში კი დამდგარა და მწვანის წონის, ღილებ-



სა და ძაფს ჰყიდის! მაშ დავიჯერო, არავის მოსვლია აზრად, ფეხები დაუბაკუნოს? იქ სხვამ უნდა იმუშაოს, სხვისი ადგილია იქ... რაშია საქმე?! თუმცა, რა მალაპარაკებს...

— რაზე ამბობ მაგას?

— მაინც არ დასწერ და!

— ვითომ რატომ არ უნდა დავწერო?!

— იფიქრებ, ამას ხომ ყველა ხედავსო, არა, რასაც ყველა ხედავს, ხშირად იმაზე ლაპარაკიც ღირს.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ძალე გაილია გზა.

თანდათან ძლიერდება სინათლე, თანდათან მატულობს ხმაური და მტვერი. მუშების სილუეტები ისე მოჩანს, თითქოს ერთი ფეხის ნაბიჯზე კი არა, სადღაც შორს, ბურუსში დაფუსფუსებენო...

რომ არ გამომცნაურებოდა, ვეღარც კი ვიცნობდი გაიოზ კეკელიძეს, ისე იყო მტვერში ამოგანგლული. თეთრი კბილები შემომანათა და მეუბნება:

— მართალი ვითხრა, არ გელოდი.

— მოვედი. სიტყვა-სიტყვაა.

— აი, — უკან მიტრიალდა, — ესაა მექანიზებული ფარი. ამ ნაწილს ჰქვია...

— რომელ ერთს დავიხსომებ, ეს რა ამბავია, კაცო?! ერთიც ვნახოთ და გაფუჭდა რამე, არ გინდა გაარკვიო, რომელი ნაწილი ტყუის?

— ეგ არაფერი, — იცინის გაიოზი, სხვებიც იცინიან, — ადრე ჩვენც ასე გვეგონა, ახლა კი ხმაურზედაც ვატყობთ, სად რა უჭირს.

— ამხელა გვირაბი ისე ამოუვსია, წინა ან გვერდითა ნაწილმა რომ უმტყუნოს, როგორ უნდა მიუღვეთ?

— გაჩვენებ, — მეუბნება გაიოზი, — სულ ადვილი რამეა.

რელსს გადავბოტეთ, — ნელა მიდის და მივყვები. ირგვლივ მანქანის ნაწილებია, ყველა მოძრაობს, ხმაურობს. თავგზა მეზნევა, აღარ ვიცი, რომელ ერთს დავაკვირდე, რომელი ერთის სახელი და დანიშნულება ვიკითხო.

ეს ამას აკეთებს და ეს იმასო, მიხსნის გაიოზი, მეც დიდი გულსყურით ვუსმენ და საქმიანად ვუქნევ თავს, ვითომდა მართლაც გავიგე რამე. ყველაფერს რომ ჩასწვდე და შეიცნო, ერთი დღე რა არის, ალბათ, მთელი წელიც არ ეყოფა. ეს, რა თქმა უნდა, იციან კომკავშირული ბრიგადის წევრებმა და არც მაგრძნობინებენ. ამითაც ადვილი მისახვედრია, როგორი ბიჭებიც არიან!

— საინტერესოა, არა? — მეკითხება გაიოზი, როცა მექანიკურ ფარს საკმაოდ ეშორდებით.

— ძალიან, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, ამ ხმაურში ხმადაბლა რომ საუბრობთ და ერთხელაც არ წამოგვდებათ, ვერ გავიგე, რა თქვიო.

— მივეჩვიეთ. იქნებ არ დამიჯეროდა, ხმაური ყოველთვის ამახვილებს სმენას.

— ეს აგრეა.

— ასეთი კარგი ბიჭები მუშაობენ ჩვენთან, — ამბობს ცვლის უფროსი, სწორედ ასეთი ენთუზიასტები გვეჭირდება დღეს. სწორედ ასეთი ახალგაზრდები შეძლებენ შეუძლებელს. ბევრი კომკავშირელი მუშაობდა მექანიკურ ფარზე კეკელიძის ბრიგადაში. ზოგი ახლა უფრო რთულ უბანზე გადავიდა, ზოგი ისევ აქ მუშაობს... ესენი არიან: მიტო ბოქორიშვილი, ნოდარ მაზმიშვილი, რეზო წერეთელი, ვიქტორ მთვარელიშვილი, ბიძინა გომართელი, უკრაინელი მიხეილ მინიკი, მოლდაველი ანატოლი ჟურბა... საერთოდ კი, სამი ცვლაა, და ბუნებრივია, ამჟამად ყველას ვერ გავაცნობთ...

გაიოზმა სიტყვა ჩამოართვა:

— რა დასამალია და, მე ისეთი კაცი მინახავს, საქმისა რომ შეშინებია. ერთი დღე უმუშავია, ორი, მერე მოუმიზეზებია, ესა მტკიავაო, ისაო, ავღგარა და, ჰაიდა! შენ უნდა აკეთო შენი საქმე, ამას აქვს მადლიცა და გემოც. შენი ხელებით უნდა გააკეთო ის, რაც

კარლო კობარიძე

თითოთი საჩვენებელი ზიჯივამ



ერთხელ საამაყო იქნება შენი შთამომავლობისათვის. მარტო ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები მეტროს კი არა, ქოხს ვერ ავიშენებს. რატომ არ შეიძლება, ზაფხულის არდადეგებზე მოგვაკითხონ სტუდენტებმა, იმუშაონ ჩვენთან, ბატარა წვლილი მათაც შეიტანონ ამ დიდებულ მშენებლობაში? ვითომ ნაკლებად გაერთობიან აქ? ვინმეს ხომ არ ჰგონია, მეტროს მშენებლებს გასართობი აკლიათო? მოდი, ერთი მოუსმინე ბიჭებს და გაიკვებ, რას ჰქვია მხიარულება. მუშაობის შემდეგ არც კინოს ვიკლებთ, არც თეატრსა და სტადიონს, არც დასვენებას! მთავარია, წინ გაიხედო, ცოტა უფრო წინ!...

...ქალაქში გამოვდივარ, ფართო, ნათელ ქუჩას მივყვები... ისევ გვირაბის ხმაური მიდგას ყურში და გაიოზ კეკელიძის ნათქვამზე ვფიქრობ, ვფიქრობ და ჩემთვის ვიმეორებ, მართლაც რომ ამას ნიშნავს სამშობლო მიწის სიყვარული.

ახლა საღამოა. ცვლა დამთავრდებოდა და ალბათ უკვე შინისკენ მიიჩქარის გაიოზი. შინ კი ცოლ-შვილი ელის; გარჯით დაღლილს ოჯახური სიტბო

მოელის, თავისებური სიტბო. გაიოზმა თქვა, მინდოდა მშენებელი ინჟინერი გამოვსულიყავ და, რა განსხვავებაა, მაინც მშენებელი ვარო. ეს ისე თქვა, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა შესძლებია საქმის სიყვარულს.

ქალაქში ხალხმრავლობაა — სამსახურიდან მოიჩქარიან, ზოგიც ახლა მიიჩქარის სამსახურში. გავა რამდენიმე საათი და ქუჩები დაცარიელდება — ძილის ბურუსში გაეხვევა ქალაქი. მეტრომშენებლისათვის კი მაშინ დაიწყება სამუშაო დღე, იმ მეტრომშენებლებისათვის, მესამე ცვლაში რომ არიან. გაიოზ კეკელიძე მომავალ კვირას იქნება მესამე ცვლაში. იგი ისევ შეუტევს მიწის გულს. აგუგუნდება მიწა, აზანზარდება, ოღონდ ისე, რომ მიწის ზემოთ მცხოვრებამდე ვერ ძიალწვეს ეს ხმა და არც უქმური სიზმრები დაესიზმრებათ. დილით კი მეტროთი რომ გაუდგებიან გზას სამსახურსა და სხვა საქმეზე, კიდევ ერთხელ გაივლებენ გულში, რა ხელმა მოანგრია ამდენი მიწა, რა ხელმა გაზიდაო. და ეს იქნება ყველაზე დიდი სამადლობელი მათდამი, ვისაც ღამე არ სძინავს.





# ჩუნი უნივერსიტეტი

ქორნალი ქინწრაპვილი

## ქართვალთმცოდნეობის უხსანიუხსავი კერა

ქართველი ხალხი ემზადება, რათა ზეიმით აღნიშნოს ჩვენი მეცნიერების დედაბოძის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ჩვენი წმინდათა წმიდა ტაძრის უშუალო დამაარსებლებთან ერთად გვინდა სიყვარულით მოვიგონოთ პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის უფროსი თაობა, რომელთა უანგარო საქმიანობამ ხელი შეუწყო ამ დიდი ეროვნული საქმის დავერგვინებას.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლამ, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები კვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც აწარმოებდნენ; ისინი ძალდონეს არ იშურებდნენ, რათა ქართული მეცნიერება ფეხზე დაეყენებინათ. მთელი შეგნებული ცხოვრება ამ მიზნის განხორციელებას მონადომეს ჩვენი ხალხის დიდმა მეგობარმა მარი ბროსემ; სახელოვანმა თანამემამულეებმა: დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ცვაკარელმა, ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, იოსებ ყიფშიძემ... როგორც პროფესორი შოთა ძიძიგური წერს, სწორედ „მშობლიური მეცნიერების აღორძინების ინტერესმა უქარანახა ამ სკოლის უმრავლესობას საქართველოში გადმოენერგათ პეტერბურგში დამყნილი ქართველოლოგია“.

მშობლიური ერისადმი სიყვარული რომ არა, ვინ იცის, წარსულის რამდენი ძვირფასი ცნობა,

ისტორიული წყარო, ლიტერატურული ნაწარმოებები, არქეოლოგიური ძეგლი დარჩებოდა შეუსწავლელი. ისინი არავითარ სინდელს არ შეუშინდნენ და ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე ახალ საფეხურზე აიყვანეს.

პეტერბურგის უნივერსიტეტსა და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში მათი ნაყოფიერი მოღვაწეობა თავის დროზე საქართველოს პრესისა და ჩვენი ხალხის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო.

ქართველოლოგიის მიღწევებზე რომ ვლაპარაკობთ, მოკრძალებით წარმოთქვამთ ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის მარი ბროსის სახელს, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად და თავდადებით იღვწოდა ქართული მეცნიერებისა და მწერლობის შესწავლა-პრობადანდისათვის.

მარი ბროსემ ქართველი ხალხისადმი სიყვარული თავდაპირველად იმით გამოხატა, რომ ქართული ენა დამოუკიდებლად შეისწავლა საფრანგეთშივე, გეცნო პარიზის არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, მიმოწერა დაამყარა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილთან, გამოაქვეყნა წერილები საქართველოზე... 1831 წელს პარიზის აღმოსავლურ ენათა სკოლის ხელმძღვანელობას პროექტი წარუდგინა ქართული ენის კათედრის გახსნის თაობაზე. თუმცა კათედრა არ გახსნილა, მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარის მიერ წარმოებულმა მუშაობამ პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეთა ყურადღება მიიქცია. მალე



იგი რუსეთის სამიწვრატორო აკადემიამ თავის თანამშრომლად მიიწვია.

ვისთვისაც ძვირფასია ქართული კულტურა, იგი ვერასოდეს დაივიწყებს მარი ბროსეს დამსახურებას, ძნელბედობის ეამს ქართულ მოღვაწეთა მკირერიცხოვან ჯგუფს მხარში რომ ამოუღდა, როგორც სამიწვრატო მალა.

მ. ბროსე უახლოვდება პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს, ეცნობა მათ მდიდრულ ბიბლიოთეკებს, სწავლობს საქართველოს შესახებ არსებულ საარქივო მასალებს. მკირე ხნით მოსკოვში მიემგზავრება და იქაურ ქართველობასთანაც კავშირს ამყარებს; ინტერესს იჩენს არქივებში დაცული სიგელგუჯრებისადმი. მიმოწერა აქვს საქართველოში მყოფ ისტორიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაგან პერიოდულად იღებს საკირო ცნობებს ამა თუ იმ საკითხზე. ამგვარი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად მარი ბროსე სამეცნიერო მოხსენებებს კითხულობს სამიწვრატორო აკადემიის სხდომებზე, ვარდა ამისა, აქტიურად მონაწილეობს აკადემიის პერიოდულ გამოცემებში, აქვეყნებს წერილებს ქართველი ხალხის ისტორიისა და მწერლობის ცალკეულ საკითხებზე, ფრანგულ ენაზე თარგმნის ქართულ საისტორიო თხზულებებს.

დავით ჩუბინაშვილთან და ზაქარია ფალავანიშვილთან ერთად მარი ბროსემ დიდი მუშაობა გასწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად. დაწერა წინასიტყვაობა და მონაწილეობა მიიღო ტექსტის მეცნიერულად დამუშავებაში. ასევე გულდასმითა და სიყვარულით შედგენილი კომენტარებით ფრანგულად გამოაქვეყნა ვახუშტი ზიტონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერა“, რისთვისაც პარიზში ოქროს მერლით დააჯილდოვეს.

მარი ბროსემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები. მათი დახმარებით უფრო ახლოს გაიციო ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები. იგი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოში იმ დროს წარმოებულ ცვლევა-ძიებას და სიხარულს ვერ ფარავდა, თუკი ვინმე ქართველთაგანი საინტერესოდ წარმართავდა მუშაობას, აძლევდა მას მეთოდურ რჩევა-დარიგებებს ეპიგრაფიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური მასალების შეგროვება-შესწავლის საქმეში, იძლეოდა საჭირო მითითებებს სიძველეთა აღსაწერად და სხვა.

მეცნიერებათა აკადემიაში ქართული სიტყვიერების წარმომადგენლის გამოჩენას, ბუნებრივია, ხელი უნდა შეეწყო პეტერბურგელი ქართველებისა და ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ხნის ოცნების განხორციელებისათვის—ქართული ენა შესულიყო უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში. თვით მ. ბროსემ 1837 წელს საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელიოდს წარუდგინა საზიო დეპარტამენტთან არსებულ

აღმოსავლურ ენათა სასწავლო განყოფილებაში ქართული ენის კათედრის გახსნის პროექტი. ამ პროექტს ისეთივე წარუმატებლობა ხვდა, როგორც პარიზის აღმოსავლურ ენათა სკოლაში, მაგრამ საუფიარო გადაწყვეტილებისათვის მეცნიერს ერთი წუთითაც არ უღალატა.

მალე იგი პირადი ინიციატივით ქართველი ახალგაზრდობისათვის საჭარო ლექციებს კითხვას იწყებს მეცნიერებათა აკადემიაში. ცოტახნის შემდეგ კი თხოვნით მიმართავს სახალხო განათლების მინისტრს, ნება დართოს, ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის ჩაატაროს ქართული ენის სპეციალური კურსი.

1840 წლის 14 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგის სასწავლო ოქლის მზრუნველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცნობდა, რომ „სახალხო განათლების მინისტრმა 9 დეკემბერს სამიწვრატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრს ბროსეს ნება დართო, პეტერბურგის უნივერსიტეტში უფასოდ წაიკითხოს ქართული ენის სწავლების სპეციალური კურსი“, და რომ რექტორი მოვალეა ლექციების ჩასატარებლად გამოუყოს შესაფერისი აუდიტორია.

მ. ბროსეს ლექციები მსმენელებში მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა; მართალია, საუბარი უმთავრესად ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ სათანადო კომენტარები ქართულად ერთვოდა. ორი სემესტრის განმავლობაში სტუდენტობა გაეცნო ქართული ენის გრამატიკისა და კლასიკური მწერლობის ცალკეულ საკითხებს, აკადემიკოსის ასეთი ნაყოფიერი მუშაობა ქართულ ახალგაზრდობაში მოწონებასთან ერთად ფართო მხარდაჭერას პოულობდა. მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო დიდი წარმატებები ჩვენი ენისა და მწერლობის სისტემატური საუნივერსიტეტო სწავლების ვახზე, მაგრამ მარი ბროსე სამუშაოდ საჭარო ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს და დაწყებული საქმე დროებით შეწყდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო რევოლუციამდელი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ხალხის ისტორიაზე წაერთხული პირველი ლექციები, რომლითაც შემდგომ საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღებას პეტერბურგის უნივერსიტეტსა და იმპერიის ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მარი ბროსეს მიერ დაწყებულ საგანმანათლებლო-მედიკოვიტურ მოღვაწეობას უქმდ არ ჩაუვლია. იგი ღირსეულად განაგრძობ ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ დავით ჩუბინაშვილმა — პირველმა ქართველმა პროფესორმა პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწორედ მის სახელიან არის დაკავშირებული იქაურ უნივერსიტეტში ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრების დაარსება. აღნიშნული კათედრის პირველი ხელმძღვანელისა და ქართველი ახალ-





გაზრდობის აღმზრდელის დავით ჩუბინაშვილის პედაგოგიური საქმიანობა ყოველთვის შესანიშნავად ერწყმოდა მის მეცნიერულ მოღვაწეობას.

შრომისმოყვარეობით მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მიიქცია ყურადღება: 23 წლის კმაჟემა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი შეადგინა და მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ დემიდოვის პრემიის საძიებელ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა.

აღნიშნულ შრომაზე რეცენზიის დაწერა დაეკისრა პარიზიდან იმ ხანებში მოწვეულ მარცხოსს, რომელმაც ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა და აკადემიის წინაშე იმუხადგომლა, სახელმწიფო ხარჯზე გამოეცათ იგი. ამასთან დაკავშირებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სახალხო განათლების მინისტრს წერდა, რომ „თანამედროვე პირობებში, როცა რუსეთის და საქართველოს შორის ურთიერთობა ყოველწლიურად იზრდება და ძლიერდება, დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იგი კეთილსინდისიერად და ნიჭიერად არის შესრულებული“. 35 ათასი სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონი აკადემიამ მართლაც დაბეჭდა, ხოლო მის ავტორს დემიდოვის სრული პრემია მიაკუთვნა.

დ. ჩუბინაშვილი 1844 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის ლექტორად მიიწვიეს; პირველ ხანებში სტუდენტებს ქართულ ენას თავისივე ჩანაწერებით ასწავლიდა, ქართული მწერლობის ნიმუშებს ხშირ შემთხვევაში ხელნაწერებით აცნობდა. ამიტომ ლიტერატურული ტექსტებისა და წყაროების მეცნიერულად შესწავლა და მათი გამოცემა გადაუდებელი საქმე იყო.

ამ მხრივ პირველი დიდი სამუშაო ახალგაზრდა სწავლულმა 1846 წელს შეასრულა: გამოცდა ორნაწილიანი ქართული ქრესტომათია. დიდი სიყვარულითა და გულმოდგინებით შედგენილ ნაშრომში იმდენად ძვირფასი ნაწარმოებები იყო მოთავსებული ქართული კლასიკური მწერლობიდან, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით თბილისის გამზაზის წარჩინებულ მოსწავლეებს ჯილდოდ ქართული ქრესტომათია ეძლეოდათ.

პრაქტიკული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, პეტერბურგის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება რომ შემოიღეს, აქაც დავით ჩუბინაშვილი მიიწვიეს ლექტორად.

გზათა საინჟინროს, სამთო, ხე-ტყისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტებში, აგრეთვე სამხატვრო აკადემიაში, კომერციულ სასწავლებლებსა და სხვაგან ქართველ ახალგაზრდობას იგი უკეთხვავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კურსს უძველესი დროიდან მე-

18 საუკუნემდე. ამასთან დაკავშირებით სწავლებებო სასწავლო კურსი კი შეიმუშავა, გამოცდა რუსულ-ქართული ლექსიკონი.

ამ ხანებში სამეცნიერო აკადემიამ დ. ჩუბინაშვილი მსოფლიოში მიაღწინა სავარყო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში დაცული ქართული სიგელების შესასწავლად. დოკუმენტების გულდასმით შესწავლისა და სათანადო კლასიფიკაციის შემდეგ მკვლევარმა მთელი ეს მასალა რუსულ ენაზე თარგმნა და მ. პროტას რედაქციით გამოსცა. ამავე პერიოდს განეკუთვნება ჩუბინაშვილის მიერ ქართულად გამოქვეყნებული თეიმურაზ ბაგრატიონის საქართველოს ისტორია, აგრეთვე ცალკე წიგნად გამოცემული სტენია ჩხვიდის, პაპუნია ორბელიანისა და ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული თხზულებები.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურული საქმიანობა აღორძინების გზით წავიდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სიახლის შუქი შეიჭრა. დაარსდა ქართული თეატრი, ხოლო სკოლებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს. ყოველივე ამან გაზრდილი მოთხოვნილებები წაუყენა კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებს.

დავით ჩუბინაშვილმა წინადადება მიიღო, კავკასიის ოლქის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის შეედგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული გრამატიკა და ქართული ენის საკითხავი წიგნი. მეცნიერის წინაშე დიასახა მოცინა, შეედგინა ქართული გრამატიკა ისე, რომ ფართოდ ანახულიყო ქართული ენის თეორიული და სასაბუთო. თამამად შეიძლება ითქვას, დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილმა ქართულმა გრამატიკამ იმ დროისათვის დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის სწავლების საქმეში.

ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად დ. ჩუბინაშვილი მეთოდურ დახმარებას უწევდა ქართველ მკვლევარებსა და საზოგადო მოღვაწეებს. სისტემატურად აზღავენდა თავის ნაშრომებს სიმშობლოში, რათა ყველაზე უფრო იოვეტური შეფასება მიეღო და წარსულის მემკვიდრეობა ერისათვის გავცნო. „დღეს მოგვივიდა პატივცემული პროფესორის დავით ჩუბინაშვილს მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელსაც სათაურად აქვს „სახუნჯე ენისა“, თქმა არ უნდა, რომ ეს წიგნი მართლა საუნჯეა ჩვენი ენისა, ლიტერატურისა და სიტყვიერებისათვის“, — წერდა გაზეთი „ივერია“.

ამჟამად შეუძლებელია დაწვრილებით შეეჩერდე დ. ჩუბინაშვილის ყველა ნაშრომზე.

**პირენლი კონუარაშვილი**  
მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი



ცალკე გამოცემების გარდა მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის ბევრ საყურადღებო საკითხზე, რომლებიც დაბეჭდილია გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსეთში გამოცემულ ენციკლოპედიებსა და გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიულ ლექსიკონებში. სახელოვანი მამულიშვილი არც ქართულ პერიოდულ პრესას აცლებდა მზრუნველობას.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში აღმოსავლეთ-მცოდნეობის განვითარების პერსპექტივებში რუსეთში დღის წესრიგში დააყენა ერთიანი სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრის შექმნა. ამ მიზნით 1854 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლური ენათა ფაკულტეტი. დიდი ბრძოლისა და წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა დავით ჩუბინაშვილს, რათა აღნიშნულ ფაკულტეტზე ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა დაარსებულიყო. ქართული კათედრის გახსნის წინააღმდეგ მაშინვე გამოვიდნენ ჩვენი კულტურის მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანები. მაგრამ ჩუბინაშვილი ამ შემოტევას მამაკერულ დაუხვდა და მეცნიერების სახელით მოქმედ ფალსიფიკატორებს საკადრისი პასუხი გასცა.

ამიერიდან პეტერბურგში ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე კიდევ უფრო აღმავლობის გზას დადგა. მრავალმხრივ ნაყოფიერ კვლევა-ძიებთი სამუშაოზე რომ არაფერი ვთავაზობთ, საინტერესოა დავით ჩუბინაშვილის სალექციო პროგრამა. პირველი-მეორე კურსის სტუდენტებისათვის ერთგვარი მოსამზადებელი საუბრები ტარდებოდა ქართული გრამატიკის საკითხებზე, რომლის დროსაც მთავარი ყურადღება ექცეოდა ნაცვალსახელების ბრუნვას, დროის წარმოებას და წესიერი და არაწესიერი ზმნების უღლებას, აგრეთვე სახელის წარმოების, მართლწერისა და სხვა საკითხებს.

უკვე მესამე კურსიდან სტუდენტები სწავლობდნენ ქართული დამწერლობის ისტორიას, ქართულისა და მისი მონათესავე ენების ურთიერთობის საკითხებს. ეცნობოდნენ IX-XII საუკუნეების სასულიერო მწერლობის ნაწარმოებებს. მოგზაურთა ცნობებს ათონის ივერთა მონასტრის კულტურული კერის მუშაობის შესახებ. შედარებით დაწვრილებით სწავლობდნენ აღორძინების ხანის ქართულ საერო მწერლობას, XIII-XIV საუკუნეებში ქართული ლიტერატურის დაკემის მიზეზებს, მომდევნო პერიოდის სასულიერო მწერლობის ნაწარმოებებს.

საინტერესო იყო დავით ჩუბინაშვილის მიერ მე-4 კურსზე წაკითხული ლექციები, რომლებშიც ეტაპების მიხედვით აჩვენებდა იყო ქართული მწერლობის განვითარება. სასულიერო მწერლობასთან ერთად ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ ქართლის ცხოვრებას, ვახუშ-

ტის „საქართველოს ისტორიისა“, ჰაპუნა ორბელიანის, სენნია ჩხეიძისა და ფარსადან გოჭაიაშვილის თხზულებებს; ეცნობოდნენ ამირან-რეჯანიანს, ვისარამიანს, რუსუდანიანს, ყარამიანსა და სხვ. ქართული პოეზიიდან დიდი ადგილი ეთმობოდა შოთა რუსთაველის, შავთელის, ჩახრუბაძისა და ბესარიონ ვაბაშვილის ნაწარმოებების შესწავლას. დავით ჩუბინაშვილი თავის ლექციებში დიდ ყურადღებას აქცევდა ვახტანგ VI კანონებისა და დიპლომატიური აქტების დახასიათებას.

სახელოვანი მამულიშვილის მიერ სისტემატურად სრულყოფილი ლექციები მშობლიური კულტურის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების მოწონებას იმსახურებდა. დავით ჩუბინაშვილის ლექციებს ხშირად ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და მრავალი სხვა. კათედრის ხელმძღვანელი მზრუნველს არ აცლებდა ახალგაზრდებს, აბაშა მათ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, მეთოდურ რჩევა-დარიგებებს აძლევდა თავის აღზრდილებს საქართველოში, ეხმარებოდა ყველას, ვინც ქართული კულტურის აღორძინებისათვის იბრძოდა.

დავით ჩუბინაშვილის სტუდენტი, შემდეგ კი უნივერსიტეტში მისი საქმის განმგრძობი ალექსანდრე ცაგარელი თავის ნაშრომში სიყვარულით ახასიათებს წინამორბედის დიდ მოქალაქეობრივ უტურტრას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას. ახასიათებს ადამიანს, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „მოვისვენე სხვათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერა მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგან“.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის ალექსანდრე ცაგარელი ჩაუდგა სათავეში. ისე როგორც დავით ჩუბინაშვილს, მსაც ბევრი წინააღმდეგობებისა და ბრძოლის გადატანა მოუხდა ეროვნული ღირსების დასაცავად.

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი მკვლევარი ქართული კათედრის შექმნას მტრულად შეხვდა. ასეთი პოზიცია მომდევნო ხანებში უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. ქართველოლოგიაში სპეციალისტების სიმცირემ და ჩვენი ისტორიული მასალების შეუფასებლობამ ბევრ უმეცარს ხელში კალამი ააღებინა და მეცნიერების სახელით საქართველოს წარსულის წინააღმდეგ გამოაღო შერა. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ამ დაუშახტრებელმა და ცილისმწამებლურმა კრიტიკამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართული სიძველეთა შესწავლის საქმე.

ამ შეგნებულად გავუბრიალო ყოველგვარ უნაყოფო მოემიქას, მაგრამ როდესაც უსამართლო გამოხდომებით მეცნიერებისა და ჩემი სპეციალობის ინტერესები ილახება, როცა წარმოიშობა პრინციპული საკითხები აღმოსავლეთ-





მცოდნეობის ამ საქმის დარგის მოზნადსახულობაზე, მაშინ აუცილებლობა მოითხოვს გაირკვეს მისი მეცნიერული ღირებულება. ასეთ დროს გაჩუქება საქმის დალატს უდრის — წერდა ალ. ცაგარელი ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის გამაყლებელთა მისამართით. მან სანიმუშოდ ვაარჩია ამგვარი „კრიტიკოსების“ რამდენიმე ნაშრომი და მათ მცდარ მოსაზრებებს უტყუარი ახსნა მოუქმენა.

ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის მიმართ სხვა შემზღულად ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. მსმენელთა ინტერესის შენელების მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ 1854 წელს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე კავასიელი აღსაზრდელებისათვის დაწესებული ხუთი სტაჟენდია სხვა ფაკულტეტებზე გადაიტანა. თუ აღარე ქართული ენა პეტერბურგის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლებოდა, ახლა იგი მხოლოდ უნივერსიტეტს შემორჩა, იქაც არ ტარდებოდა არავითარი წამახალისებელი ღონისძიებები.

როგორც კათედრის ხელმძღვანელი და ამეუდროს ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე, ალ. ცაგარელი დაინტერესებულ იყო თანამემამულეთა ყოველდღიური საქმიანობით. განსაკუთრებით ასარებდა ქართულ მწერლობის მიმართ ახალგაზრდობის დაინტერესება. პირველად ცაგარელმა შენიშნა სილოვან ხუნდაძის ნიჭი და შრომისმოყვარეობა, მალე იგი კათედრის მუშაობაშიც ჩაება. „აქ სწავლობს ერთი ახალგაზრდა, რომელიც ბეჭით და ნიჭიერია, — წერს ალექსანდრე ილია კუკუაძეს, — შემდეგში ჩვენს ლიტერატურას ამისი იმედს უნდა ჰქონდეს. ძალიან უკირს. მანდელგან რომ ვინმე შევიწიოს, ამ ცრტა ხანში დიდ პატიოტულ საქმეს შესარულბს“. სახელოვანი მეცნიერის მოწოდებას გრიგოლ ორბელიანი გამოეხმარა, რომელმაც დახმარება ვაუწია ხელმოკლე სტუდენტებს.

ქართველი საზოგადოების სიყვარულსა და მხარდაჭერას ალ. ცაგარელი ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის განმტკიცებით პასუხობდა. ატარებდა ფართო ხასიათის კვლევით სამუშაოებს, ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას მთელ მსოფლიოში.

70-იანი წლებიდან რუსეთსა და საზღვარგარეთ არ ჩატარებულა აღმოსავლეთმცოდნეობის საკითხებზე რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღოს პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლას. საერთაშორისო კონგრესებისა და არქეოლოგთა ყრილობების ტრიბუნას ალ. ცაგარელი მოხერხებულად ხეყენებდა, რათა ფართო პოპულარიზაცია გაეწია ჩვენი მეცნიერებისა და მწერლობის მიღწევებისათვის.

1876 წელს პეტერბურგში ჩატარდა აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონგრესი, რომლის მომზადებასა და მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველოლოგიის მეცნიერული შტაბი.

გამოჩენილ ორიენტალისტებთან ერთად კონგრესის მოსამზადებელ საორგანიზაციო კომიტეტში სამუშაოდ მიიწვიეს მაშინ ჭარ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი ალექსანდრე ცაგარელი, რომელსაც საქართველოს შესახებ ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და არქეოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დაეკალა.

ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში ნაჩვენებია უნდა ყოფილიყო ის მეცნიერობა, რაც ამ დარგში ქართველებს გააჩნდათ. ალ. ცაგარელს უნდა განესაზღვრა აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების გზები და ამის საფუძველად ადგილობრივი და უცხოელი მკვლევარებისათვის მიეცა სასარგებლო მითითებები აღნიშნული მეცნიერული დისციპლინების შესასწავლად; მოკლედ უნდა გადმოეცა წიგნების, სტატიების, რუკების ბიბლიოგრაფიული ცნობები. ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში საჭირო იყო გადმოეცა, რა ხალხები ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, თვითუღს რომელი რაიონები ეკირა, როდის და ვინ აღწერა მათი საზოგადოებრივი და საოჯახო საქმიანობა, ტანსაცული, საომარი და სახელოსნო იარაღები, რელიგიური სარწმუნოება და ადათ-ჩვევები, იურიდიული კანონები და სხვა; უნდა შეეფასებინა, აკმაყოფილებდა თუ არა შესრულებული სამუშაო მეცნიერების მაშინდელ მოთხოვნილებებს.

ლინგვისტურ-ლიტერატურული მიმოხილვა მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, როდის, სად და როგორ იყო შესწავლილი ქართული ენა და მისი ეოლოგია გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით; ვინ და როდის გამოიკვლია ამ ეოლოგების ზემოირსტყვიერება (სიმოგრები, ზღაპრები, ანდაზები და სხვა), რომელი ლიტერატურული ნაწარმოები გამოიკა დედანში, თარგმანში ამ შემოკლებულად; რომელი ევროპული წიგნი (მათ შორის წმიდანთა ცხოვრება) ითარგმნა ამ ენაზე.

მოკეპული პროგრამის მიხედვით ამომწურავი მოხსენება ალ. ცაგარელმა მოსამზადებელ კომიტეტს ვადამდე წარუდგინა.

კონგრესის წინაშე პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა ორი მოხსენებით წარდგა. ალ. ცაგარელის მოხსენება შეეხებოდა მის მიერერუსულ ენაზე თარგმნილ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიტყუისას“. ახალგაზრდა მკვლევარს ეს ნაწარმოები ინდურ, არაბულ და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ენებზე არსებული მსგავსი ხასიათის თხზულებებისათვის შეედარებინა და ამის საფუძველზე ამტკიცებდა, საბას

**კორნელი კოსტავაშვილი**  
ქართველოლოგიის უმსაწინააღმდეგარე





არაკები დამოუკიდებელი ხასიათისა და არა საოღანეო ვადმოკეთებულო.

მეორე მოხსენება პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ეუთენოდა, რომელმაც მეცნიერულად გაარჩია ვახტანგ VI სამართალი, საქართველოს ფეოდალური სისტემისა და ქართველთა მაშინდელი წეს-ჩვეულებები და დასძინა: ქართული ფეოდალიზმის ღრმა შესწავლა მეცნიერებას დიდ დახმარებას გაუწევს ევროპაში ფეოდალიზმის სრული ისტორიის წარმოსადგენად.

პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა ასევე ორი მოხსენებით წარსდგა 1881 წელს თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობაზე. დავით ჩუბინაშვილი ყრილობის მონაწილეების წინაშე გამოვიდა მოხსენებით: „პონტის ერის შესახებ“, ხოლო ალ. ცაგარელმა თავისი მოხსენება ქართული სიძველეების დაცვის, საკითხებს მიუძღვნა.

ჩვენი ხალხი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის წარმომადგენლების მეცნიერული მოღვაწეობისადმი.

1847 წელს მარი ბროსე საქართველოს ეწვია. ჩვენი საზოგადოებრიობა ზემოთ შეეგება, გახეტებმა ფართოდ აღნიშნეს მისი სტუმრობა. ქართული კულტურის მკვლევარი ეწვია ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, მეცნიერებს. ოფიციალურ პირებს, დათვალვიერ კახეთის ისტორიული ადგილები, იმოგზაურა ქართლში, მესხეთსა და დასავლეთ საქართველოში. ამ მოგზაურობის დროს სტუმმარმა ბევრი ქართველი დაიახლოვა და საქართველოს სიძველეთა კვლევა-ძიებით დაინტერესა.

საქართველოში მარი ბროსეს მოგზაურობას უდიდესი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან ქვეყნის სიძველეთა შესწავლას, სისტემატური ხასიათი მიეცა. გაიშალა მუშაობა ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და წერილობითი ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური წყაროების შეგროვება-შესწავლისათვის. ქართველ საზოგადოებასთან ეს კავშირი პეტერბურგში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა. იგი თვალს ადევნებდა საქართველოში ჩატარებულ კვლევა-ძიების შედეგებს. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან: დიმიტრი ბაქრაძესთან, რაფიელ ერისთავთან, პლატონ იოსელიანთან და სხვებთან.

ქართველი საზოგადოებრიობა მუდამ დიდ შეფასებას აძლევდა პეტერბურგში სახელოვან თანამემამულეთა მოღვაწეობას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად დავით ჩუბინაშვილის არჩევა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ხალხი მისი სახით ეროვნული საუნჯის შექმრებასა და ქართული კულტურის პოპულარიზატორს ხედავდა. მამულიშვილებისადმი თავისი ღრმა სიყვარულის გამოხატვის საშუალება ქართველ საზოგადოებრიობას მაშინ მიეცა, როცა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე თბილისში ჩამოვიდნენ ალექსანდრე ცაგარელი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომ-პედლოშვილი.

სახელოვანი თანამემამულეების პატივსაცემად გამართულ თბილისის ინტელიგენციის შეკრებზე აკაკი წერეთელმა თქვა: „გაუმარჯოს იმ ჩემს ტოლებს და ჩემს წინანდლებს, რომელთაც ქვეყნისათვის უშრომიათ. იმ მომავალ თაობასაც, საზოგადო საქმეს თავის საკუთარ-საპირადო საქმეზე წინ რომ აყენებს... ეს საზოგადოდ და კერძოდ გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს: დავით ჩუბინაშვილს, ალ. ცაგარელს და ილია ოქრომ-პედლოშვილს, რომელთაც უცხო ქვეყნის სიცივეტმა და ყინებმა გული ვერ გაუგრილეს ჩვენი ქვეყნისადმი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყოს მათი შრომა“.

„ქართველოლოგია ახალგაზრდა დარგია და ჯერ მრავალი სამუშაო გასაკეთებელი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, ოდესმე იგი სრული და სისტემატური დისციპლინა გახდება. ამჟამად აუცილებელია ჩაუყაროთ საფუძველი იმ შენობას, რომლის მშენებლობა სწრაფად დაიწყოს“, იმედიანად წერდა ალექსანდრე ცაგარელი.

ეს იყო სამშობლოს მომავალ ბედნიერებაში დარწმუნებული მამულიშვილის სიტყვები, მამულიშვილისა, რომლის წინა და მომდევნო თაობებმა მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეს შეაღწესა.



# ინვერსიები

გუკამ თოფურიძე

## ინვერსიული ლექსიკონი

თანამედროვე ლექსიკოლოგია მრავალი სახის ლექსიკონს იცნობს, როგორცაა: თარგმნითი, განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, დალექტოლოგიური, სინონიმური, ფრაზეოლოგიური და სხვ. ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ე. წ. ინვერსიულ ანუ „შებრუნებულ“ ლექსიკონებს.

დღემდე სულ 20-მდე ინვერსიული ლექსიკონია შედგენილი<sup>1</sup>.

ყველაზე ძველი ინვერსიული ლექსიკონი გამოქვეყნდა 1873 წელს ლაიპციგში, ესაა — ევდების ენის ლექსიკონი. 1904 წელს გამოვიდა ლათინურის (ლაიპციგი) და ძველი-ირანულის (სტრასბურგი). 1944 წ. დაიბეჭდა ძველი-ბერძნულის (გოტინგენი), 1955 წ. — ძველი-სლავურისა (ჰაიდელბერგი). არსებობს აგრეთვე ეგვიპტურის, სანსკრიტის, ტოჭარულის, ხეთურისა და მიკენის ბერძნული ენის ინვერსიული ლექსიკონები.

მიუთითებენ, რომ XIII—XIV საუკუნეებში შედგენილი კლასიკური არაბულის ზოგიერთი ლექსიკონი ფაქტურად შებრუნებულ ლექსიკონს წარმოადგენს, სადაც არაბული ლექსიკონებისათვის მიღებული ძირთა პრინციპია დაცული, მაგრამ ძარბები დალაგებულია ბოლოკიდური თანხმოვნების ანბანის მიხედვით, რო-

გორც ჩანს, რითმებისათვის (ეურნ. „Вопросы языкознания“, 1966, № 6, გვ. 123).

თანამედროვე, ცოცხალი ფენის პირველი ინვერსიული ლექსიკონი გამოქვეყნდა რუმინეთში 1957 წელს — რუმინული ენისა. შედგენილია აგრეთვე რუსული ენის ორა შებრუნებული ლექსიკონი — ერთი გამოვიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (1958 წ.), ხოლო მეორე (შედარებით მოკლე) — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1958 წ.). გამოქვეყნებულია აგრეთვე ჩეხურის (1957, პრაღა), იტალიურის (1962, ჰაავა), გერმანულის (1965, ლაიპციგი), ფრანგულის (1965, პარიზი) ინვერსიული ლექსიკონები. არის ცნობები, რომ ასეთი ლექსიკონები მუშავდება რუსულის (ლენინგრადი), პოლონურის, ინგლისურის, უნგრულისა და სხვა ენებისათვის.

უკვე გამოცემულ ლექსიკონთა რიგში დგას ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი<sup>2</sup>, იგი პირველი შებრუნებული ლექსიკონია, საბუკთაა კავშირში გამოცემული.

რას წარმოადგენს ინვერსიული ლექსიკონი, რა მიზანს ემსახურება და რითაა გაპირობებული ის ყურადღება, რომელსაც იგი ამ ბოლო ხანებში იმსახურებს?

ინვერსიული ლექსიკონშიც სიტყვები დალაგებულია ანბანზე, მაგრამ ანბანის რიგი შებრუნებულია — სიტყვები ლექსიკონში შეტანილია ბოლოკიდური ასოს მიხედვით: ჯერ ა-ზე დაბოლოებული სიტყვები, შემდეგ ბ-ზე, გ-ზე და ა. შ. ანბანის ასეთი რიგი ბოლომდეა გა-

<sup>1</sup> ცნობებს ამ ლექსიკონთა შესახებ დაინტერესებულ მკითხველი იპოვის შემდეგ ნაშრომებში: И. Штиндлова. Обратные словари, კრებული „Автоматизация и лингвистика“, მოსკოვი, 1966; რ. ცეიტლინის, ი. მელჩუქისა და რ. ზახტურინის რეცენზია-მიმოხილვაში: იხ. ეურნ. „Вопросы языкознания“, 1957, № 3, 1958, № 6; 1959, № 5; 1965, № 5, 1966, № 6.

<sup>2</sup> ინვერსიული ლექსიკონი შედგენილია ბიძ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით, რედაქტორები: ბიძ. ფოჩხუა, მიხ. კუბაშვილი, თბილისი, 1967, XII+444 გვ. გამოცემლობა „მეცნიერება“.



ტარებული სიტყვის შიგნითაც (ამიტომ ეწოდება ამგვარ ლექსიკონს ინვერსიული, შებრუნებული).

როგორ დგება ინვერსიული ლექსიკონი? ცხადია, ინვერსიული ლექსიკონების, ისევე, როგორც სხვა დანიშნულების ლექსიკონების, შედგენის პრინციპები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

იგი შეიძლება დაეყრდნოს ერთ რომელიმე ლექსიკონს (ორენოვანს, განმარტებითს, ორთოგრაფიულს და სხვა.), მის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენდეს. მაგრამ არსებობს ინვერსიული ლექსიკონები, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა სახის ლექსიკონი უდევს საფუძვლად. ასე იქცევიან მაშინ, როდესაც მაჩინათ, რომ ერთი ლექსიკონი ვერ ამოწურავს ერის ლექსიკურ მარაგს სრულად. ამ წესით შედგენილ ლექსიკონებს ზოგიერთი უხერხულობა ახლავს. მასში თავს იყრის კრული და არაერთგვაროვანი მასალა, განსხვავებული სტილისტურად და ქრონოლოგიურად და შინაგან მთლიანობასა მოკლებული. ასეთ ლექსიკონში სასურველია (და აუცილებელიც) თითოეულ სიტყვასთან მითითებული იყოს წყარო, თუ საიდანაა ამოღებული ესა თუ ის სიტყვა, მაგრამ ტექნიკურად ეს ძნელად დასაძლევ დაბრკოლებას ქმნის, მნიშვნელოვნად ზრდის ლექსიკონის მოცულობას, დიდ შრომას, დროსა და ენერჯიას მოითხოვს. ამ მითითების გარეშე კი მომხმარებელი იძულებულია სხვადასხვა (განსხვავებულ პრინციპებზე აყვებულ) ლექსიკონებში ეძებოს სიტყვა, რათა მიიღოს მის შესახებ სრული სემანტიკური თუ გრამატიკული ინფორმაცია (დახასიათება). ეს კი ართულებს ასეთი ინვერსიული ლექსიკონის გამოყენებას.

შესაძლებელია, რომ ინვერსიული ლექსიკონი არცერთ ლექსიკონს არ ემყარებოდეს, მისი სიტყვანი შედგენილი იყოს დამოუკიდებლად, საუთთარი კარტოთეკის ბაზაზე, მაგრამ ასეთ ლექსიკონს რამდენიმე ნაკლი ახლავს — ძნელდება კონტროლი, რამდენად სრულად მოიცავს იგი ერის ლექსიკურ მარაგს. ამასთანავე ამგვარ ლექსიკონში შესულ სიტყვასაც უთუოდ სჭირდება წყაროს მითითება და, რაც მთავარია, მას უნდა ახლდეს სადოკუმენტაციო ფრაზოლოგიური მასალა. ეს კი ფრიად არაკონომიურია, დიდ ადვილსა და შრომას საჭიროებს.

როგორც შებრუნებულ ლექსიკონების ნუსხიდან ჩანს, პირველი ინვერსიული ლექსიკონები დგებოდა მკვდარი ენებისათვის (როგორცაა — რიგველად, ძველი-ირანული, ძველ-სლავური...), რომელთა ცნობილი ლექსიკური მარაგი ასე თუ ისე შეზღუდული იყო, ამიტომ ლექსიკონების შედგენა ასეთ ენებისათვის შედარებით ადვილად ხერხდებოდა ხელით, ტექნიკის დაუხმარებლად. მაგრამ თანამედროვე ენების შესწავლამ, განსაკუთრებით სტა-

ტისტიკურმა გამოთვლებმა, რომელსაც ამჟამად ფართოდ მიმართავენ ენათა ანალოზისას, ადგილსწირიგში დაყენა გამოთვლითი-ანალიტიკური და ელექტრონული მანქანების გამოყენება. მათი დახმარება მნიშვნელოვნად აადვილებს ბევრ მექანიკურ პროცესს, ისლვება დროის დიდ ეკონომიასა და ზუსტ სტატისტიკურ აღწერილობას. დღევანდელი ენების ინვერსიული ლექსიკონების უმრავლესობა სწორედ მანქანური წესითაა შედგენილი.

მიუთითებენ, რომ ინვერსიულ ლექსიკონს გამოყენების მრავალი სფერო აქვს.

ა) იგი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვადასხვა ტექსტოლოგიური გამოკვლევებისას. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენამდე მოღწეული დოზიანებულ, ძნელად საკითხავ ტექსტებში მხოლოდ სიტყვის დაბოლოებაა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, ინვერსიული ლექსიკონი, რომელიც მოიცავს ამ დაბოლოების მქონე ყველა სიტყვას. საშუალებას იძლევა ზუსტად აღდგეს ეს სიტყვა (კონსტრუქტურის გარეშე). ამით იყო ალბათ გამოწვეული ის ფაქტი, რომ პირველი ინვერსიული ლექსიკონები სწორედ მკვდარი ენებისთვის იყო შედგენილი. ასეთ ენებზე მოღწეული ტექსტები, როგორც წესი, დაზიანებულია და ძნელად გასაგები.

ბ) ინვერსიულ ლექსიკონს შეგვიძლია მივმართოთ მაშინაც, როდესაც საქმე ეხება ისეთი ტექსტების გამოივრებას, რომლებიც დაწერილია ცნობილ ენაზე უცნობი დამწერლობის საშუალებით, ან ტექსტი კოდირებულია უცნობი კოდით.

გ) გარკვეულ სამსახურის გაწევა შეუძლია ინვერსიული ლექსიკონს მანქანური (ავტომატური) თარგმნისას, უფრო ზუსტად, ერის ავტომატური მორფოლოგიური ანალოზის დროს. ასეთი ლექსიკონის არსებობა აადვილებს ბოლოკიდური მორფოლოგიური ელემენტების გამოყოფას.

დ) ინვერსიული ლექსიკონი კარგი დამხმარე საშუალებაა როგორც მშობლოთა, ისე უცხო ენის სწავლისა თუ სწავლებისათვის. მისა გამოყენებით შეგვიძლია სრული ცნობები მოვიპოვოთ რომელიმე სუფიქსის ან ფუძის ტიპების შესახებ, გავითვალისწინოთ ამა თუ იმ მორფოლოგიური ერთეულის რეალობისათვის ყველა შემთხვევა (ხმა-ძიების დროს — ერის ფონოლოგიის არეალი და სხვა.).

ე) მაგრამ ყველაზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია შებრუნებულ ლექსიკონს ენათმეცნიერული კვლევა-ძიების დროს — ერის ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლისა და დადგენისათვის.

მ იხ. რ. ბახტურინისა და ი. მეღუტის წერილი „Вопросы языкознания“, 1965, № 5, გვ. 129-130.



დაბოლოს აღნიშნავენ, რომ ინვერსიული ლექსიკონი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რითმების ლექსიკონდაც, მაგრამ ეს აზრი რამდენადმე ვალდებულებული ჩანს. არსებობს რითმების დამოუკიდებელი ლექსიკონებიც, მაგრამ მათი შედგენისას სხვა პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

ყველა ზემოთაჩივრებული ამოცანას შეიძლება უპასუხობს ქართული ენის ინვერსიულმა ლექსიკონმა.

„ქართული ენის ინვერსიულ ლექსიკონს“ საფუძვლად უძეგეს ერთი გარკვეული ლექსიკონი, სახელდობრ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომლის მტომი გამოცემა 1950-1964 წლებში პროფ. არნ. ჩიქობავას რედაქციით.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონია (მოიცავს ერთგვაროვან ენას ძირითადად XIX საუკუნის მესამედი წლებიდან დღემდე). იგი საქმიად სისრულით ასახავს ქართული ენის ლექსიკურ მარაგს, ამასთან ფართოდაა დოკუმენტირებული ფრზეოლოგიური მასალით. და ინვერსიული ლექსიკონიც, რომელიც ასეთი ლექსიკონის ბაზაზეა შექმნილი, ცხადია, ასევე სრულია, ერთგვაროვანი მასალის შემცველი.

„ინვერსიული ლექსიკონი“ შესულ სიტყვას არაუთარი დახასიათება (სემანტიკური, გრამატიკული თუ სტილისტური) არ ახლავს. მაგრამ აქ დამოწმებულ სიტყვას მკითხველი ადვილად იპოვის „განმარტებითი ლექსიკონში“, სადაც მოცემულია სრული ინფორმაცია და სათანადო დოკუმენტაცია ამ სიტყვის შესახებ. ამით თვითდასა აცილებული ის უტერბლობანი, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

ამგვარად, „ინვერსიული ლექსიკონის“ ჯეროვანი გამოყენება თავისთავად გულსხმობს „განმარტებითი ლექსიკონის“ მოშვებობასაც. მის გარეშე ინვერსიული ლექსიკონის გამოყენება ნაკლებად შედეგიანი იქნება.

შედგენის პრინციპების თვალსაზრისით ქართული ენის შებრუნებელი ლექსიკონი საინიფუშოა და გამოირჩევა სხვა ანალოგიური ლექსიკონებისაგან.

„ინვერსიული ლექსიკონი“ შედგენილია თანამედროვე გამოთვლით-ანალიტიკური თუ ელექტრონული მანქანების გამოყენების გარეშე, როგორც იტყვიან, ფანქრითა და ქალაღლით. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსიკონი საეყსებით უპასუხებს თანამედროვე ლექსოლოგიის ყველა მათხოვნას. შესრულებულია ძალზე დიდი და შრომატვიდი საქმიანო, რაც შესაძლებელი გახდა იმ დიდი შრომისა და მონღომების მეოხებით, რაც გამოიჩინა უნათმეცნიერების ინსტიტუტის 40-მდე მაღალკვალიფიციურმა თანამშრომელმა ამ საქმის წარმტებით დასრულებ-

ბისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასევე დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებულია უჩვეულოდ მოკლე ვადაში — სულ რამდენიმე თვეში ჯერ კიდევ 1960 წელს, როდესაც საყრდენი „განმარტებითი ლექსიკონის“ ბეჭდვა არ იყო დამთავრებული.

„ინვერსიული ლექსიკონში“, როგორც გამოირკვა, შესულია 2333 სიტყვით მეტი, ვიდრე განმარტებით ლექსიკონშია („განმარტებითი“ მოიცავს 112949 სიტყვას, ინვერსიული კი — 115 282 სიტყვას). ეს „შეუსაბამობა“, როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობიდან ჩანს, გამოწვეულია იმით, რომ „ინვერსიული ლექსიკონში“ ცალ-ცალკეა შეტანილი:

- ა) ნასახელო ზმნისათები, რომლებიც განმარტებით ლექსიკონში სასათურო სიტყვებად არ არის გამოტანილი, მაგრამ ამოსავლი ერთეულის სტატიაშია ჩართული. ასე, მგავლითად, სიტყვები დილას, დილაზე, დლით განმარტებით ლექსიკონში ახსნილია ამოსავლი ფორმაზე დილა, ინვერსიულში კი თთხავე სიტყვა თავ-თავის ადგილასაა დამოუკიდებლად შესული.
- ბ) სიტყვა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა განსხვავებული ფორმით იხმარება: მოჭრის და მოჭრის.

გ) სასათურო სიტყვის გვერდით მოთავსებული მისი ვარიანტი: აიწეწავს და აიწეწს.

დ) მოკლე ვარიანტი იმ სიტყვისა, რომლის ნაწილი ნახევარკვებშია მოთავსებული: ანაცვალეს და ანაცვლებს.

მკირეოდენ (ძალზე უმნიშვნელო) სხვაობას იძლევა აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა „განმარტებითი ლექსიკონში“ უკანასკნელი ტომების ბეჭდვისას, და რომელიც გათვალისწინება „ინვერსიული ლექსიკონში“ არ მოხერხდა.

„განმარტებით ლექსიკონში“ ანბანის რიგისას მხედველობაში არაა მიღებული პირისა და ბრუნვის ნიშნები, ისინი დეფისითაა გამოყოფილი. იგივე პრინციპია გატარებული შებრუნებულ ლექსიკონში. ამგვარად, ეს ლექსიკონი წარმოადგენს არა საერთოდ სიტყვაფორმების, არამედ ძირთა და ფუძეთა ინდექსს. ამიტომ ის ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური კანონზომიერებანი, რომლებიც შეიძლება ასეთი ლექსიკონის გამოყენებით დავადგინოთ, შეიხება მხოლოდ ფუძის ბოლოკიდურ ელემენტებს. პირისა და ბრუნვის ნიშნებისა და ფუძეების ერთად, გაუდიფერენცირებულმა ვანხილვამ (მორფემათა საზღვარზე) შესაძლებელია ახალი, განსხვავებული კანონზომიერებანი წარმოაჩინოს, რომელთაც, მართალია, თავისი ადგილი აქვთ ენათმეცნიერულ კვლევა-ძიება-

**პირამ თოფური**

ინჰინიული ლექსიკონი



ში, მაგრამ ისინი ცალკე უნდა იქნეს განხილული.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ლექსიკონის „შინა-არსზე“, სარჩევზე, რომელიც მას წინ უძღვის. გარდა იმისა, რომ სარჩევი თავის პირდაპირ დანიშნულებას ასრულებს (მიუთითებს გვერდებზე), შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს — მასში აღწერულია ყველა ბოლოკიდური ორი და სამბგერაინი კომპლექსის განხორციელებული კომბინაცია. მართო ამ სარჩევის შესწავლა უკვე არცევის, თუ რა ბეგრა რა თანამიმდევრობითაა ბუნებრივი გართულისათვის სიტყვის ბოლოში (და რა სინშირთ გვხვდება ესა თუ ის კომპლექსი) ან რა თანამიმდევრობა (ბგერათა კომბინაცია) აყარაღული (შეუღლებული) ქართულში. სარჩევი ზუსტად არის ნაჩვენები, რამდენი სიტყვა გვხვდება ამა თუ იმ დაბოლოებით ერთი ბგერის, ორ და სამბგერაინი კომპლექსის ფარგლებში. ასე, მაგალითად, ა-ზე ბოლოვდება 24 691 სიტყვა, აქედან ა კომპლექსს შეიცავს სულ 9 სიტყვის დაბოლოება, მათ შორის თვითონ ა და დაბოლოება გვაქვს 1 სიტყვაში, ბაა—2, ვაა—2, ქაა—1, შაა—3. ეს პრინციპი ანბანური რაგისა გატარებულია ბოლომდე. მიითვებულია გვერდების რაოდენობა — რომელ გვერდზე იწყება და თავდება ერთი ასოს მონაკეთი (ა: გვ. 17—104), ნაჩვენებია აგრეთვე ორი ბგერისაგან შემდგარი კომპლექსის გვერდები და სეკტი (ლექსიკონის ხელ სტატისტიკა დაბეჭდილი).

ასეთი სტატისტიკური შესწავლა ენისა ბევრ კანონზომიერებას არცევის.

ლექსიკონს წინ უძღვის ბიძ. ფოჩხუას კარგად დაწერილი წინასიტყვაობა, სადაც ავტორი იძლევა ინვერსიული ლექსიკონის ზოგად მიმოხილვასაც და სრულ ცნობებს ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის აგებულებისა და დანიშნულების შესახებ.

თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს ენის სტატისტიკურ შესწავლას, ენის ელემენტების — ფონემების, მორფემების, ლექსემების რაოდენობრივ დახასიათებას, მათი თანამიმდევრობის (არანეკრების), სიხშირისა და ურთიერთკავშირების გარკვევას.

თუ „განმარტებითი ლექსიკონის“ დახმარებით შესაძლებელია დადგინდეს სიტყვის თავკიდური ნაწილის ფონოლოგიური აგებულება — რა ბგერები გვხვდება ერთმანეთის გვერდით, რა თანამიმდევრობით და რა სინშირით (ეს სამუშაო ბირთადად უკვე შესრულებულია), „ინვერსიული ლექსიკონი“ საშუალებას იძლევა იგივე სამუშაო შეასრულოთ სიტყვის ბოლოკიდური კომპლექსებისათვის (ეს მომავლის საქმეა). მაგალითად, უკვე გარკვეულია (იხ. წინასიტყვაობა, გვ. VII—VIII), რომ ყველაზე სშირად ფუძის ბოლოკიდურ ბგერად გვაქვს ა (სულ 24 691 სიტყვაში), მას მოსდევს ბ (21537

და ა. შ. ყველაზე იშვიათია ჰ (სულ 25 სიტყვაში). დადგენილია ამ სინშირთა მიხედვით

როდესაც გვეცოდინება სიტყვის თავკიდური და ბოლოკიდური, ვთქვათ, ორი ან სამი ბგერისაგან შემდგარი კომპლექსების აგებულება, ადვილად გარკვევა სიტყვის შუა ნაწილის ფონოლოგიური ბუნებაც (ასეთი ანალიზისათვის გამოდგება რაგორც განმარტებითი, ისე ინვერსიული ლექსიკონის მასალი). საბოლოოდ კი ცხადი იქნება სიტყვის სრული ფონოლოგიური მოდელიც, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფონოლოგიური კანონზომიერების შესასწავლად და დასადგენად, რომელთაც ადგილი აქვთ (ან არა აქვთ) ენაში.

დიდად ფასებულია „ინვერსიული ლექსიკონი“ (განმარტებითან ერთად) ქართული სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის, სიტყვაწარმოების შესწავლისათვის, ინვერსიული აფიქსების ფუნქციითა სრულად აღრიცხვისათვის: განმარტებითი ლექსიკონი საშუალებას იძლევა წინასიტყვაობით პრეფიქსაცია, თავსართოვანი წარმოება ქართულში, ინვერსიული კი — სუფიქსური, ბოლოსართოვანი წარმოება.

რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი ინვერსიული ლექსიკონიდან.

ცნობილია, რომ ქართულ ენაში გავრცელებულია ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები. დღემდე არაა დადგენილი, რამდენი ასეთი ზმნა გვაქვს სალიტერატურო ქართულში. „შებრუნებული ლექსიკონი“ კი საშუალებას იძლევა ყველა ეს ზმნა სრულად აღვწვსთო. მაგალითად, -ებ სუფიქსის შემცველი ფუძედრეკადი ზმნა სულ 16-ია (ცვევტს, წყვეტს, ჩხვლტს, ელტს, მელტს, ლლტს, სხლტს, ჩქმტს, კვნტს, ფშვნტს, ჩვრტს, ჰვრტს, ხვრტს, შვრტს, წრტს, ჰყრტს). -ებ სუფიქსის შემცველი კი—4. -ვც სუფიქსისა — 9 და ა. შ. ფუძედრეკად ზმნათა სრული მორფოლოგიური ანალიზისათვის საჭიროა ყველა მაგალითი გვერდის გათვალისწინებულად.

„ინვერსიული ლექსიკონის“ დახმარებით ადვილად ხერხდება თავი მოუყაროთ და გამოვყოთ როგორც პროდუქტიული, ცოცხალი, ისე უმოქმედო, გაქვევებული სუფიქსები (ცალმაგი, ორმაგი ან სამმაგი კი). ასე, მაგალითად, გვაქვს შესაძლებლობა ყველა შემთხვევა ვაეითვალისწინოთ ამჟამად არაპროდუქტიული -ებ სუფიქსის გამოყენებისა ზმნისართებში (ისტორიულად -ებ სუფიქსი მოქმედებით ბრუნვის -ით დაბოლოების მორფოლოგიური ბადალი, მისი ალომორფი, ჩანს): ცხადვი, იბვი, დვი, ლვი, ხმადბლივი, ირგვივი, იდუმლივი, მალღვი, წლვი, განვი და სხვა მრავალი.

„ინვერსიული ლექსიკონის“ გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლია ენის ლექსიკონის შესწავლაშიც. იგი თავს უყარის კომპოზიტებს მეორე შემადგენელი ნაწილის მიხედვით. მაგალითად, აქ ერთადაა ყველა ის კომპოზიტი,

რომლის მეორე ნაწილს წარმოადგენს სიტყვა წყალი: წყალდაწყალი, მიწა-წყალი, შაბწყალი, თავწყალი, წყალ-წყალი, ნაკელწყალი, მარილ-წყალი, თავღწყალი, კირწყალი, პირწყალი, ნიორწყალი, ვარდისწყალი, ვერცხლისწყალი, პირისწყალი. შეადარე მასალა „განმარტებითი ლექსიკონიდან“: წყალ-ადგილი, წყალამრიდი, წყალ-აღმა, წყალგადასხმული, წყალგაუმტარი, წყალ-დიდობა, წყალმანკი, წყალმარჩხი, წყალსადენი, წყალუხვი და სხვა მრავალი. ამგვარად, ორივე ლექსიკონი საშუალებას იძლევა ადვილად აღვრიცხოთ ყველა ის კომპოზიტი, რომლის შემადგენლობაში (პირველ და მეორე კომპონენტად) გვხვდება ეს სიტყვა (ასეთი კომპოზიტი სულ 220-მდეა). ირკვევა ისიც, რომ 200-მდე შემთხვევაში წყალი კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილია, ხოლო მეორე ნაწილად იგი სულ 20-მდე სიტყვაში გვაქვს. ასეთ სტატისტიკურ ცნობებს კი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკონის მანქანური დამუშავების დროს (სიზშირეთა ლექსიკონების შედგენისას, მანქანური თარგმნისას და სხვ.).

თავისებურადაა გადაწყვეტილი ინვერსიულ ლექსიკონში ომონიმიის საკითხი. ომონიმები ლექსიკონში მხოლოდ ერთხელაა შეტანილი, მაგრამ მას წინ უძღვის რაოდენობის მაჩვენებელი ციფრი: მიგალითად, 1-4 კილო. განმარტებით ლექსიკონთან შედარება ადვილად გაარკვევს, რომ აქ ოთხ სიტყვასთან გვაქვს საქმე: კილო<sup>1</sup> (ლინგვ.), კილო<sup>2</sup> (ლილის შესაკრავი), კილო<sup>3</sup> (ქუთუთოს კიდე), კილო<sup>4</sup> (კილოგრამი). ასევე, 1-3 და (Сесра), და<sup>2</sup> (კავშირი), და<sup>3</sup> (ნაწილაკი). ეს სისტემა, რომელიც ადგი-

ლის დიდ ექონომიას იძლევა. რამდენადაც ეციით, მხოლოდ ამ ლექსიკონშია გატარებული. სხვა ლექსიკონებში კი, მაგალითად, ფრანგული ენის ინვერსიულ ლექსიკონში (პარიზი, 1965 წ.). ომონიმები მხოლოდ ერთხელაა შეტანილი და მათზე არაერთარა მითითება არაა. ამასთანავე არაა ცნობილი, თუ რას ემყარება ეს ლექსიკონი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვერ მივიღებთ სრულ წარმოდგენას ფრანგული ენის ლექსიკური შემადგენლობას შესახებ (იხ. ი. მეღვინის რეცენზია ამ ლექსიკონზე: ჟურნ. „Вопросы языкознания“ 1966. № 6, გვ. 125).

ქართული ენის ინვერსიულ ლექსიკონში კი ომონი-მია (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) სრულადაა სახეული.

ეს მეორე საილუსტრაცია მასალაც თვალნათლივ წარმოაჩენს „ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის“ მნიშვნელობას. ხელთა გვაქვს ფრად საჭირო და სასარგებლო, სამკვიდრო წიგნი ქართული ენის მკვლევართათვის.

სასაამოვნოა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ნი-დაგ სახმარი გამოცემა პოლიგრაფიულადაც კარგად არის შესრულებული, დაბეჭდილია კარგ ქალაღზე.

„ინვერსიული ლექსიკონი“ ქართული ენათმეცნიერების დიდი შენაძენია. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან“ ერთად იგი ხელს შეუწყობს ქართული ენის (და ამდენად, საერთოდ ქართველური ენების) გაღრმავებულ შესწავლას და ფართო პერსპექტივებს სახავეს თანამედროვე ენათმეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად.





## ლალი ავალიანი

# პაოლო იაშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი

პაოლო იაშვილს უხვად ჰქონდა მიმადლებული პოეტის ნიჭი, პიროვნული მომხიბლაობა და ცეცხლოვანი, „წიხითრი“ ტემპერამენტი.

შემოქმედლის პოეტური ბიოგრაფიის ყოველგვარი პერიოდიზაცია მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. შემოქმედი უწინარეს ყოვლისა მონოლითური პიროვნებაა, თავისი განუმეორებელი მხატვრული ინდივიდუალობით. გარე სამყაროში მომხდარ ცვლილებებს იგი კამერტონის სიფაქიზითა და მგრძობელობით ასახავს. მსოფლმხედველობის შეცვლა მხატვრული გამოსახვის საშუალებათა გარდაქმნა-გადახალისებასაც იწვევს, მაგრამ შემოქმედებითი პროცესის სირთულის გამო ხშირად შეუძლებელია დადგინდეს ზღვარი ამ ცვლილებებისა.

არც თუ იშვიათია ლიტერატურის მკვლევარის მიერ პოეტის ერთი სუნთქვით შექმნილ ნაწარმოებებს შორის რკინის კედლის აღმართვა „პერიოდიზაციის“ სახელით. ამგვარი დანაწევრება თვითნებურია, მექანიკური და შემოქმედის ერთიანი ბუნების წვდომას შეუძლებელს ხდის.

ყოველივე შემოთქმული გასათვალისწინებელია, როცა ვეცნობით პაოლო იაშვილის შემოქმედებას საერთოდ, და კერძოდ, მის დასაწყის პერიოდს, რომლის განხილვისას ჩვენ 1911-1915 წლებით შემოვიფარგლებით. ასეთი შეზღუდვა, რა თქმა უნდა, პირობითია. იგი პოეტის პირველი ნაბიჯების სკრუპულოზური აღნუსხვის საშუალებას გვაძლევს მხოლოდ და ამდენად, ზღვარი ედება არა შემოქმედებითს პროცესს, არამედ ჩვენ კვლევასაც, მისი გაადგილების მიზნით. პერიოდიზაციას ხშირად სწორედ ასეთი მიზანი აქვს, თუმცა ფასდება რო-

გორც შემოქმედის ორგანული, შინაგანი პერიოდლი.

პაოლო იაშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისის გაცნობისას მდიდარ და თითქმის ერთადერთ მასალას გვაწვდის იმდროინდელი ქართული პრესა.

ლიტერატურული საქმიანობის ხალისი და ნიჭი პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას გამოამჟღავნა.

1911 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა გამოსცეს ჟურნალი „Стрелы Колхиды“, რომელსაც პაოლო იაშვილი რედაქტორობდა. ქუთაისის გაზეთმა „კოლხიდამ“ დაუზოგავად გააკრიტიკა ახალი წამოწყება: „აქრელებულ-აჩიქორთულბუღელი, უაზრო ლექსები და წერილები ჩვენებურ ახალგაზრდა მობარუსკეებისა, რა საპიტნავოაო“ (1911, № 41, გვ. 3). გაზეთი „ახალ-ახალ გამოჩეკილ“ სხვა თანამშრომლებთან ერთად „პაოლიკო“ იაშვილსაც ასახელებდა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო ჟურნალი, ის უწინარეს ყოვლისა, პაოლო იაშვილის ადრე გაღვივებულ სამწერლო თუ სარედაქციო უნარზე მიგვიჩივებს.

პაოლო იაშვილის პირველი გამოქვეყნებული ლექსია „ღმერთო, ღმერთო...“ („კოლხიდა“, 1911, №59, გვ. 3). ლექსი აღარ დაბეჭდილა განმეორებით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი სრულად მოტანა:

ცრემლის ცხარე ნაკადული, გულში სევდა  
ჩაქარგული..  
უიწელო სიყვარული — არ მშორდება, სულ თან  
დაძლევს...  
სულის ლტოლვა სწრაფად ქრება, ჩემი ვარდი  
ნორჩად ჭენება...



ფაგლახ... რაღა მეშველება? ვინ მომიხსობს  
მწამლავ დარღებს...

ბედო რისთვის გამაჩამე? გული ვერსად  
დავიამე...  
ირგვლე მეფობს ბნელი ღამე, — არსად მოჩანს  
შუქი მისისა...  
ძილი ეტრფის ჩემს ქვეყანას — და სიკვდილიც  
გალობს ნანას...  
ხელთ უპყრია შავ სატანას საიდუმლო  
სიცოცხლისა.

მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ცისფერყან-  
წელთა მოზავალი თავაკაცი ამგვარი ტრადიცი-  
ული ლექსით წარსდგა ქართული მწერლობის  
კარბებესთან. ლექსი სიმართლიანდაა მიჩნეული  
პატრიოტული ლირიკის ნიმუშად.

„ცრემლის ცხარე ნაყადლი, გულში სევდა  
ჩაქარგული... მწამლავი დარღები“ არ შორდება  
პოეტს, ამის მიზეზი კი არის „უიმედო სიყვა-  
რული“ სამშობლოსადმი (შდრ. აკაკის სატრ-  
ფო — სამშობლო), სადაც „მეფობს ბნელი ღა-  
მე“, რადგან „ძილი ეტრფის... ქვეყანას“ (შდრ.  
„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“ „ოხ,  
ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი...“)

რუსეთის „ახალი პოეზიის“ სიომ მალე ქე-  
თისისაღ უწია. 1913 წლის გაზაფხულზე ქუთა-  
ისში გაიმართა ცნობილი რუსი პოეტების  
სიმბოლიტ თეოდორ სოლოგუბისა და ფუტუ-  
რისტ იგორ სევერიანინის საღამო. „კოლხიდაში“  
დაიბეჭდა პაოლო იაშვილის ვრცელი წერილი  
„სოლოგუბის საღამოზე და სოლოგუბთან“  
(1913, №30). წერილი ცნობილ რუს პოეტებს  
ეგება და ამდენად, თავისთავად საინტერესოა;  
მითუმეტეს საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან  
ახალგაზრდა პაოლოს მრწამსს, მის გემოვნებასა  
და წერის თავისებურ მანერასაც მიგვანიშნებს.

საღამოზე სოლოგუბს წაუციხხავს მოხსენება  
„ახალი დროის ხელოვნებაზე“. როგორც ჩანს,  
პაოლო იაშვილი იცნობდა სოლოგუბის პოეზიას  
და მაღალ შეფასებასაც აძლევდა მას, თუმცა  
შოხსენებით უკმაყოფილო დარჩენილა. „თუ  
თქვენ სოლოგუბს იცნობდით, ვით რაღაც საო-  
ცარი ჭაღო-ძალით მოსილ მხატვარს, თუ თქვენ  
იმის ლექსებში ეძებდით არაჩვეულებრივ  
ადამიან-ავტორს, სოლოგუბი ლექტორი გულს  
დაგწვევდათო“, წერდა იგი.

საჯარო გამოსვლების მომავალი გმირი, მკვერ-  
მეტყველი და შეუღარებელი იმპროვიზატორი  
პაოლო „მისუსტებულ ხმას, აპატიურ გამოთქ-  
მას“ სოლოგუბის დიდ ნაყლად მიიჩნევს.

მოხსენების ძირითადი თეზისების (მომავლის  
ხელოვნება სიმბოლიტური იქნება; სიმბოლიზ-  
მი დემოკრატიულ ელემენტს მიიზიდავს, მაგ-  
რამ კი არ ემონებს მას, პირაქით, განუზომელი  
გაუღუნა აქვს ხალხზე, სპობს მის ტენდენციას  
და სხვარ), გადმოცემის შემდეგ პაოლო იაშვილი  
ერთგვარ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამკლ-  
ენებს რუსი პოეტის შემოქმედებისა და თუ-

რული მოსაზრებების მიმართ: „მხატვრულ  
შემოქმედებაშიც მიჩნეული სხვადასხვაობას,  
აზრთა წინააღმდეგობას და გამოურვევლობას,  
სოლოგუბმა თავის ლექციაშიც იგივე გამოსახა...  
ადვილი ვასაგები იყო ნაწყვეტები ლექციისა,  
მაგრამ ძნელი იყო საერთო სინტეზის გაკეთება“.

როგორც ჩანს, კერძოა და ზოგადის ამგვა-  
რი შეუპაბამოა ყოველი ფუჟე თეორიული  
„ნაგებობის“ საერთო ნაკლოვანებაა. სწორედ  
ამაზე მითითებდა ალექსანდრე ბლოკი „მის-  
ტიური ანარქიზმის“ თეორიის შემქმნელს, სიმ-  
ბოლიტ პოეტს გიორგი ჩუღკოვს: «Почти  
все, что вы пишете, принимаю отдельно, а  
не в целом. Целое (мистический анархизм)  
кажется мне не выдерживающим критики,  
сравни. с частностями его» (А. Блок, «Собра-  
ние сочинений», т. VIII, 1963, стр. 158).

წერილის დასასრულს პ. იაშვილი გადმოგვ-  
ცემს სოლოგუბის აზრებს საქართველოზე, რაც  
რუს პოეტს მასთან საუბრისას გამოუთქვამს:  
საქართველო ამქვეყნელო საშობებ, ქართველი  
ხალხი — მგრძობიერი, მუსიკალური და პოეზი-  
ის მოყვარული. მინდა ვიცნობდე საოცარ  
ქმნილებას „ვეფხისტყაისას“, ვეცდები შევის-  
წავლო ქართული ენა, საყუთარ სახელსა და  
გვარს უკვე უშეცდომოდ ვწერ, აუცილებელი  
თბილისში აღმოსავლური ენების ფაკულტეტი,  
ქართული ენის კათედრის დამკვიდრება, რისთ-  
ვისაც ქართველმა ხალხმა ძალ-ღონე არ უნდა  
დაზოგოსო და სხვა.

პირადი კონტაქტი დაუმყარებია პ. იაშვილს  
იგორ სევერიანინთანაც. საღამოს ბირთვი სო-  
ლოგუბის გამოსვლა იყო. ეს იგრძნობა წერილ-  
შიც; ავტორი სევერიანინს მხოლოდ რამდენი-  
მე ფრაზით წარმოგვძლევს, მაგრამ ვერ ფა-  
რავს აღტაცებას. ჩანს, ახალგაზრდა პაოლოს  
კეთილგანწყობა სწორედ 26 წლის ფუტურისტ-  
მა მოიხვეჭა: „დიდის ყურადღებით შეხვდა სა-  
ზოგადოება ახალგაზრდა პოეტს, რუსეთში  
დამკვიდრებულ ფუტურისტების საუკეთესო  
წევრს. იგორ სევერიანინს. მისმა ლექსებმა,  
და უფრო მისმა სიმღერითი კითხვამ ხალხი  
აღფრთოვანებაში მოიყვანა... რუსეთის პოეზია-  
ში იჭვი არ არის, სევერიანინი ღირსეულ სახელს  
დაიმკვიდრებსო“.

ამ დროისათვის პაოლო იაშვილი უკვე  
„ოქროს ვერძის“ გამოცემაზე მუშაობს: სევე-  
რიანინმა ერთი მშვენიერი ლექსი „გაზაფხუ-  
ლის დღე“ „ოქროს ვერძისათვის“ მომცა —  
კვათხულობთ იქვე. სევერიანინის ამ ლექსის  
იაშვილისეული თარგმანი „ოქროს ვერძის“  
მეორე ნომერში დაიბეჭდა.

პაოლო იაშვილის საუკეთესო აღზინდელი  
ლექსია „ზარის ხმა ქარში“ („კოლხიდა“, 1913,

**ლალი ავალიანი**  
პაოლო იაშვილის შემოქმედებითი ბზის  
დასაწყისი



№ 31, გვ. 3). პირველი ლექსი, პოეტის საკუთარი ხელწერით, თავისებური რიტმითა და ხშივრებით, უბაღლო მხატვრული სახეებით...  
 ნაწი ნაწი, ნაწი ნაწი ნაწი...  
 შორს სადღაცა ყვავილს ბუნჩქ ქვეშ მივიძინა...  
 ქარმა ცვიან ბალახს გვიათ ჩაურბინა, —  
 ცვიან ბალახს მოსწყდა, სვედით დივიგინა,  
 ქარში ზარის ხმა იძახის:  
 ნაწი ნაწი ნაწი!

ლექსის ზარის ხმასთან ორგანულად შერწყმული ელერადობა მოგვავიანებს ვერლენის სიტყვებს — მუსიკა უბირველეს ყოვლისა.  
 შეინიშნება ამ ლექსის ერთგვარი თემატური სიახლოვე, შემოსხენებულ ლექსთან „ღმერთო, ღმერთო“... იგივე სევდიანი განწყობა „ცოდელი მიწის“, „ქვეყნის ცოდვებისა და კვნისის, სირცხვილისა და ჭორების“ გამო, ბუნების გაყურებით არსებული სიტყვების სურათი. მაგრამ დიდია სხვაობა ამ ორ ლექსს შორის. „ზარის ხმა ქარში“ უფრო „განწყობის“ ლექსია. „ღმერთო ღმერთო“ კი პატრიოტული ლირიკის სწორხაზოვნად მოფიქრებული ნიმუში, შედარებით ღარიბი პოეტური არსნაღობი. სიტყვებისათვის შევადაროთ ერთმანეთს შუის ჩასვლისა და ქვეყნად გამეფებული ძილის სურათი, რომელიც ორივე ლექსში გვხვდება.

ორგვლივ მეფობს ბელი დამე,—  
 არსად მოჩანს შექი მზისა...  
 ძილი ეტრფის ჩემს ქვეყანას —  
 და სიკვდილიც ვალობს ნანას.  
 („ღმერთო, ღმერთო“)

ნაწი... ნაწი... ნაწი, ნაწი, ნაწი ნაწი...  
 მთების იქით ოქროს სხივმა გაიბზინა.  
 წყარომ თავის მკერდზე ვერცხლად დაიფინა...  
 მეზარემ ცივ ქვაზე საწყლათ დაიძინა  
 შესწყდა ზარის კვნისა:  
 ნაწი... ნაწი... ნაწი, ნაწი... ნაწი...  
 („ზარის ხმა ქარში“)

ამ მაგალითმა გვიჩვენა, თუ როგორ შებოჭა პოეტის ფანტაზია მკვეთრად განსაზღვრულმა მიზანმა. მხოლოდ შემდეგში მიაღწია პაოლო იაშვილმა სოციალური მიზანდასახულებისა და ბრწყინვალე მხატვრული ოსტატობის შერწყმას; შემოქმედების დასაწყის პერიოდში კი ტუნდენციურობა ერთგვარად ვსებდა კიდევაც მის ლექსს. ეს განსაკუთრებით ითქმის „კოლხიდის“ სააღდგომო ნომერში დაბეჭდილ ლექსზე „წითელი დღე“ (1913, № 32).

ლექსი დაწერილია 16-მარცვლიანი საზომით. ზოგჯერ რუსთველური ინტონაციითაც კი:  
 მე ბოროტება დაეთრგუნე, ვქმენ მაგალითი  
 გრძნეული...  
 მოვედით ჩემდა მამურალნი, ძალ-ღონე  
 გამოლეული.

ლექსი ვერც მხატვრული გამოსახვის საშუალებათა სიახლთ მიგვიზიდავს, უეჭველია მისი

„სააღდგომო“ სიუჟეტიც (ასეთი ლექსების შინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო). „წითელი დღე“ პაოლო იაშვილის პოეზიის მოამაგებ შალვა დემეტრაძემ არც კი შეიტანა კრებულში.

წითელ დღეს სხივმა წითელმა გააპო მღვიმეს  
 კედელი,  
 ეტობდან ქრისტე წამოდგა, ქრისტე სიმართლის  
 მკედელი!  
 და ყველას, ვისაც თვალთავან სდიოდა  
 ცრემლის ღვარები,  
 ვოლგოთის სიომ გადასცა ქრისტესგან  
 დანაბარები: —  
 „მიწამეთ! თქვენთვის ვიტანჯე ხორციით წამების  
 ჭკარზედა,  
 და სული თქვენ დაგიტოვეთ იმედათ  
 ქვეყანაზედა.  
 მე ბოროტება დაეთრგუნე, ვქმენ მაგალითი  
 გრძნეული...  
 მოვედით ჩემდა მამურალნი, ძალ-ღონე  
 გამოლეული“.  
 ...აღდგომას წითლად შეღებილს მეც მიტმ  
 ენაყვალეები,  
 რომ დღეს პირველად მანახვა სვედამ შემშრალი  
 თვალეები...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მკითხველი ალბათ არ ელოდა ვრცელ ციტატებს, ამას არც ვაპირებდით; მაგრამ, ერთი მკვლევარის აზრით, „საზოგადოებრივი ვითარების შეცვლა და რევოლუციური ძალთა ახალმა აზვირებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პაოლო იაშვილის შემოქმედებაში და ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალა იგი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს...“ წითელი დღე“. აქ პოეტი აშკარად გამოხატავს პროტესტს არსებული სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ, ხალხს მოუწოდებს ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად და სწამს, რომ ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის აუცილებლად გამარჯვებით დასრულდება“ (!) (ა. მირიანაშვილი, „პაოლო იაშვილი“, „ციცყარი“, 1964, № 8, გვ. 110). კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია.

პაოლო იაშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს სალიტერატურო და სახელოვნო ყოველკვირეული ჟურნალის „ოქროს ვერძის“ გამოცემა.

ჟურნალი დღემოკლე აღმოჩნდა: პირველი ნომერი 1913 წლის 19 მაისს გამოვიდა, მეხუთე და უკანასკნელი კი 30 ივნისს.

პაოლო იაშვილის მაშინდელი მრწამსის გასარკვევად ჩვენ არ შევუდგებით „ოქროს ვერძში“ გამოქვეყნებულ მხატვრული ნაწარმოებების ანალიზს, რადგან არა გვკონია, ახალგაზრდარედაქტორის შაკერი არბიტრობა გაეწიოს წარმოდგენილი მასალის შერჩევისას. ჟურნალს





ჩვენ ვერ ჩავეთვით ვარკვეული მიმართულების მწერალთა ორგანოდ.

პაოლო იაშვილის მამინდელი სულისკვეთება უფრო სარედაქციო სტატიებიდან ჩანს, ხოლო „ოქროს ვერძის“ შესაფასებლად ავტორთა ჩამოთვლაჲ კმარა: გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, შალვა ღლიანი, სერგო კლდიაშვილი... თანაც ნუ დავივიწყებთ, რომ ნიჭიერი მწერლების ნაწარმოებთა აშკარა თავმოყრა ერთი ეურხალის ფურცლებზე საკმაოდ იშვიათი მოვლენაა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ზემოხსენებულ მწერალთა უმრავლესობა ჭერ კიდევ ემებს საკუთარ ხმას, რაც თავისთავად საინტერესოა ლიტერატურის მკვლევარისათვის.

ის ფაქტი, რომ 19 წლის პოეტი ახერხებს შექმნას იმ დროისათვის ღირსსაცნობი სალიტერატურო ეურხალი, მიიზილის უმთავრესად ახალგაზრდა თაობა, რომელიც მალე ქართულ მწერლობას დაამშვენებს, უკვე გვიჩვენებს პაოლო იაშვილის შემოქმედებით სითამამესა და ორგანიზატორულ პოტენციას. მას ძველ თაობის მწერლების მიზიდვაც სურდა; ცნობილია პაოლოს ორი წერილი ვაჟა-ფშაველასადმი, რომლებშიც იგი ამებს — ვაჟას, ბაჩანასა და თედოს თანამშრომლობას სთხოვს.

სარედაქციო სტატიებში უმთავრესად პატრიოტული სულისკვეთება შეინიშნება. რედაქციის მიზანია ახალგაზრდა ხელოვანთა შეკავშირება საქართველოს კულტურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად, წარსულისა და აწმყოს დიდ ქართველ მოღვაწეთა ჭეროვანი დაფასება, „წარსულის დიდების ნაშთების“ გაცნობა-შესწავლა.

ეურხალის პირველი ნომრის პირველ გვერდზე გვხვდება ძმები ჯაფარიძეების მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი. საყუარადღებთა რედაქციის მოწოდება — „დიადი ხელოვნური ძეგლი დიად ხელოვანს შოთა რუსთაველს! („ოქროს ვერძი“, №1).

„ოქროს ვერძის“ სახელწოდება უჩვეულოა იმდროინდელი ქართული პერიოდული ორგანოსათვის, მით უმეტეს საყუარადღებოდ მიგვანინა მისი დამთბევა მსოფლიო სიმბოლისტიკის ეურხალის «ЗОЛОТОЕ РУНО» სახელწოდებასთან. ამ ეურხალის ისტორია ასეთია: 1903 წელს მოსკოვში სერგეი სოლოვიოვმა, ანდრეი ბელიმ, ელისმა და სხვა სიმბოლისტებმა საფუძველი ჩაუყარეს არკონავტების წრეს; 1906 წელს კი რედაქტორ-გამომცემელმა პ. რიაბუშინსკიმ დააარსა ეურხალი «ЗОЛОТОЕ РУНО». მასში თანამშრომლობდნენ ბრიუსოვი, ბელი, გიპუსი, მერეჟკოვსკი... რიაბუშინსკისთან უთანხმოების შემდეგ 1907 წლიდან მათ ადგილ-

ზე მოვიდნენ ბლოკი, ვიჩესლავ ივანოვი, სოპროკოვსკი ლოგუნი და სხვანი.

ამით ის კი არ გვენდა ვთქვათ, თითქმის „ოქროს ვერძი“ მსოფლიო სიმბოლისტიკის ეურხალის სახელწოდების ზრმა მიზანძვას წარმოადგენდეს; კოლხეთის პოეტებს თამაშად შეეძლო ეწოდებინათ „ოქროს ვერძი“ თავიანთი ეურხალისათვის. ღირსსაცნობად მიგვანინა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქუთაისელი პოეტები იცნობენ მათს თანამედროვე პოეზიას. ამასვე გვიდასტურებს „ოქროს ვერძი“ მოთავსებული თარგმანები ლეონიდ ანდრეევიდან, სევერიანოვიდან, ცნობები დ'ანტუიკოს, ბრიუსოვის, ბალმონტის, ბალტრუშაიტის შესახებ. ზემოთქმული ვვაფიქრებინებს, რომ „ოქროს ვერძი“ პროვინციული თვითშემოქმედების ნიშნული იყო.

ეურხალში პაოლო იაშვილის ერთადერთი ორიგინალური ლექსი — „მეორეს“ — არის მოთავსებული („ოქროს ვერძი“ №5). იგი ვერგავაკვირებს ვერც თემატიკით, ვერც მხატვრული გამოსახვის საშუალებათა სიბზლით და ერთი შეხედვით, საკმაოდ ბანალურ სატრფიალო ლექსად გვეჩვენება. მასში შეინიშნება იმდროინდელი შაბლონური სატრფიალო ლირიკის თუნდაც შორეული, მაგრამ მაინც არსებული გავლენა. მაგ:

ყველას ენახავთ! დავასწავლით  
თუ რა არის ტრფობის წესი,  
მე მსურს ყველამ გაიგონოს  
შეყვარებულ მგონის ლექსი.  
ან კიდევ:  
ამ დროს კონიხი დაწეს დავიწვი,  
გადაგაქცევ მზიან ვნებათ...  
კიდევ:  
და რაც რომ ჩემს სიპაუტეს  
შერჩენია კიდევ ვნება,  
შენს თეთრ სხეულს ჩემო სატრფო  
ციცხლის ალათ მოედება...

როცა გავლენაზე ელაპარაკობთ, უფრო ინტონაციურ და შინაარსობრივ მსგავსებას ეკუთვნის, ვიდრე მხატვრულ სახით ვაცივეთილობას. მაგ, ბოლო სტროფის — „ენება, რომელიც სატრფოს თეთრ სხეულს ციცხლის ალად მოედება“ — მიგვანინებს პაოლო იაშვილის პოეტური ხედვის ერთ თავისებურებას: იგი არის პოეტი-მხატვარი, რომელიც სამყაროს უმთავრესად ფერებში აღიქვამს.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ: ლექსი „მეორეს“ ვერ გაექცა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული სატრფიალო პოეზიის გავლენას, მიუხედავად ამისა, ის მაინც მიგვანინებს თავისთავად, ნიჭიერ

**ლალი ავალიანი**  
პაოლო იაშვილის შემოქმედებით დავის დასაწყისი



პოეტს, თუნდაც ამგვარი ნაზი და მსუბუქი სტროფებით:

ვარდი ამბობს: ჩემთან მოვლენ —  
ისამანს გული სტკივა,  
შრომანა პირს ილამაზებს,  
ბალახს ლხენით ცრემლი სცევა.

მზე მოკვდება ერთი წუთით,  
ერთი წუთით დაიძინეთ —  
ნაცვლად ვარსკვლავს გამოგზავნის  
ის ცის ფსკერზე გაიცინებს.

1913 წლის მეორე ნახევარში პაოლო პარიზში მიემგზავრება მხატვრობის შესასწავლად. ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. პოეტის პარიზულ პერიოდზე მეტად ძუხწი ცნობები მოგვეპოვება. ერთი რამ ნათელია: 20 წლის პოეტი ოფიციალურ სწავლებას ნაკლებად დაგიდევთ, იგი კვლავ თავის საყვარელ სფეროში ტრიალებს. ეცნობა სხვადასხვა ეროვნების მხატვრებსა და პოეტებს. ღრუბელივით იწოვს იქაურ გარემოს, ახალი პოეზიის სიტყვითი და შხამით იცლინება.

მოვუსმინით გერონტი ქიქოძეს: „პაოლო ცხოვრობდა ლათინურ უბანში, მის „ფიქრთა მღვდელთა“ ბოდლერი, ვერლენი, რემბო და ვერპარანი შეიქმნენ. იგი დაუახლოვდა თანამედროვე მხატვრებსა და პოეტებსაც. პაოლო ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა“ (გ. ქიქოძე, „პაოლო იაშვილი“, „მნათობი“, 1958, №8, გვ. 166).

პაოლო იაშვილის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“ აღწერილია კაფე „როტონდაში“ გატარებული უქანასკნელი დამე, აპოლენართან და ერენბურგთან, შექსიველ მხატვართან და რუს მხატვარ ქალ მარევენასთან ერთად. ილია ერენბურგის გადმოცემით, მათ ვარდა „როტონდის“ ხშირი სტუმარები იყვნენ პოეტები ბლუზ სანდარაი და ჟან კოქტო; მხატვრები — ვლამინკა, ლევი, პიკასო, მოდილიანი, შავალი და სხვა. სწორედ „როტონდაში“ ეზიარა ახალგაზრდა პოეტი ბოჰემურ ცხოვრებას, რომელიც მან შემდეგში, შავლა ფხაიძის თქმით, „ესთეტიკურ ფენომენამდე“ აიყვანა.

«С Паоло Яшвили я познакомился в Париже, в «Ротонде»; было это в 1914 году. Паоло тогда был худым и порывистым юношей (ему было двадцать лет). Он спрашивал меня: «А в каком кафе сидел Верлен? Когда сюда придет Пикассо? Правда, что вы пишете в кафе? Я не мог бы...» იგონებს ერენბურგი (И. Эренбург, «Люди, годы, жизнь», книга I, II; 1961, стр. 509).

შემდეგში ცისფერყანწულთა მოწინააღმდეგენი პაოლოს დაცინებით „პარიზის კაფეების გმირს“ უწოდებდნენ (გ. ახალი კვალი, 1916, №14, გვ. 3), ამასაც უკვირებდნენ, „განა საკმა-

რისია გიმნაზიის მე-6 თუ მე-7 კლასიდან გვე მოგვდებულმა ყმაწვილმა სამი თუ ოთხი პარიზში ტროსკეთ ხელში ჩაისვირნოს, რომ იქიდან უძირო და უსაზღვრო ცოდნა ჩამოიტანოს...“ (ვახუთი „თანამედროვე აზრი“, 1916, №135).

კაფე „როტონდაში“ პაოლო ბოჰემური ცხოვრების განცდის სურვილთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნების სიყვარულმა მიიყვანა. პარიზშივე ჩაისახა ქართველი პოეტის ღრმა ინტერესი ენობრივ რუსი სიმბოლისტის კონსტანტინე ბალმონტის პოეზიისადმი.

თბილისის ვახუთ „თემის“ 1914 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა პაოლო იაშვილის პარიზიდან გამოგზავნილი წერილი „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი“ (№170, გვ. 3).

„ეს ზამთარი ბალმონტიმ პარიზში გაატარა“, მოგვითხრობს პაოლო, „მე შემთხვევა მეძლეოდა, ხშირად შევხვედროდი მას. ქართულმა ენამ მასზე ...დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოლივერ უორდროპის მეგობრებით მას წუყუთხვავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმანი... მისივე თხოვნით მე წაუყუთხე მას ადგილები პოემიდან და გადავუთარგმნე ქართულად რამდენიმე მისგანვე არჩეული სიტყვები“.

როგორც ჩანს, პაოლო იაშვილს გარკვეული წელი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნის საქმეში. იგი ბალმონტს ქართული ენის შესწავლაშიც ეხმარებოდა. „ბალმონტი ძალიან წუხს, რომ ქართლის შესასწავლად ვერ იშოვა ვერავითარი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. აჟამინ ცაცოდვილებით ჩუბინა-შვილის ლექსითვის — გეწერს პაოლო იაშვილი, მაგრამ თქვენც მიხვდებით რა უნდა გამოსულიყო აქედანო“ — ვკითხულობთ ვახუთ „თემში“ (№ 183, გვ. 2).

პარიზში პაოლო იაშვილი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მან ვახუთ „თემს“ ბალმონტის 11 ლექსის თარგმანი გამოუგზავნა. (იხ. ვახ. „თემი“, 1914, №170, №212). თარგმნების განხილვისას შეინიშნება პოეტის უღია მთარგმნელობითი ნიჭი და ისტატიობა, რაც მით უფრო დასაფასებელია, რომ პოეტის პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს ამ სარბიელზე.

ბალმონტი 1914 წლის აპრილში მცირე ხნით თბილისს ესტუმრა. ქართველმა საზოგადოებამ მას გულმხურვალე შეხვედრა მიუწყო, გაპოიერდა ინტერესი ბალმონტის პოეზიისადმი. ვახუთმა „თემმა“ ბალმონტის ლექსთა კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა ითავა. პაოლო იაშვილი ამ წამოწყებას პარიზიდან გამოეხმაურა.

„თემი“ იტყობინება: „პაოლო იაშვილი ვეწერს პარიზიდან, რომ იგი შეუღდა კ. ბალ-



მონტის ლექსების თარგმნას, რომლის გამოცემა ჩვენ ვიცისრეთ. კ. ბაღმონტი აპირებს თურმე ამ გამოცემისათვის წინასიტყვაობის დაწერას საქართველოს და ქართველების შესახებ» (№183).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პოლო იაშვილი პარიზშიც აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა; ამას გარდა, პარიზულმა შთაბეჭდილებებმა წარუშლელი კვალი დატოვა მგერჩობიარე პოეტის სულში; თანამედროვე პოეზიის გაცნობამ ახალი სამყარო გადაშალა მის წინაშე. პოეტის მომდევნო წლების ბევრი საუკეთესო ლექსი სწორედ მისი ეგროპაში მოგზაურობით არის შთაგონებული.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. 1915 წლის დსაწყისში პოლო იაშვილი „ეგროპის წარღვა“ გამოქვეყნა და საქართველოს მოაშურა. სამშობლოში იგი ინგლისისა და სკანდინავიის ქვეყნების გავლით დაბრუნდა.

1915, იანვარში პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია დიდ ნიაღვარში მე გამისტუმრა ეგროპიდან ინგლისის გემზე „კაბალოკია“ — წერდა შემდეგში პოეტი. პოლოს მოგზაურობის ერთ ეპიზოდს ბორის პასტერნაკი გადმოგვცემს: «На глухой норвежской станции Яшвилли заведаяს и не заметил, как ушел его поезд, Молодая норвежская чета, сельские хозяева, из глубины края на санях приехавшие на станцию за почтой, видели ртутьезство жгучего южанина и его последствия. Они пожалели Яшвилли и, неизвестно как объяснившись с ним, увезли к себе на ферму до следующего поезда» (Борис Пастернак, «Люди и положения», ж. «Новый мир», 1967, № 1, стр. 234).

ქუთაისში დაბრუნებული პოეტი კვლავ გატაცებული ჩანს ლიტერატურული თუ საზოგადო საქმიანობით. არ არის თითქმის არცერთი მოვლენა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, რომელთან დაკავშირებით პრესა პოლო იაშვილის სახელს არ იხსენიებდეს.

უკვირგვინო მეფის, აკაის გარდაცვალება მთელმა საქართველომ იგლოვა. პოლო ქუთაისის დამკრძალავი კომიტეტის აქტიური წევრი იყო. გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი, „ცხედარი გამარწყინებისა“ (1915, №3), რომელიც თბილისის გაზეთ „თემს“ საგულსხმოდ მიუჩნევია და სიტყვასიტყვით გადათბეჭდაც (1915, № 206).

სანდრო შანშიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე და პოლო იაშვილი გამგზავრებულან საჩხერეში, სადაც აკაი გარდაიცვალა; შემდეგ საენაში, რომელიც, პოლოს აზრით, „სამახსოვრო უნდა იყოს ყველა ქართველთათვის, რადგან მრავალი თავისი იღუპალებით სავე სიმღერა აკაის აქ შეუქმნია“.

აკაის ნეშტი საჩხერიდან თბილისში საგანგე-

ბო მიტარებული გადაასვენეს, რომელიც პოლო იაშვილის დიდებულად მოურთავს. („სამშობლო“, 1915, №5)

8 მარტს აკაის პანაშვიდი გაიმართა საჩხერეში, სადაც ქუთაისმა აკ. ფალავა, გრ. ლალიძე და პ. იაშვილი მივიღონა. პანაშვილზე სიტყვა წარმოთქვა მ პოლო იაშვილსაც („თემი“, 1915, №212).

პოლომ უკანასკნელი ვალი მოიხადა დიდი ქართველი პოეტის წინაშე, მეგრე ცოტა შეიცავდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და „დავიწყების ზღვაში“ გაღისიროლა მისი ხსოვნა. ეს არ იყო ორპირობა, ამას პოლო იაშვილს „ცისფერი ორდენის“ თავკაცის ნიღაბი ავალბდა. მაგრამ ცისფერაწყნელთა იერიში აკაიზე მთლად მოზა არ ყოფილა, მას რეალური საფუძველიც გააჩნდა.

თანამედროვეთა გადმოცემით, პოლო უფრო „აკაი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევად“ (გ. ქიქოძე, „მნათობი“, №8, 1958, გვ. 167), მას „განსაკუთრებით უყვარდა აკაი, მისი პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო და ვერ იტანდა მის მიმბაძველებს, უნიჭო ეპიგონებს“ (შ. აფხაძე, „მნათობი“ 1960, № 11 გვ. 163).

აკაის გარდაცვალებამ მართლაც მოამთავრა ერთი ბრწყინვალე პერიოდი ქართული პოეზიისა. ძველი გზით სიარული აღარ ხერხდებოდა, ის გზა გაიცივთა წარსულის მოღვაწეთა დევის ნაფხებრებით. ქართული პოეზიაში კი მიანიც მრავლად ბოგინობდენ გაკავალულზე იოლად სვლის მოსურნენი — მიმბაძველები.

უნიჭო ეპიგონებისადმი ახლისმამიებელი პოეტების სიძულელის ბოლოს და ბოლოს მიმბაძვის ობიექტებისადმი გაღიზიანებაც მოჰყვა. ამას დაერთო ეგროპის სიმბოლოზმისა და ფურტურისმის სკოლების მიერ წარსულის მოღვაწეთა უგულუბეზყოფის დიდი „გამოცდილება“. ასე წარმოიშვა ცისფერაწყნელთა „უარამყოფლობა“.

სწორედ ეგროპის „ახალი პოეზიის“ გაცნობამ და უნიჭო მიმბაძველთა სიძულელმა მისცა პოლო იაშვილს ბიძე, ეწარმოებინა ძიება ქართული ლექსის ახლებურად აქღერების მიზნით.

იგი ცდილობს გარდევოს დაკანონებული ლექსის ზღუდები, მისცეს ლექსის სასამოგონო ხშიერება, როგორც ბერაათა შეხამების, ისე თავისებური დეკლამაციის გზით.

1915 წლის 5 მარტს ქუთაისის თეატრში გამართულ ომებზე გრინაშვილის საღამოზე პოლომ ბაღმონტს ლექსთა საკუთარი თარგმანები წაუკითხავს. „სამშობლომ“ ბაღმონტის დეკლამაციის მიმბაძველობა შენიშნა პოეტს: „თუ ის

**ლალი ავალიანი**

პოლო იაშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი





იფქრა, ბლმონტის ლექსებს კეთხულობ. ამიტომ მასვე უნდა მივბაძო, ეს არც ისე საჭირო იყო... ტირილი და ღმუთი... არ უხდება ჩვენს ენას... იაშვილის ლექსებმა ამ ტირილით ბევრი დაკარგეს“ (1915, №29).

პაოლო იაშვილს ვეღარ ამაყფილებს გაცეითი საზომი, იგი სონეტის ფორმას მიმართავს, რომელიც ძალზე ტყვადაღ მიაჩნია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „სონეტს ელლის“ („სამშობლო“, 1915, №159), პირველ სონეტს პაოლო იაშვილის პოეზიაში. შალვა აფხაიძის გადმოცემით, პაოლო დიდი თაყვანისმცემელი იყო სონეტისა; შემდგომში მისი ბევრი საუკეთესო ლექსი სწორედ ამ ფორმით დაიწერა. მაგ., „ვალერიან გაფრინდაშვილს“ (1915), ტრიტიხი — „მაღარმე, ვერლენ, ვერპარს“ (1916), „ავტოპორტრეტი“ (1917) და სხვა.

„სონეტი ელლის“ ხალისიანი ინტონაციით, ნათელი და გამომსახველი ფერებით, პირველ რიგში კი ახლებური ფორმით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იგი ქართული სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშია.

გავიხსენით ლექსის ობტიმისტური ფინალი. ყვევლებმა ჩემს გარშემო!... მისი მინდა... ისასწნებო აყვავილდით, იმზიარულეთ! გაზაფხულის დღე, შეხვედრის დღე ხომ დაგვირგვინდა.

იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით!... მომღერალ გულში ხარობს გრძნობა, ენთუბა ალი... ჩვენი ბედისთვის სხვიოსნდება დღე მომავალი“.

სხვა უმნიშვნელო ცვლილებებთან ერთად, ამ ლექსის ბოლო ორმა ტაბემა პოეტის თხზულებათა 1959 წლის გამოცემაში პირველნაბეჭდისაგან სრულიად განსხვავებული სახე მიიღო:

და ამ ბუნების მე მანამდე ვარ ვადამკიდე, სანამ იმედი დამპირდება, რომ გნახავ კიდევ! (გვ. 99).

თუმცა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში (გვ. 485) მითითებულია „სამშობლო“ ს. ნომერი, რომელშიც პირველად დაიბეჭდა სონეტი, საფიქრებელია, რომ კრებულის შემდგენელი შალვა დემეტრაძე რომელიმე ავტორგაფს ან თვით პოეტის ადრინდელ შენიშვნებს დაეყრდნო.

1915 წლის აგვისტო-სექტემბერში სალიტერატურო სარბიელზე ელენე დარიანი გამოჩნდა. სათავე დაედო იმ მისტიფიკაციას, რომელიც თვეების მანძილზე საგონებელში აგდებდა ქართველ საზოგადოებას. „სამშობლო“ ჯერ კიდევ აგვისტოში იტყობინებოდა, ელენე დარიანის ლექსების დაბეჭვდა შერამისისთვის გა-

დაიდო (1915, № 159). „სამშობლოში“ ქსეტიანი სები აღარ დაბეჭდილა. პაოლომ ისინი სრულად სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა. ეს მოხდა 20 სექტემბერს, ქუთაისის თეატრში გამართულ ვალატიონის საღამოზე — „საქართველოს ყვევილები“. „სამშობლო“ მონაწილეთა შორის ვალერიან გაფრინდაშვილს, ელენე დარიანს, შალვა დადიანს, ვარლამ რუხაძეს, პაოლო იაშვილს, კატო მიქელაძესა და სხვებს ასახელებდა (№177).

ელენე დარიანის ნატიფი და თან იმ დროისათვის საოცრად გაბედული ლექსებით წარუდგა პაოლო იაშვილი საზოგადოებას. მაშინ ექვიცი არაფერი ჰქონდა, რომ ელენე დარიანის სახელს პაოლო ეფარებოდა.

„დარიანულ“ ლექსებს დამსწრეთა გაცეცხვა და აღშფოთება გამოუწვევია. „პ. იაშვილმა წაიკითხა ქართული ქალის, ელენა დარიანის ლექსები, რომელთაც საზოგადოება გააკვირვებს თავისი საოცრებით და გაბედულებით. ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდო“ — გვაუწყებს თბილისის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1915, №40, გვ. 15).

ელენე დარიანის ლექსები, რომელმაც ასეთი მიოქმმა-მოქმმა გამოიწვია, დაიბეჭდა ვახუშტის „მეგობრის“ ნომბრისა და დეკემბრის ნომბრებში. ესენია — „ძახილი“, „ჩემი თავადი“ (№33) და „ზამთარი“ (№62).

„დარიანული“ ლექსებით, სონეტით „ვალ. გაფრინდაშვილს“ და ტრიოლეტებით „მეფის ქორწილი“, იწყება ახალი ხანა, სიმწიფის ფაზა პოეტის შემოქმედებაში. მზადდება „ციხეფერი ყანწების“ კვნიცი.

ვალატიონის საღამოზე პაოლო იაშვილს წაუკითხავს მოხსენება „სამშობლოს გარეთ იმის დროს. პარიზი. ლონდონი. ჩრდილოეთი. იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი“ („სამშობლო“, №177). დამსწრეთათვის მოხსენება იხვეე მოულოდნელი და გაუგებარი ყოფილა, როგორც ელენე დარიანის პოეზია. „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „მომხსენებელი სწორად ახსენებდა ისეთ მწერლებსა და მხატვრებს სახელებს, მათთან შეხვედრას და საზოგადოთ ისეთ ენით ლაპარაკობდა, რომ ხალხისთვის ბევრი გაუგებარი დარჩა“, თუმცა იქვე აღნიშნავდა: „მომხსენებელს აქვს მშვენიერი ხმა. ლაპარაკობს ლამაზად და თვისუფლად“. (1915, №40, გვ. 14).

1915 წლის ოქტომბერში კონსტანტინე ბალმონტი კვლავ ესტუმრა თბილისს. მას დასავლეთ საქართველოც მოელოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ღირსეულად დახვედრის მიზნით ქუთაისში ჩამოყალიბდა კომიტეტი, შალვა დადიანის, გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ა. ფადაეას, ე. გაფრინდაშვილის, ა. არსენიშვილი-

სა და სხვათა შემადგენლობით („მეგობარი“, 1915, №3).

კომიტეტის სახელით პაოლო იაშვილმა ბალმონტს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა: „შველი ქალაქი ოქროს ვერძის ქვეყნისა ალტუცებით მოგესალმება და მოუთმენლად მოგვლის შენ, მზის სიკაბუჯის და ნეტარი ოცნების შექმოსილო მარადო მომღერალო“ („მეგობარი“, №3).

ბალმონტის ქუთაისელ მასპინძელთა შორის ყველაზე აქტიური ჩანს პაოლო იაშვილი, რუსი პოეტის ძველი ნაცნობი და მისი ლექსების ნაყოფიერი მთარგმნელი. ბალმონტის სტუმრობის დღეებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა პოეტის ლექსთა თარგმანები, მათ შორის იაშვილისეულიც. ესენია „მომავალი ლანდები“, („თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 40.) და „მსურს განა?“ („მეგობარი“, 1915, №2).

პაოლო იაშვილს ბალმონტის ლექსთა ქართული კრებულის გამოცემაც ჰქონია განზრახული და რუსი პოეტის ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე წინასიტყვაობის დაწერა უთხოვნია მისთვის.

«Получил сегодня письмо от Яшвили из Кутанси. Хочет к моему приезду выпустить сборник грузинских переводов моих стихов и просит предисловия», წერდა ბალმონტი თავის მეგობარ ქალს («Литературная Грузия», 1967, № 6, გვ. 68).

7 ოქტომბერს ქუთაისის საზოგადოებას ბალმონტის პატივსაცემად ნადიმი გაუმართავს. რუს პოეტს კიტა აბაშიძე მისალმებია (ყ. „ცხოვრება“, 1915, №1, გვ. 32). სიტყვა წარმოუთქვამს პაოლო იაშვილსაც: „მე პირველად შევხე შენს გრძნულ ლექსებს და გადვიძღერე მათი სილამაზე რუსთაველის ენაზე.“

...შენი მზისაგან მომაქვს მე სხივები და მსურს მარადი ალტრობა იმ სიყვარულის გასა-

თობად, რომელიც ცოცხლობს ჩემს კაბუჯ სულში, ჩემო დიდო და ძვირფასო მასწავლებლო“ („მეგობარი“, 1915, №9).

„მეგობარი“ ბალმონტის საპასუხო სიტყვებსაც გადმოგვეცემა... „როდესაც პარიზში ყოფნის დროს, შენ მოდიოდე ჩემთან და ხშირად დადილილს და დაღონებულს მიკითხავდი შოთასა და სხვის ლექსებს, მე მაშინ ვგრძნობდი ჩემი სულის დღესასწაულს“.

ბალმონტის ქუთაისში სტუმრობა „ცისფერი ყანწებისათვის“ სამზადისს დაემთხვა. ამ დროისათვის საბოლოოდ გამოიკვეთა ახლისმამიებელი პოეტის პაოლო იაშვილის სახე.

\* \* \*

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ „იწყებოდა“ პაოლო იაშვილი, „ცისფერი ყანწების“ მომავალი რედაქტორი და ყველაზე ოდიოზური ფიგურა ალმანახის მონაწილეთა შორის.

პოეტი შემოქმედებითი გზის დასაწყისში წარსულის მოღვაწეთა ღრმა პატივისცემას ამჟღავნებდა. ვაიხსენით მისი „ოქროს ვერძი“, დამშვენებული რუსთაველის პორტრეტით, „წარსული დიდების ნაშთების“ შესწავლა-დაფასების მოთხოვნა; ვაყვას, ბაჩანასა და თედოს ჟურნალში სათანამშრომლოდ მოწვევის სურვილი... მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მაინც იგრძნობოდა რედაქციის სწრაფვა (თუნდაც ვაუტენობიერებელი) — ასიდენოდა გატკეპნილ გზას.

რუსეთის „ახალი პოეზიის“ წარმომადგენლების, სოლოგუბისა და სევერიანინის მიმართ ცხოველი ინტერესი პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ ქუთაისში გამოამჟღავნა. ხოლო პარიზში კი იგი ფრანგულმა სიმბოლოზმმა დაატყვევა. აქვე დაუახლოვდა იგი ბალმონტს და თავისი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს დიდ ეროვნულ საქმეში.



ბავსონე ბუაჩიძე

# ადრეული იონესკო

ფრანგული „აბსურდის თეატრი“ წარმოშობით უცხოელმა დრამატურგებმა შექმნეს: სომეხმა არტურ ადამოვმა, ირლანდიელმა სამუელ ბეკეტმა და რუმინელმა ეყენ იონესკომ.

შემდეგ ადამოვის დრამატურგია სოციალურ პრობლემატიკას დაუახლოვდა, ბეკეტი ზოგადად იხილავს ადამიანის ბუნებას, ხოლო იონესკო ძირითადად სატირულ პლანში რჩება.

„აბსურდის თეატრს“ თავისი აღიარებული წინამორბედები ჰყავს. მის სათავეებთან არის ალფრედ ჟარის „მეფე უბუ“ და გიომ აპოლინერის „ტირენიას ძუძუ-მკერდი“. იონესკოს თქმით, აპოლინერის ამ პიესამ მასზე უშუალო გავლენა მოახდინა. ახალ ტენდენციებს გზა გაუკვლია ანტონენ არტოს შემოქმედებამ.

იონესკოს აზრით, XX საუკუნის ხელოვნების ძირითადი ტენდენციები, რომელთაც მისი თეატრი უკავშირდება, შემდეგნაირად გამოიყურება: „ამ საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, ოციან წლებში, გონებისა და ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროში ადგილი ჰქონდა მსოფლიო ავანგარდის ფართო მოძრაობას. ზვენი მეტყველების ჩვეულებებში გადატრიალება მოხდა. თანამედროვე ფერწერა, კვლადან პიკასომდე, მატისიდან მონდრიანამდე, კუბიზმიდან აბსტრაქციამდე ამ გადატრიალებას, ამ რევოლუციას გამოხატავს. ეს რევოლუცია გარკვეულწილად მუსიკაში, კინოში, არქიტექტურაში. გარდაიქმნა ფილოსოფია, ფსიქოლოგია. მეცნიერებამ... მსოფლიო ახლებურად დაგვიანა. შეიქმნა და კვლავაც იქმნება ახალი სტილი. თვითვე უბოქას სტილის ერთიანობა ახასიათებს, სხვაობათა სინთეზი, რომელიც ცხად-ჰყოფს არქიტექტურასა და პოეზიას, მათემატიკასა და მუსიკას შორის არსებულ შესატყვისობებს (correspondances). შინაგანი ერთიანობა არსებობს, მავალითად, ვერსალის სახსლესა და კარტეზიანულ აზროვნებას შო-

რის. ლიტერატურამ და თეატრმა, ანდრე ბრეტონიდან მაიაკოვსკიმდე, მარინეტიდან ტრისტან ცარამდე ან აპოლინერამდე, ფოლკნერისა და დოს პასოსის, უკანასკნელ დროს კი ნატალი საროტის და მიშელ ბიუტორის რომანებმა მონაწილეობა მიიღეს ამ განახლებაში.“<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ იონესკო აქ ავითარებს ბოდლერის აზრს „შესატყვისობებზე“, რომელმაც ფართო რეზონანსი ჰპოვა სიზბოლისტებთან და თანამედროვე ხელოვნებაში.

ეყენ იონესკოს შემოქმედება ნაწილობრივ ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის.<sup>2</sup> საბჭოთა კრიტიკამ მას რამდენიმე სტატია მიუძღვნა.<sup>3</sup> ჩვენ შევეხებით ეყენ იონესკოს ადრეული პიესების ზოგიერთ თავისებურებას, რომელიც დრამატურგის შემდგომ შემოქმედებაში განვითარდა.

<sup>1</sup> Eugène Ionesco, Discours sur l' Avant-Garde, ციტირებულია წიგნიდან: Philippe Sènant, Ionesco, Editions Universitaires, Paris, 1964, p. 27.

<sup>2</sup> Эжен Ионеско, Носорог, «Иностранная литература», 1965, № 9; Гнев, кино-новелла, «Искусство кино», 1966, № 9.

<sup>3</sup> Я. Фрид, Фарсы-кошмары Эжена Ионеско, «Иностранная литература», 1960, № 6; Г. Вояджиев, Театральный Париж сегодня, М., 1960; Т. Бачелис, Париж плачет, Париж смеётся, «Новый мир», 1961, № 1; Н. Аникст, Носороги в Нью-Йорке, «Новый мир», 1965, № 8; Н. Разговоров, От «носа» к «Носорогу» и немного дальше, «Литературная газета», 30 декабря, 1965; А. Михеева, Авангард или арьергард? «Знамя», 1967, кн. I.





საშუალო ასაკის წერილი ბურჟუა ამეღ ბუ-  
ჩინიონი დასერიონის სასაღლო ოთახში და  
შეამჩნევს... იატაკზე ამოსულ სოკოს. შემოდის  
მისი მეუღლე მადლენი და იმართება დილოგი,  
რომელიც ავსებს თითქმის მთელ პიესას, ვინაი-  
დან ეპიზოდური პერსონაჟები მხოლოდ დასა-  
რულს გამოჩნდებიან. მადლენი შინ მუშაობს  
ტელეფონისტად. იგი არჩენს ქმარსა და თავის  
თავს. ამეღე უკვე მრავალი წელია აპირებს  
პიესის დაწერას, მაგრამ საქმე რამდენიმე რეპ-  
ლიკას არ ვასცილებია. ფაქტიურად, ის უსაქ-  
მოდაა. ცოლი ამას საყვედურობს და ცდილობს  
სინდისში ჩააგდოს. ორივეს ერთი გარემოება  
აწუხებს: მათ საუბარში ქვეცნობიერად იჭრება  
„მესამე“. ეს — მიცვალებულია, რომელიც მე-  
ზობედ ოთახში წევს. სწორედ „მის გამო“  
განდა ბინაში სოკო, ჩივის მადლენი. მიცვალე-  
ბულის გადაკიდეს, ცოლ-ქმარს საზრუნავი არ  
ეღვეთ. მეზობელ ოთახში დროგამოშვებით  
ისმის ტკაცუნა. გვამი ორდება. მან უკვე დაი-  
კავა მთელი ოთახი, ფეხები ამწვია იმ  
ოთახის კარებს, სადაც ამეღ და მადლენი  
ცხოვრობენ. მდგომარეობა სახიფათოა. რადაც  
არ უნდა დაუჯდეთ, საჭიროა მიცვალებულის  
თავიდან მოცილება. ამეღ მერყევობს. მადლენი  
ამას დაეინებოთ მოითხოვს. როგორც იქნა,  
მთვარიან ღამეს ამეღ ფანჯრიდან გადაუშვებს  
გვამის თავს, ჩაღის ქუჩაში და მიათრევს სენი-  
საყენ. მოკუნტული სხეული საშინლად გრძე-  
ლი აღმოჩნდება და უსასრულობამდე იშლება.  
მადლენი ოთახიდან ეხმარება მეუღლეს, სარ-  
სკოპოს წინ ამეღე წააწყდება ნასვამ ამერიკელ  
ჯარისკაცს და გამოელაპარაკება მას, მალე პო-  
ლიციელებიც გამოჩნდებიან. შიშით შეპყრობა-  
ლი ამეღ ვარბის. პოლიციელები მისდევენ  
მას, მაგრამ ამეღ საოცრად უსსლტებათ ხელი-  
დან: ამოვარდნილი ქარის დახმარებით მიფრი-  
ნავს. პოლიციელს ხელში მისი ფეხსაცმელი  
შერჩება. ქუჩაში გამოცვენილი ამერიკელი ჯა-  
რისკაცები კმაყოფილებას გამოხატავენ და  
ყვირიან: „ჰიპ-ჰიპ ურა!“ ფანჯრიდან მეზობე-  
ლი ქალები გამოყოფენ თავს, აწყნარებენ მად-  
ლენს და უხუცებიან სხვადასხვა შემთხვევებს  
თავიანთი ცხოვრებიდან.

ასეთია ეყენ იონესკოს პიესის „ამეღ, ანუ  
როგორ უნდა მოიცილო იგი თავიდან“ სიუჟე-  
ტური ლერძი. „ამეღ“ 1954 წელს დაიდგა. პიე-  
სა კიბულისას მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს  
და ხშირად ზიზღს იწვევს. ავტორმა უწოდა  
მას „კომედია სამ მოქმედებად“. ეყენ იონეს-  
კოზე საუბრის დაწყებისათვის ჩვენ ავირჩიეთ  
ეს პიესა არა იმიტომ, რომ იგი ყველაზე დახ-  
ვეწილია დრამატურგის არჩენაში ანდა კრი-  
ტიკის განსაკუთრებული ყურადღებით სარ-  
გებლობს. პიესის შესახებ ამას ვერ იტყვი.  
მაგრამ „ამეღ“ ბევრ რამეში დამახასიათებე-  
ლია იონესკოს შემოქმედებითი მეთოდისათვის.  
ეყენ იონესკოს დებიუტი თეატრში 1950

წელს შესდგა ანტიბიესით „მელოტი მომღერა-  
ლი ქალი“. პიესის ერთ-ერთი წარმოდგენის  
შემდეგ ბენეჟამენ ბერემ და „სიურრეალიზმის  
პაპმა“ ანდრე ბრეტონმა განაცხადეს: „აი, რისი  
გაკეთება გვინდოდა ჩვენ ამ ოცდაათი წლის  
წინ“<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, კრიტიკა საკმაოდ  
მკაცრად შეხდა „მელოტ მომღერალ ქალს“.  
თანდთან მყურებულთა წრე გაიზარდა, ხო-  
ლო იონესკოს შემოქმედებამ დაინტერესა ისე-  
თი ცნობილი რეჟისორი, როგორცაა ჟან-ლუი  
ბარო.

ახლა კი დავებრუნდეთ პიესის „ამეღ, ანუ  
როგორ უნდა მოიცილო იგი თავიდან“ არსსა  
და მხატვრულ მნიშვნელობას. „ამეღს“ სი-  
ტუაცია თავში დეტექტივს მოგვაგონებს: დამ-  
ნაშავე ცოლ-ქმარი და მათ მიერ გადაშლული  
მსხვერპლის გვამი. პიესის დილოგის განვი-  
თარებასთან ერთად (მოქმედება მასში თითქმის  
არ არის) ეს ასოციაცია ადვილს უთითებს უსაშ-  
ველობისა და ადამიანის სიცოცხლე-სიკვდილის  
უაზრობის გრძნობას: ამეღ იმისაც კი ვერ  
იგონებს დანაშაულებებით, თუ ვინ არის მოკლუ-  
ლი. ეს ან მადლენზე შეყვარებული ქაბუთია,  
რომელზეც ამეღ ეკვიანობდა, ან დამხრჩველი,  
რომლის ვადარჩენას იგი ამოდ უცადა. ანდა,  
შესაძლოა, ეს ჩველი ბავშვია, რომელიც მან  
დააბრჩო, მისი ყვირილით გაღიზიანებულმა.

ამ გაურკვევლობის უკან დამალულ მორალურ  
გულგრილობას ჩვენ იონესკოს სხვა პიესებ-  
შიც შევხვდებით: „მელოტ მომღერალ ქალში“,  
„გაკვეთილში“, „უკი ანუ მორჩილებაში“, „მო-  
ვალეობის მსხვერპლში“ და ბოლოს „უხელფა-  
სო მკვლელს“ და „მარტორქაში“. ეს ერთ-  
ერთი იმ პუნქტთაგანია, რომელზედაც იონეს-  
კოსთან საჭიროა, ტ. ბაჩელიის სიტყვებით  
რომ ვთქვათ, „სერიოზული დევა“, ვინაიდან ამ  
ხერხით დრამატურგი ჩქმალავს მოწინავე საწ-  
ყისსა და კაცობაშუღეობას შორის ბრძოლის  
სიმძაფრეს. „გაკვეთილში“ მოსამსახურე ქალი  
კეხავს სწავლების სქოლასტურ, კარიკატურ-  
ულ წარმოდგენილ მეთოდს. მაგრამ ამავე  
დროს ის კარს უღებს ახალ მსხვერპლს  
და ეხმარება მასწავლებელს დანაშაულის და-  
ფარვაში. დამახასიათებელია რელიეფები, რომ-  
ლებითაც ერთმანეთს მიმართავენ მოსამსახურე  
და მასწავლებელი:

„**მოსამსახურე** (იღებს სამკლაურს, რომელზე-  
დაც გამოსახულია ნიშანი, შესაძლოა — ნაცის-  
ტური სვასტიკა) — აი, თუ თქვენ გეშინიათ,  
ეს გაკეთეთ და ნულარადრის დარღვი გქმნე-  
ბათ. (უკეთებს სამკლაურს) ეს პოლიტიკური  
ნიშანია.

<sup>1</sup> Simone Benmussa, Eugène Ionesco, Editions Seghers, Paris, 1966, p. 4.

**ბასტონ ბუაჩიძე**  
აღრეული იონესკო



**მასწავლებელი** — გმადლობთ, ჩემო პატარა მარი: ახლა დაემშვიდდი... თქვენ კეთილი ხარა, მარი... და ძალიან ერთგული...“

საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, „გაკვეთილი“ — მძაფრი სატირაა სწავლების სკოლასტურ მეთოდებზე, უაზრო დახეობებზე, რომელიც კლავს ცოცხალ აზრს, აქარწყლებს ადამიანის ცოდნას. მისასალმებელია, რომ ავტორი, თუმცა არა საყვარელი გაბედულად, მიუთითებს საშიშროების წყაროზე — ფაშიზმზე.

და აქ ჩვენ გუახლოვებით ეყენ იონესკოს თეატრის სხვა თავისებურებას. მისი დადებითი პერსონაჟები საესე არიან უკეთი. ასეთია ბერანდე „მარტორქაში“. მაგრამ ბერანდე მაინც გადალახავს თავის მერყეობას (ნაწილობრივ უნებლიეთ) და რჩება „უქანასკნელ ადამიანად“ გამშავებულ სამყაროში. ეს იონესკოს გარკვეული ჰზონიტორი ეფილეთია. საფუძველს არაა მოკლებული ვიდეოტო, რომ იონესკოს უქანასკნელი პიესების პერსონაჟთა „მოქმედება“ შემზადებულია მათი უმოქმედობით ადრულ პიესებში (ნუ დავივიწყებთ იმას, რომ უმოქმედების ამ ორ პერიოდს შორის ძვეს თვით მწერლის გარეგნული უმოქმედობა, რომლის დროს ის, ალბათ, აჯამებდა თავის ლიტერატურულ გზას და აყალიბებდა მომავალი პიესების პრობლემატიკას). ადრულ პიესებში კი, როგორც ვთქვით, პერსონაჟები უადრესად პასიურნი არიან, ჩვენ უკვე ვახსენეთ ამედეს „შემოქმედებითი ტანჯვა“. პიესა, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ დასწერს, მხოლოდ საბავია უმოქმედობისათვის. მადლენი, მართალია, მუშაობს, მაგრამ მხოლოდ ფულისათვის. მისი შრომა უხალისია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის თავის გვერდით არამზადა ქმარს ხედავს. პიესის კონფლიქტი აგებულია სწორედ მოქმედების, რაიმეს წამოწყების აუცილებლობაზე მისთვის, რომ თავიდან მოცილო „ის“. ინტენსიური ზემოქმედების შედეგად მადლენი ბოლოს შესძლებს ამედეს ადგილიდან დაძვრას. გაურკვეველი რჩება ის, თუ რას აძლევს მათი მიტყუარებისაგან განთავისუფლება: ამედე ხომ ქარს მიაქვს სადღაც.

პასიურია მოსწავლე გოგონა „გაკვეთილში“. სამაგეროდ „მოქმედებს“ მასწავლებელი, რომელიც პედანტიურად აწვავს მას. ბოროტი საწყისი კეთილზე ძლიერია. ასევეა „მოვალეობის მსხვერპლში“: შუბერი, მისი ცოლი მადლენი და პოლიციელი უსტიყუოდ ემორჩილებიან გარეგან მონდინარე ბრძანებას, უსახო სახელმწიფოებრივ მანქანას, რომელიც ულმობლად ამსხვრევს თვითველი მათგანის არსებობას. (აქედან გამომდინარეობს აზროვნების და მოქმედების ის ავტომატიზმი, რომელსაც საკმაოდ ადგილი ეთმობა თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში და რომლის შესახებ წერს ი. ფრიდი). მათგან დამორბეულად და

მათზე მალა არის პიესაში „თავისუფლება მხატვარი“ ნიკოლა დ'ე, რომლის ანტიკონსერვატიული და, განსაკუთრებით, შექმნილი სიტუაციის განმსწავლის როლიც გამოსვლა ნაკლებად დამაჯერებელია. ისიც აღვნიშნოთ, რომ ნიკოლა დ'ე პოეტია. მხოლოდ პოეტი არაჩვეულებრივი. სხედლობრ ასეთი, რომელიც არ წერს:

„პოლიციელი —... მე თქვენც პატრეს გცემთ, ძვირფასო ბატონო ნიკოლა დ'ე. ბევრი რამ გამიგონია თქვენს ნაწარმოებებზე, თქვენზე...“

ნიკოლა — (პოლიციელს) თქვენ სტუქციით... სიხამფილდში მე არ ვწერ და არც ვამყობ ამით!

პოლიციელი — (დაღვრემილი) — ო, არა, ბატონო, არა, თქვენ წერთ! (შემოს გრანობა იზრუნო) წერა საჭიროა.

ნიკოლა — აზაფრის მქნისია. ჩვენ გეყავს იონესკო და იონესკო საცმარისია! პოლიციელი — კი მაგრამ, ბატონო, სათქმელს ხომ ყოველთვის მონახავ... (შეშისაგან კანკალდს...)

აქ ტრივიალური აზროვნების დაცინვაც არის („წერა საჭიროა“) და ნიკოლას შტეკლობასაც ისევე გაყვება მორალური ინდიფერენტობი, პასიური პოზა.

მაინც რატომ არიან უმოქმედოდ იონესკოს პერსონაჟები? ამაზე ორგავრი პასუხის გაცემა შეიძლება. ისინი ან ბრძმდ ემორჩილებიან საზოგადოებრივ რუტინას და თავის სამსახურებრივ მოვალეობას („მოვალეობის მსხვერპლში“ პერსონაჟები, მოსწავლე გოგონა „გაკვეთილში“, ყაყის დამორჩილება თავისი შრომების გემთენებისა და შეზღუდულებიანადმი პიესაში „ყაყ ანუ მორჩილება“ და სხვ.), ანდა საზოგადოებისა და ცხოვრებისაგან განხედ დეობიან. ისევე, როგორც „ამედეში“ ცოლ-ქმარი.

აი უკვე რამდენიმე წელია, რაც მადლენისა და ამედეს ბინის კარები გამოხურულია. ვერაონ შედის ბუნიონონების ოჯახში და ისინიც არაკის ნახულობენ. გარე სამყაროსთან რომ ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტონ, საამისოდ იყენებენ სურსათით მომარაგების ორიგინალურ ხერხს: მადლენი თოვით უშვებს კალათსა და ფულს და ფანქარობს ეუზნება დამყიდველს, რაც სჭირდება. ან რა დრამატულ ხასიათს ლებულობს ფოსტალიონის მოსვლა! ეს თითქმის იმაზე დიდი ამბავია, ვიდრე ობლომოვების ოჯახში წერილის მიღება. ვანა გასაკვირობა, რომ ამედეს ძალა არ შესწევდეს გასცილდეს თავისი პიესის ორ რეპლიკას? ეს არანორმალური ცხოვრებაა. ბუნიონონების კარჩაეკტილი და სიცოცხლეს მოწყვეტილი სამყაროს სურათი — მხატვრის ნამდვილი წარმატებაა. ეს ალევგორია გადმოგვეცხს ადამიანთა განსხვავებისა, მათ ეგოიზმს და ცხოვრების წინაშე შიშს. ასევე მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობენ მო-



ზუტები „საკამბოში“. ასევეა იზოლირებული ბერანე „მარტორქაში“. ობის სუნი ასდის ორი ბურჯუაზიული ოჯახის, სმიტებისა და მარტუნების, დარბაისლურ საუბარს, რომელსაც მწარედ დასცინის დრამატურგი „მელოტ მომლერალ ქალში“ და რომელიც ასე იწყება:

**ბ-ნი სმითი.** — კმ.  
დუმლიო.  
**ქ-ანი სმითი** — კმ, კმ.  
დუმლიო.

უაზრო დიალოგებს „მელოტი მომლერალ ქალიდან“ ენათესავენა უაზრო კამათი „ოთხთა სცენიდან“ — კამათი კამათისათვის, როდესაც დაწყებულია შეუთანხმებლობის მიზეზი (თუკი ასეთი რამ მართლაც არსებობდა). მოკამათთა ფსიქოლოგია მოხერხებულად არის ვადმოცემული სიტყვების გამეორებით, რეფრენსებური რეპლიკით „ფრთხილად, არ ჩამოყაროთ ყვევილებს ქოთნები“, თავზაანი მიმართვისა და ისტერიული ექსტაზის დაპირისპირებით.

რა მიზეზი აქვს იონესკოს პიესებში გამოყვანილ ადამიანთა ეგოიზმს, განსხვავებას. უნებრისყოფობას, ჩაყეტრობას? რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოცვა, რომელსაც „ამედში“ მესამე, უმოქმედო პირობიკვალუბელი ანსახიერებს. მისი გამოსახვისას ავტორი არ ვაუტრბის ნატურალისტურ დეტალებს. ასე, მავალითად, მადლენს უხდება მასზე ზრუნვა, ფრჩხილების მოჭრა. ცოლქმარი ურიდება მიკვალუბელის სახელის ზსუნებას, მას ნაცვალსახელით იხსენიებენ. „ის“ სიმბოლოა ყოველივე იმისა, რაც დადამიანებს ხელს უშლის ისეთნებონ თავისუფლად, უყვარდეთ ფრთხანეთი, იმეგობრონ, დატბუნენ სიკოცხლით. რეფენსახავით შეიჭრა მიკვალუბელი ამედსა და მადლენს არსებობაში, მოწამლა იგი, ზოგადად თუ ავიღებთ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არის ის: ახალგაზრდა კაცი, დამბრჩალი თუ უბიწო ბავშვი. ის ერთდროულად ბორტომქმედიცაა, რომელიც ყოველივე ნათელს კლავს, და ბორტომქმედის მსხვერპლიც (მიკვალუბელი მრავალი წლის წინ მშვენიერი ტბათუი იყო).

სათაურში „ამედე, ანუ როგორ მოვიცილოთ იგი თავიდან“ ჩაქსოვილია იონესკოს დრამატურგის ყოფნა-არყოფნის საკითხი, როგორ დედალიწოთ თავი აღამიანთა დამოკიდებულებაში ეგოიზმს, ჩამორჩენილობას, სულდაბლობას და ყოველივე მომაცდინებელს? დღემდე დაწერილი იონესკოს პიესები ამ საკითხზე პასუხს არ იძლევიან. ამ ამოცანას დრამატურგი არც ისახავს. იგი ამჯობინებს ორაზროვან პასუხს: ვაიგვთ როგორც ვსურთ.

მაგრამ, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, მან ვერ შეძლო გვერდი აეღლო იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაში: დაინახა. იონესკოს დრამატურგიას წი-

თელი ზაზივით გასდევს დოსტოევსკის შემომედლების ერთ-ერთი ლაიტმოტივი: დანაშაულსა და სასჯელს, მდევარი და მსხვერპლი (პოლიციელი — შუბერი, ამედე — პოლიცია — მკვდარი, მოსწავლე — მასწავლებელი, მკვლეელი — ბერანე და ა. შ.). იმისათვის, რომ საზოგადოების თვალში დამნაშავედ გამოჩნდეს, იონესკოს პიესებში სავალდებულო არ არის დანაშაულის ჩადენა. ჩვენ მანიც არ ვიცი, ჩადინა თუ არა ამედე მკვლელობა, სრულიად შესაძლებელია, რომ არა, ობექტური პირობები წარმოგვიდგენენ მას დამნაშავედ. შუბერი „მოვალეობის მსხვერპლში“ სავსებით უდნაშაულოდ გვევლინება: იგი ხომ ამბობს, რომ არ იცნობს მალს, რომელსაც ეძებს პოლიციელი. სამწუხაროდ, ვერც ამდევს, ვერც შუბერს ეს გარემოება ვერ იხსნის სასჯელისაგან.

ამ შემთხვევაშიც იონესკო არ წარმოადგენს გამოწვევის თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში: თუნდაც დავსახელით ფრანსის კაიკოს რომანი „დევილიო ადამიანი“. იონესკოს რეპლიკების გარეგნული სიმსუბუქის, მოქმედ პირთა ცბიერებისა და მლიქვნელობის მიღმა ნღვლიანი ტრაგეზოი იფარება. მართალია ისიც, რომ ავტორს ამი თემ იმ საშუალებით შემოჰყავს თავის ნაწარმოებებში ჯამბაზობის ელემენტი, დასცინის რა ყველას და ყველაფერს.

შედარებით უფრო ნათელია და ობტიმისტური პირველ პერიოდში დაწერილი იონესკოს პიესა „ეაი, ანუ მორჩილება“, რომელიც შედის 1959 წელს პარიზში გამოცემულ კრებულში „თანამედროვე დრამატურგიიდან შერჩეული 20 ერთმოქმედობიანი პიესა“. ეს არის „რომეო და ჯულიეტას“ იონესკოსებური ვარიანტი, ესე იგი ყველაფერი პირუტყუ.

შეშალეზს მოსვენებას არ აძლევს კაბიტალური საკითხი: უყვარს თუ არა ჟაკს ჭონში შემწეურო კარტოფილი? მხოლოდ დადებით პასუხს შეუძლია აღადგინოს თვითმკაყოფილი ცხოვრების დარღვეული სიმშვიდე. ეაი წრფელი გულით გამოტყუდება, რომ მას ჭონში შემწეურო კარტოფილი არ უყვარს. მაგრამ მშობლების რეაქცია ისეთი მძაფრია, მათი გაცოცხება გულიამრეველ გაუთავებელი შეკითხვების ისეთ ნაქადად იქცევა, რომ ეაი, სამავალითი, მოკრძალებული, მორჩილი შვილი, აკმაყოფილებს მშობელთა წადილს: თავს სძლევს და სამჭერ მიეორებს, რომ მას უყვარს კარტოფილი. თურმე კარტოფილის ამბავი მხოლოდ რეპეტიციაა. მთავარი შეტაკება წინ ელის. ეაი უნდა დაქორწინდეს (ასე გადაწყვეტეს მისმა მშობლებმა). ამ მიზნით ეაივებს ოჯახმა მიიწვია რობერები, რათა მათი ქალიშვილი რობერტა გაურიგონ თავიანთ ვაჟს. ყვე-

**ბასტონ ზაჩიძე**  
აღრეშული იონესკო







ტრია მთელ რიგ მხატვრულ ხერხებში ხორციელდება, რომელიც, უპირატესეს ყოვლისა, ბოროტი და სარკასტული დაიცინეთ გამოიხატება. ამასთან ერთად, ბოროტი სიცილი, იონესკოს ნაწარმოებებში, ზოგჯერ ადვილს უთმობს ლირიულ და ელემენტარულ ელემენტსაც კი. ვეცადოთ გამოვარკვეოთ იონესკოს სატირის ცალკეული კომპონენტები კონკრეტულ მაგალითებზე.

იონესკოს დრამატურგია უმეტესად ალგორითულია. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ამედეში“ ცხედარი უარყოფითი, სიცოცხლის მომწამლავი საწყისია. მარტორქები ამავე სახელწოდების პიესაში, რომლის დადგმა ყან-ლუი ბარომ განახორციელა, მაყურებელში ფაშისტების ასოციაციას იწვევდა. განმარტავდებულ, განყენებულ ცნებებს დრამატურგი, ცხადია, რეალისტური სახეებით ვერ გადმოგვცემდა. აქ მან ალგორითი, თეატრში ნაცადი ძველთაძველი ხერხი, მოიშველია. იონესკოს მიერ სცენაზე აღვგორიულად გამოყვანილი მოვლენები ვარემოცვისათვის სერიოზულ შეუქარას წარმოადგენს. შემთხვევითი როდია, რომ ცხედარი ტკაცუნით იზრდება და ცოლ-ქმარ ბუჩინიონებს ავიწროებს, ხოლო მარტორქაა „ეპიდემია“ სწრაფად ვრცელდება ქალაქში.

ალგორითის უკავშირდება აგრეთვე უფრო კერძო ხასიათის სიმბოლოები, ნივთთა და ცნებათა პირობითი სახელწოდებები. პიესაში „მოვალეობის მსხვერპლი“ პოლიციელი დაქინიებით კითხულობს, თუ როგორ იწერება გავრი მანოლო — ბოლოში „ტ“-თი თუ „დ“-თი. რა თქმა უნდა, პოლიციელს მართლწერის წესები კი არ აინტერესებს, არამედ დამნაშავე პიროვნების დადგენა და მისი დაკერა. ასო „ტ“ ან „დ“ თავისებური „განსაკუთრებული ნიშანია“ სისხლის სამართლისათვის. იონესკოსთან ვხვდებით პირობით ფრზას, მრავალი ქდერადობის მომცველ სტრუქტურულ მოდელს, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ადამიანის მდგომარეობას გადმოგვცემს. „გაკვეთილი“ ქანცამოლუელი მოსწავლე სხვადასხვა მანერაზე გაიძახის: „კბილი მტკივა“. „მოვალეობის მსხვერპლში“ პოლიციელების მიერ შექუხებული, ანალოგიურ ვითარებაში მყოფი შუბერი ოხრავს: „საშინლად დავიღალე!“

იონესკოსადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ფრანგი კრიტიკოსი სიმონა ბენმუსა, აჯამებს რა მის პერსონაჟთა ლექსიკონზე თავის დაკვირვებებს, აღნიშნავს: „საკვანძო სიტყვებია: შუქი, ლურჯი, მწვანე, სინათლე, ლფი (სასიკვდილო ან ეროტიული ჩაფლობის გავებით), სინესტი, ჩაძირული ქალაქები, ბაღები, ხანძარი, პატარა ხიდი, ვერცხლის ხიდი, მნათი კიბე, სიცილიელში ჩამოკიდებული; ეს სახეები მუდ-

მივ მოძრაობაში მყოფ მიწისქვეშა სამყაროს წარმოშობაა“.

გროტესკი იონესკო დებიუტიდანვე იყენებს. აბსურდულიად გროტესკულია სათაური „მელტი მომლერალი ქალი“, თუნდაც იმიტომ, რომ პიესაში ასეთი პერსონაჟი არ არსებობს. გროტესკულია სამცხვირა რომბრტა, გოლიათი ცხედარი... იონესკოს გროტესკის არ აკლია ნატურალისტური, შემპარწუნებელი ნაკეთები.

პაროდია წარმოშვა ეყენ იონესკოს თეატრში და გაელნთა მისი ყოველი განზომილება. სწიტიებისა და მარტენების საუბარი მხოლოდ წიგნთია ზღვაში. გროტესკი და პაროდია უფერებელი სენივით არღვევენ ადამიანისა და ნივთიერი სამყაროს ზედადირული პროპორციების მოჩვენებით პარმონისა.

ზოგჯერ იონესკო მაყურებელს ინლობს და მიმართავს როსტანისებურ უვნებელ ეუმორს. სამცხვირა საციოლს გამო ეყის ეუნებინას: „ნუთუ არ გიფიქრია, რამდენი ცხვირსახოცი დასკირდისა მას ზამთარში?“ მინც, გარგანტიუას სადილს ან სირანო დ ბერჟერაის ცხვირის აღწერასთან შედარებით, იონესკოს სიცილი სშირად თავისთავადია და განყენებულ.

იონესკოს საყვარელი ხერხია რამდენიმე პერსონაჟის ერთი სახელით ან გვარით გაერთიანება. ამის შედეგად მაყურებლის წინაშე იშლება ეაკების, რომბრების, სმიტების, მარტენების მოდგმა. ამით ავტორი, რა თქმა უნდა, ხაზს უსვამს ნათესაური თვისებების ერთობლიობას, მაგრამ განზოგადება უფრო შიდა მინდის და ერთნაირი თვისებების მქონე, ერთნაირი ყაიდის ადამიანების ერთიანობად იქცევა. ვარდა ამისა, და ეს ამ ხერხისათვის ძირითადია, სატირის მახვილი მიმართულია ადამიანის მიერ ადამიანური ხასის დაკარგვის წინააღმდეგ. ეყის შშობლები, როგორც წყლის ორი წვეთი, გვანანთავიანთ შშობლებს და ამავე დროს თავიანთ მეგობარს რომბრებს, ხოლო ყველა ისინი — ერთმანეთს, თავიანთი სიცილით და არამზადობით. მაგრამ არც ამით იწურება ამ ხერხის შინაარსი: არ არის გამორიცხული მისი გაგება როგორც საერთოდ ადამიანთა უფერულობისა.

პერსონაჟთა მიერ საუთარი ხასის დაკარგვისა და სახეთა გაერთიანების გვერდით იონესკოსთან საპირისპირო ხერხსაც ვხვდებით: პერსონაჟთა ვარებბას. ვარებბას ადგილი აქვს პირდაპირი და ვადატანითი მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობით ეს ჩვენ გვაძლევს ერთი ხასიათის ორ ვარიანტს: რომბრტა I და რომბრტა II, ამედ I და ამედ II, მადლენი I და მადლენი II... ამ ხერხს რეპრეზის ელემენტიც ვა-

1 Simone Benmussa, Eugène Ionesco, Editions Seghers, Paris 1966, p. 44.

განსტონ გუანიძე  
აღმრუთი იონესკო



ანჩია, ვადატანით მნიშვნელობით გაორებულია იონესკოს ყველა პერსონაჟი სამყაროსთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში.

ირაციონალიზმი და მისტიციზმი მეტნაკლებად ყველა პიესაში იჩენს თავს. „გაკვეთილში“ მოსწავლე გოგონა ტრანსამდეა მისული, მან აღარ იცის, რას ამბობს. მისტიციზმია გამჟღავნებული მალოს ძებნის სცენებში („მოვალეობის მსხვერპლი“), პოლიციელისა და მალდენის შეძახილები უფრო პიზნაჟის სიანსს ვაგავს:

„**პოლიციელი** — ეძებე მალო, მალო „ტ“-თი. ხედავ მალოს? ხედავ მალის?... უახლოვდები? **მალდენი:** მალო... მალო-ო-ო-ო...“

მალდენი ბანს აძლევს პოლიციელს არა მარტო მოყვანილი მაგალითი, არამედ მთელი პიესის განვითარებაში: სხვა პიესების მოქმედი პირებიც უფროდ იმეორებენ სხვისა და თავიანთ სიტყვებს, მეორდება მთელი ფრაზებიც:

„**ადედა-ჟაჟი** — მე ბედნიერი ვარ, მე ვამაყობ შენით, ჩემო პატარა ჟაჟ. აბა გაიმეორე, რაც თქვი.

**ჟაჟი (როგორც ავტომობილი):**  
მე ვალმერთებ შემწვარ კარტოფილს.  
მე ვალმერთებ ქონში შემწვარ კარტოფილს.  
მე ვალმერთებ ქონში შემწვარ კარტოფილს.“

მეორდება ცალკეული სიტყვებიც, რეპლიკა: „**ჟაკონა:** Ça viendra, papa, t' en fais pas, papa! (ეს თავისთავად იქნება, მამა, მოთმინება, ნუ წუხნები, მამა!)“

ჩანდახან გამეორებებს წმინდა რიტმული ან ბგერითი მნიშვნელობა აქვს, როგორც უკანასკნელ მაგალითში. სხვა შემთხვევაში ავტორი იყენებს მათ, რათა ავტომობილ აზროვნებას დასცინოს.

ვილკამ სიტყვის კომიკური და ტრაგიკული მნიშვნელობის დახასიათებისას სამართლიანად აღნიშნა, რომ შექსპირმა ვეჩიყენა თავის ადგილას მოთავსებული სიტყვის ტრაგიზმი, ხოლო მოლოდინმა უაღვილო ადგილას ჩასმული სიტყვის კომიზმი. სწორედ ასეთ კომიკურ ეფექტს ქმნის შუა საუკუნეებში გავრცელებული ფორმლის „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“ ჟაჟის ბებიის მიერ თავისებური გადამღერება: „ჩემი შვილის შვილი ჩემი შვილია... და ჩემი შვილი, ეს — შენი შვილია. სხვა შვილი ქვეყნად არ მოიპოვება“ („ჟაჟი, ანუ მორჩილება“).

ბებიის რეპლიკის ბოლო — აბსურდის ერთერთი მაგალითია იონესკოსთან. ამ იარაღით იონესკო თვით აბსურდულობისა და სამყაროს შეუსაბამობის წინააღმდეგ იბრძვის. სამწუხაროდ, ზშირად აბსურდი არსებობს აბსურდისათვის და მაშინ მიზანს ვერ აღწევს. ვაუტუბარია, მაგალითად, რას იძლევა შუბერისა და კომპოზიტორ შუბერტის უაღვილო ასოციაცია („მოვალეობის მსხვერპლი“) ან პოეტრი ნიკოლა დე ესი—რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-სთან (იმავე პიესაში). ამრიგად, იონესკოს ძალა და

სისუსტე შედარდება გესლიან სატირასა და უკბილო ხუმრობაში.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ იონესკოს ენის ბგერით მხარეს. ეს არის მდიდარი და ავტორის მიერ საფუძვლიანად დამუშავებული ხერხი. ამაზე დაწერილებით ვერ შევიჩნებებით და არც მაგალიტებს მოვიყვანთ, რადგან იონესკოსეული ბგერებით თამაში ჩვეულებრივ თარგმანში უკარგება. ვიმედოვნებთ, რომ მეითხველი ამყარად ჩვენს ნათქვამს დაუჯერებს. მაგალიტები უნდა იხილავთ, ალიტერაცია, შინაგანი რითმები და ბოლოს სიტყვათა თამაში გავრცელებული მოვლენა იონესკოსთან. ზოგ კრიტიკოსს ეს საბაბს აძლევს ილაპარაკოს იონესკოს პიესების განუმარტებლად ან კიდევ საკუთრივ პოეზიაზე.

იონესკოს პიესების საერთო აგებულებისათვის დამახასიათებელი მოვლენათა განვითარების აღწვალა ტემპი. პიესის „ამედო, ანუ როგორ უნდა მოიცილო იგი თავიდან“ დასაწყისში ბუჩინიონი შეამჩნევს იატაკზე ამოსულ სოკოს. შემოდის მალდენი, აღშფოთებულია, „ყველაფერი მისი ბრალია“ — ამბობს იგი. შემდეგ გამოჩნდება მეორე სოკო, შემდეგ მესამე და ბოლო სოკოები ისე იხრდებიან ბუჩინიონის ბინაში, როგორც ტყეში. პიესაში სოკოები წარმოადგენენ მოსალოდნელი უბედურების სიმბოლოს — მიცვალებულის შემოქრას ცოლქმრის უკანასკნელ თავშესაფარში. ამიტომაც არის პირველი სოკო მოქმედების თავისებური კვანძი. სოკოები „ამედოში“ ძალიან გავს კამიუს „შავი ტირის“ კვანძს. იგივე ხერხია გამოყენებული „მარტორქაში“.

ევენ იონესკოს პიესებისათვის დამახასიათებელია მოქმედების წრისებრი განვითარება. მაგალითად, „გაკვეთილის“ ფინალში, ერთი მიცვალებული მოწაფის ცხედრის გატანის შემდეგ, რეკს მეორე მოსწავლე და ყველაფერი იწყება თავიდან. „ვალდებულების მსხვერპლში“ ნიკოლა დე ე კლავს პოლიციელს, რადგან ეს უკანასკნელი აწამებს შუბერს, შემდეგ კი ნიკოლა გამოდის პოლიციელის მწვალბეღის როლში. ამაშია კამიუს სხვა მოტივის გამოძახილი, სიზიფეს ფუჟი შრომისა. მაგრამ კამიუს კონცეფციის სტილიზმში ადგილს უთმობს აშკარა უმლურებას და უმოქმედობას. აქ მოსახდენი ხდება მსხვერპლის მონაწილეობის გარეშე, უფრო სწორად, მსხვერპლი განაჩენს ემორჩილებდა. განმეორებითობის იდეას დაჰკრავს აგრეთვე მავნე ელფერიც: ყველაფერი იქნება ისე, როგორც ადრე იყო.

ზშირად იონესკოს პიესაში ხდება „ტონალობის შეცვლა“. „გაკვეთილში“ მასწავლებელი ჯერ დარცხვენლია, თავს უკრავს მოსწავლეს; შემდეგ იგი ხდება მკაცრი, ინტონაცია უფრო მბრძანებლურია და დამცინავი. დაახლოებით იმავე სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ პოლიციელის მოქმედება „ამედოში“. ამასთან





დაეკავებოდა იცვლება „მსხვერპლთა“ საქციელიც: მოსწავლის, შუბრის, მადლენის. აქ ღივს ვეაქვს არა მოქმედ პირთა ევოლუცია ან მათი სახეების მრავალფეროვანი დახასიათება, არამედ მათი შინაგანი არსების თანმიმდევრული გამოხატვა. მაყურებლის წინაშე უნილბოდ წარმოდგება მასწავლებლის, პოლიციელისა და სხვების მხეცური სახე. განა ამ ტენდენციის ლოკალური განვითარებას არ წარმოადგენს „მარტოქა“?

უფრო კერძო ხასიათისაა, მაგრამ არა ინტერესმოკლებული იონესკოს „რევისორული“ ხერხები. მაგალითად, პოლიციელი სცენის ერთ კუთხეში ზის, მისი ხმა კი, მაგნიტოფირზე ჩაწერილი, მეორე კუთხიდან ისმის. პოლიციელი მოგონებებში წავიდა და ამიტომაც მისი ხმა თითქოს წარსულიდან ეღერს. სომამპულივით დაძაბვს შუბერი გაურკვეველ დამნაშავეს. თავისებური რომანტიკა შეაქვს „ამედემი“ მთავარის შუქს, ბუჩინიონის თაახს რომ მოეფინება იმ მომენტში, როდესაც ცოლ-ქმარი „მის“ გატანას შეუდგება. თითქოს ბუნებამაც გამოდარება დაიწყო მათ ხედვრთან ერთად. ამაზე მიუთითებს ავტორის შენიშვნაც: „... რასაკვირველია, სიტუაცია ცოლ-ქმრის თაახს რამდენადმე იცვლება, მაგრამ საშინელი აუცილებლად უნდა თანაარსებობდეს მშვენიერთან“. საშინელისა და მშვენიერების თანაარსებობა კი რომანტიკოსების ნაცადი ხერხია, დაკანონებული ჯერ კიდევ ვიქტორ პოუგოს მიერ.

გამოვევით იონესკოს შემოქმედებაში დადებითი ჰუმანური და ორაზროვნებას მოკლებული ნოტა — სიყვარული ბავშვებისადმი, რომელსაც თავისი მონოლოგიტ გამოხატავს პოლიციელი (ის ხომ ისეთივე მოწამლული ადამიანია, ისეთივე „მოვალეობის მსხვერპლი“, როგორც ისინი, ვისაც იძულებულია სდევნადეს). შეუძლებელია სიმწერისა და ტიციელის გარეშე მოისმინო მისი აღსარება:

„მე მიხილდნენ კაიკებს, ცუდად მეცვა, სუსტი ჯანმრთელობა მქონდა: მუდამ ვაბრაზებულდი ვიყავი. ჩემი მტრები სულ უფრო ძლიერნი და მძლადარი ხდებოდნენ. ჩემი კეთილისმყოფელი ლარიბდებოდნენ, სამარცხვინო ავადმყოფობა და უაზრო მარცხი ერთი თაახს მიყვრებით სცვლდნენ მათ.“

მეგავრებოდა მიწა, მზე, მისი თანამგზავრები. მინდოდა გადავხვეწილიყავი სხვა სამყაროში, მაგრამ ის არ არსებობს.“

ვთავის დაბადებამ შეარიაგა პოლიციელი კაცობრიობასთან, ცხოვრებასთან, რომელიც ასე შეკარად მოექცა მას. მისი მონოლოგი სიცოცხლის ორმა, თუნდაც ტანჯვით შექმნილი, აღიარებაა:

„ პოლიციელის ხმა — დიად, გაჩნდი თუ არა შენ არარაობიდან, მე ვივარქენი ჩემი თავი გაწინაარაგებულად, ათროლოგებულად, ბედნიერად და უბედურად, ჩემი ქვის გული გადაიქცა

ჩერად, თავბრუ დამეხვა, მე მაწუხებდა სინდრის გაურკვეველი ქენჯნა, რომ არ მინდოდა მყოლოდა შთამომავალი დამეცად ხელი შეშეშალა შენი ამ ქვეყნად მოსვლისათვის. შენ შეიძლება არ ყოფილიყავი, შეიძლება არ ყოფილიყავი! ამ ფიქრისაგან მე მომიცვა პანიკურმა შიშმა: და მწუხარებამ მომიცვა მე... მილიარდობით ბავშვი, რომლებსაც შეეძლოთ დაბადებულყვენენ, მაგრამ რომლებიც არ დაიბადნენ, უთვალავი სახეები, რომლებიც არასოდეს იგემებენ მოფერებას, პაწაწინა ხელები, რომელთაც მამები ვერასოდეს ჩაბლუჯავენ, ტუჩები, რომლებიც ვერასოდეს ვერ ატიკტიკლებიან. მე მინდოდა შემეცხო სიცარიელე ცოცხალი არსებით. ვცდილობდი წარმომედგინა ყველა ეს პატარა არსება, რომლებმაც კინლამ დაიწყეს ცხოვრება, მე მინდოდა ისინი შემეძქმნა ჩემი აზრით, რომ მქონოდა შესაძლებლობა, თუნდაც დამეტირებინა ისინი, როგორც ნამდვილი მიცვალებულნი“.

ახლა კი სიტყვა მივეციით იონესკოს, რათა გავიგოთ, როგორ უყურებს ის თეატრის დანიშნულებას ჩვენს დროში. ნივოლა დ'ე-ს და პოლიციელის დიალოგში ავტორი ხანდახან, თუნდაც პარადოქსალურად და გაღაბანითი მნიშვნელობით, გამოხატავს თავის აზრს. ჩვენ დავინახავთ, რომ იგი ძირითადად უარყოფს და ნაკლებად ასაბუთებს (უგულვებეღვყოფთ რებოლებს, რომლებიც არ ეხება თეატრს):

**ნიკოლა:** მე ბევრს ვფიქრობდი თეატრის განახლების შესაძლებლობაზე, როგორ შეიძლება წარმოიქმნას ახალი თეატრში? რას ფიქრობთ ამაზე, ბატონო უფროსო ინსპექტორი?

**პოლიციელი:** (ნიკოლას) მე არ მესმის თქვენი კითხვა!

**ნიკოლა:** (პოლიციელს) მე ვოცნებობ რაციონალურ თეატრზე.

**პოლიციელი:** (ნიკოლას, ამავე დროს თვალყურს ადევნებს შუბერს) არა არისტოტელურ თეატრზე?

**ნიკოლა:** სწორედაც...

**ნიკოლა:** მართლაც რომ თანამედროვე თეატრი ჯერ კიდევ ემორჩილება ძველ ფორმებს, ვერ გასცილება პოლ ბურჟესიელ ფსიქოლოგიას.

**ნიკოლა:** საქმე ის არის, ძვირფასო მეგობარო, რომ თანამედროვე თეატრი არ შეესაბამება ჩვენი ეპოქის კულტურას, ჩვენი დროის ზოგად გამოვლინებებს...

**ნიკოლა:** მაგრამ საჭიროა ანგარიში გაუწიო ახალ ლოკაცას, ახალი ფსიქოლოგიის აღმოჩენებს... ანტაგონიზმების ფსიქოლოგიას.

**ბასტონ ზაზიქიძე**  
აღრეზული იონესკო



**პოლიციელი: (შუბერს,)** ...სიურრეალისმიზმს-  
კენ მიღრეკილი თეატრი?

**ნიკოლა:** ისეთ ფარგლებში, როგორშიც სი-  
ურრეალისმი უახლოვდება გალუციანაციურ  
ხედვას...

**პოლიციელი: (ნიკოლას)** გალუციანაციურ ხედ-  
ვას?

**ნიკოლა:** ...სხვა ლოგიკიდან და სხვა ფსიქო-  
ლოგიიდან გამომდინარე, მე შეეცინადა წინა-  
აღმდეგობას არაწინააღმდეგობრივში, არაწინა-  
აღმდეგობრიობას იმაში, რაც, მე ვგარსობ, წი-  
ნააღმდეგობრივი ბანალობაა. ჩვენ ხელს ავიღ-  
ებთ ხასიათების ადვანტიურებისა და ერთიანო-  
ბის პრინციპზე მოძრაობის, დინამიური ფსიქო-  
ლოგიის სისარგებლოდ... ჩვენ საკუთარ თავს  
აღარ წარმოვადგენთ... ინდივიდუალობა არ არ-  
სებობს. ჩვენში არის მხოლოდ წინააღმდე-  
გობრივი და არაწინააღმდეგობრივი ძალები...  
სხვათა შორის, თქვენთვის ინტერესს მოკლებუ-  
ლი არ იქნებოდა, წაგვეთხათ ლუპასკოს საუც-  
ხოო წიგნი „ლოგია და წინააღმდეგობრი-  
ობა“...

**ნიკოლა:** ჩამოყალიბების უფორმოებაში ხა-  
სიათები თავიანთ ფორმას კარგავენ. თვითუფლი  
პერსონაჟი საკუთარ თავს ნაკლებად წარმოად-  
გენს, ვიდრე სხვას...

**პოლიციელი: (ნიკოლას)** მამასადამე ადამიანი  
უფრო... სხვაა, ვიდრე თვითონ?

**ნიკოლა:** ცხადია. რაც შეეხება მოქმედებასა  
და მიზეზობრიობას, ამზედ ნულარაფრის ვიტყ-  
ვით. ჩვენ უნდა საცვებით უგაველებელყოფ  
ისინი, თუნდაც მათი ძველი, უხეში ფორმით,  
რომელიც მეტისმეტად აშკარაა და ცრუ, რო-  
გორც ყოველთვის ის, რაც აშკარაა... კმარა  
ბრძანები და ტრაგიკობები: ტრაგიკული კომე-  
დიურად იქცევა, კომიკური კი ტრაგიკულად,  
ცხოვრება კი მხიარული ხდება... ცხოვრება  
მხიარული ხდება...

**პოლიციელი: (შუბერს)** ...მთლად არ გეთანხ-  
მებით... თუმცა მაღლა ვაყენებ თქვენს გენი-  
ალურ აზრებს... რაც შემეხება მე, მე ვრჩები  
არისტოტელურად ლოგიკური, საკუთარი თავი-  
სადმი, ჩემი მოვალეობისადმი ერთგული, უფ-  
როსების მიმართ კი მოკრძალებული... მე არა  
მწამს აბსურდი, ყველაფერი კანონზომიერია,  
ყველაფერი გასაგები ხდება... ადამიანის გონე-  
ბისა და მეცნიერების წყალობით.

**პოლიციელი:** მე წინ მივდივარ, ბატონო, წინ  
მივდივარ ნაბიჯ-ნაბიჯ, მივლევ უჩვეულოს... მე  
მინდა ეპოპო „მალო“, რომელიც „ტ“-თი ბო-  
ლოვდება.

**ნიკოლა:** თქვენ არ იზიარებთ ჩემს აზრს. მე  
ეს არა მწყინს.

**ნიკოლა: (პოლიციელს)** თუ გიფიქრიათ ამ  
ახალი თეატრის პრაქტიკულად ხორცშესხმზე?

**პოლიციელი: (ნიკოლას)** მამაკითებ, ბატონო  
ჩემო, მე ახლა არ შემიძლია გელაპარაკოთ ამა-  
ზე, არა მაქვს ამის უფლება სამსახურებრივ  
საათებში!

ამრიგად, ნიკოლა ირაციონალური თეატრის  
იდეას იცავს, პოლიციელი კი ჩვეულებრივ  
არისტოტელური თეატრის მომხრეა. ავტორი  
უფრო ნიკოლას ნივანტრობისაკენ იხრება.  
„ახალი თეატრის“ პრაქტიკული განხორციელე-  
ბის რეცეპტები დილოგში არ მოიპოვება. სა-  
მაგიეროდ მის პრაქტიკულ ხორცშესხმად შეიძ-  
ლება ეყენ იონესკოს თეატრი მივიჩნიოთ.

ახლა თავლი გადავავლოთ დრამატურგის მი-  
ერ თავისი პიესების კლასიფიკაციისათვის შე-  
მოღებულ ტერმინოლოგიას. „მელოტ მომე-  
რალ ქალს“ ანტიპიესა ეწოდა, „გაკვე-  
თილს“ — კომიკური დრამა, „ჟაკი, ანუ მო-  
ჩილება“ ნატურალისტური კომედიაა, „მოვა-  
ლეობის მსხვერპლი“ — ფსევდოდრამა, „ამე-  
დე, ანუ ტრაგორ უნდა მოცილო იგი თავი-  
დან“ უბრალოდ კომედიაა სამ მოქმედებად,  
„სკამები“ კი ტრაგიკული ფარსი.

მოყვანილი ტერმინოლოგიიდან ცხადი ხდება,  
რომ ის არც თუ ძალიან ახალია: შეაერთო  
დრამა და კომედია და თქვენ მიიღებთ „კომე-  
დიურ დრამას“, ტრაგედია და ფარსი მოკვირ-  
„ტრაგიკულ ფარსს“ და ა. შ. გარდა ამისა,  
იონესკოს ტერმინოლოგია საკმოდ ბუნდოვან-  
ია. რატომ არის, მაგალითად, „ჟაკი, ანუ მო-  
ჩილება“ ნატურალისტური კომედია, ხოლო  
„ამედე“ — უბრალოდ კომედია, როცა არც ამ  
უკანასკნელს აქვია ნატურალისმი?

იონესკოს დრამატურგიის განხილვისას ჩვენ  
ენახებ, რომ თავისი შემოქმედების რიგი არსე-  
ბითი თვისებით ავტორი თვითმეტრად უნდა  
უმაღლოდეს თეატრის მრავალსაუკუნოვან ტრა-  
დიციას და ავრთვედ თანამედროვე დრამატურ-  
გების შემოქმედებას. ჩვენ ენახებ ავრთვე-  
რამ იონესკოს თეატრის თვითუფლი კომპონენ-  
ტი, იქნება ეს გროტესკი, ალგორია, პაროდია,  
იუმორი, სიტყვათა თამაში თუ რიტმული პრო-  
ზა, თავისთავად ავტორის მონოპოლიას არ წარ-  
მოადგენს. ამასთანავე, იონესკოს დრამატურგია  
მკვეთად განირჩევა ყველა სხვა მწერლის შე-  
მოქმედებისაგან. ყოველივე ზემოთქმულს შემ-  
დეგ დასკვნამდე მიყვარათ: ეყენ იონესკოს  
თეატრი ცალმხრივად ავითარებს, ბერავს ცალ-  
კეულ მხატვრულ ხერხებს. ეს არის კერძოს  
ზოგადამდე მიყვანა: თუ გროტესკია — ყოვ-  
ლისმომცველი გროტესკია, თუ აბსურდი — ყო-  
ველისმომცველი აბსურდი. ამას ემატება მოვ-  
ლენათა შეზღუდვა: ნაცვლად იმისა, რომ  
თქვას „შემეჩიერი“, ავტორი ამბობს: „მახინ-  
ჯი“. ყოველივეს აგვირკვინებს ეკვი და ორაზ-  
როვნება.

ამრიგად, მკითხველსათვის ნათელია, რომ  
ეყენ იონესკოს შემოქმედებაში მისაღებია და  
გამოსაყენებელი ტოტალიტარიზმისა და ადამი-  
ანთა არსებობის ავტორიტარისმი კრიტიკა, ხო-  
ლო სთანაოდ რეაგირებას მოითხოვს აბსურ-  
დი ელემენტების თვითმიზნად ვადაქცევა. სი-  
მახინჯისადმი ჭარბი მიღრეკილება და ზემოსხ-  
ნებული ორაზროვნება.

# სეპარაციონიზმი

რეპუბლიკა

## „მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტური“

თავის წერილში არლი თაყაიშვილი განიხილავს ბაჩანა ბრეგვაძის, ზვიად გამსახურდიას, ზურაბ კიკნაძის, რომან მიმინოშვილის, გივი შაპნაზარის (და არა „შახნაზარის“, როგორც შეცდომით იმეორებს ავტორი), თამაზ ჩხენკელისა და ჩემს თარგმანებს.

რამდენადაც ჩემი თარგმანებიცაა განხილვის ობიექტი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავი უხერხულად რომ არ ვიგრძნო და პრინციპულ საკითხებზე უფრო მიუკერძოებლად რომ შევძლო მსჯელობა, სჯობს ამთავითვე მოვიშორო პირადული სათქმელი, ჯერ ჩემი თარგმანების ირგვლივ აღბრუნდეს საკითხებს შევეხო. ვისაც არ დაინტერესებს, შეუძლია სინდისის ქენჯნის გარეშე გამოტოვოს წერილის ეს ნაწილი, ოღონდ ქვემოთ კი, ზოგადი საკითხების განხილვისას, მკითხველმა განსაკუთრებულ ყურადღებას მოეთხოვ.

1. „ლეონარდის“ თარგმანში ერთგან რომ „ფერხით“ წერია და მეორეგან „ფეხით“. ეს უბრალო კორექტურაა და ავტორს თავისი საექვო დებულების გასამაგრებლად არ ეკადრებოდა ამ მაგალითის მოშველიება. თავად მას „გიტანჯალის“ ენის განხილვისას (გვ. 142) ერთგან „სტროფა“ უწერია და მეორეგან „სტრიქონი“ მსგავსი ერთეულებს მიმართ. ახლა რა, იმის მტკიცებას მოვყევით — არლი თაყაიშვილი სტროფსა და სტრიქონს ვერ არჩევს?

1. „ენა ძველი, ენა ახალი“, „ცისკარი“, 1968, № 4.

2. „ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს კონტექსტის მიხედვით აგრეთვე... ცადაქნილი, გესავ, უგმერენ, წარებით“, — წერს არლი თაყაიშვილი. ვისთვისაა განკუთვნილი ეს უაპელაციო განცხადება? მკითხველისთვის? კი მაგრამ, სად უნდა ეძებოს მკითხველმა „აბუ-ლალა-მარის“ თარგმანში ეს კონტექსტები (მით უმეტეს, „უგმერენ“, საგულდაგულოდ რომ ჩნდის, იქვე იპოვნის, ეს სიტყვა „ლეონარდისა“)? ხოლო უამისოდ როგორ ირწმუნოს ავტორის შენიშვნის სისწორე? მე რომ ნამდვილად არ ვირწმუნებ, ეს კიდევ სხვა საკითხია.

3. ავტორი წერს: „... ზმნური ფორმა არასწორადაა ნაწარმოები შემდეგ მაგალითში: „ხოლო ბედისწერა მაშინ განეხენება თვალს, როცა საწყაულს სარქველი აეხდება („აბუ-ლალა-მარი“). აქ სახელი (ბედისწერა) მხოლოდითშია, ამდენად განეხება ფორმა იყო მოსალოდნელი. ასევე დაუშვებელია იქვე ნახმარი განეხენება მიწა“ (გვ. 140).

„აბუ-ლალა-მარის“ თარგმანში მსგავსი რომ არაფერი მიწერია?

ესა და ამის წინ მოტანილი მაგალითი მხოლოდ მეტივენი ნიშნისა იმისა, თუ როგორი წარმოდგენილი დაუდევრობით, როგორ ჰიპოზარდ ეყარება არლი თაყაიშვილი განსახილველ ტექსტებსა და ამ ტექსტების ავტორებს. მისი წერილიდან ციტატებისა და ავტორების დამახინჯებულად დამოწმების იმდენი შემთხვევა ამოიწერებოდა, კარგა ხანს ეყოფოდა სასწორებლად



არლი თაყაიშვილს. ოღონდ ამჟერად ნუ გამოვე-  
დევნებით ამ ამბავს.

4. ამჟერად სხვა ციტატს მივაქციოთ ყურად-  
ღებამ: „შემდეგ ტ. ტაბიძე ეხება პოემა „აბუ-  
ლალა-მარსა“ (!) ... და ისხენებს მასზე ვალერი  
ბრიუსოვის მაღალ შეფასებას. ამ ციტატებიდან  
საკმაოდ ნათლად იკვეთება ისააკიანის ენობრი-  
ვი პოზიცია. იგი ახალი ორიენტაციის გამტარე-  
ბელია ზემოთ აღნიშნულ პოემაშიც. ოღონდ  
ერთგვარი სტილიზების იერი“ (გვ. 143. ხაზი  
ჩემია. — რ. თ.).

ამ ციტატით მართლაც რომ „საკმაოდ ნაა-  
ლად იკვეთება ენობრივი პოზიცია“, ოღონდ  
არა ისააკიანის, არამედ არლი თაყაიშვილისა.  
ამგვარი ქართულით მიხსნის ავტორი, რომ მე  
სწორად ვერ გამოვიკა ავტორი ისააკიანის ერთი  
განცხადება (ბარათაშვილის „შერანთან“ დაკავ-  
შირებულში), რომ ამის გამო არასწორ გზას დაე-  
დგომივარ და „აბუ-ლალა-მარსა“ თარგმნისას  
თურმე გამომიყენებია „არა მარტო „შერანის“  
პოეტური ინტონაციები, არამედ ბარათაშვილის.  
მთელი ლექსიკური არსენალი და ენობრივი თა-  
ვისებურებები“ (ძალიან არ მომიხერხებია?!).  
რომ ისააკიანი „ისეთივე ფიგურა (!) სომხური  
ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ჩვენთან  
გალაკტიონ ტაბიძე“ და სხვა.

საიდან იცის ავტორმა, როგორი „ფიგურა“  
ისააკიანი (ცოტა ზემოთ აღმოჩენილი მოემის  
„უბადლო სტილისტობის“ არ იყოს)? ვითომ  
ასე ზედმიწევნით აბულებულებს სომხურს (ან  
ინგლისურს)? სომხურის მეც არაფერი გამეგე-  
ბა, მაგრამ რატომ წარმოიდგინა ავტორმა, რომ  
„აბუ-ლალა-მარსის“ სათარგმნელად წელი-  
წადნახევარს მუშაობისას ნაკლებ მოვასწრებდი  
რუსულად და ქართულად ისააკიანის შესახებ  
არსებული მასალის გაცნობას, ვიდრე მან მოა-  
ხერხა თავისი სტატიის წერისას? საკვირველია  
სწორედ.

5. და ბოლოს, რამდენადაც უხერხული უნდა  
იყოს ჩემთვის, მკითხველს მოვავიწყებ, როგორ  
შეფასებას აძლევს წერილის ავტორი „აბუ-ლა-  
ლა-მარსის“ ჩემულ თარგმანს: ერთი მხრივ, ეს  
თარგმანი თურმე „შესრულებულია მაღალი  
პროფესიონალიზმითა და დიდი გემოვნებით“,  
წერილის ავტორი მას ტიციან ტაბიძისეულ  
თარგმანზე გაცილებით მაღლა აყენებს თურმე,  
ხოლო, მეორე მხრივ, ამ ჩემს თარგმანში არ ყო-  
ფილა მოძებნილი სტილისტური ვასალები და-  
რაც ყველაზე საინტერესოა: „რაც შეეხება ბა-  
რათაშვილის ენას, რომელიც მთავარი არქაიზა-  
ციით ხასიათდება, მან თარგმანს შესძინა ძველ-  
ქართული იერი და ამითაც დააცილა დედანს“.

გკითხებით: შეიძლება თუ არა ეწოდოს  
თარგმანს „მაღალი პროფესიონალიზმითა და  
დიდი გემოვნებით შესრულებული“, თუკი მთარ-  
გმნელს სტილისტური ვასალები ზუსტად ვერ  
უპოვნია და თუკი, რაც მოვარია, თავისი ენი

კი არ თარგმნის ამა თუ იმ ნაწარმოებას, ან  
მედ სხვისი (თუნდაც ბარათაშვილის) ენით?

ვიმეორებ: ყველაზე მეტად ჩემთვისაა უხერ-  
ხული ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.  
და, თუ მაინც ვამახვილებ, მხოლოდ იმიტომ,  
რომ მკითხველმა დაინახოს, როგორი სახით  
წარმოვედგება არლი თაყაიშვილი, როდესაც  
მხატვრული თარგმანის სპეციფიკურ საკითხებზე  
იწყებს მსჯელობას.

და ეს შემთხვევითი, ამბავი, გამოწვევისი-  
როლია. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მთარგმნე-  
ლის წიგნები ასეა განხილული: ჯერ უადგილო  
რევერანსები, შემდეგ — წყლის გადამწურავი  
დასკვნები.

რამდენიმე სათანადო ციტატი კიდევ (ეს უკ-  
ვე ყველა ჩამოთვლილ მთარგმნელს გვეხება).  
„აი ასეთი ტრადიციის ნიადაგზე გამოჩნდნენ  
ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები... მათ ამ ეროვ-  
ნული საქმის ფერხულში ჩასაბმელად მოჰყვე-  
სიყვარული და ენთუზიაზმი. დაფუძნებული  
მთარგმნელობისათვის ესოდენ საჭირო ოსტა-  
ტობასა და ერთღირებაზე. მათი „შემთხვევითი“  
არჩევანიც კი დიდ გემოვნებასა და მისწრაფე-  
ბაზე მტყუებულებს... მსოფლიო ლიტერატურის  
არა ერთ დიდებულ ძველს ჩაბბერებს ქართული  
სული და თავისი კოლორიტით ჩვენს ორიგინალურ  
შედევრებს ამოუყენებს გვერდში... ეს  
ენობრივი პრინციპი წითელი ხაზით გასდევს  
მათ მშვენიერ თარგმანებს... მთარგმნელთა ეს  
ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ფრთა... უნდა  
აღინიშნოს, რომ ნაწარმოების სტილისტურად  
მაღალ დონეზე გამართვის ამოცანა მიღწეუ-  
ლია...“ — ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ: „არქაიზაციის ისე მძაფრად  
გამოვლენა, როგორც ზემოთ დასახელებულ  
ნიჭიერ მთარგმნელებთან გვაქვს. ვერ მიიჩნევა  
პროგრესულ მოვლენად. ისინი მეტად იხედე-  
ბიან უკან და არა წინ. საითაც უნდა გვეძიებგე-  
დეს ენის შინაგანი განვითარების ტენდენცია.  
ამასთან, ეს ხაზგასმული სტილიზება ერთგვარი  
პოზისა და მანერულობის შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს.“

მაგრამ აქ უმთავრეს სათქმელს მივადგეიოთ.



არლი თაყაიშვილის წერილში გამოთქმულია  
შემდეგი ძირითადი მოსაზრებები:

1. „მთავარი აღნიშნულ მთარგმნელებთან  
გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სი-  
მალღმედე აყვანილი კამპანია, მიმართული არ-  
ქაული ფორმების აღდგენისაკენ“. „ამ ავტორ-  
თათვის დამახასიათებელია არქაიზაციის მძაფ-  
რი განცდა, ძველი ქართულისაკენ დაბრუნების  
დაუოკებელი სურვილი“.

წერილის ავტორს „ღრმად სჯერა“, რომ  
„მთარგმნელთა მიერ არჩეული გზა არ არის  
ერთადერთი და აუცილებელი“.

2. დასახელებული მთარგმნელები არქაიზა-

ციის ამ თავიანთ პრინციპს ბოლომდე ვერ იცა-  
ვენ, მთლიანად ძველი ქართული ვერ მართა-  
ვენ ნაწარმოებს, რადგან „ძველი ქართულის,  
ნორმები მთარგმნელთათვის არც ისე ორგანუ-  
ლია“, მათ უჭირთ ძველი ქართულის გრამატი-  
კულ-ლექსიკოლოგიურ სისტემაში გარკვევა და  
ამის გამო შეცდომებსაც უშუალებს ისევ ძველი  
ქართულისავე თვალსაზრისით.

3. არქაული მასალა გამოყენება აუცილებ-  
ლობით არაა ნაყარნახევი. ის ავტორები, ვისაც  
დასახელებული მთარგმნელები მიმართავენ, არ  
იძლევიან არქაიზაციის საბაზს („თუკი „მება-  
ღე“ ბენგალურ სისაუბრო ენაზეა დაწერილი,  
რატომ უნდა ითარგმნის იგი ძველი ქართუ-  
ლით?“).

ქვემოთ შევეცდები დავამტკიცო, რომ ამ  
მოსაზრებათაგან არც ერთი არ არის სწორი.

\* \* \*

1. მაშასადამე, „ამ ავტორთათვის დამახასია-  
თებელია არქაიზაციის მძაფრი განცდა, ძველი  
ქართულისაყენ დაბრუნების დაუოკებელი სურ-  
ვილი“.

ყოველგვარი წესიერი კამათის უპირველესი  
და აუცილებელი პირობაა ცხადი, მკაცრად მო-  
ხაზული ცნებების მომარჯვება და ცნებათა გამო-  
შეთანხმება. ამიტომ ჩვენც, ვიდრე საბაქრო-  
საგანს შევეუბნოდეთ, შევეცადოთ ზუსტად გან-  
ესაზღვროთ ის ცნებები, რომელთა გარეშე ამ  
საგანს ვერ მიუხაზოდებთ. მხედველობაში  
მივაქვს „არქაიზაცია“ და „ძველი ქართული“.

პირველის მიმართ საკითხი მარტივად გადა-  
წყდება: თუკი ზუსტად არ გვახსოვს, ან საერ-  
თოდ არ ვიცით, რა არის „არქაიზაცია“, ავი-  
ლოთ ნებისმიერი ლექსიონი, სადაც კი შესაძ-  
ლოა ეს ტერმინი შევხვდეთ, და წავიკითხოთ:  
„არქაიზაცია — ძველი სიტყვებისა და გამოთქ-  
მების ხმარება (ჩვეულებრივ საჭიროების გარე-  
შე)“. ასე წერია „ქართული ენის განმარტე-  
ბითს ლექსიკონში“.

მაგრამ მეორე შემთხვევაში, ცოტა არ იყო,  
განხილდება საქმე.

ვიცით თუ არა თქვენ და მე, მკითხველი,  
რა არის „ძველი ქართული“?

როგორ არ ვიცით! ეს არის „ქელი“, „საქმი-  
ლი“, „აღჩხვლა“, „წარბოტა“, „მოაქვამდე“,  
„იყვენეს“, „წარმოყენებიან“, „ოწყის“, „დასაბა-  
მი სიბრძნისაჲ“, „სიტყუანი მისინი არაღ შე-  
რაცნა“ და მისთანანი, რომელნიც ოდესღაც  
ძველად იხმარებოდნენ, ახლა კი, დღევანდელ  
ქართულში აღარ იხმარებიან.

ძალიან კარგი! რაკი გეცოდნია, შევეცადოთ  
ჩამოვყალიბოთ ზუსტი განსაზღვრა: „ძველი  
ქართული“ არის ხმარებიდან გამოსული...

დახ, აქ მრავალწერტილის დასმა მოგვიხდა,  
იმიტომ რომ აღიბრა კითხვა: „ხმარებიდან გა-  
მოსული“ რა? ბგერები და ასოები (ჭ, ჳ) მარ-  
ტო ეგ არა. კიდევ სიტყვები („წარბოტა“, „მოაქ-

ვამამდე“)? არც მხოლოდ სიტყვები, კიდევ  
სიტყვათა ფორმები, („იყვენეს“, „ოწყის“) და  
სიტყვათა ერთმორებსან დაკავშირების წესე-  
ბი („დასაბამი სიბრძნისაჲ“, „სიტყუანი შე-  
რაცნა“).

მაშასადამე, „ძველი ქართული“ ყოფილია  
ხმარებიდან გამოსული ფორმები, ხმარებიდან  
გამოსული ლექსიკა და ხმარებიდან გამოსული  
გრამატიკული წყობა. ოღონდ სწორედ ეს არის  
ის, რასაც ენას ვუწოდებთ. ამდენად, შეგვიძლია  
მივიღოთ საბოლოო დეფინიცია:

„ძველი ქართული“ არის ხმარებიდან გამო-  
სული ენა.

თუ ენა ხმარებიდან გამოსულია, მას შეიძ-  
ლება მკვდარი ენა ვუწოდოთ (ასე ეწოდება  
მაგალითად, ლათინურს).

ახლა, თუ ჩვენს მიერ მიღებულ განსაზღ-  
ვრას ჩავსვამთ არლი თყაიშვილის ზემოთ მო-  
ტანილი ფრაზის შესაბამის ადგილას, მივიღებთ:  
„ამ ავტორთათვის დამახასიათებელია ხმარები-  
დან გამოსული ენისაყენ (ანუ მკვდარი ენისაყენ)  
დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“.

ორში ერთია: ან ეს ავტორები გიყვები არიან,  
ან კიდევ არლი თყაიშვილი ცილს სწამებს მათ.  
ორივე შესაძლებლობა გამოირიცხვია.

გამოდის, რომ ჩიზში მოქცეულვართ.

იმა დაგვრჩენია, ეკვი შევიტანოთ ჩვენს  
დასკვნაში („ძველი ქართული“ არის ხმარები-  
დან გამოსული, მკვდარი ენა) და, რაკი საკუთარ  
ძალებში შევექვდით, შესატყვის მეცნიერებას  
მოვუხმოთ დასახმარებლად, ჩვენ თვითონ კი  
უნდარ დავადგინოთ, რა არის „ძველი ქართული“.  
შესატყვის მეცნიერებას მოვთხოვოთ ამ კითხვის  
პასუხი.

მაშასადამე, ხელახლა ვსვამთ საკითხს: რა  
არის „ძველი ქართული“?

მივმართოთ სპეციალურ ლიტერატურას.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ შევამჩნევთ, რომ  
ამ ტერმინის ზუსტ განსაზღვრას ენათმეცნიერ-  
თა უმრავლესობა ერიდება. მეტიც: უმრავლეს-  
ობა უფრო ზალისთ ხმარობს ტერმინს „ძვე-  
ლი ქართული“, ვიდრე „ძველი ქართული ენა“.  
ალბათ იმიტომ, რომ „ძველი ქართული ენა“  
უფრო მკვეთრად წარმოაჩენს შეუგუბებელ-  
თვალსაზრისს ორი ქართული ენის არსებობისა.

შემდეგ შევიტყობთ, რომ საქმე „ძველი ქარ-  
თულისა“ და „ახალი ქართულის“ დაბრძნისპი-  
რებით არ მთავრდება, რომ არსებობს შეხედუ-  
ლება, რომლის თანხმადაც ქართული იყოფა  
„ძველ ქართულად“, „საშუალ ქართულად“ და  
„ახალ ქართულად“, და ამ შეხედულებას ადგას  
ენათმეცნიერთა საგრძნობი და ერთობ ავტორი-  
ტეტული ნაწილი.

**რეპეზ მხარამე**

„მამ შესაძლებლობაზეა სპეცტიპურად  
აქრების დასტურია“.

აქ მკითხველს შესაძლოა აღედრას ეჭვი უკვე  
სამი ქართული ენის არსებობისა.

საბედნიეროდ, ეს ეჭვი მალე გაქრწვლდება.  
გამორკვევა, რომ ამ შეხედულების მომხრენი  
სამ ენას კი არ გულისხმობენ, არამედ ერთი  
ენის განვითარების სამ პერიოდს:

„ქართული ენის განვითარების მთელ ისტორიას  
სამ პერიოდად ყოფენ, რომელთაგან პირველი  
V-X საუკუნეების ენას შეიცავს, მას ძველ  
ქართულს უწოდებენ, მეორე XI-XVIII საუკუნეების  
ენას წარმოგიდგენს, მას საშუალო ქართული  
ენის სახელით იხსენიებენ, ხოლო მესამე  
XIX-XX საუკუნეების ენაა, მას ახალ (თანამედროვე)  
ქართულს ვეძახით; — წერს პროფესორი ივანე  
იმნაიშვილი (გაზეთი „ლიტერატურული  
საქართველო“, 1965, 5 ნომბერი, წერილი  
„ქართული ენის ისტორიიდან“).

მაშასადამე, ამ თვალსაზრისის თანახმად,  
„ძველი ქართული“, „საშუალო ქართული“ და  
„ახალი ქართული“ აღნიშნავს არა სხვადასხვა  
ენებს, არამედ ქართული ენის განვითარების  
გარკვეულ პერიოდებს.

შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ არსებობს აგრეთვე  
სხვა თვალსაზრისი. აკადემიკოსი არნოლდ  
ჩიქობავა წერს:

„ქართული ენის განვითარებაში უნდა განვსხვავოთ  
ძველი და ახალი ქართული. ძველ სალიტერატურო  
ენა — მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე  
საუკუნის დამლევამდე... ძველი ქართული ენა  
მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმების  
სისტემაა. ახალი ქართული სალიტერატურო ენა  
ისახება მეთერთმეტე საუკუნიდან... მეხოტბეთა  
(შავთელის, ჩახრუხაძის) ენა, შ. რუსთაველის  
„ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი  
ქართული... მეთერთმეტე საუკუნისათვის ახალი  
ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება  
უკვე დამთავრებულია“ („ქართული ენის  
განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, შესავალი  
წერილი „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“).

თითქოს აქ წინ აღარაფერი უდგას ორი ქართული  
ენის აღიარებას და იმის თქმას, რომ ახალი  
ქართული სხვა ენაა, ხოლო ძველი ქართული  
— სხვა.

მაგრამ ამგვარ შთაბეჭდილებას აქარწყლებს  
აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წიგნი „ენათმეცნიერების  
შესავალი“ (1952), სადაც ვკითხულობთ:

„...სხვადასხვა ენების შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ,  
თუ სხვადასხვა გრამატიკული წყობა და ძირითადი  
ლექსიკური ფონი გვაქვს“ (გვ. 26-27).

„ძველი ქართული და ახალი ქართული წარმოადგენს  
საერთო ენობრივი საფუძვლის ვარიანტებს და არა  
სხვადასხვა საფუძვლს“ (გვ. 27).

„ენაში ცვლილებებს შევამჩნევთ, თუ შევიღარებთ  
ერთი და იმავე ენის განვითარების

სხვადასხვა პერიოდს (მაგალ, გიორგი მჭატარაძის  
ენა X საუკუნისა, რუსთაველის ენა — ე. ი. XII ს.  
ქართული სამწერლო ენა — და თანამედროვე  
სალიტერატურო ქართული ენა“) (გვ. 57).

„ძველი ქართული ენა, V-XI საუკუნეების ძეგლების  
ენა, შეიცვალა ახალი ქართული ენით... ამ  
შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე  
ენასთან: ენის განვითარებამ მოგვცა იმავე ენის  
ახალი ვარიანტი. მაგრამ მასში არსებითი ცვლილებები  
მოხდა...“ (გვ. 86. ხაზი ყველგან აკლერისაა. — რ. თ.)

მაშასადამე, ამ თვალსაზრისის თანახმად,  
„ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ აღნიშნავს  
არა სხვადასხვა ენებს, არამედ ქართული ენის  
ვარიანტებს.

როგორც ვხედავთ, ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი  
„ძველ ქართულში“ გულისხმობს ქართული ენის  
განვითარების გარკვეულ პერიოდს, ხოლო მეორე —  
ქართული ენის ერთ-ერთ ვარიანტს. ეს საეგზეთ  
გასაგები უნდა იყოს.

ოღონდ საეგზეთი გაუგებარია, რას გულისხმობს  
„ძველ ქართულში“ არლი თაყაიშვილი.

მკითხველი დაინახავდა და მთელი სიმწვავითაც  
იგრძნობდა, რაოდენ ძნელი და, ამავე დროს, საჭკობნო  
საქმე ყოფილა ამ ტერმინის („ძველი ქართული“) ზუსტად  
განსაზღვრა. ყველა მკითხველი არ არის ვალდებული  
გამოწვლილით გაითიბოს ეს საკითხი და, თუ საკუთარ  
თვალსაზრისს ვერ შეიქმნის, ენათმეცნიერთა მიერ  
შემუშავებულ ერთ-ერთ თვალსაზრისს მაინც მიემხროს  
და ის აღიაროს.

მაგრამ ენათმეცნიერი კი, თუნდაც ახალგაზრდა,  
როცა სამეცნიერო წერილს წერს და პოპულარულ,  
მასობრივი მკითხველისთვის განკუთვნილ  
ჟურნალში ბეჭდავს, უშეუღლებლად მოვალეა  
რაღაც გარკვეულ თვალსაზრისზე იდგეს.

არლი თაყაიშვილმა კარგად იცის, რომ ქართველ  
ლიტერატორთა შორის სხვა თვალსაზრისიც არსებობდა  
და არსებობს ეგრეთწოდებული ძველი ქართული  
ენის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად,  
ქართული სალიტერატურო ენისადმი მიმართებით  
შეუწყნარებელია „ძველისა“ და „ახლის“  
ხმარება, ეს ტერმინები მიჩნეულია ეგრობული  
ენებისთვის შექმნილ მოდელთა მექანიკურ  
გადმონერგვად ქართულ სინამდვილეში.  
„ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“  
შესაწყნარებელია მხოლოდ როგორც პირობითი,  
სამუშაო ტერმინები, რომელთა მომარკვებისას  
ქართული სალიტერატურო ენას ივალევენ წმინდა  
ლინგვისტური თვალსაზრისით. ხოლო რაც შეეხება  
ქართულ სალიტერატურო ენას, როგორც კულტურის  
ფაქტს, მისი განყოფილება „ძველ“ და „ახალ“  
ქართულად ამ თვალსაზრისის მიმდევრებს  
მიუღებლად მიანიათ.

ამ თვალსაზრისის მიმდევარი უარს იტყოფ-





ნენ თავიანთ შეხედულებაზე, შემდეგი გარემოებები რომ არა:

უწინარეს ყოვლისა, როგორც დაინახეთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხში თვით ენათმეცნიერნიც არ არიან შეთანხმებულნი, არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ძველი ქართული სალიტერატურო ენა“, ესე იგი ეს ტერმინი ცნების ხარისხში არ არის აყვანილი, რაც არც თუ იშვიათად იქცევა გაუგებრობათა წყაროდ. ამის გამოა, რომ არაენათმეცნიერთათვის ეს ტერმინი კიდევ უფრო ბუნდოვანია, დაუნაწევრებელი და ემოციური შეფერილობის მეოხებით უფრო სულდგმულობს (ძველი, ესე იგი ხმარებიდან გამოსული, რალაც შორსული, უცნაურის მიმნიშნებელი), ვიდრე მკაცრი აუცილებლობის გამო. ეს მკაცრი აუცილებლობა მათთვის ენათმეცნიერებს უნდა დაეხმარებინათ, მაგრამ ამგვარი რამ ჯერჯერობით არ გაკეთებულა (აქ ზღმდებია იმის ხაზგასმა, რომ ქართველმა ენათმეცნიერებმა დიდი დამიმბე შრომა გასწიეს ქართული ენის შესასწავლად, მისი ამა თუ იმ პერიოდის თავისებურებათა წარმოსაჩენად — მოკლეულ შემთხვევაში ამით არავინ იცდებოდა).

შემდეგ: ნაგულისხმევ ლიტერატორებს მიაჩნიათ, რომ, მოყოლებული XIII საუკუნიდან, ქართულ სალიტერატურო ენის განვითარება გარეშე მიზეზთა ზეგავლენით ხელოვნურად შედგრდა (იყო პერიოდები, როდესაც შეწყდა კიდევც) და სრული გასაქანი ამ ენას მხოლოდ ჩვენს ხანაში მიეცა ხელახლა. მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა პრობლემა — გულდასმით განალოზებისა და ვაზრების მეშვეობით ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი წარსულში არსებულა. გავამთლიანოთ ქართული კულტურის ძალისძალად დაწვეტილი ხაზები. ასეთ ვითარებაში ძალზე ნაადრევია რომელიც გნებავთ პერიოდის ენობრივი მოვლენებისთვის ანდერძის აგება: **მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, რას შეიწოვს და რას უკუაგდებს წარსულის მარაგიდან ქართული სალიტერატურო ენა.** ენის წარსულის ხელაღებით გაუცხოების, მისგან გამოცენისა და გათიშვის ტენდენციები კი არ მოითხოვს დღესდღეობით ხელის შეწყობას, პირობით — მიახლოების, კავშირის აღდგენის და მოვლა-პატრონობისა. ხოლო ასეთ ტენდენციათა მატარებლად ვერაგვით ვერ მიიჩნევა ტერმინი „ძველი ქართული ენა“, რომელიც, გესურს ეს თუ არა, ჭეშმარიტად საფრთხილელას როლს ასრულებს საქმეში ღრმად ჩახედავი თასაობით და ათასობით ადამიანისათვის.

გარდა ამისა, ნაგულისხმევ ლიტერატორთა აზრით, წარსულის გამოცდილებაც ცხადყოფს და აწინდელი ვითარებაც გვიჩვენებს: ენათმეცნიერთა მიერ განწირულად მიჩნეული ენობრივი მოვლენები მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, პრესაში, ერთი სიტყვით, წიგნის ენაში არც თუ იშვიათად წარმატებით გა-

ნაგრძობს არსებობას და, ინფორმაციის გაცეცემის დღევანდელი პირობების კვალობაზე, ხალხის მეტყველებაშიც იჩენს ხოლმე თავს.

აი, რატომ ფიქრობენ ხსენებული თვალსაზრისის მიმდევარნი, რომ დღესდღეობით მეტი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენისთვის „ძველი“ და „არქაული“ კვალიფიციაციის მინიჭება, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არქაიზმად მიჩნეული მრავლის უმრავლესი სიტყვა, გამოთქმა თუ გრამატიკული ფორმა კერ კიდევ ვადასისნდება და ზოგჯერ — სუბიექტურ კაპრიზთაგან დასახსნელიც.

მაგალითად, ვიდრე გამოვიტანდეთ განაჩენს, რომ „გარანა“ მოძველებულია, არქაულია, წიგნურია და დღეის პირობად გადავარდნილია, მანამდე ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ ეს სიტყვა ყოველ დღის ნაბიჯზე ახარება, ვთქვათ, „მადამ ჰოვარის“ თარგმანში (მთარგმნელი არისტო ჭუმბაძე), ეს წიგნი ახლახან მეორედ გამოიცა, მას მრავალი ათასი მკითხველი ჰყავს და ამათგან ყველა როდი ერკვევა ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფიის ნიუანსებში. მკითხველი ამ სიტყვას იმასოვრებს, ქართული ენის ორგანულ ელემენტად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, ენათმეცნიერის სტატიიდან ან ამა თუ იმ ლექსიკონიდან შეტყობს, რომ ეს „გარანა“ არქაიზმი ყოფილა. ენათმეცნიერის ნაშრომი ან ლექსიკონი კი მრავალი მკითხველისთვის კანონის ძალის მატარებელია. ასე, ჩვენდა შეუძნეველად, ზოგჯერ ხელოვნურად ვაწესებთ საძანებს და, შესაძლოა ჩვენდა უნებურად, არსებობს ვუკრძალავთ ისეთ სიტყვებს, გამოთქმებს თუ ფორმებს, რომელთა ენაში არსებობა თუ წაადგებოდა, თორემ ზიანს არაფერს მოუტანდა ენას...

ამიტომ, ვიდრე არღო თაყაიშვილი განაჩენს გამოგვრტანდა — ამ ავტორთათვის არქაიზაციის მძაფრი განცდა და ძველი ქართულისკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი არისო დამახასიათებელი, რაკი სამეცნიერო წერილს წერდა და რაკი სამეცნიერო ალნაშენ თვალსაზრისს კარგად იცნობდა, ჯერ მკითხველისთვის უნდა განემარტა, რომ „ძველი ქართული“ არც თუ ისე ამომწურავად განსაზღვრული ტერმინია, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს და რომ მრავალი მკითხველის გულმოდრინად წარმოდგენა „ძველი ქართული“ შესახებ მაინც დამაინც მტკიცე საფუძველს არ ეწყობება.

მაგრამ ავტორი ამგვარად არ მოქცეულა. არც ცნებათა დაზუსტებით შეუწუხებია. თავი მან ისე აუტო ანდერძი „ძველ ქართულს“, ერთი წუთითაც არ შეიქვებულა, ჰქონდა თუ არა ამგვარად მოქცევის უფლება, ჯერ ერთი, რომ

**რამაზ თხარამაძე**

„მათი შესაძლებლობებზე საკვბიტურად ჭურბების დასტურე“

გორც ენათმეცნიერს და, მეორეც, როგორც პიროვნებას. როგორც ენათმეცნიერს იმიტომ, რომ ენათმეცნიერი ზუსტი ცნებებით უნდა აზროვნებდეს, ჩვენ ვი ვხსნით, რომ „ძველი ქართული“ არ არის ამგვარი ცნება. ხოლო როგორც პიროვნებას იმიტომ, რომ მისი თვალსაწიერი ჯერჯერობით საქმარისად ვრცელი არ არის საიმისოდ, რათა ამ თვალსაწიერზე პატრონმა ხელიწიფოს ქართული ენის განვითარების კარდინალურ საკითხთა გამო ავტორიტეტული სიტყვის თქმა.

დაიხ, „ძველი ქართული“ არლი თაყიშვილისთვისაც არის რალაც ბუნდოვანი, რალაც შორეული, რალაც უცნაური, რალაც ახირებულო, რალაც ხმარებიდაც გამოსული, მკვდარი — „მუნ“, „მიინს“, „ყავან“ და მისთანანი. იგი არც კი სვამს საკითხს, — რა არის ეს ყოველივე — სხვა ენაა, იმავე ენის ვარიანტია, განვითარების პერიოდია თუ სხვა რამ. ასე მეცხრეკლასელებმაც იციან, რა არის „ძველი ქართული“. ვიმეორებ: ავტორი რომ ამ ცნების დახუსტებას ცდილიყო, ესოდენ კანდიდალ ვეღარ დავგიდგენდა, თუ რამდენი „გარანა“ შეიძლება მოდიოდეს ერთ სულ მთარგმნელზე ან რამდენი ნართანიათ მრავლობითის ხმარების უფლება აქვს ამა თუ იმ ავტორს.

ზემოხსენებულ მთარგმნელთა განქიქებას არლი თაყიშვილი ამგვარი შესავლით იწყებს: „ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს არქაული ელემენტები სხვა მწერლებთან და მთარგმნელებთან არ გვხვდებოდეს, მაგრამ იგი მათთან შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (გვ. 126).

ამგვარად ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმ აზრს, რომ „არქაული ელემენტების“ მიმართ „იგი“ მაინცდამაინც შეუცვლელი ნაცვალსახელი არ უნდა იყოს. მთავარი სხვა რამ არის: შეიძლება თუ არა, რომ სამეცნიერო კვლევა და სამეცნიერო ნაშრომი შთაბეჭდილებებს დამყაროს? ამგვარი ნაშრომის ავტორს, საცა სამართალია, გულმოდგინედ უნდა შეესწავლა იმ სხვა ავტორთა და მთარგმნელთა ნაწერები და მერე დაესკვნა — მართლა შემთხვევითია თუ არა მათს ნაწერებში ის, რასაც „არქაული ელემენტებს“ უწოდებს. ხოლო, თუ შემთხვევითი არ აღმოჩნდებოდა, კიდევ უნდა გამოეძიებინა ამგვარი ვითარების მიზეზები. მაშინ ზოგი რამ უფრო ნათლად გაიარკვეოდა მისთვის.

ახლა ხელი მივიყოთ უმთავრესს.

ავტორი ტრადიციას არ ღალატობს და „არქაული ელემენტებს“ შემდგენაირად აჯვრევებს: არქაული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები, დაბოლოს — არქაული ლექსიკა ხსენებულ მთარგმნელთა ხელიდან გაშლისულ წიგნებში. ჩვენც ფხვრადვებ მივყვეთ ავტორს.

#### ფონეტიკა.

„... მთარგმნელებთან ყველაზე მოწესრიგე-

ბული გრამატიკის ეს უბანი (ორთოგრაფია-ფონეტიკა) გახლავთ“, — წერს არლი თაყიშვილი. ოღონდ აქ დასტურდებით იოტის ხმაურს (დაჟ, მამაჟ) და თანხმოვანთა მიუღებელი დაწყვილება (ჩჩივლი, ეანნა).

ორივე საკითხი სადავოა. არაერთი ლიტერატორი, განსაკუთრებით — ვისაც უცხოურ ენებთან აქვს საქმე, დავიანებით მოითხოვს როგორც იოტის აღდგენას, ისე თანხმოვანთა დაწყვილებას, ენათმეცნიერნი კი ასევე დავიანებით უარყოფენ ამ წინადადებებს (ერთი დეტალი: არლი თაყიშვილის გამოჩინა იმის აღნიშვნა, რომ თანხმოვანთა დაწყვილება მხოლოდ სიტყვის ფუძეში არის მიჩნეული მიუღებლად). სხვათა შორის, არაერთი იცის რით დამთავრდება ეს დავა. ყოველ შემთხვევაში, არლი თაყიშვილი გაცილებით მიგებულ დარჩებოდა, თავისი აზრი ამ საკითხში ჯერჯერობით თავისთვისვე რომ შეენახა. მაშინ მეცნიერულ არგუმენტაციასთან შეზავებულ მის მომაკდინებელ იუმორს, სხვებს რომ თავი დავანებოთ, იქნებ ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც გადარჩენოდა („ჩჩივლი ენის მოსატებად თუ ივარგებსო“, რომ წერს, ბარათაშვილის ლექსის სათაურს გულისხმობს?).

მაინც, რაკი ავტორმა გრამატიკის ეს უბანი მოწესრიგებულად ჩაავითვალა, ჩვენც ნულარ გავუგრძელებთ სიტყვას.

#### მორფოლოგია.

ამ სფეროში ავტორი არქაიზმებად გვითვლის შემდეგ მოვლენებს:

1. მეორე ბრძანებითს (განველ, შოველ);
2. სრული სახით წარმოადგენლ თანდებულებს (ზედა, შინა, შიგან);
3. ზმნისწინებს წარ- (წარმონიხეულა), აღ- (აღუესია), გარდა- (გარდაიქცა);
4. ნათესაობითს ბრუნვაში ო-ზე დაბოლოებულ სახელებთან ბრუნვის ნიშნის სრულად ხმარებას (უღაბნო-ის);
5. „ძველი ქართული გამოსვლითი და მიწვევითი ბრუნვების“ გამოყენებას (მალლით, მიიყვანა უღაბნოს);
6. ნართანთან მრავლობითს.

#### სინტაქსი.

„სინტაქსი ერთ-ერთი ის საიმედო უბანია. რომელიც არქაიზაციის მომხრეთ წარმოუდგენელ თავისუფლებას ანიჭებს“, — შემფოთებუელია არლი თაყიშვილი.

ამ სფეროში ავტორი არქაიზმებად გვითვლის შემდეგ მოვლენებს:

1. სიტყვათა შერბუნებულ რიგს, პოსტ-პოზიციურ წყობას („წუხილი მისი“);
2. „... ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევას, მის უკან კი ზმნიერების, ნაწილკის ამ ნაცვალსახელის გადასროლას“ („ბევრი ამ ასულთავანი განციფრდა ფრიად“);
3. ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისის ხმარებას („ბჭობად მოვუხმე“);
4. აღწერითის ფორმებს („ღალად ჰყო“).

რადგან ფონეტიკისაგან განსხვავებით აქ თითქმის ყველაფერი სადავო და განსამარტავია. ვიდრე ლექსიკის სფეროში ჩვენთვის დაყველ-



რებულ არქაიზმებსაც ჩამოვთვლიდეთ, ჯერ მორფოლოგიურ და სინტაქსურ არქაიზმთა გამოვისაუბროთ.

მეორე ბრძანებითი დღეს ქართულს მართლაც აღარ აქვს, ამაში სასეხებით მართალია წერილის ავტორი. ოღონდ ამ მწკრივის ორიოდ გაქვეყნებული ფორმა (განვედ, მოვედ...) არქაიზმად უბრალოდ იმის გამო ვერ მიიჩნევა, რომ მათი ბადალი არაფერი მოეძებნა დღევანდელ სალიტერატურო ქართულს. არლი თაყაიშვილმა ლადო ასათიანიც არ დაზოგა და გამოაცხადა — სტრიქონში „ო, განვედ ჩემან, ბორტო სენო“ — განვედ მისთვის ორგანულად ვერ ჩაითვლება (გვ. 126). მამუ რა ჩაითვლება ორგანულად — გადი? გრამატიკული ნორმების თანახმად დღეს განვედ-ს მართლაც გადი ენაცვლება („გადი გარეთ“), ოღონდ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ამ გადის ხმარება ისეთ კონტექსტებში, როგორცაა თუნდაც ლადო ასათიანის მოტიანილი სტრიქონი. ვისთვისაც ყურზე დათეს არ დაუბიჯებია ფეხი, არავენ იტყვის: „ო, გადი ჩემან, ბორტო სენო“. აი, როდესაც არლი თაყაიშვილს ეშმაკი შეუტრნდა და „ენა ძველი, ენა ახალი“ წერისას აცდუნებდა, იმ ეშმაკისთვის გადის ნაცვლად განვედ რომ ეთქვა, თქვენ და მე ამდენი ჯაფა არ დაგვადგებოდა.

განვედ არქაიზმი კი არაა, არამედ ენაში დღესაც ხმარებული ფორმა ხმარებიდან გამოსული მწკრივისა. მსგავსი გაქვეყნებული ფორმები ენას მრავლად შემოუნახავს და მათი წარმოშობის ახსნა ან მათი ასაკის დადასტურება ერთბაშად უსუსური საბუთია სალიტერატურო ქართულიდან მათი განდევნის სასარგებლოდ.

რაც შეეხება სრული სახით წარმოდგენილ თანდებულებებს (ზედა, შინა, შიგან), ისენი მართლაც რომ პირწმინდა არქაიზმებია და ამ არქაიზმებს ერთბაშად იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარობს ზოგიერთი ზემოხსენებულ მთარგმნელთაგან. არლი თაყაიშვილი სულ ოთხ მაგალითს ასახელებს. საინტერესო კი იყო — კიდევ მრავლად იპოვება მსგავსი მაგალითები? რაოდენ ეჭვი მეპარება (მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ განხილული ჩვენი მთარგმნელების საერთო მოცულობა ოცდახუთ სააგტორო თაბახს მაინც შეადგენს. ამ ფაქტს საგულდაგულად უნდა ანგარიშის გაწევას).

ასევე იშვიათია ნათესაობის ბრუნვაში ო-ზე დაბოლოებულ სახელებთან ბრუნვის ნიშნის სრულად ხმარება. არლი თაყაიშვილს სულ ორი მაგალითი მოაქვს: სამრეკლოსი, უდაბნოსი. ოღონდ მსგავსი ფორმები არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ თუ არა, ღმერთმა იცის — ქართული მწერლობისთვის ეს ფორმები არც ისე იშვიათია, რომ ხმარებიდან გამოსულად შეერაცხოთ.

ხოლო გამოსვლითი და ადგილის მიცემითი იმდენად ცოცხალია სალიტერატურო ქართულში, მაგალითების მოტანა საჭიროდაც არ მიმაჩნია. ამ წერილის წაიკითხვის დღეს არლი თაყაიშვილმა გადამხლოს განუთხრო „კომუნისტი“ და იქ უკვე აღაშტოპა ამოკითხავს — ესა და ეს პირი ლონდონს (პარიზს, ბერლინს...) მიემგზავრება. განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ავტორი ზმინისწინებისა და ნართანინი მრავლობითის საკითხზე:

„როგორც ცნობილია, სხვა ცვლილებებთან ერთად ისტორიულად მოხდა ქართული ზმინისწინების სისტემის გამარტივება: წარ>წა, გან>გა, აღ>ა, შთა>ჩა... ეს არის „ეკონომისტ ტენდენციის“ კერძო გამოვლენა, რომელიც ჩანს ენის ყველა სფეროში“ (გვ. 129). და შემდეგ: „...სრული ზმინისწინების ხმარებას დღეს არსებულთა ზუსტ ეკვივალენტად (აუხვიალ-გვსია) გამართლება არ ეძებნება“ (გვ. 130).

ახლა ნართანინი მრავლობითის ამბავს აღარ იკითხავთ?

„ნართანინი მრავლობითი ის მორფოლოგიური ოდენობაა, რომელიც განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებს ფრაზას“ (გვ. 130).

საბრალო მთარგმნელნი! არც ისტორიული ცვლილებებისა გაეგებათ რამე, არც ეკონომისტ ტენდენციისა“. რა არის წარგმართის გზა? უნდა თქმულიყო წარგმართის გზა. ასევე: წარგვტაცა კი არა — წარგვტაცა, წარხდეს კი არა — წარხდეს (წამხდარ საქმეს თუკი ეშველება ამით რამე!); განვეშრა კი არა — განვეშრა, აღიგავა კი არა — აიგავა, აღავლინა კი არა — აავლინა... ან ეს ურუნი, სანაპირონი, ქვიშინი, ჩქმინი, შენთა, დღეთა, ბავეთა რადაა? ეს მორფოლოგიური ოდენობანი ხომ განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებენ ენას!

ხუმრობა იქით იყოს და ნუთუ ავტორს მართლა სჯერა, რომ აღუვსიას ხმარებას გამართლება არ ეძებნება და რომ ნართანინი მრავლობითი „სხვადასხვა ოფიციალურ დასახელებაში შემოგვრია“ მხოლოდ?

თუ ასეა, მაგალითების საძებნელად შორს ნურსად წავალთ, ქართულ მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურას, ლექსიკონებს, პრესას ნუ დავიმოწმებთ. მიგმართოთ მხოლოდ ჟურნალ „ციკლის“ იმ ნომერს, რომელშიც მოთავსებულია თვით არლი თაყაიშვილის წერილი, და ვიხილოთ იქ დაბეჭდილ ლექსებში, მოთხრობებში, ნარკვევსა და წერილებში:

1. ავტორი ხმარობს ტერმინს „მიწვევითი ბრუნვა“ ისეთი ფორმების აღსანიშნავად, რომლებსაც, თუ არ ეცდები, „ადგილის მიცემითი“ უფრო შეეფერება (თბილისს წავიდა).

**რეკავი მთარგმნელი**

„მათი შესაძლებლობებზე სპეკტიკურად უზრუნველს დასტურში“





წარ: წარდგე (გვ. 21), წარუშლელი (გვ. 117), წარმართვა (გვ. 119)...

აღ: აღესეთ (გვ. 8. სწორედ ავტორის მიერ მოტანილი და შეჩვენებული მაგალითი), აღმჭურვა (37), აღნიშნავს (116), აღსავსენი (117)...

გან: განუღდა (3), განვწმენდილვართ (7), განვლოს (8), განწმენდილი (21), განეკუთვნება (157), განწირული, განწყვეულობა (119)...

ნართანინა: დღთა (4), მათა (8), მიზეზთა. თხზულებთა, დამღვენთა (21), კაცთა (24), მყოფთ, წვიმათა (36), მიცვალებულთა (100), გოგონათა (101), მობაროენთა (112), მკვლევართა (152), ნაგებობათა (157), რჩეულნი (3), ღრონი, ქარნი (4), თანამოკალმენი (17), გართულნი (18), ტოლნი, სისხლნი, ხორცნი, ერთნი, მეორენი, მესამენი (24), მოკრძალებულნი, აღტაცებულნი (25), გულნი (30), მკვიდრნი (108, 157), მთავალიცხოვანნი (118), მოწმენი (157)...

ხოლო თუკი არლი თაყაიშვილი არ დაიზარებს და საკუთარ წერილსაც გადაივითხავს ხელახლა, იქ განმსგავსებასაც იპოვის, წარმოჩინავსაც, აგრეთვე — რომელთა, სხვათა, სიტყვათა, მთარგმნელთა, სახელთა, მომხრეთ, ღარებულეზანი, თანმიმდევრულინი... ოღონდ ეს ყოველივე მასთან „შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს“.

„ცისკრის“ ამავე ნომერში ვიხილავთ ავტორის მიერ არქაულად გამოცხადებული პოსტ-ბოხიცითრი წყობის არაერთ მაგალითს (სინტაქსის საუფლოში გადმოყვლით): წვერი მისი (3), მანქანა იგი (8), ფიცარი მისი (10), მოხუცი დილო, ბერიკაცს გამწყურალს, გონებას მისას (11), ლახათი ქალმნისა (15), ღროში სახელწიფოსი, სახე ძვირფასი (33), ციკას ძილის (36), სახეულეს ხისას (108), საღვთგვრთლებს ღედისას (110), მუხა ტანახოვანი (121)...

აქვე წავაწყდებით „ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევას, მის უკან კი ზმნიზედის, ნაწილკის ან ნაცვალსახლის გადასროლას“: „თავის საქმეს განავრძობდა ღიღინით“, „მარტო აღვისხებები კი არ ეღდა თავისი“ (14), „წიგნს კითხულობდა ხმამაღლა“, „ალარაფერი გაუგია მისი“ (20), „მათი ნაამბობიდან, აი, რის გამოტანა შეიძლება კიდევ“ (24), „ერთხელ ნათელი ღარი დაღდა საოცარი“ (24), „მაინც ჭიუტად მიიწვიდა მაღლა“, „საღღაც ქვემოთ გაიღღაწა წამით“, „იღიმებოდა და არაფერს ამბობდა მეტს“, „სახეზე ხელები აიფარა და ასე ღარჩა ღიღხანს“ (25), „ის ერთი ღღე ბრწყინავს მიმზიდველად“ (28), „ამ მთებს ვეკუთვნის ვიდრე“ (36), „უხაროდა, რომ ამერიკაში არ იყო ამჟამად“ (100), „ბედო ქრისტინას მოსვლაზე ფიქრობდა ახლა“, „თავიანთი ქმრები შორს ეგულნებთ თევით“ (101), „დადამიანებისა და სოფლის სახე იცვლება მხოლოდ“ (108), „ღღესაც არ არის თარგმნილი მოლიანად“ (113)...

სხვათა შორის, ვითარებითს ბრუნვაში დას-

მული საწყისიკი აქვეა — „დაჯდებოდა წერად“ (17), და, მორფოლოგიას რომ მიუხედავებოდა, გამოსვლითი (არსით, კილით...) და ადგილის მიცემითი (სათარბოს წვავლოდა)“.

ვიდრე სიტყვას განვავტობდემ, მინდა ბოდიში მოგუხალო მურმან ლებანიძეს, რევაზ ინანიშვილს, „ცისკრის“ ამ ნომერში წარმოდგენილ სხვა ავტორებს, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მათს მშვენიერ სიტყვებს, ფრაზებსა და გამოთქმებს ასეთი უგემური საჭიროებისთვის ვიყენებ, მეორეც იმიტომ, რომ მათი ნაწერებში „არქაიზაციისკენ გაშლილი ფრონტი სვლის ერთ-ერთ რგოლად“ წარმოდგება ჩვენდაუნებურად. ნუ შეგშფოთლებთ, მეგობრებო! არქაიზტობის იარაღი თუ შეგაკართო, მაინცდამაინც ახალთახალი ქართული ენით თუ მოიწადინეთ წერა და არა ძველი ქართული ენით, არქაული, მკვლედი ენით, მიაკითხეთ „ენა ძველი, ენა ახლის“ ავტორს და უშალო მივლებთ მზამართულ რეცეპტს, თუ როგორ უნდა შესცვალოთ აღმჭურვა ამჭურვათი, განუღდა—გაუღდათი, განვლო—გავლოთი, განეკუთვნება — გაეკუთვნებათი, როგორ იხმაროთ ნაცვლად ფორმისა მყოფთ მყოფებს, ნაცვლად დამღვენთა — დამღვენებს, ღრონი — ღროები, ერთნი — ერთები (ერთები ასე წერენ, მეორეები — ისე, მესამეები კიდევ აშფოთებულები არიან გასაკუთრებული ენობრივი მოვლენების ამოჩენით. რა ეუყოთ, ხალხები ვართ).

მე დავას არ დავუწყებ არლი თაყაიშვილს აღწერითი ფორმების გამო. თუკი ის ასეიგიად გულდაჭერებულა, რომ „სახელი ყოფილს კავშირი დღეს ენაში აღარ არსებობს“ და ამის გამო უარსა ჰყოფს სრულეყოს და მისთანებს, ხელი ჰყოფს ერთ საქმეს: გადაშლოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და წაიკითხოს ყოფს ზმნის მეორე მნიშვნელობა საილსტრაციო მასალითურთ. იქნებ ამის შემდეგ მაინც აღარ ხელყოს სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, ივანე მაჩაბლისა და ვასილ ბარნოვის ქართული.

ოღონდ ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერთ ავუაროთ არლი თაყაიშვილის ერთ თეორიულ აღმოჩენას: ფრაზეოლოგიზმებისა და აღწერითი ფორმების ნაწილით. გეოქოღვრავს ავტორი, „ორგანულადაა შეზრდილი თანამედროვე ქართული, ნაწილი კი საეროდ აღარ იხმარება. ეს აიხსნება იმ ელემენტარული კანონით, რომ ენაში ახლის წარმოქმნასთან ერთად ქრება ძველიც“ (ხაზი ჩემია. — რ. თ.).

ქეშმარტად! ქეშმარტად! ენაში აფეთქება მოხდება, ახალი წარმოიქმნება, ახლის წარმოქმნასთან ერთად ძველი გაქრება, მერე ამ ახალ ენაზე სამეცნიერო ნაშრომები დაიწერება და ამ ნაშრომთა დახვეწულ მკითხველს თავში ქვა უხლია, თუკი ვერ მიხვდება, როდის აქეთ იქცა ესოდენ ელემენტარულად და საყოველთაოდ

ენის რევოლუციური ცვლილების უარყოფილი თეორია.

**ლექსიკა.**

„და ბოლოს, ჩვენ მივადექით ყველაზე რელიეფურად გამოხატულ სფეროს — ლექსიკას. არ არის ძველ ძეგლებსა და სულხან-საბაოს ლექსიკონში არც ერთი საინტერესო სიტყვა, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადგილი არ უმოკვს“, — წერს ავტორი და წამითაც არ უფიქრდება იმ ამბავს, რომ სიტყვებს წერს. თუკი ჩემს მიერ ხაზგასმული ფრაზა მას სიცრუედ კი არ მიანჩია, არამედ უწყინარ ხუმრობად, დემრთმა კარგად ამყოფოს და კვლავაც სულ ხუმრობა-ხუმრობით აწერინოს სამეცნიერო სტატეიები. ხოლო თუ ეს სერიოზულად არის ნათქვამი, ან სიტყუა, ან — უცილობა. თავად გამოარკვეოს.

ხოლო მე იძულებული ვხდები ხელი ავიღო პირვანდელ განზრახვაზე — ლექსიკის სფეროშიც შევკამათებოდი უნა ძველი, ენა მახლის“ ავტორს. ერთი საეურნალო სტატიის მიხედვითაა ამის ყოველგვარ შესაძლებლობას გამოცხადებს, რადგან არლი თაყაიშვილის წერილში ლექსიკის საკითხებს ხუთ გვერდზე მეტა უჭირავს, აქ მტრანალია უმარტივო სიტყვა, არქაიზმად მიჩნეული, გამოთქმულია მრავალი მოსაზრება და ყველაფერი თავიდან ბოლომდე საკამათოა.

აქ ერთ მავალითს დაეყრდები: „ძველი მკვდარი“ ელემენტების ქარბად შემოტანა და გაცოცხლება იწვევს ნაწარმოებში მეორე, მხატვრული პლანის მეტისმეტად წინ წამოწევას. მაგრამ ამ მხრივაც მიზანი ნაწილობრივ მიუღწეველი რჩება, რადგან მან (ამ ძველმა ელემენტმა) დარჩა ენის ახალ ელემენტებთან ცალკალი კონტაქტის უნარი. იგი თითქოს უცხო სხეულია, რომლის მორგებისა და შესისხლბორების პროცესს დისტანციიდან ხედვა სჭირდება“ (გვ. 138).

აქ საქმეს არ შევლის „მკვდარის“ ბრჭყალებში ჩასმა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ დებულების დასადასტურებლად მოტანილი მაგალითების დიდი ნაწილი ისევეა მკვდარი, როგორც გან- წარ- და აღ-ზმინისწინები, ნართანიანი მრავლობითი, პოსტ-პოზიციური წყობა ან კიდევ ზმნის ბოლოდან მეორე ადგილზე მოქცევა აღმოჩნდა მკვდარი და დასამარბებელი ეურნალო ერთი ნომერი ამდენ მასალას გვაძლევს არლი თაყაიშვილის მოსაზრებათა გასაბათილებლად, წარმოიდგინეთ, რამოხდება, გულდასმით რომ მოვეყვით სათანადო მაგალითების ამოწერას ქართულ მწერალთა თხზულებებიდან საერთოდ. მკითხველი შენიშ-

ნავდა აღბათ, რომ მე განზრახ არ მოვიშველიებ არც ერთი ნიმუში, ვთქვათ, ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახტრდიას, ვალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის და სხვათა და სხვათა მრავალთა ნაწერებიდან. ეს არის ზღვა მასალა და ეს ზღვა მასალა ორგანული ნაწილია ქართული სალიტერატურო ენისა, ეს არის ქართული სალიტერატურო ენა — ერთიანი და განუყოფელი. აღარაფერს ვამბობ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟაფშაველას გამო, აღარაფერს ვამბობ რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მათს ენას თვით „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ დამპირისპირებულნიც „ახალი ქართული“ ფაქტად მიიჩნევენ.

სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ამდენი „უჩემოდ ვინ იმღერეთა“, სირცხვილია ბელონურად გათიშვა ჩვენი სასიქადლო ენისა და, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებლად მტკიცება, თითქოს „გორის ლამქრობის“ ტექსტი ისევე იყოს გვაგებები თანამედროვე რუსისთვის, როგორც ეფუფისტიკოსისა — ჩვენთვის (გვ. 127). ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეგრეთოდებული ძველი ქართული არის რიყე, საიდანაც ზოგს ჭრელ-ჭრელი კენჭები მოაქვს სამშენისებად, ზოგს კიდევ — ლოდები, და მერე ამ ლოდებს თევში ურტყამს საბრალო მკითხველს (სიტყვა-სიტყვით ასე უწერია არლი თაყაიშვილს: „ესა ემპირიულად არსებული მასალა, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველას აქვს მისით საზრებლობის უფლება“).

ვიმეორებ: ქართული ენის განვითარება ოდესღაც მექანიკურად შეფერხდა და შემდეგ ამ ენის საუქუნეთა მანძილზე აღარ ჰქონია სრულად გამოვლენის შესაძლებლობა. XIX საუქუნეში ბევრი რამ გაყეთდა საიმოსოდ. რათა ქართული კვლავ აეღოარბულიყო ოდინდელი მშენებით, მაგრამ „ბევრი რამ“ არ ნიშნავს ყველგვარს. სხვაგვარად ვერც იქნებოდა: ჯერ ერთი, ამ საუქუნეში ქართული არ ყოფილა სახელმწიფო ენა, მეორეც, აღინდელი კულტურის მონაბოვართა ორგანულად შესისხლბორებისთვის ზრუნვის დრო ამ საუქუნეში ბევრს არავის ჰქონდა. გარდა ამისა, სალიტერატურო ენის საბოლოო სახით დადგენასა და ღებეწას ერთი და ორი თაობის დეაწლი არ ეყოფა, საამისოდ მრავალი თაობის დაუცადებელი გარჯა არის საჭირო. ოლონდ გარჯა სათანადო პირობებსაც გულისხმობს და სწორედ ამგვარი პირობები შეიქმნა ჩვენს ხანაში. შეადარეთ XX საუქუნის ათიანი და ოციანი წლების ენა

**რეპაზ თხარაძე**

„მათი შესაძლებლობებზე საპატიპირად უპირების დასტოვრი“



დღევანდელს თუნდაც მხოლოდ ქურალ-გაზეთების მიხედვით. სხვაობა იმდენად თვალსაჩინოა, ამჯერად ილუსტრირებასაც არ საჭიროებს, — სხვაობა გაუმჭირებელია, დახვეწისავე, ამალბებისკენ. ოღონდ ვინ იტყვის — ამით დასრულდა ყოველივე და, ახალგაზრდა ლიტერატორი, თქვენ ნულარ ირჯებით? და თუკი ესა თუ ის ლიტერატორი ცდილობს მაქსიმალურად მოიცავს ქართლის განვითარების ყველა პერიოდს და ამით თუნდაც უმცირესი წვლილი შეიტანოს სალიტერატურო ენის სრულყოფის საშეიშოვლო საქმეში, ამას უნდა ეწოდოს არა „მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმალღმედ აუვანოლი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“, ან კიდევ „ძველი ქართულისკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“, არამედ ისეთი საქმიანობა, რომელიც სწორედ დღევანდელი, ზგავანდელი და ზეგინდელი დღის ინტერესებს ემსახურება. ამ საქმიანობის განსახილველად დიხხაც სასურველია გრამატიკის, საერთოდ, ენათმეცნიერების მონაბოვართა მოწვევლება, ოღონდ შეუწყნარებელია ყოველივე ამის განსჯა მარტოოდენ ლინგვისტიკის პოზიციებიდან (ისიც — დაუდგენელი პოზიციებიდან).

ვინ რას იტყვის, ზემოხსენებული მთარგმნელი მართლაც ხმარობენ ხოლმე არქაულ ფორმებს, ოღონდ, ვიდრე ამის გამო შევჩვენებდეთ, კარგად უნდა განესაზღვროთ და შევთანხმდეთ — რა შეიძლება მივიჩნიოთ არქაიზმად და რა — სალიტერატურო ენის ცოცხალ ელემენტად. წარმოუდგენელი რამ არის, როდესაც ქართული ენის განვითარების ამა თუ იმ აღრეულ ეტაპზე დადასტურებულ ენობრივ მოვლენებსა და ფორმებს არქაიზმად ვაცხადებთ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ასე იქცევიან თანაინი ენების მიმართ ევროპელები. თითქოს ქართული ენის ცვლილების ტემპები ევროპელებისა თუ ჩამორჩა, დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა იყოს ჩვენი ენისთვის. იქნებ პირიქით გვიჩვენებს საქმე, იქნებ ქართულის „კონსერვატულობა“ სწორედ საამაყო მოვლენა იყოს და არა თავში საცემი და საწუხარი! ამა კარგად დავუკვირდეთ ამ სიტყვებს: „ზოგი ენის არქაულობა სხვა ენებთან შედარებით იმას მოწიობს, რომ თუმცა ყველა ენა ვითარდება, მაგრამ მათი განვითარება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს. თუ რა იწვევს ენათა არათანაბარი ტემპებით განვითარებას, ამის ასხნა წარმოადგენს ენის განვითარების თეორიის ერთ-ერთ უძნელეს ამოცანას“ (არნოლდ ჩიქობავა).

ყოველივე ამას ანგარიში თუ არ გაეუწიეთ, ზემოხსენებულ მთარგმნელთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილი „არქაული ფორმების აღმდგენელი“ გამოკვივა, ალექსანდრე ჭავჭავაძეც, გრიგოლ ორბელიანიც, ილია ჭავჭავაძეც, აკაკი წერეთელიც, ვაჟა-ფშაველაც, მეოცე საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მწერალიც, და შეიქმნე-

ბა შთაბეჭდილება, თითქოს ამ მხრივ მთარგმნელი ქართული ლიტერატურა სცოდაედეს და სწორედ ზოგიერთი ახალგაზრდა ენათმეცნიერი იყოს უცოდველი (მით უმეტეს, თუ ლიტერატურაში დადასტურებულ მაგალითებს ერთად თავს მოვეყრით და შავი პეტიტით ერთიმეორეს მივაწყობთ საყურნალო სტატიაში).

ამიტომ, როდესაც არლი თაყაიშვილი კითხვას სვამს: „სადამდე შეიძლება ვიაროთ ასე? ხომ არსებობს რაღაც საზღვარი, რომლის იქით გადასვლა უხერხულია? — ჩვენ შეგვიძლია კითხვითვე მივეუთო: მართლაც სადამდე შეიძლება ვიაროთ ასე უგზო-უკვლოდ?“

ოღონდ ეს კითხვა მთარგმნელსა და მწერლებს როდი მიემართება.



2. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ადვილი გასაგებია, რა ფასი აქვს არლი თაყაიშვილის მეორე ძირითად მოსაზრებას — დასახელებული მთარგმნელი არქაიზაციის პრინციპს ბოლომდე ვერ იცავენ, მილიანად ძველი ქართული ვერ მართავენ ნაწარმოებს, რადგან ძველი ქართულის ნორმები მათთვის არც ისე ორგანულიაო.

როგორც დავინახეთ, იმ ენობრივ მოვლენათა და ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც ავტორმა „ეკდრის სულარა გადააფარა“, სალიტერატურო ქართული ენის ცოცხალი ინგრადიენტია. აღნიშნული მთარგმნელები ხმარობდნენ გამოცხადებულ ენის ან ენის მკვდარი ელემენტების აღდგენას კი არ ესწრაფვიან (იშვითი გამოხატვისების გარდა, როდესაც მართლაც არქაიზმებს ხმარობენ), არამედ ცოცხალი სალიტერატურო ენის შემდგომსდგვარად გამრავალფეროვნებას. ისინი იყენებენ იმ ლექსიკურ ერთეულებს, იმ ფორმებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულის პრაქტიკით დადასტურებული კუთვნილებდა. მთავარია გაირკვეს — რომელ ლექსიკურ ერთეულებს, რომელ ფორმებს უნდა ეწოდოს არქაიზმები. ახირების მეტი ვერაფერი დურქმევა იმ ამბავს, რომ მრავლის უმრავლესი ლექსიკური ერთეულიც და ფორმა, დღევანდელ ქართულ მწერლობაში ხმარებული, მაინცდამაინც „ძველ ქართულად“, არქაიზმად გამოაცხადდით.

ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვა, ძალზე თავშესაქცევედ ქდრს არლი თაყაიშვილის მოთხოვნა: „ვფიქრობთ, ამ ტენდენციის გამოვლენის დროს ერთი პირობის დაცვა აუცილებელია: ასე თუ ისე დასრულებული მონაკვეთი მაინც უნდა გაიმართოს ძველქართულად“ (გვ. 139).

ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს ამგვარი მაგალითი მოჰქვია: „**კვპრტდო ხრწნა-ღისჯან შემტაკიებულ სიცოცხლეს ჩენსას და შევიცანი წარმავალი წუთისოფელი**“ (დანტე). პირველი ნაწილი აბსოლუტურად ძველია, მეორე — უდავოდ ახალი“ (გვ. 139).





ზემოთ უკვე ითქვა, რომ ავტორი ანგარიშ-შიუცემლად, დაუზუსტებლად ხმარობს ტერმინებს „ძველი“, „ძველი ქართული“, „არქაული“. ახლა დამატებით გაჩნდა „აბსოლუტურად ძველი“. ზემოთ ისიც ვაირკვა, რომ, რასაც ავტორი „ძველ ქართულს“ უწოდებს, სალიტერატურო ქართულში ყოველდღიურად ხმარებული მოვლენები ყოფილა (გარდა რამდენიმე იშვიათი გამონაკლისისა). მოდი, ახლა გავანალიზოთ მოტანილი მაგალითი: იქნებ „აბსოლუტურად ძველმა“ მაინც მივგავლდეთ ვინმეს, რა არის ბოლოსდაბოლოს „ძველი“.

**„ვერტეტი ხრწანისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას და შევიცანი წარბევალი წუთისოფელი“.**

მაშასადამე, ხზვასამული ფრაზა აბსოლუტურად ძველია.

**ვერტეტი.**

**„ს-ვერტ-ს“** (მხოლოდ ნაცეთა აწმყოს წყე-ბაში) გრდუე: სტატ. იგივეა, რაც **„სვერტს“**, რად მიხდოდა მისი ვინაობის გაგება! ქურდულად ვვერტეტი მის სილამაზეს და განა ეს საკმაო არ იყო? (ა. ჭუმბა). II ფიგურა. ჩემ შარბათში ნაღველს ვვერტე და ვარდში — გველს (ავაკი) („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

თუ ავტორი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“ არ მიიჩნევს „არქაიზაციისკენ გაშლილი ფრონტი სვლის ერთ-ერთ რგოლად“, აბსოლუტურად ძველ ფრაზას ეს სიტყვა უნდა გამოვაკლოთ.

დავერჩა „... ხრწანისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას“.

**ხრწნადი.**

**„ხრწნადი“** (ხრწანდისა) წიგნ. რაც იხრწნება, რაც შეიძლება გაიხრწნას, — ლობადი. ევ ხრწნადი ხორცი მოკვდება და დაიშლება (ვ. ბარნი). სილამაზე მხოლოდ ყვაილია ხრწნადი (თ. სახოკ. თარგმ.) („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

თუ ავტორი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“ არ მიიჩნევს „არქაიზაციისკენ გაშლილი ფრონტი სვლის ერთ-ერთ რგოლად“, აბსოლუტურად ძველ ფრაზას ეს სიტყვა უნდა გამოვაკლოთ.

დავერჩა „... შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას“.

**შემტკიცებული.**

იგივეა, რაც **„განმტკიცებული“**, — გვაუწყებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. მოტანილ ფრაზაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „განმტკიცებულს“ მნიშვნელობით არ იხმარება. მაშ რა მნიშვნელობით? **„შემტკიცება — შემყარებასავით“** (სულხან-საბა ორბელიანი).

მაშასადამე, „შემტკიცებული“ ზემოთ ნახაარი მნიშვნელობით განმარტებითი ლექსიკონს არქაიზმად მიიჩნია. და, თუმცა ძნელია ამგვარ დასკვნას დაეთანხმო, მაინც გაეიზიაროთ ავტორის

სისხარული იმისათ დაკავშირებით, პირველი არქაიზმი ბოლოსდაბოლოს ნაშკონია! დავერჩა „... სიცოცხლეს ჩემსას“.

მკითხველს თავს აღარ შეეაწყენ ამ სიტყვათა მნიშვნელობის ლექსიკონიდან ამოწერით. არც ერთი საშუალო ინტელიგენტი (ვისაც არლი თაყაიშვილი გულისხმობს ჩენი თარგმანების მკითხველად) ამ სიტყვებს არქაიზმად არ მიიჩნევს.

მაშასადამე, მოტანილი ფრაზის ლექსიკა შეიცავს ერთადერთ არქაიზმს (ისიც პირობითად წოდებულს ამგვარად) — „შემტკიცებული“.

იქნებ ფონეტიკური, მორფოლოგიური ან სინტაქსური თვალსაზრისით აღმოჩნდეს ეს ფრაზა აბსოლუტურად ძველი?

ღიაც, სწორედ ეს განსაუთ თავი და თავი! ფონეტიკურად და მორფოლოგიურად არა, მაგრამ სინტაქსურად ხომ არქაიზმია „სიცოცხლეს ჩემსას“, ეს ხომ შებრუნებული რიგია, პოსტ-პოზიციური წყობა! ახლა რაღას იტყვიან?

მხოლოდ იმას, რომ კვლავ მიგითითებინა ეურნალ „ციცკრიდან“ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს და შეგახსენებთ, რომ არავითარ არქაიზმი აქ არ არის. ბოლოსდაბოლოს, როგორც არლი თაყაიშვილი თვითონვე აღნიშნავს, მისი წერტილის სათაურიც ხომ ამ წყობით არის გამართული („ენა ძველი, ენა ახალი“).

მაშ რაღაა მოტანილ ფრაზაში აბსოლუტურად ძველი? მოტანილი ფრაზისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ის კი ვიცი, რომ აბსოლუტურად ძველია თეთრის შავად და შავის თეთრად გასაღების პრაქტიკა...

ზემოხსენებულ თავშესაქცევი მოთხოვნა („... დასრულებული მონაკეთი მაინც უნდა გამართოს ძველქართულს“) და ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო თავშესაქცევი მაგალითები ავტორს იმისთვის სჭირდება, რომ გვიჩვენოს. „თუ რამდენად რთულია ძველი ქართულის გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური სისტემა“, იმ ზომამდე, რომ „მასში შეუცდომლად გარკვევა უჭირთ ძველი ენისა და კულტურის ისეთ კვალიფიციურ სპეციალისტებს, როგორადაც ზემოთ ნახსენები ახალგაზრდა მთარგმნელები ითვლებიან“ (გვ. 142).

ხოლო „კვალიფიციურ სპეციალისტებთან-დაკავშირებული ცუდად დაფარული ირონია იმის შედეგია, რომ, ავტორის აზრით, ახალგაზრდა მთარგმნელს სწორედ მათ მიერ ამოჩემებული ძველი ქართულის თვალსაზრისით უშეუბენ შეცდომებს.

ამ დებულების დასადასტურებლად მოტანილი ერთი მაგალითი უკვე გავანალიზებ და სათანადო დასკვნის გაკეთება მკითხველზე იყოს. დანარჩენი მაგალითები ან ასეთვე ხარისხისა,

**რედაქტორისათვის**

„მათი შესაძლებლობებზე - სპეცტიკურად ურეზის დასტურ“



ავტორისავე თვალსაზრისის გამაბათილებელი, -5 კიდევ სადავოა და საკამათო და ამჭრად ვერ გამოვუდგებით.

ეტყვი მხოლოდ, რომ მრავალი მაგალითი-დან ორად ორია მართლაც შეცდომის ნიშნუი. ერთია ებ-იანი მრავლობითის შემთხვევაში პირ-დაპირი ობიექტის მიერ ზნაში რიცხვის აღნიშ-ენა („ძაღლები მოსრნა“ — გრამატიკულადაც მიუღებელია და, საერთოდაც, ჩემი აზრით, „მოსრნა“ გაუმართლებელი არქაიზმია სწორედ ამ ნ-ს გამო), მეორე — ორმაგი მრავლობითი („ცოცხლები“).

ეს ციტატები სწორადაა ამოწერილი, აღნიშნულ შეცდომათა დამწებნი არიო თაყი-შვილი ალბათ მაღლობის ეტყვიან მითითების-თვის და მომავალში ამ შეცდომებს გაასწორე-ბენ. ამიტომ დაველოდოთ, რას იტყვიან მოტა-ნილი მაგალითების შემქმნელნი — „ილიადასა“ და „გილაგამის“ მთარგმნელნი.

მანამდე კი, რაკი რიცხვში შეთანხმებაზე ჩა-მოვარდა სიტყვა, შეცბუნებულებმა შეენიშნოთ, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ქართლის სპეციალისტი არლი თაყაიშვილი თავის წერილ-ში ასე გვითარგმნის ერთ რუსულ ფრაზას: „ეს ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ საეკლესი-სიო სლავიზმები კრიზისს განიცდიან და ხმარე-ბისას რიცხობრივად მცირდებიან, გარკვეული ჭაუხები კი საერთოდ აღარც გამოიყენება“ (გვ. 136).

ახლა თქვენ არ თქვათ — ავტორი სხვა მთა-რგმნელებს უკითხვებს — რიცხვში შეთანხმების წესებს ძველი ქართლის მიხედვით რატომ ვერ იცავთ, თვითონ კი ახალშიც შეცდომებს უშე-ვებს, ისიც ორად ორი ბწყარის თარგმნისას, ეს სადაურაო!

სადაურა და, ეტყობა, მომავლის ქართულია, ძველისაგან და ახლისაგანაც განსხვავებული.



3. ვიდრე არლი თაყაიშვილის მესამე ძირი-თადი მოსაზრების გამო ვიტყვოდეთ რასმე, ენა-ხოთ, კიდევ როგორ ირღვევა რიცხვში შეთან-ხმების წესები მისსავე წერილით:

„მათ ამ ეროვნული საქმის ფერხულში ჩა-საბმელად მოჰყვა სიყვარული და ენთუზიზმი“ (გვ. 125); „ზოგიერთ სახელთა ფუძემდის...“ (გვ. 135); „...სიტყვები, რომლებიც დღესაც იხმარებიან...“ (გვ. 135); „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ღირებუ-ლებანი, რაც კონფლიქტში მოდის არაბულ-თან...“ (137); უნდა აღდგეს მხოლოდ ის გრამა-ტიკული ფორმები და ლექსიკური მასალა, რომელსაც რაღაც აზრობრივ-ემოციური ნიუანსი შემოაქვს...“ (139); „ზოგჯერ ბიბლიური იერი მიეცა ისეთ მწერლებს...“ (145); „ერთნაირად ამტკველდა უიტმენი და ბო ძიუი, ავგორი და ალიგიერი, აბუ-ლალა-მარაი და ომარ ხაია-მი“ (145); „ამ მხრივ... თარგმანებს დედნის

ერთგვარი გაგონა ისევ ეტყობათ“ (146); „არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ საერთოდ წი-ნააღმდეგი ვიყოთ არქაიზმებისა. დიალექტიზ-მებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარისმებთან ერთად მას ვუყურებთ როგორც ენის გამდი-რების ერთ-ერთ დამუშობელ წყაროს“ (150).

ენახოთ გარეთვე, როგორ არღვევს ავტორი პირის ნიშნთა ხმარების მიღებულ წესს: ყვე-ბოდნენ (132), ჯობდეს (135), ჯობდა (137); რო-გორ აღადგენს არქაულ „ხელა“ თანდებულს-რაზედაც (149), რომელზედაც (150); როგორ პარალელურად ხმარობს ხან ჩვენს ევებს (141). ჩვენს მიერ (145) და ხან ჩვენს მიერ (131), ხან მოვიტანთ ნიშნუს (126), ხანც ნიშნულად მოვიყ-ვანოთ (131); როგორ „ქმნის სიტყვათა არქაუ-ლად დალაგების თავისებურ სახეს ზმნის ბო-ლოდან მეორე ადგილზე მოქცევით, მის უკან კი ზმნიზდის, ნაწილაკის ან ნაცვალსახელის გადასროლით“: „და ამ ფრჩხილების გასნა მო-გვიხდა ჩვენს“ (144), „ეს კი ბევრზე მეტყველებს თავისთავად“ (147)...

„ეს არის სალიტერატურო ენის ნორმებიდან შეთოლურად გადახვევის შესანიშნავი ნიშნუი“ (გვ. 135) — ასე შეაფასა არლი თაყაიშვილმა ზემოხსენებულ მთარგმნელია ენა.

ახლა მივხედოთ ავტორის სტილს:

„ჩვენ შევეცდებით დასახელებულ მთარგ-მნელთა დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანა-ლიზზე, ავრთვე ცნობილ ლიტერატურათა შე-მოქმედებით გამოცდილების მოშველებით ვაჩვენოთ, რამდენად ბოლომდე გამართლებული არაა არქაიზმებისაყენ ასეთი მკვეთრი ორიენ-ტაცია“ (127).

„ეს დღევანდელი ფორმების მიმართ ერთ-გვარი უპატიველობაა. უფრო მეტიც: მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დას-ტურია“ (135).

„... იგი (დანტე) გადაუტარებლად აღიარე-ბულია როგორც ნამდვილი შემქმნელი ერო-ვნული და პოეტური ენისა“ (142).

ვითომ ქართულია „ანალიზზე ვაჩვენოთ“, „შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტურია“ ან „აღიარებულია როგორც ნამდვი-ლი შემქმნელი“?

მაგრამ ეს ყოველივე მაშინვე დაიჩრდილე-ბა, როგორც კი არლი თაყაიშვილი მოგვეცლინე-ბა არა ავტორის, არამედ მთარგმნელის როლი. დაუკვირდით ერთი, როგორ გვითარგმნის იგი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ორიოდე ფრაზას:

„ლექსობრივი კომედიის“ ენა — „საამო სტი-ლის“ სტოლის მძალი სახალხო ენა, მაგრამ საგრძნობლადაა იგი გამდიდრებული ტოსკანუ-რი ანდაზების, სხარტი და მყარი ხალხური გამო-თქმების ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით. პოემის ხალხური ელემენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდენ ერესების მასობრივი-სახალხო მოძრაობების ეპოქაში. აქ უნდა ვე-

ძიოთ თვით სთავეც დანტეს ფანტაზიისა, რომელიც კლერიკალური ლიტერატურის სულს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ახლოს იყო ამოკრძეულ, გულუხისიგან უარყოფილ ხალხის რელიგიურ ლეგენდებთან“ (143. ხაზი ჩემია. — რ. თ.).

როგორც ხედავთ, მთარგმნელობა არც ისე იოლი ხელობა ყოფილა. თუკი ორიოდე ფრაზის თარგმანით ამგვარი დიდიხალი მივიღეთ, წარმოიდგინეთ, რა შეიძლება დავმართოთ ჩვენს საბრალო ქართულს ვრცელი ნაწარმოების (ისიც მხატვრულს) გადმოღებისას!

ამას იმითმომოგახსენებთ, რომ ვიდრე არა-თუ თაყაშვილი სახელოებს აიკაპიწებდა და ხსენებულ თარგმანებს გრამატიკის პროგრესიტეს სარეცელზე დააწეწავდა, ცოტათი უკეთ უნდა გარკვეულიყო, თუ რა არის თარგმანა ან რატომ უწოდებდნენ ხოლმე მხატვრულ ლიტერატურას სიტყვაკაშუმულ მწერლობას. ვიდრე „გილგამეშის“, „გიტანჯალის“ ან „ფედონის“ მთარგმნელებს ენასა და სტილს დაუწუნებდა. იმის შესვლიდ დრო და ენერგია მიიწე უნდა მოეხმარებინა სიტყვის დაუტყვებისა და კაშმეის ხელგამეშისთვის, რასაც ზემოხსენებული მთარგმნელი ახმარდნენ წლების მანძილზე. მეთხველისთვის უინტერესო არ იქნება იმის შეტყობა, რომ პლატონის თარგმნისას ბაჩანა ბრეგვაძე თორმეტ-თორმეტ საათს მუშაობდა დღეღამეში, რომ თამაზ ჩხენკელი უკვე ოცი წელია ინტენსიურად თარგმნის აღმოსავლურ პოეზიას და ბოლოსდაბოლოს რამდენიმე საქმიად თხელტანიანი კრებულები გამოსცა მხოლოდ (ამ ხნის განმავლობაში, როგორც იტყვიან, დაკეთდა ხალხი თარგმანებით)...

კარგი, ვთქვათ, ნაწარმოების გრამატიკულად განხილვისას ყოველივე ამისთვის ანგარიშის გაწევა არ არის აუცილებელი (თუმცა მკითხველს ალბათ ახსოვს, როგორი მავალით მოგვეცინა ამ თვალსაზრისით ჩვენმა ენათმეცნიერებმა — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის, ივანე იმნაშვილისა და სხვა გამოჩენილ ლინგვისტთა ნაშრომები სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულების ქეშმარიტი ნიმუშია). ის ხომ მიიწე აუცილებელია, რომ საკუთრივ სტილის საკითხებზე მუშაობისას, გერ საკუთარი სტილი გვემოდეს მოწინააღმდეგებო? არლი თაყაშვილის მესამე ძირითადი მოსაზრება ხომ იმას დალადებს, რომ „ახალგაზრდა მთარგმნელებმა“ სათარგმნ ავტორებს თავის მოახვივის შეუფერებელი სტილი, უადგილო არქაიზაციით სახე დაუკარგეს დანტეს, ისაკიანს, ბო ძიუ-ის, ომარ ხაიამს, უიტმენს, ოსკარ უაილდს, თავორს („თუკი „მებადუ“ ბენგალურ სახალბრო ენაზე დაწერილი, რატომ უნდა ითარგმნოს იგი ძველი ქართულით?“)...

გვითხებთ: თქვენ რომ გვეწვიოთ პირდაუბანელი ექიმი და პიკინის საკითხებზე ლექციის კითხვა დაგიწყოთ, ირწმუნებთ მის ნუბარს?

ვერც მე ვირწმუნებ სტილისტურ შემოქმედებს იმ ავტორისა, რომელიც „მთ შესაძლებლობებზე“ სექპტიუურად ყურების დასტურის“ ენით მელაპარაკება, რომელსაც ჰგონია, რომ „ჩემი ლოცვის“ თარგმნისას პასტერნაკმა სიტყვა ვა.ე.ი.ი „ლექსის სასომის საჭიროებით“ იხმარა, რომ დანტეს სტილის შესახებ გულდაკრებულად მსკელობისთვის საკმარისა ენციკლოპედია გადაშალო და იქ წაიკითხო შესატყვისი სტატია.

რომელა ერთი ჩამოვთვალო...

\* \* \*

„ენა ძველი, ენა ახლის“ დაწერის აზრი რომ დაებდა, არლი თაყაშვილმა რამდენიმე ახლობელ ადამიანს გაგვზიარა თავისი განზრახვა. სხვებისა არ ვიცე, პირადად მე კი მომავალ ავტორს ვუთხარი (თვითონაც დამემომემა ალბათ, რომ ნამდვილად ასე იყო): მართალია, ქართული ენის აწინდელი მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ ჩვეს სულ სხვადასხვაგვარი აზრი გვაქვს, მიიწე სულით და გულით მივესალმები-მეთქი წერილს, რომელშიც ჩვენი ენის საჭირობოტო საკითხებზე იქნება საუბარი. ასეთ წერილს ალბათ სხვებიც სიამოვნებით გამოეხმარებინან და ამას რა სჯობს — ვიღაოთ, ვიცამათოთ, ეს მხოლოდ წაადგება-მეთქი საქმეს.

ზემოთ დასახელებულ მთარგმნელთაგან არც ერთი არ მეგულება და ჩემს თავსაც არ მივიჩნევე ისეთ კაცად, ვინც ყალბზე დადგება მისი ნამუშავეის კრიტიკულად მიმოხილვისას, ვინც შენიშვნას არ ჩაუკვირდება, ყოველმხრივ არ აწონ-დაწონის და „ჩემი სჯობსო“ იძახებს ბრეყველად.

ოღონდ დასახელებული მთარგმნელი ის ადამიანები არიან (ამგვარი ადამიანები კი, მდლობა ღმერთს, ცოტანი როდი არიან დღევანდელ საქართველოში), რომელთაც ათეული წლები და პირადი კეთილდღეობის არაერთი პერსპექტივა შეუწირავთ მშობლიურ ენის საიდუმლოებათა ჩასაწვდომად ღამეების თვისთვის. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, თუკი ქართული ენის განვითარების კარდინალურ საკითხებზე მსკელობისას სიჩქარეს, უგულბისყოობას ან ფარინციბობას ვერ შეიწყნარებთ.

„ენა ძველი, ენა ახლის“ ავტორიც ერთ იმ კაცად მეგულებოდა, ვინც მხოლოდ საგულდაგულად მომზადების, პრინციპთა მკაცრად გაზრებისა და ჩამოყალიბების შემდეგ მიპყოფდა ხელს მშობლიურ ენის ძირეულ პრობლემებზე მუშაობას. ამიტომ მიველოდი ინტერესით მის წერილს.

**რეზაე თხარაკი**

„მათ შესაძლებლობებზე“ საკბიკურად ყურების დასტური“





დიდი იყო იმედის გაცრუება. მისი წერილიდან ერთი რამ გამოსჴვივის ყველაზე რელიეფურად: სიჩქარე, სიჩქარე. და დაუკვირებლობა.

აჩქარების ბრალია „მხატვრული ლიტერატურის ენის შესწავლის სამი ასპექტის“ იმგვარად დაფორმლება (წერილის დასაწყისშივე), რომ კაცი ვერაფერს გაიგებს ამ ასპექტებისას; აჩქარების ბრალია ციტატების ისე დაუდევრად, არეულ-დარეულად მოხმობა, გარჯად რომ ღირდეს, მართო ამ საკითხზე სპეციალური წერილი დაიწერებოდა; აჩქარების ბრალია „ძველი ქართულის“ განუკითხავად ხმარება და დასახელებულ მთარგმნელთა წიგნებში მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკური „არქაიზმების“ უხვად აღმოჩენა (მორფოლოგიურ-სინტაქსურ არქაიზმებს რაც შეეხება, ზემოთ გამოჩნდა, თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება. ლექსიკური არქაიზმები ცალკე საუბრის თემაა); აჩქარების ბრალია ახირებული პრეტენზია — რატომ მთლიანად ძველი ქართულით არ მართავენ

ნო დასრულებულ მონაკვეთებს ხსენებული მთარგმნელი; აჩქარების ბრალია სათარგმნო ავტორთა სტილისტური თავისებურებების გამოუმწიფარი მსჯელობა; დაბოლოს, აჩქარების ბრალია თვით ის ორთოგრაფიულ-გრამატიკული და სტილისტური შეცდომები, რომლებიც, როგორც დავინახეთ, ძნელი მისაკლევევი არაა არლი თაყაიშვილის წერილში (აჩქარება რომ არა, ვინ დაიჯერებს, თითქოს ენათმეცნიერ კაცს უკეთ არ ეხერხებოდეს წერა!).

და აქ უნებურად აღიძვრის კითხვა: რატომ ისწრაფა ავტორმა და გამოაქვეყნა ფაქტიურად დაუმუშავებელი, ჩამოუყალიბებელი, გაურანდავი წერილი, რა იყო თვით ამ აჩქარების მიზეზი? ნუთუ მხოლოდ სურვილი — რაღაც უნდა დასჯდომოდა, მკითხველი საზოგადოების თვალში გაეზიარებინა ზემოხსენებული მთარგმნელები? ან იქნებ „მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურება“?

ამას მომავალი დაგვანახებს ალბათ.



## ნიკოლოზ კანდელაკი

ნიკოლოზ კანდელაკი ქართული მჭევრმეტყველების უპირველესი მკვლევარია. მწერალ-მა და მეცნიერმა ღრმად შეისწავლა მანამდე მიუკვლეველი ისტორიული წყაროები და ხელნაწერები და სახერხული შემოქმედებითი მუშაობით შექმნა ერის კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — მჭევრმეტყველების ჯრცელი ისტორია.

პრესამ და მრავალრიცხოვანმა მკითხველმა დიდად შეაფასეს ნიკოლოზ კანდელაკის კაპიტალური შრომები — „ქართული მჭევრმეტყველება“, „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“, „ქართული საეპოქო მჭევრმეტყველება“, — ასევე მისი რედაქციით, შენიშვნებით და გამოკვლევით გამოცემული სოლომონ ლიონიძის „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღვთისმეტყველების დირისა“.

ნიკოლოზ კანდელაკს ბევრი გამოუქვეყნებელი მონოგრაფიული შრომა დარჩა. — „ქართული ორატორები“, „შოთა რუსთაველი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „თამარ მეფე“, წერილები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის, მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების საკითხებზე.

„ცისკრის“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ერთ-ერთ საინტერესო წერილს ნიკოლოზ კანდელაკის არქივიდან.

## ეზრემ მცირე — ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი

ადამიანთა ურთიერთობის უმთავრესი საშუალება სიტყვა და სიტყვების განსაზღვრული შეთანხმების პროცესი — მეტყველება, როგორც აზრის გადმოცემის ფსიქიკური მოვლენა, შეიქმნა და წერილობით. ორივე სახე გაგებინების გზით უზრუნველყოფს ადამიანთა სულიერ კავშირს. ისინი ერთმეორისაგან განსხვავებული ფორმებით, მაგრამ გაგების მიხედვით ერთნაირი შინაარსით ამყარებენ ინტელექტუალურ ურთიერთობას. ამ ურთიერთობის ფორმა ერთ შემთხვევაში ზეპირია, ხოლო მეორეში — წერილობითი. შინაარსის ერთი ამთვისებელი მსმენელია, ხოლო მეორისა — მკითხველი. ისინი

სიტყვით გამოთქმული აზრის ამთვისებელი არიან ერთი პრინციპული ნიშნის — გაგების საფუძველზე, მაგრამ გამოხატვის ორი ფორმის — ნათქვამის და ნაწერის მეშვეობით.

ჩვენთვის აქ საყურადღებოა ხსენებული პრინციპული ნიშანი გაგება და მისგან გამომდინარე ბუნებრივი შედეგი გაგებინება, როგორც დეკლამაციის განმსაზღვრელი მხარეები.

დეკლამაცია მხატვრული ანუ გამომეტყველებითი კითხვის ერთ-ერთი სახეობაა. ის თავისი ფორმით შინაარსის სრული გამოხატველი, სათქმელის შინაარსისა და თქმის ფორმის შესაბამისი შეთავსების ხელოვნებაა.

ეს ხელოვნება მრავალ დამხმარე ფაქტორს



საჭიროებს. ისინი გამოყენების დროს მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ, რომელთაგან ერთი ჯგუფის ფაქტორები დეკლამაციის პროცესამდე გვეხმარებიან — ხელს გვიწყობენ მხატვრული კითხვის მომზადებაში, ხოლო მეორე ჯგუფის ფაქტორები დეკლამაციის პროცესში გვეხმარებიან — ხელს გვიწყობენ მხატვრული კითხვის ჩატარებაში.

პირველი ჯგუფის ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სანონაციო პირობითი ნიშნები. მათი მნიშვნელობის უკეთეს გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ ზეპირი და წერილი მეტყველებების შემოადინისწილად საერთო პრინციპული მხარე — გავება, რასაც მისი გამოვლენის სხვადასხვაობის გამო განსხვავებული ფაქტორები უზრუნველყოფენ მეტყველების ფორმებში. წერილი მეტყველების ასეთი ფაქტორი პუნქტუაციაა, ხოლო ზეპირი მეტყველებისა — ინტონაცია. მათი ფუნქციები ანალოგიურია — ისინი აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და შინაარსის ნათლად გაგებას ემსახურებიან. ამ მიმართებით, რასაც წერილი მეტყველებაში აკეთებს პუნქტუაცია, იმას ზეპირი მეტყველებაში ასრულებს ინტონაცია. პირველი ამას ახერხებს სასვენი ნიშნებით ინტერვალებში, ხოლო მეორე — ინტონაციით პაუზებში.

წერილი მეტყველებაში სასვენი ნიშნებისა და ზეპირი მეტყველებაში ინტონაციის ერთნაირი დანიშნულება მათი ერთობლივი განვითარების მიზეზს წარმოადგენს და ერთმანეთთან კავშირში განახილვის საფუძველს გვაძლევს. ამასთან, აგრეთვე ისიც უნდა ვახსოვდეს, რომ ნაწერის სასვენი ნიშანს ნათქვამის ინტონაცია ადვილით ყოველთვის არ ემთხვევა და შინაარსით ხშირად არ გამოხატავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწერში შეიძლება იყოს სასვენი ნიშანი, ხოლო ზეპირში საჭირო არ იყოს პაუზა, ან პირიქით, ნაწერში შეიძლება არ იყოს სასვენი ნიშანი, მაგრამ ზეპირში საჭირო იყოს პაუზა; ანდა, ნაწერში შეიძლება იყოს ერთი რომელიმე სასვენი ნიშანი, ხოლო ზეპირში საჭირო იყოს სხვა რომელიმე სასვენი ნიშნის ინტონაცია.

მაგალითად: სალექსო სტრიქონის ბოლოში სასვენი ნიშანი შეიძლება იყოს და შეიძლება არა, მაგრამ ლექსის ზეპირად წარმოთქმის დროს პაუზა ყოველთვის საჭიროა მასალის რიტმული წყობის გადმოსაცემად. ან: კითხვით-სიტყვიან კითხვებში წინადადებას ბოლოში ეწერება კითხვის ნიშანი, მაგრამ მისი ზეპირი რეპროდუქცია საჭიროებს წერტილის ინტონაციას. ან კიდევ: სიტყვათა უჩვეულო წყობა წერილი მეტყველებაში ხშირად არ თხოულობს არავითარ სასვენი ნიშნებს, მაგრამ მისი ზეპირი გადმოცემა თითქმის ყოველთვის საჭიროებს საგანგებო პაუზებს.

ყოველთვის ეს იმთა მჩვენებელია, რომ საესეებით განუყოფელი არ შეიძლებადა ყოფილიყო სასვენი ნიშნებისა და მათი გამომხატველი

ინტონაციების ისტორიული განვითარებისას ამით აიხსნება ის, რომ ნაწერში სასვენი ნიშნების გვერდით განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თავს იჩენს სპეციალური საინტონაციო ნიშნები. ისინი, ცხადია, არსებობდა სადეკლამაციო ნოტაციის ანუ სამეტყველო პარტიტურის პირობითი ნიშნები, რომლებიც სასვენი ნიშნებთან ერთად ხელს უწყობენ შინაარსის უკეთ გადმოცემას, მაგრამ უმთავრესად გამომეტყველებით კითხვას ემსახურებიან და მასალის მხატვრულ რეპროდუქციას ისახევენ მიზნად. სასვენი და სადეკლამაციო ნიშნების ასეთი ფუნქციონირება დაკონკრეტება შეიძლება მხოლოდ მეტყველების განვითარების მაღალ დონეზე მომხდარიყო. როგორ ჩანს, ასეთ დონეს ქართულმა მეტყველებამ მიაღწია მე-11 საუკუნემდე. ამის საბუთის წარმოადგენს ხსენებული საუკუნის ბოლოში გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ეფრემ მცირის მიერ შემუშავებული სადეკლამაციო ნოტაცია (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 254).

ჩვენი კვლევის საგანი ამეამდ ეს საყურადღებო მოვლენა.

მრავალრიცხოვანი ქართული ხელნაწერები, დაწყებული მე-9 საუკუნის პალიმესტსტებიდან დამთავრებული მე-18 საუკუნის ფოლიანტებით, ნათლად მიუთითებენ ჩვენი სასვენი და სადეკლამაციო ნიშნების ისტორიული განვითარების გზას. ამ გზაზე წინასწარი სამი გარკვეული საფეხური გამოირჩევა: 1. უძველესი, როცა განკვეთილობის ნიშნები შემოუღდათ, 2. ძველი, როცა სასვენი ნიშნები დიდდგენიათ და 3. ახალი, როცა სადეკლამაციო ნიშნები შემუშავებიათ. მე-12 საუკუნის დამდგენისთვის ეს საფეხურები უკვე გავლილია — მათი ისტორიული განვითარება არსებითად დამთავრებულია. შემდეგ ხდება ამ წარმატების განმტკიცება და ახალი მონაპოვრით გამდიდრება. ეს პროცესი შეინიშნება მე-12-18 საუკუნეების მანძილზე. დასასრულ, მე-19 საუკუნეში, ურთი მხრით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების შედეგად და, მეორე მხრით, რუსულ-ევროპული პუნქტუაციის ზეგავლენით საესეებით გაფორმებული საესე მიიღო და საეალდებულო სისტემის ძალით დამკვიდრდა ჩვენი თანამედროვე პუნქტუაცია (იხ. ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთ., 1916).

როგორც, ზემოთ აღინიშნა, ქართული სასვენი და სადეკლამაციო პირობითი ნიშნების თავდაპირველი განვითარების გზა, რომელიც სამი ძირითადი საფეხურისაგან შედგება, მე-11 საუკუნის დასასრულისათვის მთლიანად გავლილია. ეს დასტურდება უძველესი და ძველი ქართული ხელნაწერებით, რომელთაგან განკვეთილობის ნიშნების საფეხურის გვიჩვენებენ პალიმესტები, სასვენი ნიშნების საფეხურს — გიორგი მთაწმიდელის ხელნაწერები, ხოლო სადეკლა-





მაცოი ნიშნების საფეხურს — ეფერმ მცირის თხზულებანი. წინსვლის ამ გზაზე ეფერმ მცირის მონაპოვარი უმადლეს მიღწევას წარმოადგენს. ვიდრე მას შევხვებოდე, ვაღმეცემით აღრინდელი საფეხურების შინაარსს.

უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერები გვიჩვენებენ, რომ თავდაპირველად დამწერლობაში არ იხმარებოდა არავითარი სასვენი ნიშანი. კიდევ მეტი: დამწერლობის შემოღების პირველ პერიოდებში უტნობია არა მარტო ფრაზების გამოყოფა, არამედ სიტყვების დასორების წესიც — ფრაზებს არ ყოფდნენ სავსენი ნიშნებით და სიტყვებს არ აშორებდნენ ინტერვალებით. ეს საერთო მოვლენა აჯად. ი. ჯავახიშვილს ასე აქვს აღწერილი. „თავდაპირველად აღამიანი ჯერ იმდენად განვითარებული და დახელოვებული არ იყო, რომ წერისა და წარწერის ამოჭრის დროს სიტყვებისა და წინადადებითა დაყოფაზე ეფიქრა. მაშინ ის მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ასოები სწორად გამოეყვანა. ამიტომ ყველგან და ყველა ენაზე უძველესი წარწერები ისეა შედგენილი, რომ ასო ასოს მისდევს და არც სიტყვები და არც მით უმეტეს წინადადებები ერთი მეორისაგან დასორებულიც კი არ არიან“. (ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 140-141).

ამრიგად, ზეპირი მეტყველების წარმოქმნის დროინდელი დაუნაწერებელი ხმის ანალოგიურად, წერითი მეტყველება პირობითი ნიშნებით დაუყოფელი ჩანს მისი წარმოშობის პირველ ხანებში. მხოლოდ შემდეგ, დამწერლობის დამკვიდრებისა და განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მიხვდა აღამიანი, რომ აზრის ნათლად გადმოსაცემად და უკეთ გასაგებლად სპირობა ნაწერში არა მარტო სიტყვების გამოჩენა, არამედ წინადადებების განცალკევებაც. ჯერ, ცხადია, სიტყვების დასორების საჭიროებას აღამიანებდნენ, შემდეგ — ფრაზების განცალკევების აუცილებლობას. ამ გზით უნდა წარმოქმნილიყო პირველ საფეხურზე განკვეთილობის ნიშნები სიტყვების დასორებისათვის. ხოლო მეორე საფეხურზე — სასვენი ნიშნები ფრაზების განცალკევებისათვის. ამ საფეხურებს შორის, რა თქმა უნდა, დიდი მანძილი უნდა ვიგულისხმოთ.

პირველ საფეხურზე განკვეთილობის უმთავრეს ნიშანს ინტერვალი წარმოადგენდა. ის კეთილბოდა სიტყვასა და სიტყვას შორის, აზრსა და სიტყვებს შორის, ეპიზოდებსა და რთული სიტყვების შუაში. ინტერვალი ხელს უწყობდა აზრის შედარებით ნათლად გადმოცემასა და რადენდამე სწორად გაგებას. ამრიგად, ის ერთგვარი სასვენი ნიშანია, რომელიც პირველად მოიპოვა აღამიანმა და საფუძვლად დაუდო შემდგომ წარმატებას ამ მიმართულებით. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის, რომ ინტერვალის

აღსანიშნავად აღრიდანეე შემოღებული ინტერვალი საგანგებო ნიშნები, რომელთა მრავალფეროვანი ვარიაციებით მიღებული იქნა შემდეგ სხვა, უფრო არსებითი ხასიათის პირობითი ნიშნები. ასე წარმოიშვა მომდევნო საფეხურზე სასვენი ნიშნების საგანგებო სისტემა.

ინტერვალის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნების ძირითადი შემადგენელი აის წერტილი. ძველ ქართულში წერტილი ნარჩვეულს აღნიშნავდა (საბა, ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 435). ამ შემთხვევაში იგულისხმება კალმით ნარჩვეული. ის აღდრე მოპოვებული თავდაპირველი პირობითი ნიშანი, რომლისგან წარმოიქმნა შემდეგ ყველა დანარჩენი სასვენი ნიშანი, რომლებიც არსებითად წერტილის სახეობებს წარმოადგენენ.

ქართულ დამწერლობაში ინტერვალის აღმნიშვნელი, ე. ი. განკვეთილობის პირობითი ნიშნებია: ორწერტილი (:), სამწერტილი (.: ან:) და ოთხწერტილი (::). ამ ნიშნების ხმარების კვალს ვხვდებით უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ხანძეტ პალეოგრაფიკულ ძეგლებში. ეს უკანასკნელი სახარების ტექსტებს შეიცავენ და თვითონ წარმოშობით მე-9 საუკუნეს განეკუთვნებიან.

ამრიგად, მე-9 საუკუნის დასასრულისათვის ჩვენში დამთავრებული უნდა ყოფილიყო განკვეთილობის პირობითი ნიშნების განვითარება და, საფუძვრებელია, მზად იყო ნიადაგი სასვენი ნიშნების შემოსაღებად. მაგრამ ეს პროცესი, ჩანს, არაბთა შემოსევის შეუჩერებია და ის მხოლოდ მე-9 საუკუნეში განახლებულა. ამის მაჩვენებელია ის, რომ მე-10 საუკუნეში იოანე-ზოსიმე უკვე ფლობს განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების საკმარისად რთულ სისტემას, ხოლო მე-11 საუკუნეში გიორგი მთაწმიდელი არსებითად ამთავრებს სასვენი ნიშნების განვითარების პროცესს და ნიადაგს ამზადებს სადეკლამაციო ნიშნების შემოსაღებად.

ამ საქმეს აგვირგვინებს მე-11 საუკუნის დასასრულის გამოჩენილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ეფერმ მცირე.

კლასიკური ფილოლოგიის ეს დიდი წარმომადგენელი აქ, ისევე როგორც სხვაგან, სასველით ეყრდნობა ძველ მონაპოვარს, რასაც ახლებურ დანიშნულებას უქებნის და საკუთარი დროის მიხედვით ავითარებს. ასეთი დანიშნულების განმსაზღვრელი ეფერმის დროისათვის გამომეტყველებითი კითხვის საჭიროება უნდა ყოფილიყო. ამის გამოწვევის იმ ეპოქაში, უნდა ვიფიქროთ, ჰომოგრაფიისა და მკვერმეტყველების განვითარება წარმოადგენდა. ერთი-და-მეორეც საჯარო ცოცხალი სიტყვის წარმოტებას ნიშნავდა და აღამიანთა ზეპირი ურთი-

**ნიკოლოზ კანდელაკი**

მეფერმ მცირე — ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი



ერთობის განმტკიცებას მოასწავებდა. ასეთი ურთიერთობის ხელოვნებას ჩვენი სიტყვის ოსტატები, ცხადია, არც მანამდე იყვნენ მოკლებულნი, მაგრამ მმლავრი კულტურული აღმავლობის სათავეში, როგორც ჩანს, განსაკუთრებით იჩინა თავი მხატვრული კითხვის საჭიროებამ.

მხედველობაში მისაღება ის გარემოება, რომ ძველად დაწერილობის მცოდნეთა სიმცირე და წიგნების ნაკლებობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საჯარო კითხვას, რასაც ჩვეულგზობრივად მსმენელთა ფართო წრეში მიმართავენ და ემოციური ზეგავლენის მიზნით იყენებდნენ. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ძველი წიგნების პროლოგები, ეპილოგები, შესავლის ეპიზოდები, ლირიკული წილივლები, ანდერძები, მინაწერები და ხშირად მთელი თხრობანი, როგორც წესი, არა მკითხველს მიეძღვრებოდა, არამედ მსმენელს. ასეთ ვითარებაში მსმენელის პირისპირ უნდა ვგვთვლიდით მკითხველს, რომელიც წარმოთქმის გზით ამყარებს იმ ურთიერთობას, რაც შემოქმედსა და მისი შემოქმედების ამოვისებელს შორის ივარაუდება.

ყოველივე ამით არის შეპირობებული ჩვენი მხატვრული კითხვის თეორიული და მასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, პრაქტიკული წარმატებაც, რაც მე-12 საუკუნის დამდეგისათვის შეინიშნება. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს წარმატება არ ყოფილა შემთხვევითი და მოულოდნელი. ამის დასაბამებლად, გარდა აღნიშნულისა, საჭიროა გაეიხსენოთ მეტრული პუნქტუაცია, რაც სრული აუცილებლობით გამოვლინდა მე-10-11 საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, რომლებსაც ერთგვარი სამეტყველო პარტიტურების სახით მოუღწევია ჩვენამდე. მეტრული პუნქტუაციის მიკვლევისა და შესწავლის პატივი ჩვენს მეცნიერებაში ეკუთვნის მკვლევარ პ. ინგოროყვას. მისი ცნობილი წიგნი „გიორგი მერჩულე“ საგანგებო ცნობებს შეიცავს იმ პირობითი ნიშნის შესახებ, რომლითაც ძველად რიტმულ ერთეულს გამოყოფდნენ. ასეთ ნიშანს წერტილი წარმოადგენდა. მეტრულად ამბობს: „ლექსის გაბმით დაწერილ ტექსტებში — მეტრული პუნქტუაციით, წერტილებით, — გამოიყოფოდა ერთმანეთისაგან ყოველი ტაქტი“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 591). ამის მავალითად ავტორი იშველიებს მე-10 საუკუნის ქართული პოეტის იოანე მინჩხის იამბიკოს, რომლის ტექსტი ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი: „განუთუთელი. განიკითვა ქუყყანა. და დაეფლა აბელი რომელ მოყლა. ძმისა კელითა. შეიწყევა ქუყყანა. ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი. იკურთხა მის წილ. აჟ და უკუნისამდე“. (იქვე, გვ. 592).

ეს წერტილები არსებითად სადეკლამაციო პირობითი ნიშნებია, რადგან მათი შემოყვანით აქ განსაზღვრული რიტმული ერთეულებია გა-

მოყოფილი, ხოლო გამომეტყველებით კითხვის ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ეს. ასეთი ერთეულების გამოყოფით კითხვა. მაგრამ აქ არ ჩანს მხატვრული კითხვის სხვა მაჩვენებლები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამეტყველო პარტიტურის ჩანასახთან, უკეთ, სადეკლამაციო ნოტაციის ერთ პირობით ნიშანთან. ეს ნიშანი, როგორც ითქვა, წერტილია. ეს წერტილი არა სასვენი, არამედ სადეკლამაციო ნიშანია. შესაძლოა, ის ზოგიერთ ადგილას სასვენი ნიშნის ფუნქციასაც ასრულებდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ აზრის გამომხატველი შესიტყვევისა და რიტმული ერთეულის დასასრული ერთმანეთს ემთხვევა.

ასეთი სახით გამოიყურება ჩვენი სადეკლამაციო ნოტაციის ჩანასახი და მისი მეშვეობით შედგენილი ადრინდელი სამეტყველო პარტიტურა. ეს ვითარება ასახულია მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში. ჩანს, აქედან იწყება როგორც სასვენი, ისე სადეკლამაციო პირობითი ნიშნების განვითარების მძლავრი აღმავლობა, რაც ჯერ გიორგი მთაწმიდელთან შეინიშნება და შემდეგ ეფერმე მცირესთან.

ჩვენი ყურადღების მავანს ეფერმე მცირის მონაოვარი წარმოადგენს. აქ თავმოყრილი, შეჯამებული და სისტემის სახითაა მოცემული ის, რაც მანამდე გაკეთებულა ჩვენი პუნქტუაციისა და ინტონაციის მოწესრიგების საქმეში. ეს ჩანს იმ თეორიული მოსაზრებისა და პრაქტიკული მონაცემის მიხედვით, რასაც ეფერმის ერთი საყურადღებო ნაშრომი შეიცავს. ეს ნაშრომი წარმოადგენს ე. წ. ზანდუსსა და შესავალს, რომელიც ეფერმე მცირის დაღურავს მე-8 საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მოაზროვნის იოანე დამასკელის თხზულების „ცოდნის წყაროს“ თარგმნისათვის (იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, 1, ტფ., 1892, გვ. 215-219; მიმოხილველი, 1, ტფ., 1926, გვ. 182-189-ს გორგაპის პუბლიკაცია). ეს თარგმანი ეფერმე მცირეს შეუსრულებია მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როცა, ჩანს, მომწიფებული ყოფილა ჩვენში სასვენი ნიშნების გვერდით სანოტაციო ნიშნების შემოღებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა ეფერმე მცირეს უკისრია და თავისი დროის კვალობაზე. მეტად საყურადღებო შედეგებისათვის მიუღწევია. ეს შედეგადანს გაღებულია ხსენებული დანართის მეორე ნაწილში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკია „წერტილითა გაკუჭისითაც საკითხათა (მიმომხილველი, გვ. 188). აქ ნათქვამია, რომ ადრინდელი მთარგმნელები არ ზრუნავდნენ საკითხავ მასალაში იმ პირობითი ნიშნების დასმაზე, რომელთა მეშვეობით რიგიანად იწარმოებოდა კითხვა და „ამისთვისა ზეპირი უქმდა გაკუჭათა ა ყოველი სახელოანთა მკითხველთა“ (იქვე), ე. ი. ნაწერში წერილობითი ნიშნების-



უქონლობის გამო ცნობილი მკითხველები ზეპირად აწესრიგებდნენ ინტონაციას. ხოლო ბერძნულში, — ამბობს ავტორი, — ეს მოწესრიგებულია, ისევე როგორც გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ საგალობლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ჰიმნოგრაფია უკვე იყენებდა სადეკლამაციო ნოტაციას და საკითხვე მასალას სამეტყველო პარტიტურების სახით შეიცავდა. ამის უღვაწე მაჩვენებელს წარმოადგენს ავრეთვე ზემოთ მითითებული მეტრული პუნქტუაცია, რაც ჩვენში აღრიდანვე შეინიშნება. მაგრამ ეს წარმატება, როგორც ითქვა, ერთგვარ ჩანასახს წარმოადგენს და მთლად ორიგინალურიც არ უნდა იყოს, ამასთან, ეს მხოლოდ რიტმულ ძეგლებში შეინიშნება და პროზას არ უნდა ეხებოდეს.

რაც შეეხება პროზაულ ძეგლებს, სადაც აქამდე ჭეროვანი ყურადღება არ ექცეოდა საინტონაციო პირობით ნიშნებს, ისინი ეფერებს თავისი ორიგინალური სისტემის მიხედვით ერთ-ერთი სისტემით, ორწერტილით, სამწერტილითა და ექვსწერტილით „გაუყვეთია“. ამით მან შექმნა სასვენი ნიშნებისა და სადეკლამაციო ნოტაციის თავისებური სისტემა, რომლის შინაარსს გარკვევით გვაცნობს საყოთარი თეორიული ახსნა-განმარტების გზით, ის წერს: „ერთწერტილი უქუშმცირედ სასუშნად; ორწერტილი განსაკუთრებულად სიტყვისაჲ, და სამწერტილი დიდად სასუშნად; და ექვსწერტილი სრულიად დასაბოლოებულად და ახლად დასაწყებულად სიტყვსა“ (იქვე, გვ. 189). აქ ჩამოთვლილი პირობითი ნიშნები უფრო სასვენი ფუნქციებითაა განსაზღვრული, ვიდრე სადეკლამაციო დანიშნულებით. მაგრამ საქმე ამით არ თავდება: ავტორი ქვემოთ განსაკუთრებით საინტერესო განზრახ აძლევს თავის ახსნა-განმარტებას, სადაც პირობითი ნიშნების სადეკლამაციო ფუნქციებზე ამბავილებს მკითხველის ყურადღებას. ის ამბობს: „არს ოდრემე იშუთ, რომელ არა დასაბოლოებულად ზის ექუსწერტილი, არამედ კმისა საქცეველად ოდენ; რომელი ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების: რაჟამს მოწამე მსაჯულისა მიმართ მეტყუთლებდეს და მყის დმორთასა მიმართ ცელოს მეტყუთლებდაჲ, ესე-ეთიასა მას ადვილსა ექუსი წერტილად უზის, არა რათა დააბოლოოს, არამედ რათა კმაჲ იქციოს მკითხველმან“ (იქვე). აქ ერთ-ერთი პირობითი ნიშანი — ექვსწერტილი, რომელიც ზემოთ მიჩნეულია „სრულიად დასაბოლოებულად და ახლად დასაწყებულად სიტყვსა“, აღიარებულია „მისა საქცეველად ოდენ“, ე. ი. მხოლოდ ხმის შესაცვლელად ანუ სადეკლამაციო ფაქტორის მაჩვენებლად. ამრიგად, ეფრემ მცირის პუნქტუაციურ სისტემაში ექვსწერტილს დავისრებული აქვს ორი ფუნქცია: სასვენი და სადეკლამაციო. ერთ შემთხვევაში ის ზის განსაზღვრული აზრის შემცველი ობიექტის შემ-

დეგ, გამოხატავს ნათქვამს და აღნიშნება ხმის დადაბლებით; მეორე შემთხვევაში ის ზის განსაზღვრული აზრის შემცველი ობიექტის წინ, გამოხატავს ნათქვამს და აღნიშნება ხმის შეცვლით.

ექვსწერტილის ეს მეორე დანიშნულება წმინდა მხატვრული ხასიათისაა — ის ნაწერის ბგერითი რეპროდუქციის ფაქტორს წარმოადგენს და სათქმელის გამომეტყველებით გამოთქმას ემსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დანიშნულებას ეფერების პუნქტუაციურ სისტემაში ნაწილობრივ სხვა სასვენი ნიშნებიც ითვლებენ, მაგალითად, ერთწერტილი და სამწერტილი, რომლებიც მცირე და დიდი პუშების აღმნიშვნელია და თავიანთი დანიშნულებით განსხვავდებიან ორწერტილისაგან, რომელსაც მხოლოდ განკვეთილობის მოვალეობა აქვს დაკისრებული. ეფრემის სიტყვები: „ორწერტილი განსაკუთრებულად სიტყვისაჲ“ — უნდა გავიგოთ როგორც სიტყვების მაცალკეებელი ნიშნის განსაზღვრა. ასეთ ნიშნადაა აქ მიჩნეული ორწერტილი. მისი ფუნქცია სიტყვების გამოყოფაა. სხვა მოვალეობა მას არ გააჩნია.

რაც შეეხება სხვა პირობითი ნიშნებს, განსაკუთრებით ექვსწერტილს, ისინი სასვენი ფუნქციების გვერდით სადეკლამაციო დანიშნულებასაც ითავსებენ და გამომეტყველებითი კითხვის ფაქტორების მაჩვენებელბადაც გვევლინებიან. ეფრემ მცირის მიერ „მცირედ სასუშნად“ და დიდად სასუშნად“ მიჩნეული ერთწერტილი და სამწერტილი, ცხადია, არა მარტო სასვენი ნიშნებია, არამედ სამეტყველო პარტიტურის პირობითი ნიშნებიცაა, ვინაიდან ისინი პუნქტუაციურ შესვენების გარე ინტონაციურ პაუზებასაც გულისხმობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფრემ მცირე არ გაარჩევდა ერთმანეთისაგან განკვეთილობის, სასვენისა და სადეკლამაციო ნიშნებს. აქ კი ასეთ გარჩევასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ეფრემ მცირის პუნქტუაციური სისტემა შეიცავს სამივე სახის — განკვეთილობის, სასვენისა და სადეკლამაციო პირობითი ნიშნებს, რომელთა უმრავლესობა — ერთწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი სასვენი ფუნქციასთან ერთად სადეკლამაციო მოვალეობასაც ითავსებს და წერითი მეტყველების მოწესრიგების გვერდით ზეპირი მეტყველების ოსტატობასაც უზრუნველყოფს. დიდად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ასეთი ოსტატობის საჭიროებას ეფრემ მცირე უშთაერესად სიტყვაჯამული მასალისათვის ხედავს. მისი სიტყვით: „კმის საქცეველი“ აღვლება „მეტაფრასთა შინა უფრო იპოების“ (იქვე), ხოლო „მეტაფრასი“ მისივე

**ნიკოლოზ კანდელაკი**  
 ეფრემ მცირე — ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი



განმარტებით „გარდაქაზმული“ ამბავია (იქვე, გვ. 188).

აქედან ცხადად ჩანს ეფრემის აზრი: მხატვრულ კითხვას კაზმული მასალა შეიფერებს. და ამიტომ სწორედ ის საჭიროებს სადეკლამაციო ნიშნებით ნოტაციას, ე. ი. სამეტყველო პარტიკურის სახით გადმოცემას. ასეთი გადმოცემა ხელს უწყობს გამომეტყველებით კითხვას, რომლის წარმატების ერთ პირობას ხსენებული ნოტაცია, ანუ სათქმელი მასალის პირობითი ნიშნებით აღჭურვა წარმოადგენს.

ამ საქმის ერთ ადრინდელ თეორიულ დასაბუთებასა და პრაქტიკულ გამოვლენას ვხედავთ ეფრემ მციერის პუნქტუაციურ სისტემაში. ეს სისტემა იმის მაჩვენებელია, რომ მე-11 საუკუნისათვის ჩვენში სახვებით მოგვარებულია მწერლის, მკითხველისა და მსმენელის ურთიერთობა. ამას ადასტურებს თვითონ ეფრემ მციერი, როცა ლაპარაკობს მის მიერ შემოღებული პუნქტუაციის წყაროებზე („რამეთუ უფროსს ყოვლისასა სარწმუნოებისა და ღმრთისმეტყველებისათჳს თქმულთა წიგნთა შინა საკმარ არს კრძალვა მკითხველისაგან და მწერლისა და მსმენელისა“ (იქვე).

აქ ავტორის მიერ ხაზგასმულია მწერლის, მკითხველისა და მსმენელის შემოქმედებითი კონტაქტის დიდი მნიშვნელობა და მისი დამყარების მძლავრი საშუალება: სწორი სახვენი და სადეკლამაციო პუნქტუაცია წერით მეტყველებაში და მათი მართებული ინტონაცია ზეპირ მეტყველებაში.

ეფრემ მციერის თეორიული მონაბოვარი მხატვრული კითხვის დარგში, რაც, სამწუხაროდ, მასალების სიმციერის გამო, სრული სახით ძნელი აღსადგენია, საკმაოდ ნათელ ისტორიულ-ლიტერატურულ ახსნას პოულობს მწერლის ბიოგრაფიულ მონაცემებსა და ეპოქის კულტურულ გარემოში.

როგორც ცნობილია, ქ. კონსტანტინეპოლის

უმალესი სკოლის დამთავრების შემდეგ ეფრემ კიდევ უკიდურესად გაღვივდა შავ მთაზე და ცდა დაემოწაფა ცნობილ მოღვაწეს სპირიტუალურ ხარელს, რომლის ხელმძღვანელობით, როგორც თვითონ წერს თავის „მოსაწესებელში“, შეისწავლა „ხარბელისადა წიგნთა კითხვისა სწავლა“ („ქ. კეკელიძე, ეტიუდები, 5, თბ., 1957, გვ. 225). აჯად. კ. კეკელიძის სავსებით სწორი განმარტებით, „აქ იგულისხმება, რომ თითოეული საეკლესიო წიგნი — სახარება, სამოციქულო, დავითნი, საწინასწარმეტყველო, მამათა ცხოვრება და სხვა, თავისი გარკვეული წესით იკითხებოდა და მას შესწავლა სჭირებოდა“ (იქვე, გვ. 157). ეს წაკითხვის წესი, მხატვრული კითხვის ხელოვნება, როგორც ვხედავთ, თავდაპირველად ბერძნულ ენაზე შეუსწავლია ეფრემ მციერს, რომელსაც შემდეგ თავისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ამ სფეროში მშობლიური ენისათვის შეუფარდებია და ქართული დეკლამაციის ორიგინალური წესი შეუქმნია.

ყოველივე ეს თავის მხრივ შეპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში ფართოდ გავრცელდა ე. წ. მეტაფრასული „საკითხავები“, რომლებიც „გარდაქაზმული“ სახით გადმოცემდნენ ქრისტიანული ეკლესიის წმიდანთა ცხოვრებას. ასეთი სახის თხზულებანი, რომლებიც ჩვეულებრივად ეკლესიის კათედრიდან იკითხებოდნენ, თავიანთი „განმწებელი“ ფორმისა და ექსპრესიული შინაარსის გამო მხატვრულ წაკითხვას საჭიროებდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე დროიდან ჩვენში შეინიშნება მეტაფრასული წიგნების კითხვა არა მარტო ეკლესიაში — საჯაროდ, არამედ სახლშიც — ინდივიდუალურად (იქვე, გვ. 233). ეს ვითარებაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა მხატვრული კითხვის განვითარებას.

ხსენებული მოვლენების შექმნა ნათელი ხდება დიდი მეცნიერის თვალსაჩინო ღვაწლის გამომწვევი მიზეზები და ხელის შემწყობი პირობები ქართული მხატვრული კითხვის ისტორიული განვითარების საქმეში.



# ნიონაის საყურადღებო

ქანი მუხრინი

## გიორგი ნაგროვილი. „კალთისნების ქვეყანა“

გამომცემლობა „ნაკადული“, 1968 წ.

ბევრჯერ თქმულა: ჩვენი ცნობილი მწერლები რატომღაც გულგრილად უყურებენ ლიტერატურის ამ უბანს, საბავშვო მწერლობა რომ ჰქვია. ამის გამამართლებლად ათასნაირ მიზეზს ვიშველიებთ ხოლმე. მთავარი კი სულ სხვა რამ არის: წერა პატარებისათვის, შენი ნახელავი მოაწონო მას, ვინც ყველაზე მიუკერძოებელი მსაჯულია, ცოტა არ იყოს, ძნელია და ამიტომ პასუხსაგებობ. მოგეხსენებათ, ასეთი მკითხველისა თუ მსმენელისათვის არც ავტორიტეტი წარმოადგენს რაიმეს, არც — ტიტული.

ის თითო-ორთა ნაწარმოები, ჩვენი ცნობილი მწერლები რომ იშვებენ ბავშვებისათვის, საქმეს არ შეეღის — ეს უფრო ბოდიშის მოხდას ჰკავს, ვიდრე ვალის მოხდას. თუ რა სიყვარულით ეკიდებოდნენ ამ საქმეს ჩვენი დიდი წინაპრები, ვფიქრობთ, ვაჟს ხსენებაც საკმარისია.

ამ მხრივ გიორგი ნატროშვილი საბედნიერო გამოხატვისა — მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც პოულობს დროს, რათა თავისი შაღლიანი სიტყვა ბავშვებსაც შეაწიოს.

„კალთისნების ქვეყანა“ მშვენიერი წიგნია — მრავალფეროვანი, უბრალოდ და მიმზიდველად დაწერილი. აქ შეხედვებით პატარა გოგოს — თინას — შინაური ცხოველები მართკენისაა: ში რომ ენახა და ახლა უყურებს, როგორ დაბალახობენ. პატარა ბიჭი — ბუხუტეც გავაოცებთ, გამოცილი შოფრებს რომ არაფრით ჩამოუვარდება. კიდევ მწყემსი ბიჭი — სეხნია — ხუთასი თბოლი ბატკანი შიმშილით სიკვდილისაგან რომ იხსნა... ყველას თავისი ხასიათი, თავისი ოცნება აქვს, ბავშვური ოცნება კი საინტერესოცაა და სასაცილოც.

მწერალი ბავშვებს ბავშვის ენაზე ესაუბრება — უბრალოდ, ნათლად და გასაგებდ. ფრანები მოკლე და სხარტია, თხრობა — ზედმიწევ-

ნით ბუნებრივი, ამიტომაც სასიამოვნოდ იკითხება.

ბავშვებს ახალავე უნდა ჩაუენერგოთ ინტერნაციონალიზმის გრძნობა, ახლავე უნდა შეაყვარო ადამიანი, ახლავე უნდა უქადაგო უფროსოსადმი პატივისცემა, მოყრბალება. ეს, რა თქმა უნდა, იცის მწერალმა და აკი თავისებურადაც უნდის ხარკს („შელოცვილი ვაშლი“): მწყემსები აზერბაიჯანში — შირვანში მიერეკებიან ფარებს, მაგრამ საამისო ნებართვა არ აქვთ. არ წასულიყვნენ — შიმშილით დაუწყებდობათ ცხვარი, მიდიან და, ვინ იცის, უარესიც მოხდეს. ნებართვის აღებას კი დიდი დრო და გაქცევა-გამოქცევა სჭირდება. სხვა გზა არ არის და ისევ წასვლას ამჯობინებენ, ცლა ბედის მონახევრეაო. მიდიან და ფიქრში იღვება გზა. ჩავიდნენ შირვანში და, როგორც ვარაუდობდნენ, მართლაც ისე მოხდა — გააბრუნეთ ცხვარიო, უბრძანეს.

„გზედავ, ვიღუბებით, სად უნდა გავბრუნდეთ? ვიცი, თუ საქმეს არაფერი ეშველა, საქართველოში ცარიელ ჩომბახებს ჩამოიტანენ ეს ჩემი იფნისხეველები. ამ ფიქრში რომ ვარ, გზედავ, სანდრა გადიმებული მიდის რაიკომის მღვინისაკენ, ჯიბიდან ერთი ლოყაწითელი ვაშლი ამოუღია, აწვდის და ეუბნება:

„...შეხედეთ, რა ვაშლია, თქვენთვის ჩამოვიტანე საქართველოდან“.

თითქოს გამოსავალი არ ჩანდა და ამ ერთი შეხედვით უმინშენლო საჩუქარმა კი უცებ სასიყვაროდ შეცვალა ყველაფერი.

„...თურმე ვაშლი კი არ არის საქმე — გულს ერთი ადგილი ჰქონია, იპოვე ის და კაცი შეუძლებელს შეძლებს“... — ამბობს მწერალი და უფლებაც არ გვაქვს არ დავეთანხმობთ. შემდეგ, ამავე მოთხრობაში, კიდევ უფრო საინტერესო ამბავი იწყება — სიკეთით, მოძმეთა სიყვარულით სავსე ამბავი.







ორ ხახასავით ღია.  
ვიღაცა თავ-პირს იკაწრავს —  
ნაპირზე ძროხა გდია...  
მენავე უსვამს ნინაბს...

მათრგმენლს ძალზე ოსტატურად გადმოუ-  
ღია ლექსები: „ბალადა ორი წინაპრისა“, „გვა-  
დელუბა“, „ჩემი სამშობლო თავლი მგონია“,  
„სიმღერა მაგდალენაზე“, „ვეენესუელა“, „ეპი-  
სენიორა, მეზობელო“, „ბალახისფერი ვრძელ-  
კუდა ხელივი“, „საგვარეულო სახელი“, რომან-  
სერია“ და სხვ.  
ჩემნი ხალხური პოეზიის ელემენტები ზომი-

ერად, მარჯვედ გამოუყენებია გ. გოგიაშვილს.  
გილიენის სატრფილო ლექსების („მეგობრ-  
პლოდენური ბალადა“, „ჩემი გოგო“, „ცისფე-  
რი ბალადა“) თარგმნისას.

გურამ გოგიაშვილმა კვლავაც უნდა თარგმ-  
ნოს შესანიშნავი კუბელი პოეტის ლექსები,  
რათა ქართულმა მკითხველმა კიდევ უფრო  
სრულად გაიგონოს თავისუფლების კუნძულის  
თავისებური და ომახიანი ხმა.  
„საგვარეულო სახელი“ გემოვნებით, მიმზი-  
დველად გაუფორმებია მხატვარ ნათელა იანჭო-  
შვილს.

**სიმონ შაფურიანი**

**გინვი ჭიჭინაძე. „თაგვმა კაგა ლიჭიკა“**

გამომცემლობა „ნაბაღლი“, 1967 წ.

წიგნის სათაურიდანვე გაგვიძვრებათ. ამ წიგნ-  
ში თითქმის ყველა ლექსი დიმილიანია — თბი-  
ლი, კეთილი იუმორით შენელებული, რაც ასე  
მოსწონთ პატარა მკითხველებს. მართალია,  
გვხვდება ერთი-ორი ეგრეთწოდებული „სერიო-  
ზული“ (უღიმილო) ხასიათის ლექსიც, მაგრამ,  
ზღაპრისა არ იყოს, ბოლომდე ვერც ისინი რჩე-  
ბიან „გაუცინარ ხელმოწყობებად“. ლექსი „როვე-  
ლი“ ჩვეულებრივი, სართველო შრომის პროცე-  
სის აღწერით იწყება და, უტეხ:  
დაწნეხილი საწნახელი  
ქვევრს ჩასძახის რაკრაკითა:  
— დრო დაგიღა, გაბერდლო,  
სვი, ილხინე, რალა გინდა!

სულ ერთმა მარილიანმა სიტყვამ — „გაბერი-  
ლო“ — სურათს სიცხოვრელ მისცა და ლექსი  
მოულოდნელად გააცოცხლა.

ასევე, მოულოდნელი იუმორით მთავრდება  
ლექსი „დედაბრის კატა“. დედაბრის ხათრით  
რას არ აკეთებდა კატა: სახლს ჰგვიდა, ცოშს  
ზელდა, პურს აცხობდა, მატყლს ჩეჩავდა, ძაღს  
ართავდა, ფაფას აღუღებდა, თავშალს ქსოუ-  
და... და:

თქვენ გგონიათ, კატუნია  
სხვა კატუნებს ჰგავდა?  
შინ ყველაფერს აკეთებდა,  
თაგვის ჭერის გარდა.

გივი ჭიჭინაძის საბავშვო ლექსებში იუმორი  
თვითმინდლ როდია ქცეული, რომ მხოლოდ  
გაცინოს, გაახიარულოს მკითხველი. პოეტი  
უმეტესად შემოვლით, მარტოოდენ მინიშნებე-  
ბით საუბრობს პატარებთან. მისთვის უტყოა  
ყბადადებული „დიდაქტიზმი“, დამრიგებლური,  
ცივი პათოსი. მან კარგად უწყის, ბავშვის სულ-  
ზე რა ზემოქმედებასაც ახდენს ლექსის უფრო-  
სული, ზედამხედველური კილო.

ზარმაცები თუ ბაქები, ცუდლუტები თუ მე-  
თავისეები, მატყუარები თუ მეტიჩრები გ. ჭიჭინა-  
ძის საბავშვო ლექსებსა და იგავებში უფრო  
შეფარვით არიან გაშარებულნი, მაგრამ გაშარ-  
ებულნი არიან ისე კონტად, რომ არ შეიძ-  
ლება ამან დიდი ემოციური ზეგავლენა არ მო-  
ახდინოს მოზარდი აღამიანის ცნობიერებაზე.  
ერთ მავალითს დავერდებით: ბაქია მზესუმში-  
რამ განაცხადა, მე მზის შვილი ვარო, თუ მო-  
ვინდომებ, მთელ ცას დავისაკუთრებო, ჰოდა,  
დღეიდან ჩემს წყენას ერიდეთო. ბღჩის მკვიდ-  
რნი დაფუტებიან, ეს რომ მართლაც ასე მოხ-  
დეს, რა გვეშველება, ვინ გვაჯობობს, ხომ დაე-  
ლუბებითო...

მზე კი ისმენს ამ ქოთქოქს  
და სიცილად არ ჰყოფნის.

გ. ჭიჭინაძის პოეტური ენა სადა, ნათელი, სა-  
საუბრო, ქართული ხატოვანი თქმებით გაძლი-  
რებული ენაა. ამიტომაც არის, რომ გ. ჭიჭინა-  
ძის საბავშვო ლექსებს უმაღლ ითვისებენ და  
იხსომებენ. ლექსად დაწერილი პიესებიც —  
„ყვინჩილი“ და „ციცქნა იას ღღეობა“ — სწო-  
რედ სხარტი ქართულის გამო (რა თქმა უნდა,  
გააზრების წყალობითაც) გამოქვეყნებისთანავე  
აიტაცეს სკოლების დრამატულმა წრეებმა...

მთავარი მიანიც ის არის, რომ გ. ჭიჭინაძის  
ლექსებში, იგავებმა თუ პიესებში ფეოქავს აღა-  
ლო სიყვარული მათდამი, ვისთვისაც არის გამოი-  
წული ეს ნაწარმოებები. პოეტის სურვილია,  
ნორჩების სულსა და გულში მათათვე გააღ-  
ვივოს და ზვალინდელ ჭჭილად აქციოს აღამი-  
ანური სიკეთის მარცვალი...

**წიგნების სამუაროვი**

## გუსგავ ფლობერი. „პერიოლია“

გამომცემლობა „ნაქაღული“, 1967 წ.

მანანა გიგინეიშვილს მკითხველი კარგა ხანია იცნობს, როგორც ნატიფი სტილის მთარგმნელს, მაღალი გემოვნების ლიტერატორს, გუსტავ ფლობერის ერთ-ერთ ყველაზე კარგ მთარგმნელს. მან საუცხოოდ იცის ფრანგულიცა და ქართულიც. ფლობერის მთარგმნელს უსათუოდ ესაუბრობა ენების ღრმა ცოდნა. ფრანგულისა და ქართულის ზედმიწევნით ცოდნის გარეშე „სალამბოსა“ და „პერიოდისა“ თარგმნა წარმოუდგენელია, შეუძლებელია. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც კარგ მთარგმნელს ესაუბრობა — მას „მწერლურ სმენას“ ეძახიან. ეს არის ის ჯადო, რომელიც ყოველ სიტყვას თავის ადგილზე სვამს, ის ხვითო, რომელიც შეიჭრება ენის სტიქიაში, ძველი ენა იქნება ის თუ ახალი, ამოთარგმნეს იქიდან მარგალიტს და ბრმათათვის და ყრუთათვისაც კი საჩინოს გახდის.

ძველი ქართული სიტყვები და გამოთქმები ახალ ქართულში რომ გადმონერგო, ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული ენის ღრმა ცოდნა, შესისხლბორცება ენისა მთლიანად, თავისი რომანტიული ელფერიტა და სინტაქსური ხეყულებით, შეგრძნება ენის სტიქიისა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მანანა გიგინეიშვილის თარგმანები. იგი მშვენიერი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება შეურწყა ძველი ახალს, ფაქიზად, ყოველგვარი სტილიერი გაბრანვეისა და ახირების გარეშე, ამოატივლო მივიწყებული, საჭირო და ლამაზი სიტყვები, „ზედმეტი ცოდნით“ კი არ შეგვაწყუბო, არამედ დარბაისლური ქართულით გვესაუბრო.

მკვლარი ზღვის აღმოსავლეთით, კონუსივით წამახულ ფიქალზე, აღმართულიყო მაქერუზის ციხე-დარბაზი. მას ოთხივე მხრიდან თელუწუნდენელი მინდვრები ერტყა. შიდაციხის ძირას ახირხულ სახლებს გასდევდა ზღუდე, რომელიც ოკრო-ბოკრო მიწას მიჰყვებოდა და ხან აღმა იწევდა, ხან დაღმა. ანდა კიდევ: „ერთხელ, ზამთარში, დილაზნელს გაუდგა გზას. კარგად იყო აღქურვილი. მხაროდღე სამალი მოეგო. უნავირის ტახტაზე ისრების კონა ჩამოეკიდა“.

ასეთი მშვიდი, ძალდაუტანებელი და თავი-

სუფალი ქართულით გვიამბობს მთარგმნელი ფრანგულ ენაზე დაწერილ ძველ ამბებს. მთარგმნელიც ცდილობს მისცეს სტილს ძველი ელფერი, აქ უსაზღვროა ქართული ენის შესაძლებლობა, მაგრამ მანანა გიგინეიშვილს არსად არ დალატობს „სმენა“, ამ უსაზღვროების ტყვეობაში კი არ ექცევა, ყოველ სიტყვას აწონდა-წონილს, გააზრებულს, გამიზნულს გეთავაზობს. მჩხიბავებს მოუხმოო, წერს ერთგან მთარგმნელი. თითქოსდა ქართულში გვაქვს უფრო გასაგები სინონიმები: მაგა: „გრძნულში“, „ექიმაში“, „ჯარა ექიმი“, მაგრამ მთარგმნელის არჩევანი სწორია. „მჩხიბავი“ „გრძნულზე“ უფრო ზუსტია კონტესტში. ხოლო „ექიმაში“ — ეს არაბულ-თურქული სიტყვა უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ვიდრე „მჩხიბავი“, ასევეა „ჯარა ექიმიც“. მჩხიბავი ყველაზე ძველი, ყველაზე კარგი ქართული სიტყვაა, მთარგმნელსაც იმეტომ ამოურჩევია.

ჩვენი მთარგმნელების უმეტესობა შებოროკილია ლექსიკონის ქართულით. მათ ეშინიათ თავისუფლად აამოძრაონ სიტყვა. მანანა გიგინეიშვილს კი გამბედაობა ჰყოფნის ძველისძველი დარბაისლური სიტყვის „ქორაკანდელის“ გვერდით გურული „კოთხო“ იხმაროს. ლექსიკონში „კოთხო“, კუთხურიო, აწერია, მაგრამ გიგინეიშვილისეულ კონტექსტში „კოთხო“ ძველისძველი ლიტერატურული სიტყვების „ქორაკანდელის“, „ეკლატრის“, „ლანგარის“, „რტოს“ გვერდით თავს არხენიანდ გრმნობს: „აღმოდებულ ბუნქებს ჰგვანდენ ქაშანურ თარებესა, სპილენძის ლანგარებსა, თოვლით სავეკოთხოებსა და ყრძინის მტევნებს შუა აბრიალებული ქორაკანდელბი. ეკლატართა მოწითალო ალი თაღის სიღრმეში ინთქმებოდა. ხის რტოებში მოციმიციმე ვარსკვლავებვით კრთებოდნენ ნაპურწყლები“.

უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, სხვადასხვაგვარი მაგალითისა. შეიძლება ბევრი რამის დამტკიცებაც და უარყოფაც, ერთი რამ კი ცხადია: ფლობერს ჩვენში კარგ მთარგმნელი ჰყავს, ხოლო გამომცემლობა „ნაქაღული“ ძალზე დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს. მის მიერ გამოცემული წიგნები ყოველთვის გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და აკადემიზმით.



# ჩინი

## ქვეყნები

### ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა თვალსა-  
ჩინო ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანასტასია ერის-  
თავი-ხოშტარიას დაბადების 100 წლისთავი.

ქართული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დაჩაგრულთა და  
უპოვართა დაუცხრომელი ქომავის, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას  
უანგარო ცხოვრება განუყოფლად იყო დაკავშირებული თავისი  
დროის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებასთან, ერის სულიერ  
ტკივილებთან და იმედებთან. მთელი თავისი შთაგონებული შემოქ-  
მედებით მწერალი ქალი ასახავდა ვასული საუკუნის ქართული სოფ-  
ლის დუხჭირ ყოფას, ქართველი თავადაზნაურობის სოციალურ სი-  
ძაბუნეს, გამოფიტვასა და დაკნინებას, ქალის მძიმე და გაუხარელ  
ხვედრს, სოციალური უთანასწორობის, უუფლებობის, ცრურწმენათა  
და უმეცრების შემადრწუნებელ სურათებს.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია მუდამ ეძიებდა სოციალური  
პროგრესის გზებს: იღვწოდა საიმისოდ, რომ თავისი ხალხის, უსა-  
მართლობისა და ძალადობის ტყვეობაში მყოფი მშრომელი ადამი-  
ანების გაუხარელ ყოფაში ცოდნის სინათლე, სიკეთე და მომავლის  
რწმენა დაემკვიდრებინა. იგი უხვად უზიარებდა მკითხველებს თავის  
სათნობასა და გულის სითბოს, განუხრელად ემსახურებოდა ქვეშა-  
რიტებას, კრიტიკული თვალთ აფასებდა არსებულ სინამდვილეს,  
იბრძოდა სიმართლისა და ზნეობისათვის, ესწრაფოდა თავისუფლე-  
ბას და ამ ძნელ გზაზე არასოდეს შეუყოვნებულა, არასდროს დაუზო-  
გავს საკუთარი თავი და ენერგია.

მადლიერმა შთამომავლობამ უხვად მიაგო სანაცვლო ღვაწლმო-  
სილ მწერალსა და განმანათლებელს. „ქართული რომანის დედას“ და  
ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმო-  
მადგენელს. ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას სახელის უკვდავსაყო-  
ფად ა. წ. 10 მაისს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის  
მცირე დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო. 11 მაისს მწერლის  
მშობლიურ სოფელ მეჯვრისხევში მოეწყო მიტინგი, ანასტასია ერის-  
თავი-ხოშტარიას ბინაზე გაიხსნა მემორიალური დაფა. ქართველმა  
მწერლებმა და საზოგადოებრიობამ ყვაილებით შეამკეს მწერლის  
საფლავი დიდუბის პანთეონში.





# სპირა

პნლო ჟორანი

## ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

6

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობის ყველაზე ნიჭიერ და კოლორიტულ ფეხბურთელებზე.

ჩემს მიერ ჩამოთვლილი სპორტსმენებით „დინამოს“ იდეალური ნაერები არ შემოდგენია. ის გუნდი კი არ არის, მხოლოდ ცალკეული მოთამაშეები არიან. მათგან ნაერების შედგენა ეურნალისტიკის საქმეა. მე არ დამისახავს მიზნად, ყველა დროის იდეალური ნაერები შემდგინა. მე მხოლოდ იმ რამდენიმე ფეხბურთელზე მინდა შევჩერდე, რომლებიც თბილისის „დინამოში“ 1936 წლიდან დღემდე სხვადასხვა დროს თამაშობდნენ.

თბილისის „დინამოს“ შეკრებთაგან უნდა აღინიშნოს ა. დორიხი და ს. კოტირაძე. დამცველთაგან გამოეყოფიდა ვ. ელოვილი, შ. შავეგულიძეს, პეხლეანიდის, გ. ჩოხელს. სამწუხაროა, რომ ავადმყოფობის გამო ფეხბურთიდან ასე ადრე წავიდა გ. ჩოხელი. იგი უდაოდ ექსტრაკლასის მცველი იყო, რომ დასკოლდა, არანაკლებ აღიარებული იქნებოდა, ვიდრე საერთაშორისო კლასის რომელიც გენბავთ მცველი. ბრაზილიელი სანტოსებისა თუ შნელინგერის ჩათვლით.

ამასთან იგი ყოველმხრივ სანიმუშო ადამიანი, სპორტსმენი, მოქალაქე და ამხანაგია. გვი თვისი თამაშით გუნდს კიდევ დიდ სარგებლობას მოუტანდა.

ცენტრალური მცველების, ან როგორც ახლა ეძახიან — სტოპერების საუკეთესო წყვილად მე მიმაჩნია მ. ხურცილაძე — ჯ. ზეინკლივილის წყვილი. სამწუხაროდ, მათ დიდხანს არ უთამაშიათ ერთად ამ ადგილზე, მაგრამ მაინც, ჩემის აზრით, სტოპერების ასეთი წყვილი მათ-

გან, ვისაც კი დღემდე „დინამოში“ უთამაშია, სხვა ვერ მოიძებნება.

ნახევარდაცემა გამოეყოფ ორი წყვილი — მ. ბერძენიშვილი — ანიკინი და გ. სიჭინავა — შ. იამანიძე. გარემარბებიდან მინდა დავასახელო გ. ჭეჭელავა, უნიჭიერესი ფეხბურთელი, ს. მეტრეველამდე მას მარჯვენა ფრთაზე ბადალი არ ჰყავდა. რაც შეეხება ს. მეტრეველს, იგი დიდი ფეხბურთელია და უდავოდ ყველაზე ძლიერი მარჯვენა გარემარბი საბჭოთა კავშირში. მ. მესხი დიდი ფეხბურთელია, უნიჭიერესი და აგრეთვე აქამდე ყველაზე ძლიერი მარცხენა გარემარბი საბჭოთა კავშირში.

ცენტრალური თავდამსხმელებიდან გამოეყოფ ვ. ბარქაიას — ამ მართლაც შესანიშნავ მოთამაშეს, ძლიერს, როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად, ბ. პაიჭაძის შემდეგ ასეთი ძლიერი ცენტრფორვარდი ჩვენ არ გვეყოლია.

ბოლოს ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა ბ. პაიჭაძეზე გეოლოგები ძიების დროს წააწყდებიან ხოლმე ძვირფას თვითნაბად ქვას და შემდეგ მისი შემადგენლობის გამოკვლევას ცდილობენ. ბორისი ისეთი თვითნაბადი საუნჯე იყო, რომ შეუთარბებელი თვალთაყ ჩანდა მისი სიყაშკაშე! მერე რა სპორტსმენი იყო! მახსოვს 1946 წლის საბჭოთა კავშირის თასის ფინალი. თოვლი ვთამაშობდით და ჩვენს ცენტრფორვარდს, გუნდის ლიდერს ბ. პაიჭაძეს 38 გრადუსი სიციხე ჰქონდა, მაგრამ მან მაინც შესანიშნავად ჩაატარა თამაში. დიას, ბ. პაიჭაძე იყო ქართული ფეხბურთის სიამაყე და ნურავის ნუ გაუცვირდება, თუ ვანაცხადებ, რომ იგი არანაკლებ დიდებას მოიმოქიდა, ვიდრე დი-სტივანო ან პეულე. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ პაიჭაძე

თითქმის არც უნახავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ირანსა და რუმინეთს. მაგრამ ეს ქვეყნები არ სარგებლობდნენ ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტით და, ცხადია, რუმინულ ეურნალისტთა განცხადებისათვის, რომელთაც ბ. პაიჭაძეს „ფეხბურთის კარტულს“ უწოდეს, სერიოზული ყურადღება არცის მიუქცევია. სამწუხაროა, დიხაც, სამწუხაროა...

შეიძლება კიდევ დავეცახელებინა რამდენიმე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი, მაგრამ მე ვფიქრობ, საემარისა ტალანტების ჩამოთვლა. ისედაც ნათლად ჩანს დასახლებული სპორტსმენების მიხედვით, თუ რაოდენ დიდია ქართული ფეხბურთის შესაძლებლობანი. ბ. პაიჭაძის ქვეყანას უფლება არა აქვს მიღწეულით დაქმნაყოფილდეს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის მომავალზე, ვილაპარაკოთ მის პერსპექტივებზე. მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ საქართველოში მარტო „დინამოს“ დაინახავთ და თვალებს დაეხუჭეთ რესპუბლიკაში ფეხბურთის საერთო მდგომარეობაზე.

ფიქრობ, დადგა დრო, რომ დაისვას საიხიხი საკავშირო პირელობაში შეიქმნას „ბ“ კლასის რესპუბლიკური ზონა საქართველოსათვის. ამჟამად ჩვენ 9 გუნდი გვყავს „ბ“ კლასში. როგორ თამაშობენ ეს გუნდები, ვინ თამაშობს ამ კოლექტივებში, ვინ არის პასუხისმგებელი მათს შედეგებზე? ჯერ ერთი, ეს შვიდი გუნდი მონაწილეობს რსფსრ IV ზონაში. რსფსრ-ს ფეხბურთის ფედერაცია, ცხადია, მათი თამაშით მხოლოდ მაშინ თუ დაინტერესდება, როცა რომელიმე გუნდი წესრიგს დაარღვევს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ცხადია, რაკი ხელი აღარ მიუწვდება ამ გუნდების კალენდარზე, მათ ვეღარ უხელმძღვანელებს.

ჩემის აზრით, საქაიოა საქართველოში შეიქმნას დამოუკიდებელი „ბ“ კლასის ზონა 12-14 გუნდის შემადგენლობით. ნუ დავგვიწყვდება, რომ საქართველო ფეხბურთის მოწინავე რესპუბლიკაა. თუ რსფსრ-ში ექვსი ზონაა, ხოლო უკრაინაში სამი, საქართველოში შეიძლება ერთი ზონის შექმნა. როცა ეს ზონა შეიქმნება, მისი ხელმძღვანელობა უფრო ადვილი იქნება, მეტი დრო დარჩება ვარჯიშისა და თამაშებისათვის. ჩვენ შევძლებთ ოსტატთა გუნდებში ჩავაზნათ მეტი ახალგაზრდობა. ეს კი ჩვენი ზრდის საწინდარი იქნება. საქართველოში ფეხბურთის განვითარებისათვის ხელისშეწყობით დაინტერესებული უნდა იყოს აგრეთვე საკავშირო ფეხბურთის ფედერაცია, რადგან ჩვენს გუნდებს ბევრი ექსტრა-კლასის ფეხბურთელი შეუძლიათ შესძინონ საბჭოთა ფეხბურთის.

სამართლიანად აღნიშნავდა გ. კაჩალიანი ერთ-ერთ თავის წერილში, რომ 1965 წელს საბჭოთა კავშირის არცერთ გუნდს არ ჰყოლია იმდენი ფეხბურთელი ნაკრებ გუნდებში, რამდენიც

თბილისის „დინამოს“ ჰყავდაო. და ისიც 1965 წელს, „დინამოს“ წარუმატებლობის წელს! ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საკავშირო ფედერაცია და ნაკრების ხელმძღვანელობა მაღალი აზრისანი არიან ჩვენს ფეხბურთელებზე, აფასებენ მათს ოსტატობას. ამიტომ ისინი ხელს შეუწყობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფეხბურთის განვითარების საქმეში, „ბ“ კლასში ახალი ზონის ჩამოყალიბების საქმეში მთავარი, ჩვენ გამოვიჩინოთ ინიციატივა. თუ საქართველოს ზონაში 12-14 გუნდი ითამაშებს, შეგვეძლება მტკიცე კალენდარი შევედგინოთ და თამაშები მხოლოდ კვირაობით ჩავატაროთ. მაშინ ფეხბურთელებს მეტი დრო ექნებათ, რომ ივარჯიშონ, დაიცვენონ და ისწავლონ. შეიძლება გვიხიზრან, არ არის მიზანშეწონილი მხოლოდ საკუთარ გუნდებთან შეხვედრა, ფეხბურთის ნოვოროსიისკის, მაიკოპის, სუმგაითის და სხვაქალაქების გუნდები უკეთ შეგვასწავლიანო. რა თქმა უნდა, გვეტყვიან! მაგრამ თუ ამ საქმეს კეთილსინდისიერად მოვეკიდებით, თუ „ბ“ კლასის გუნდებს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოვაქცევთ, თუ ახალგაზრდა ფეხბურთელს ეცოდინება, რომ მისი კარგა თამაში აღინიშნება პრესაში, გაიცნობენ რესპუბლიკაში და ყურადღებას მიაქცევენ ყველა ქართველი ფეხბურთელის სასურველი გუნდი „დინამო“, მაშინ ეს ახალგაზრდა თაობისათვის უკეთესი „ცემენტი“ და „ფოლადი“ იქნება, ვიდრე ნოვოროსიისკისა და სუმგაითის გუნდების სატურნირო გამოცდილება.

გარდა ამისა, „ბ“ კლასის გუნდებს უნდა ჰქონდეთ სხვა სტიმულიც: ჩვენ ხომ „ა“ კლასში ხუთი გუნდი გვყავს! რესპუბლიკის ჩემპიონს, „ბ“ კლასში გამარჯვებულს, უნდა ექნეს საშუალება შესცვალოს „ა“ კლასის ერთ-ერთი გუნდი, რომელიც უარეს ადგილს დაიკავებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შორის. ეს ხომ უღიდესი სტიმული იქნება ახალგაზრდობისათვის, „ბ“ კლასის გუნდებისათვის! გარდა ამისა, იმ გუნდებისათვის, რომელნიც „ბ“ კლასში ვერ მოხვდებიან, უნდა ჩაატარდეს ცალკე პირელობა და მათ შორის საუკეთესოს უნდა მიეცეს საშუალება შესცვალოს „ბ“ კლასის სუსტი გუნდი.

7

მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ფეხბურთის სპეციალურებულ სკოლებზედაც. ოდესღაც ეს სკოლები აშხადებდნენ შესანიშნავ ოსტატებს, მათგან მივიღეთ ჩვენ მაღალი კლასის ფეხბურთელები — ა. ჭკუასელი, ზ. კალოვი, ა. კილაძე, ა. კობრიკაძე, ს. კობრიკაძე, გ. ჩოხეი, შ. იამანიძე, მ. მესხი, ვ. ბარქია და სხვები. მაგრამ ამ თაობის შემდეგ ფეხბურთის სკოლე-

**ანდრო შორდანიძე**  
ფიქრბები მართულ ფეხბურთეზე



ბიდან „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ნაკლებად თუ ვინმე მოსულა. ჩემი აზრით, ამის მიზეზია სკოლებში ფეხბურთელთა მომზადების არასწორი ორგანიზაცია.

დებულების თანახმად ჰაბუკები სკოლაში იწვრთნებიან 17 წლის ასაკამდე, შემდეგ კი ხდება მათი გამოშვება პირდაპირ ქუჩაში, რადგან ოსტატთა დონემდე არც ასაკით და არც თამაშის კლასით ისინი არ ამადლებულან. განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ სწორედ 16-17 წლიდან იწყება ჰაბუკის ჩამოყალიბება? ამ ასაკში მწიფდება ყმაწვილი, მისი შესაძლებლობანი უფრო ნათლად ჩანს და ამიტომ სწორედ ამ ასაკშივე უნდა ხდებოდეს ყოველ სკოლაში საუკეთესოთა შერჩევა, მათთან უნდა გავრძელებდეს განსაკუთრებით გულმოდგინე მუშაობა, რათა აღდგინდეს ჰეგემონი ოსტატები. 21 წლამდე ჰაბუკი იქნე უნდა იზრდებოდეს. სწორედ მაშინ შეგვიძლია წამოუყვანოთ მწვრთნელებს პრეტენზიები და შევაფასოთ მათი მუშაობა. ახლა კი რა შეგვიძლია მოვთხოვოთ? არაფერი, რადგან აღზრდა არ დაუმთავრებიათ. რატომ არ უნდათ შესცვალონ სწავლების ორგანიზაცია?

„გამოშვება“ უნდა ნიშნავდეს სწავლების დამთავრებას, სპორტმენის ჩამოყალიბებას და არა შუა გზაზე მტოვებას. ახლანდელი ფეხბურთის სკოლადამთავრებულნი საშუალო სკოლიდან გარიცხულ მოწაფეებს ჰგვანან, მათი მწვრთნელები — მთევზებებს, რომელნიც დაფლეთილი ბაღით თევზაობენ. ხედავ, ბაღეს შესანიშნავი თევზები მოჰყვებდა. მაგრამ წინასწარ იცი, რომ ზევით არცერთი არ ამოვა!

მოედნების ნაკლებობა ფეხბურთის სკოლებში იწვევს იკრძინება. ერთადერთ მოედანზე ასობით ბავშვმა უნდა ივარჯიშოს. მწვრთნელები ვაგუფს მხოლოდ ორიოდე საათს ავარჯიშებენ, მათ უნდა მისცენ ბავშვებს საშინაო დავალება, მაგრამ ამ დავალებას რეელში ხომ ვერ შეასრულებენ? ღია მოედნები კი, სადაც ბავშვს დამოუკიდებლად შეუძლია ივარჯიშოს, არა გვაქვს. მე ვლაპარაკობ ღია, თავისუფალ მოედნებზე და არა ბოქლომიან სტადიონებზე. თბილისში ხშირად უქმად ცდება 35-ათასიანი „ლოკომოტივის“ სტადიონი კი.

ჩვენს დედაქალაქში აშენდა ახალი მასივები — ნავთლდი, ვაკე, საბურთალო, დიდოძი...

აქ არის ვაზონებიც, ხეებიც, ზოგი მობინადრე სიმინდსაც კი თესავს, მაგრამ არ არის სპორტული მოედნები. ამ რაიონებში დიდძალი ახალგაზრდობაა. ფეხბურთის მოედანი მხოლოდ ფეხბურთელებს კი არა, სავროდელ, ჯანმრთელ ახალგაზრდობას ვაზრდის.

თავისთავად მართო მოედნების სიმცირე არ უშლის ხელს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. მე უკვე აღვნიშნე, რომ არც მწვრთნელთა შემადგენლობა არის სათანადოდ დაკომპლექტებული და არც სწავლების ორგანიზაცია და წვრთნის

მეთოდებია დამაკმაყოფილებელი. უნდა გვევალიწიროთ, რომ საქართველოში ოსტატთა 14 გუნდია, რომელთაც ჰაბუკთა გუნდებიც ჰყავთ, გარდა ამისა, კიდევ არსებობს მრავალი საფეხბურთო სკოლა. სავარაუდებელია, რომ საქართველოში საფეხბურთო ხელოვნებას ორგანიზებულად ეუფლება სულ ცოტა 2000 ბავშვი.

განა არ არის დრო, საფეხბურთო სკოლების მუშაობის საკითხს მივხედოთ? რაც უფრო მაღლე მივხედავთ ამ საქმეს, მით უკეთესია ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის.

ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას მუდმივად მოქმედი სასელექციო კომისია გამოცდილი მწვრთნელებისაგან, ამ კომისიის წევრები მთელი სეზონის განმავლობაში უნდა ესწრებოდნენ „ბ“ კლასისა და საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდების თამაშებს, ახასიათებდნენ ამა თუ იმ მოთამაშეს და თვალყურს ადევნებდნენ მათს ზრდას. სეზონის დასაწყისში სპორტულ პრესაში („ლელო“) უნდა გამოქვეყნდეს „ა“ და „ბ“ კლასის გუნდების შემადგენლობა, მონაწილეთა ასაკის მიითვებით.

სასელექციო კომისიის სხდომებზე უნდა დამტკიცდეს „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდების შემადგენლობანი. ეს აუცილებელია, რათა სწორად განაწილდეს კადრები. მართალია, საუკეთესო ძალებმა თავი უნდა მოიყარონ თბილისის „დინამოში“, მაგრამ ამ გუნდის ხელმძღვანელობამ დუბლშემადგენლობაში არ უნდა ვადაამწიფოს წლობით ფეხბურთელთა რეზერვი. ავიღოთ, მაგალითად, დ. ვეკუას საკითხი. რა მისი ბრალი იყო, რომ თბილისის „დინამოში“ საერთაშორისო კლასის გაუმარბები თამაშებენ? მან ვერ აჯობა ს. მერტველს და მ. მესხს და ალაბთ უკავალდ წვიდლოდ ფეხბურთიდან, რომ „მის ბეღზე“ ქუთაისის „ტორპედოს“ არ გასჭირვებოდა და მისთვის არ გაუმეტებინათ ეს დიდი ხნის დუბლიორი. ნახევარ სეზონში კი დ. ვეკუამ ქუთაისში იმას მიაღწია, რომ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა! როდესაც ახალგაზრდა რამდენიმე წელს დაჰყოფს დუბლშემადგენლობაში, მიაღწევს 22-23 წლის ასაკს, თუ გუნდს არა აქვს საშუალება იგი დატვირთოს ძირითად შემადგენლობაში თამაშებით, მაშინ ასეთი ფეხბურთელი უნდა გადავიდეს მეორე გუნდში, სადაც მას გამოიყენებენ. ამ ასაკში ფეხბურთელი უკვე ვეღარ იზრდება დუბლშემადგენლობაში და ინტერესს ჰკარგავს.

აი ასეთი საკითხები უნდა იხილებოდეს სასელექციო კომისიის სხდომებზე. აქ უნდა მსჯელობდნენ თითოეულ ფეხბურთელზე, თუ როგორი პერსპექტივა აქვს და რომელ გუნდს უფრო სჭირდება იგი ამჟამად. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ყოველწლიურად ავრიოთ სპორტსმენები ერთმანეთში, პირაქით, გუნდიდან გადასვლა დასაბუთებული უნდა იყოს და



რესპუბლიკის ფეხბურთის ინტერესებიდან უნდა გამოდინარობდეს. ამ სხდომებზე ერთად უნდა იკრიბებოდნენ „ა“ და „ბ“ კლასის გუნდების მწვრთნელები და ყველამ უნდა იცოდეს, ვის რა დახმარება სჭირდება.

გუნდები, ცხადია, გარკვეული გეგმის მიხედვით უნდა ემზადებოდნენ. ამაზე დავა არ შეიძლება. მაგრამ გეგმა ადგილზე უნდა შეადგინოს გუნდის ხელმძღვანელობამ. გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა თავისებურება, რაც ახასიათებს გუნდს და იმ გარემოს, რომელშიც მას უხდება თამაში. მავალითადაც, არ შეიძლება ერთნაირი იყოს სვერდლოვსკისა და ერევნის გუნდების გეგმა, რადგან ამას ხელს უშლის კლიმატური და გეოგრაფიული თავისებურებანი, ერთნაირი ნასიათი, ფეხბურთელთა ინდივიდუალური მონაცემები და სხვა. გეგმაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალური მონაცემების გაძლიერებასა და ტექნიკური აზროვნების განვითარებას, აგრეთვე ზოგიერთი ტექნიკური ელემენტის დახვეწას. ზოგიერთი, იმიტომ ვამბობთ, რომ ტექნიკურად სუსტი ფეხბურთელი „ა“ კლასში საერთოდ არ უნდა თამაშობდეს.

ერთნაირი გუნდები და ერთნაირი ფეხბურთელები არ არსებობენ. ყოველ მათგანს რაღაც თავისებურება ახასიათებს. იმიტომ განა შეიძლება ერთი გეგმით და ერთნაირად გვევარჯიშებინა ვ. ბარჯაია და მ. მესხი. ან ზ. კალაიჯი და შ. იამანიძე? მე ხაზი მინდა გაეუსვა იმ გარემობას, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვეცადოთ ფეხბურთელთა კიდევ უფრო გავყვლიეროთ და სრულყოფამდე მივუყვანოთ ძლიერი მხარე, ამავე დროს ვეცადოთ გამოვუსწოროთ ზოგიერთი ნაკლი. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი პელე აცხადებს, რომ მას არ გამოუდის კარში შორიდან ძლიერი დარტყმები. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იგი მინცდამინც თავს არ იწყუნებს ამის გამოასასწორებლად და სწორადაც იქცევა, მას ხომ სეზონში მაინც გააქვს 20-მდე გოლი თავისი „სუსტი“ დარტყმით! მან რომ მთელი ყურადღება გადაიტანოს დარტყმის დამუშავებაზე, რა თქმა უნდა, გაიუმჯობესებს მას, მაგრამ დაკარგავს ბევრ იმ დარტყმას, რომელიც მას ამჟამად აქვს. განა ღიბდა ბ. პაიჭაძეს მთელი ყურადღება თავით ითამაშე გადაეტანა?

ძლიერი მხარე მოთამაშის მთავარი იარაღია იგი საშუალებას აძლევს ფეხბურთელს, გადასწყვიტოს ის ამოცანები, რომლებიც გუნდს წარმატებას მოუპოვებენ. მესხისა და კალაიჯის ტიპის ფეხბურთელები რაც არ უნდა ერთნაირი პირობებში მოვატყვიოთ და ერთნაირად ვავარჯიშოთ, რაც არ უნდა დიდი დრო და ენერჯია დეახარჯოთ, მაინც ერთი მანერით არასოდეს ითამაშებენ! განა ცოტანი არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ყველა ტექნიკურ თუ

ტექნიკურ ამოცანას წყვეტენ ერთნაირად, საშუალოდ? მაგრამ ისინი ტალანტები რაღაც არიან. ტალანტი ის არის, ვისაც ორი-სამი მეტად ძლიერი თვისება ახასიათებს და კიდევ ორი-სამი კი საშუალო დონეზე გაუვითარებია. ვანა ბ. პაიჭაძე, მ. მესხი, ს. მეტრეველი იქნებოდნენ ასე მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომ გვეძულდნათ ისინი, ყველაფერი ერთნაირად სცოდნობდნენ? იღვანელოთ ფეხბურთელი არ არსებობს, ყველას აქვს რაიმე ნაკლი, რომელიც მით უფრო შეუმჩნეველია, რაც უფრო ძლიერია მისი დადებითი თვისებები.

ეს არ უნდა დაავიწყდეთ იმ მწვრთნელებს, რომლებიც მოხარდებიან მუშაობენ. ნიჭის მიგნება და მოვლა საქმე! ნიჭი უშრომლად ფუჭი სიტყვაა, ისევე როგორც უნებოდ შრომა. მინდა მავალითასათვის ისევ ძველ ფეხბურთს ეღებურუნდ, ჩვენს დროს საქართველოში არ არსებობდა მწვრთნელთა ინსტიტუტი. როგორც კი თავს მოვიყრიდით, ვიწყებდით თამაშს ორკარში (5X5 ან 7X7) იმის მიხედვით, თუ რამდენი მოთამაშე მოგროვდებოდა. თვითონ უნდადარიამითი თავი გამოეჩინა და ამიტომ ყოველ ჩვენგანი იყენებდა იმ ხერხს, რომელსაც ყველაზე უკეთ იყო დაუფლებული. ეს ჩვენთვის არაა უსწავლბობა. ამ თამაშებში იწითობოდა ფეხბურთელთა იარაღი, სხვაგვარად იგი ხომ დაკარგავდა ავტორიტეტსაც და ადგილსაც გუნდში. მავალითად, ტექნიკური დრიბლიორი არასოდეს არ ეცდებოდა ძალისმიერ თამაშს მხოლოდ იმიტომ, რომ ესეც საჭირო ელემენტი იყო ფეხბურთში, პირიქით, იგი ოფლს ლერდა, რომ კიდევ უფრო გაემსახვიებინა თავისი ძლიერი მხარე. ისე არ გამოივით, თითქოს მე თვითონინებაზე მიშვებული ფეხბურთის მომხრე ვიყო. მაგრამ ყველაფერი უნდა იქნეს აწონდაწონილი, გეგმიანი. და სწორედ ეს გეგმა უნდა შეადგინოს გუნდის ხელმძღვანელობამ, რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ გუნდისა თუ მოთამაშის თავისებურებანი. ფეხბურთელის მომზადება ძირითადად ბუტით უნდა ხდებოდეს, საქართველოში კი ამისათვის იდეალური კლიმატური პირობებია. გუნდები უნდა ვარჯიშობდნენ მხოლოდ მოედნებზე, ხოლო დარბაზებში — იშვიათად. რა ვუყოთ, თუ საამისი პირობები არ არის ნოვოსიბირსკში და სვერდლოვსკში, ჩვენთან ხომ არის? როგორ შეიძლება ერთნაირი გეგმით ვარჯიშობდნენ „ურალში“ და „არარატი“?

როცა ვცდილობთ ფეხბურთელს გავუმჯობესოთ ესა თუ ის ტექნიკური ელემენტი, რომელსაც იგი სუსტად ფლობს, ამ უნდა დავავიწყდეს, რომ იქნება იმის საშიშროება, რომ ამ ტექნიკურ ელემენტს ფეხბურთელი გაიუმჯობესო

**ანდრო შორაძანი**  
ფიჭრბეი მართულ ფეხბურთში

სებს მისი მდიდარი იარაღის დაჩლუნგების ხარჯზე. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ფეხბურთელის ინდივიდუალურ მიღწევებებს და უნდა ვეცადოთ სრულყოფით ის იარაღი, რომელსაც იგი უკვე ფლობს. ოსტატთა გუნდებში ლაპარაკი ტექნიკის შექმნაზე არ შეიძლება. თუ ფეხბურთელს ბურთი არ ემორჩილება, რაც არ უნდა ლამაზი და ძლიერი ზიკი იყოს, მას ოსტატებთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ოსტატთა გუნდებში უნდა ხდებოდეს უკვე არსებული მაღალი ტექნიკის შენარჩუნება და შემდგომი დახვეწა.

დიდი მუშაობა უწევთ ფეხბურთელებს ტაქტიკის დასაუფლებლად. თამაშის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს აზრთა სხვადასხვაობას, თერაპიტი კაცი ერთი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი, ძნელია, მაგრამ ამას უნდა მივალწვიოთ. მოედანზე თამაშობს არა მარტო ის, ვისაც ბურთი აქვს, არამედ თამაშობენ მისი პარტნიორებიც. უბურთოდ თამაში დიდი ხელფრენება. უბურთო-ფეხბურთელმა უნდა იგრძნოს, თუ რას ფიქრობს მისი ამხანაგი, რომელსაც ბურთი აქვს, უნდა შეარჩოს ხელსაყრელი პოზიცია, ხელი შეუწყოს მეგობარს ამოცანის გადაწყვეტაში. აქ ძნელია ჩამოთვლა ამ ხერხებისა და მოთამაშეთა შორის ტაქტიკური ურთიერთობისა. ეს კომბინაციები მრავალია, გაცილებით მეტი. ვიდრე ჩვენ გვინახავს და ვეიფქირა, ბევრი რამ დამოკიდებულია იმპროვიზაციაზე, ხოლო ადამიანის გონება უსაზღვროა! მაღალი კლასის გუნდს უნდა ახასიათებდეს თამაშის ტაქტიკური ადლო, სინქრონული მოქმედება. მაგრამ თუ დავუშვებთ (რაც ძნელი წარმოსადგენია), რომ ორი გუნდი ტაქტიკურად ერთნაირად ძლიერია, ვინ გაიმარჯვებს მათ შორის? რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც მეტი ტაქტიკური ანტიტი ჰყავს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, გუნდს, რომელსაც უფრო ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს, არ შეიძლება უფრო ძლიერი ტაქტიკა არ ჰქონდეს. ტაქტიკა მჭიდრო კავშირშია ტექნიკასთან. უტექნიკო ფეხბურთელს არ შეუძლია სწორად და დროზე გადასცეს ბურთი, სწორი პოზიცია რომ დაიკაოს, ბურთს ხეირიანად ვერ მიიღებს და ვერ დაამუშავებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ტექნიკა ფეხბურთის საფუძველია, რომელზედაც დამყარებულია ტაქტიკა, ფიზიკური და მორალური მომზადება.

30 წლის ასაკში ფეხბურთელმა უკვე ყველაფერი იცის, იგი აღწევს თავისი ტექნიკური და ტაქტიკური სიმწიფის ზენიტს და ამ დროს იძულებულია დასტოვოს ასპარეზი. მე ვიცი, რა ძნელია გადასვლა მწვეან მინდვრიდან ბეტონის ტრიბუნებზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის! ამაოდ ფიქრობს ვინმე, რომ 35 წლის ასაკში შეიძლება ისევე თამაში, როგორც ათი წლის

წინათ. ეს თავის მოტყუებაა. საშუალოდ 10 წელი, აი, ეს არის ფეხბურთელის კარიერის ხანგრძლივობა! 30 წლის მამაკაცი ახალაზრდა, ჯანლიონი საუკ, 30 წლის ფეხბურთელი კი უკვე ბერდება... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია!

ფეხბურთელებს უნდა ძმებივით უყვარდეთ ერთმანეთი, წლის განმავლობაში ისინი ხომ უფრო ხშირად არიან ერთად, ვიდრე შინ. განა ეს ცოტაა? ხოლო საერთო საქმე, ფეხბურთის თამაში მათ ერთმანეთთან ისე მჭიდროდ უნდა აკავშირებდეს, როგორც ოში მებრძოლებს.

იქ, სადაც არ არის მეგობრობა და სიყვარული გუნდის წევართ შორის, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. გუნდის ხელმძღვანელობის ვალია, ყოველნაირად ეცადოს და გუნდში მეგობრული ატმოსფერო შექმნას, სწორედ ამიტომ გუნდში ახალი წევრის მიღების დროს მარტო მის ტექნიკურ და ფიზიკურ მონაცემებს კი არ უნდა მიექცეს ყურადღება, ჩვენ უნდა ვიყოდეთ, რა ადამიანთან გვაქვს საქმე, რა განწყობილება შეუძლია შემოიტანოს მან გუნდში.

8

როგორი უნდა იყოს ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი? უპირველეს ყოვლისა იგი მამობრივი მზრუნველობით უნდა იპყრობოდეს ფეხბურთელს. მე ვიცნობ ერთ ახალაზრდა მწვრთნელს, რომელიც არაფერს არ იშურებს თავისი აღსაზრდელებისათვის. მე მის ვაჟს არ დავასახელებ, მისი აღზრდილი ფეხბურთელები თვითონ მიხვდებიან ვისზედაც არის ლაპარაკი. იგი ვარჯიშის თუ თამაშის შემდეგ ყიდულობს ბავშვებისათვის შოკოლადს, ასმეებს რძეს, ზეპირად იცის მათი გაკეთდების სტრიალი... ეს მისთვის არაგის არ დაუვალენია, არავის უსწავლენია. მე მას პროფესიული თვალსაზრისით არ ვახსიათებ. ამჟამად მე მაინტერესებს იგი, როგორც ადამიანი. მას მართლაც შეილება იგივე უყვარს თავისი, მე ვამბობ, თავისი ბავშვები, ნორჩი ფეხბურთელები, ეფერება და აქებს მათ, მაგრამ უფრო ხშირად უწყრება და სჯის, მაგრამ ბავშვებს მაინც უყვართ იგი. იყო ასეთი შემთხვევა: შეიკრება საქართველოს ჰაბუტთა ნაკრები და ამ ნაკრებში ამ მწვრთნელის 9 აღსაზრდელი მიხვდა (თერაპეტიდან — ცხრა). ნაკრებს სხვა მწვრთნელი დაუნიშნეს, მაგრამ ბავშვებმა თავიანთი მწვრთნელი მოითხოვეს! ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დათმობაზედაც კი წასულიყო.

მწვრთნელმა უნდა შენიშნოს ნორჩ ფეხბურთელში ის ნაბერწყალი, რომლიდანაც შემდგომში დიდი შემოქმედების კოლონი ანთება. მწვრთნელი არ უნდა იყოს თვითდაჯერებული, ბაქია, ჯონს, რაც ნაკლებს ილაპარაკებს თავის თავზე.

არ შეიძლება ყოველგვარ წვრილმანზე რისხვად დეატყდეთ ფეხბურთელებს. არის წვრილ-





მანები, რომლებზედაც ზოგჯერ უნდა თვალი დავხუჭოთ. უნდა მივალწვიოთ იმას, რომ მოთამაშებებმა ერთმანეთს უღრბო ხშირად მისცენ შენიშვნა, ვიდრე მწვრთნელმა. უბრალო დანაშაულისგან ტრაგედია არ უნდა შეექმნათ. მწვრთნელად შეუძლებელია მუშაობა, თუ კოლექტივი და საქმე უანგაროდ არ გვიყვარს. გუნდს უნდა სჯეროდეს თავისი მომდგრისა. თამაშის წინ კონკრეტული გეგმა უნდა დაუსახოს და არაავითარ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდეს მოთამაშეთა შემოქმედებას.

მახსოვს ერთხელ ერთმა ფეხბურთის მწვრთნელმა მითხრა:

— გახსოვთ, ანდრო დიმიტრის ძეგ, მე და თქვენ რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ვთამაშობდით?

მე გაოცებით შევხედე, იგი ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა.

— არა მგონია, გეშლებათ, — ვუთხარი მე, როცა მე ფეხბურთის ვთამაშობდი, თქვენ მაშინ ბავშვი იქნებოდით.

— არა, ანდრო დიმიტრის ძეგ, — გაიცინა მან, — ჩვენი ბიჭები თამაშობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ!

მე აღარაფერი ვუთხარი, იმიტომ, რომ მას სწავდა, თითქოს ფეხბურთის მატჩი პირველ რიგში მწვრთნელთა შეჯიბრება იყო და არა სპორტსმენებისა. სამწუხაროა, რომ ახლაც არსებობენ მწვრთნელები, რომლებიც ჰედარაკის პაიებივით უუყრებენ ფეხბურთელებს. არც ასეთ, უკაცრავად პასუხია, მწვრთნელებს და არც მის ფეხბურთელებს არასოდეს არ უნდა ჰქონდეს წარბაქების იმედი! მწვრთნელი უნდა ცდილობდეს მუდმივად შთაბეროს მოთამაშებს მებრძოლი სული და საკუთარი ძალების რწმენასთან ერთად მოწინააღმდეგის პატივისცემის გრძნობა. მანვე უნდა გააღვივოს გუნდში კოლექტივის, ქალაქის, რესპუბლიკისადმი პატრიოტიზმის გრძნობა. უამისოდ ფეხბურთი წარმოუდგენელია. ყოველ თამაშში გუნდი იცავს არა მარტო თავისი კოლექტივის, არამედ ქალაქის, რესპუბლიკის, ქვეყნის სახელს.

9

ზემოთ აღვნიშნე, რომ ტექნიკა ფეხბურთის ქვაკუთხედიანია. რა არის ტექნიკა? ეს არის ფიზიკურ ხერხთა ერთობლიობა, მიმართული ბურთის დასაუფლებლად. თუ ბურთი არ ემორჩილება ფეხბურთელს (მე ვამბობ, არ ემორჩილება-მითქვი, იმიტომ, რომ ჩვენ ხშირად გვიწახავს, ფეხბურთელს უნდა ბურთს დაეუფლოს და ის კი გაურბის, ან თუ დაეუფლა, ბურთი დამატებით დამუშავებას მოითხოვს), ასეთ ფეხბურთელს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოსტატთა გუნდში. ბურთი მოთამაშეს მიბმული უნდა ჰქონდეს ფეხზე და ყოველთვის ხელსაყ-

რელ მდგომარეობაში უნდა იყოს. ბურთთან ისეთი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, როგორც ჩველ ბავშვთან, და არა უხეში, როცა ფეხბურთელი ტექნიკის უქონლობის გამო თითქოს სრებს და აწვავლებს ბურთს. უტექნიკო ფეხბურთელს უჭირს ტაქტიკური ამოცანის გადაჭრა, იგი უბრალოდ თამაშს იშუქებს. ეს მაშინ, როცა გუნდში თითოერთოლა ასეთი ფეხბურთელია, მაგრამ თუ ბევრია, მაშინ?

ტაქტიკის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე ტექნიკისა. ტექნიკა ფეხბურთის ცოდნასთან, სწორ აზროვნებასთან არის დაკავშირებული და მისი შესწავლა შეიძლება თამაშების, ვარჯიშებისა და საუბრების დროს, ხოლო ტექნიკის შესასწავლად ოსტატთა გუნდში, დროც აღარ რჩება. ტექნიკის შექმნას წლები უნდა. ისიც 21 წლის ასაკამდე.

ფეხბურთელმა ტექნიკა ამ ასაკამდე უნდა აითვისოს, თორემ მერე გვიან იქნება. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს 21 წლის ასაკის ფეხბურთელმა უკვე აღარ იზრუნოს ტექნიკაზე. ტექნიკაზე მუშაობა მანამ არის საჭირო, სანამ ფეხბურთელი გუნდში თამაშობს. მაგრამ სხვადასხვა მოცულობითა და გვეგმით. ტექნიკის დაუფლება უნდა ხდებოდეს როგორც სათამაშო ვარჯიშებზე, ასევე მისგან დამოუკიდებლადაც. ფიზიკური და თეორიული მომზადება განსაკუთრებული გვეგმით უნდა ხდებოდეს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი თამაში. რაც უფრო მეტს თამაშობ, მით უკეთესად ითამაშებ, — ასეთია ჩემი აზრი. 21 წლის ფეხბურთელს ისეთი მაღალი ტექნიკა უნდა ჰქონდეს, რომ მწვრთნელს მისი ტექნიკური მომზადება აღარ აწუხებდეს, მან მხოლოდ შესაფერისი ადგილი უნდა მოუწახოს გუნდში სპორტსმენებს და შეაჩვიოს მოედანზე სწორ აზროვნებას, კოლექტიურ თამაშს. ოსტატთა გუნდებში მოხვედრამდე სპორტსმენს უნდა მიღებული ჰქონდეს „უმალღესი ტექნიკური განათლება“. ამაზე ბევრი უნდა იმუშაოს მწვრთნელებმა. მწვრთნელთა კადრები დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს. ამ საქმეში არ უნდა დაეწილოს შემთხვევითი ადამიანებს. ფეხბურთის ჩაკლებში, იქ სადაც ხდება სპორტსმენის ჩამოყალიბება ძირითადად უნდა დასარულდეს „შავი სამუშაო“. მე ვგულისხმობ ტექნიკის, ფეხბურთის ყველაზე რთული და უმთავრესი კომპონენტის დაუფლებას. თუ ქაბუქმა 21 წლამდე ვერ მოასწრო და ვერ შეიძინა ტექნიკა, უნდა დაეთხოვოს ფეხბურთს? რა თქმა უნდა, უნდა დაემუშაოს იმ ასაკისათვის უკვე ხდება „ბუნებრივი შერჩევა“, ვინც ბავშვობაში თამაშს იწყებს, ყველა ფეხ-

**ანდრო შორაღანი**  
ფიქმარბი მარტიულ ფეხბურთში



ბურთელი ვერ გამოვა. ამასთან თუ საამისო ნიჭი არ დაგვაკა, მხოლოდ შრომით ფეხბურთელი ვერ გახდები. ნიჭი, ტალანტი, შრომით გაღვივებული და გაძლიერებული, აუცილებელია ფეხბურთისათვის.

ტექნიკური მზადება უნდა ხდებოდეს ხელოვნურად განმელებულ პირობებში. ხელოვნურად გაქნელებულ პირობებში ხელს შეუწყობს ტექნიკური აზროვნების განვითარებას, მაგალითად, შეიძლება გარკვეული ტექნიკური დავალებით ჩავატაროთ ორმხრივი თამაში — ცხრა ათის წინააღმდეგ, ან სხვა ვარჯიშები, სადაც ერთ-ერთი წაგეფი მიიღებს გუცლებით მებრტყვით, ასეთ ვარჯიშებს გუნდი უნდა მიეჩივოს, მაგრამ აქაც სიფრთხილეა საჭირო. მე წინააღმდეგი ვარ ნაკადური სისტემისა, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ვანა ცბიერად გუნდი, რომელიც მთავარ ყურადღებას იმას აქცევს, თუ ვინ ვის გადაასწრებს? პირველ ხანებში ქუთათა დაგროვების თვალსაზრისით საქმეს თითქოს არა უშავს. მაგრამ შემდეგ შემიძღვრება, ხომ ირბინებს, გული მოიჭერს, მაგრამ თამაში რომ აღარ იყო? გუნდის საფუძველი, მისი წინსვლის მაუწყებელი პირველ ყოვლისა თამაშია. მთავარია, გუნდმა თამაში იცოდეს, შემდეგ კი უნდა შთაუვლერგოს მის სტრუქტურა, განწყობა, პატრიოტიზმი, სიყვარული და სხვა.

როცა ამა თუ იმ გუნდის კლასზე ლაპარაკობენ, ტექნიკას და ტაქტიკას იმითმ გულისხმობენ, რომ სწორედ ეს არის ფეხბურთში მთავარი. შეიძლება მისაყვებლოდ, რომ მე არ ვლაპარაკებ ფიზიკურ მომზადებაზე, რა თქმა უნდა, იგი აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში, უამისოდ მე ფეხბურთელი ვერ წარმოვიდგენია, მაგრამ მთავარი არაა მისი ტექნიკა და ტაქტიკა. თუ ეს ორი ელემენტი სუსტია, გუნდი ვერასოდეს ვერ მოიპოვებს წარმატებას, რაც არ უნდა კარგად იყოს იგი მომზადებული ფიზიკურად.

ტექნიკა, ტაქტიკა და ფიზიკური მომზადება ფეხბურთის განუყოფელი კომპონენტებია. ჩანართული ადამიანის ტაქტიკურად და ფიზიკურად მომზადება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ტექნიკურად. არ არის ტექნიკა — არც არის ფეხბურთი! ტექნიკის ელემენტებზე მრავალია და იმისათვის, რომ ფეხბურთელმა გაიმდიდროს ტექნიკური არსენალი, ძალიან დიდი დროა საჭირო, ეს დრო კი ფეხბურთელს მანამ აქვს, სანამ ოსტატთა გუნდში მოვა. ვანა ბ. პაიჭაძემ ტექნიკა თბილისის „დინამოში“ შეიძინა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ტაქტიკურად იგი სწორედ ამ გუნდში აღიზარდა. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბუნებრივი შერჩევა ტექნიკის დაუფლების პროცესში ხდება. ერთხანს ჩვენში პროგრესს სულ არ ექცეოდა ყურადღება. ასეთმა

მაგნი თეორიამ დაამუხრუჭა ჩვენი ფეხბურთის განვითარება. ვერაფერ ვერ დამისახლებს მალაი კლასის ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც ტექნიკა არ ჰქონდა. ასეთი არ დაბადებულა და არც დაბადდება! თბილისის „დინამოს“ 1964 წლის შემადგენლობაში სწორედ ისეთი ფეხბურთელები იყვნენ (მ. მესხი, ს. მერტყევილი, შ. იაშვილი, ვ. ბარჭაია და სხვა), უამისოდ ვერც ურთიერთსიყვარული, ვერც მინდობება, ვერც პატრიოტიზმი ვერ იყვანდა ამ გუნდს გამარჯვების კვარცხლბეკზე.

აქედან ის დასკვნა გამოვლინარეობს რომ უნდა ვეძიოთ ნიჭიერი ახალგაზრდობა. ისინი ბევრნი არიან და მათ მივაგნებთ კლდე. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მათთან მუშაობა ისე, როგორც საკუთარ შვილებთან, სათუთად, სიყვარულით და მამის კვლავ გამოჩნდებიან ფეხბურთელები, რომლებიც ასე ესაუბრობება გართულ ფეხბურთს.

10

ოსტატი ფეხბურთელები იშვიათად არიან სახლში, სასწავლებელში. ბევრ ჩვენს ფეხბურთელს ბავშვებიც ჰყავს. ყველა ფეხბურთელი სწავლობს, რამდენ ხანს არიან ისინი შინ? ზამთრის ორიოდ თვის გარდა ისინი ან სხვა ქალაქებში არიან, ან შეეკრება. 18-19 წლიდან დაახლოებით 30-32 წლამდე, მთელი სპორტული მოღვაწეობის დროს, ფეხბურთელი თითქმის არ არის ოჯახში. ეს არის ადამიანის სიცოცხლის საუკეთესო წლები. მე არც ისე ახალგაზრდა ვარ, რომ ამ წლებს შევასება არ შემეძლოს.

რაც უფრო კარგია ფეხბურთელი, მით უფრო იზარება იგი. უფრო დიდი ხნით უწყვეტ ოჯახს გარეთ იყვანა, რაღაც მონაწილეობას სხვადასხვა ნაკრებებში და დამატებით შეკრებებზე იმყოფება.

როდის ყალიბდება ადამიანი საერთოდ, თუ არა 30 წლამდე? და სად უნდა ჩამოყალიბდეს იგი, თუ არა ოჯახში, სასწავლებელში? საშიშროება იქმნება რომ ახალგაზრდა კაცი გადაეჩევა ოჯახურ ცხოვრებას და დამახინჯდება, ან, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვანა მამა არ უნდა მონაწილეობდეს ბავშვის აღზრდაში?

წინასამატჩო შეკრების მიზანია რეჟიმის დაცვა და მატჩისათვის მომზადება. ოსტატ ფეხბურთელს კი თვითონ უნდა შეეძლოს მოემზადოს თამაშისათვის, ამას უნდა მივალწყოთ. ეს არის გუნდის გამარჯვების საწინდარი. თუ გვყავს ფეხბურთელი, რომელსაც სჭირდება გაფრთხილება, რომ თამაშის წინ რეჟიმს არ დაარღვიოს და ივარჯიშოს, ამისათვის იძულებითი შეკრება შედეგს მინც ვერ გამოიღებს. ჩვენ უნდა დავცვათ საკითხი — საერთოდ გეპირდება თუ არა ასეთი ფეხბურთელი? ვა-



ნა სახლში არ არის საშუალება, მშობლებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან, ცოლთან, შვილებთან უფრო განწყვოს თამაშისათვის, ვიდრე შეკრებაზე? რა კაცი უნდა იყოს, რომ ასეთი გარემო არ ავალდებულებდეს, არ შეირცხვიონის თავი, ოჯახის, მეგობრების, ხალხის წინაშე.

ჩემი აზრით, აუცილებელია წინასამართლო შეკრებები შეიცვალოს მატრის შემდგომი შეკრებით. როგორ უნდა მოხდეს ეს? თამაშის შემდეგ მოვლენ უნდა წავიდეს სპორტულ ბაზაში. იქ პირველ რიგში ფეხბურთელებს ჩაუტარებენ სამედიცინო შემოწმებას. თამაშის დან სპორტსმენს პირდაპირ შინ რომ უშუბეებთ, რა გარანტია გვაქვს, რომ მას სამედიცინო დახმარება არ სჭირდება? შემდეგ ფეხბურთელები დამოუკიდებლად გააჩრევენ თამაშს, მწერთნელი არ ერევა, მაგრამ აუცილებლად ყურს უღებდა. ფეხბურთელებს უნდა მივცეთ საშუალება თამაშის შემდეგ გული მოიოხონ, თავიანთი საყვედური თქვან, ერთმანეთს ეკამათონ. გულსტიკილი გამოთქვან. ეს დაამშვიდებს. მათ უყვითანი, არააღმტუნები ვახშმის შემდეგ სპორტსმენებმა უნდა დაისვენონ. მეორე დღით მწერთნელი აწყობს განვლილი თამაშის გარჩევას და ფეხბურთელებს შინ უშეებს. თამაშის შემდეგვე სამშობი არის სპორტსმენის თავისუფლება. მატრის შემდეგ ფეხბურთელი ყოველთვის აღგზნებულია (თავი რომ დავანებოთ ფიზიკურ დაღლილობას და დიდძალი ენერჯის დაკარგვას), ხშირად გულში ვერდატეული დარდისა თუ სისხარტლის გამოსახატავად სპორტსმენი არღვევს რეიფის, მას იმამი ხელს უწყობენ აუღლებელი თაყვანისმცემლები. რეიფის დარღვევა ყველაზე დამღუბელი სწორედ ასეთი ფიზიკური და ნერვიული გადაღლიობის დროსაა.

ხანგრძლივი, გადაჭარბებული შეკრებები და ოჯახიდან განშორება იწვევს ბურთითა და კოლექტივით მოყირკების გრძნობას. ფეხბურთელთა გუნდი არ არის პატარა კოლექტივი. სამწუხაროდ, არ ხდება ზოლმე, რომ ამ 30 კაცს ძმასავით უყვარდეს ერთმანეთი და ასეთი მდგომარეობაში რომ ჩაეყენეთ რომელიც გნებავთ დაწესებულება, არა მგონია, რომ შეკრებებმა წინ წასწიონ საქმე. ნუ მოვითხოვთ ფეხბურთელებისგანაც, რომ ისინი ზეადამიანები იყვნენ.

ფეხბურთელების მომზადების ასეთი რეორგანიზაცია ცუდ შედეგს არ მოიტანს. ჩვენს დროს არც დღემის ბაზა გვექონდა, მწერთნელი კი არ გვყავდა, მაგრამ რეიფის დღევანდელ ფეხბურთელებზე ცუდად როდი ვიცავდით, პასუხისმგებლობის გრძნობაც ნაკლები არ გვექონდა.

რა ვუვოთ, თუ ასეთ რეორგანიზაციას შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს თითოთროლა უნებისყოფი ფეხბურთელი, სამაგიეროდ თან-

დათანობით შეიქმნება მტკიცე და სასარგებლო ტრადიცია, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ფეხბურთის კლასის ამაღლებას, არამედ თვით ფეხბურთელის ოჯახურ ცხოვრებასაც.

ფეხბურთელი მოვლს თავის შესაძლებლობას და უნარს უნდა აქსოვდეს თამაშში, იყოს უშიშარი, კაცური კაცი. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო რამდენიმე შემთხვევა:

1945 წელი. თბილისის „დინამო“ თამაშობს ბუქარესტში. პირველი თამაში მამარ ბრძოლაში მოვუგეთ რუმინეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ჩფრს“ ანგარიშით 2:1. ჩვენმა ნახევარმცველმა გ. ვაგუამ შუა თამაშში მიიღო ტრავმა. მას დაარტყეს სახეში და ცხვირიდან სისხლი წასკდა. მაგრამ გ. ვაგუა არ შეკრთა, გამოართვა ექმის ბამბა და განაგრძო თოვლიან-ყინულიან მინდორზე თამაში. ბანკეტის დროს „ჩფრს“ მწერთნელმა შეიხია, როცა გ. ვაგუას დალურჯებული სახე დაინახა: „განა რამდენს უხდით, რომ ასე ვაეკაცურად იბრძვიანო“. მე გამეღიმა და ცხადია, რასაც ვუპასუხებდი.

1960 წელს ინგლისში თბილისის „დინამოს“ ტურნეს დროს ჩვენს მეკარეს ს. კატრიკაძეს დაარტყეს თავში და ხელში შეჯახების დროს. მე არ მეგონა, თუ იგი შესძლებდა თამაშის გაგრძელებას, მაგრამ მან ეს მძიმე თამაში „ფულფერკემპტონ უონდერრესთან“ ბოლომდე ჩაატარა. „მავე თამაშის დროს დასაწყისშივე უხეშად მოცელეს მ. მესხი, მაგრამ იგი ამას როდი შეუშინდა: სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ჩვენმა გარემარბმა ისეთი დღე დააყენა თავის მცელს, გუნდის კაპიტანს ედი სტიუარტს, რომ „დეილი ჰერალდი“ წერდა: „მგლების“ კაპიტანს ედი სტიუარტს მოუხდა კომპარტული წუთების გადატანა, რადგან ელვასავით სწრაფი მესხის წინააღმდეგ თამაშობდაო. კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ვანა ეს მაგალითები არ კმარა.

არიან ფეხბურთელები, რომელთაც ეშინიათ ძლიერ მოწინააღმდეგესთან თამაში, შიშის ზარს სცემს პასუხისმგებლობის გრძნობა, ამინდიც კი აშინებთ. ასეთი სულმოკლენი ცოტანი არიან, ფეხბურთელი, რომელიც გაურბის პასუხისმგებლობას, ან თავს ინახავს თამაშის დროს, რბილად რომ ეთქვავთ, ლაჩარია. თავს უნდა გავუფრთხილდეთ, რა თქმა უნდა, მაგრამ სჯობია — თამაშამდე ვიფიქროთ ამაზე, რათა ასპარეზობის დროს მოვლი სული და ძალა ჩაეაქსოვით თამაშში. შეუძლებელს არავინ არ თხოვლობს. ვანა შეიძლება არასპორტული საქციელოთ—„თავის შენახვით სპორტული კარიერის გახანგრძლივება?“ ვანა არ სჯობს ცოტა ვითამაშოთ და კარგად, ვიდრე დიდხანს და ცუდად? სიმამაცე და თავდადება ყოველთვის ყოველ საქმეში წინ უნდა გვიძლიდეს.

**გაგრძელება იქნება**



ტანილია პიკასოს მოგონებები და შეხედულებები, რომელიც კუპერმა ჩაიწერა მხატვართან საუბრისას.

**კვლავ მარბანუმა მარსელშია**

30 წლის შესვენების შემდეგ პარიზის ეკრანებზე კვლავ გამოჩნდა ცნობილი ფრანგ რეჟისორის უან რენუარის ფილმი „მარსელიოზა“. ამ ფილმის ისტორია არ არის საესეებით ჩვეულებრივი. 1937 წელს, სახალხო ფრანტის არჩევნებზე გამარჯვების რამდენიმე თვის შემდეგ, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ინიციატივით გავრცელებული ფურცლები მოქალაქეებს მოუწოდებდა შეეგროვებინათ თანხა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ამსახველი ფილმის შესაქმნელად.

უან რენუარი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ფილმის გადაღებას. ომი ახლოვდებოდა და მხოლოდ ცენტურის მიერ შემოკლებული ფილმის ნახვა მოასწრო ფრანგმა მსაყურებელმა.

გავიდა წლები... „უან რენუარის კომპანიამ“ გადაწყვიტა მოეძებნა „მარსელიოზა“ ძველი ფირი. საფრანგეთში ნაპოვნია იქნა ფილმის მხოლოდ შემოკლებული ვარიანტები, მთლიანი ფირი კი საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრომ იგი „უან რენუარის კომპანიას“ გადასცა.

გაზეთი „იუმანიტე“ ფილმის შესახებ წერდა: „მარსელიოზა“ ნიშნავს ახალ აღმოჩენას... ჩვენს თვალწინ იბადება ერი. ამ ფილმში არ არის არაფერი უაღბლო, აკადემიური. მას მსაყურებელი აღდესაც სიამოვნებით უყურებს“.

**შევიცარია**

**მე რომ მთავარი რემონსორი ვიყო**

ციურხის გაზეთმა „30 მლტონეში“ სთხოვა ცნობილ დრამატურგს ფრიდრიხ დიურენმატს ეპასუხნა შეკითხვზე: „რას ვაკეთებდით, თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ გენერალმდევნელათ თეატრისათვის ისე, როგორც საქიროლ მიიჩნევთ?“

„მე დრამატურგი ვარ — უპასუხა დიურენმატმა, — და, რასაკვირველია, არ მაინტერესებს ვიყო თეატრის ხელმძღვანელი. მაგრამ საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, როგორი უნდა იყოს თანამედროვე დრამატული თეატრი. უპირველესად ყოვლისა რეჟისორმა უნდა იცოდეს, რა სურს მას და რა შეუძლია შესთავაზოს მსაყურებელს. ამასთანავე უნდა ვაითვალისწინოს რენტეზილიზმის პრობლემა. მე არ ვიცი არც ერთი მნიშვნელოვანი თეატრი, რომელიც დოკციას არ საქირობდეს...“

თეატრის სახე — უპირველეს ყოვლისა — არის რეპერტუარი. რაც ნაკლებია და-

დგმა, მით უკეთესია მათი რისხი. წლიური გეგმა შეადგენდეს 6 პიესას გორს? შევიცარის თეატრს დიურენმატმა შესთავაზა ერთი — შექსპირის, ერთი — გერმანელი კლასიკოსის, ერთი — შევიცარიელი კლასიკოსის და სამი თანამედროვე ავტორის პიესის დადგმა. ამასთანავე ურჩია, სავალდებულოდ არ მიეჩნია შექსპირისა და ბრეტის პიესების სისტემატურად დადგმა. ვინაიდან ბრწყინვალე შესრულებასთან ერთად საქიროა კლასიკოსების ახლებურად გააზრება და მათი ნაქსიამოლურად თანადროულობასთან დაახლოება. დადგმების ხარჯი რომ ოდნავ მაინც შემცირდეს, დიურენმატი ექსპერიმენტის სახით თეატრს სთავაზობს იმპროვიზაციას, რომელიც შეიძლება იქცეს თეატრის „მეორე პროგრამად“. პირველი პროგრამა მზადდება ფუნდამენტურად, მეორე — იმპროვიზაცია შეიძლება შეიქმნას თუთ თეატრის კედლებში გაზეთის მასალებზე. თავისი შეხედულების დასადასტურებლად დიურენმატი ეყრდნობა თეატრების „ბერლინერ ანსამბლის“ ბრეტის დღესებზე მუშაობისა და მოსკოვის „თეატრის ტავანაკა“ მიაკოვსკიზე მუშაობის გამოცდილებას.

როგორც დასავლეთგერმანიის გაზეთი „ველტი“ იუწყება, დიურენმატი ბაზელის თეატრში მიწვეულია სისტემატურ სამხატვრო ხელმძღვანელად.

კარეკანი და ტიტული თ. მარსაშვილის, ო. ჭიშკარიანის.

ქურნალი ვააფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკს. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მღვიანის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-55.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-68 წ. ქაღალდის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13.7. შეჯ. № 1612. უე 02173. ტირ. 20.700.

საქ. კ. ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.



3260 60 323.

8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

И Н Д Е К С 76236